ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიურ მეცნიერებათა კაბინეტი

ს. ი. კოვალიოვი

თარგმნილი რუსულიდან

1927

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოცემლება

გამომცემლობისაგან

იმ მიზნით, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაგვეადვილებინა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებების შესწავლა ანტიურობის შესახებ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გადასწყვიტა გამოეცა ქართულ ენაზე პროფ. ს. კოვალიოვის მიერ შედგენილი კრებული — „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ". პროფ. ს. კოვალიოვის მიერ შედგენილი კრებული შეიცავს ნაწყვეტებს მარქსისა და ენგელსის იმ შრომებიდან, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1932 წლამდე — კრებულის რუსულ ენაზე გამოცემისას. 1932 წლის შემდეგ გამოცემულ მარქსისა და ენგელსის შრომებში არის ცალკეული გამოთქმები ანტიური მონობისა და საერთოდ მონათმფლობელური საზოგადოების შესახებ. მაგრამ სამწუხაროდ ეს გამოთქმები ამ შრომაში არ არის შესული. აღნიშნული ნაკლი გამოსწორებულ იქნება კრებულის მეორედ გამოცემისას. ქართულ კრებულში მასალის განლაგება იგივეა, რაც რუსულ გამოცემაში, ე. ი. მას საფუძვლად უდევს ქრონოლოგიური პრინციპი. მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ამოღებულია მიმოწერიდან და ფ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკიდან", გამოყოფილია ცალკე განყოფილებად. წიგნის ქართულად თარგმნის დროს გამოყენებულ იქნა მარქსის და ენგელსის ყველა ის შრომები, რაც უკვე ქართულად არის გამოცემული. ამავე დროს ქართული ტექსტები შედარებული იქნა რუსული თარგმანის ტექსტებთან, რის შედეგად, ნათარგმნში შეტანილია ზოგიერთი შესწორებები.

სწორ ფრჩხილებში მოთავსებულია აღნიშვნა გვერდისა ქართული თარგმანების მიხედვით, იქ სადაც ასეთია გამოყენებული. სხვა შემთხვევაში, დავსტო�ეთ ის აღნიშვნა გვერდებისა, რაც კრებულის რუსულ გამოცემაშია. ყოველ ნაწყვეტის ზეგით თუ იგი ქართულად ნათარგმნი ტექსტიდან არის აღებული, აღნიშნულია ქართული თარგმანი, გამოცემის წელი და გამომცემლობა.

კრებულის ბოლოს დართულია სახელთა და საგანთა საძიებელი.

კ. მარქსი,

საღოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურის ნატურფილოსოფიას შორის“.

Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928.

[25] სპეციალისტებმა იციან, რომ ამ ნაშრომის საგნის შესახებ არ არსებობს არაფითარი რაიმე მხრივ ვარგისი წინასწარი ნაშრომი. ჩვეულებრივ დღევანდლამდე იმეორებენ პლუტარქისა და ციცერონის ყბედობას. გასენდი,—ეპიკურის განმათავისუფლებელმა ინტერდიქტისაგან, რომელიც მას დაადვეს საეკლესიო მამებმა და მთელმა საშუალო საუკუნეებმა, ამ ეპოქამ ცხოვრებაში უაზრობის განსახიერებისა,—თავის ნარკვევებში იძლევა მარტოოდენ საინტერესო მომენტს. იგი ცდილობს როგორმე მოარიგოს თავისი კათოლიკური სინდისი თავის კერპთაყვანისმცემლურ ცოდნასთან, ეპიკური—ეკლესიასთან. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ამაო შრომა იყო. ეს იმის ცდას უდრის, რომ ბერძენი ლაისას მხიარული აყვავებული სხეული ქრისტიანული მონაზონური ტანსაცმელით შემოსო.

[26] თუ დამატების სახით მიმატებულია ეპიკურის თეოლოგიის წინააღმდეგ პლუტარქის პოლემიკის კრიტიკა, ეს იმიტომაა გაკეთებული, რომ ეს პოლემიკა არ წარმოადგენს რაიმე ერთადერთს, არამედ დამახასიათებელია გარკვეული მიმართულებისთვის და ძალიან კარგად ამჟღავნებს თეოლოგიზირებული გონების ფილოსოფიისადმი დამოკიდებულებას.

კრიტიკაში, სხვათა შორის, სრულიად არაა აღნიშნული, რამდენად არასწორია საერთოდ პლუტარქის თვალსაზრისი, რომელიც ფილოსოფიას რელიგიის სამსჯავროს უქვემდებარებს...

მანამდე, ვიდრე მთელი ქვეყნის დამპყრობელ, აბსოლუტურად თავისუფალ გულში ყოფიერების ფილოსოფიისა თუნდაც ერთი წვეთი სისხლისა იქნება, იგი ყოველთვის ეტყვის თავის მოწინააღმდეგეებს ეპიკურთან ერთად: ულვთოა არა ის, ვინც ბრბოს ღმერთებს გმობს, არამედ ის, ვინც ბრბოს აზრს უერთდება ღმერთების შესახებ.

ფილოსოფია ამას არ მალავს. პრომეთეს აღიარება:

ჭეშმარიტად, მე მძაგს ყველა ღმერთი

არის მისი საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმონათქვამი, მიმართული ყველა ზეციური და მიწიერი ღმერთების წინააღმდეგ, რომლებიც არ ცნობენ ადამიანის თვითშეგნებას უზენაეს ღვთაებად. მის გვერდით არავითარი ღვთაება არ უნდა იყოს.

მაგრამ საბრალო მშიშარებს, რომელნიც ზეიმობენ ფილოსოფიის მდგომარეობის მოჩვენებითი გაუარესების გამო სახელმწიფოში, იგი იმასვე უმეორებს, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსახურს, ჰერმესს:

კარგად იცოდე, ჩემს ურვა-ნაღველს
არ ვანაცვლებდი მონურ სამსახურს:
უმჯობესია ვიყო კლდეზე მე მიჯაჭვული,
ვიდრე ძევსისა ერთგულ მსახურად ჩავითვლებოდე.

პრომეთე—ყველაზე კეთილშობილი წმიდანი და წამებულია ფილოსოფიურ კალენდარში.

■

[29] მთელმა კაცობრიობამ უნდა გაიაროს უცვლელი ციკლი დაბადების, აყვავების და დაჭკნობისა, ეს—მეტად გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. ამრიგად, არ არის გასაკვირველი, რომ საბერძნეთის ფილოსოფია, მიაღწია რა არისტოტელეს დროს აყვავების უმაღლეს ხარისხს, შემდეგ დაჭკნა. მაგრამ გმირების სიკვდილი მზის ჩასვლას ჰგავს, და არა ბაყაყის სიკვდილს, რომელიც გაჭინთვით გასკდა. ამას გარდა, დაბადება, აყვავება და დაჭკნობა სრულიად ზოგადი გაურკვეველი ცნებებია, რომლის ქვეშაც ყველაფერი შეიძლება იგულისხმო; მაგრამ ისინი არაფერს ხსნიან. თვით სიკვდილი პრეფორმირებულია ცოცხალში, და მისი ფორმა ამიტომ უნდა გაგებულიყო მის სპეციფიურ თავისებურობაში როგორც სიცოცხლის ფორმა.

დასასრულ, თუ ისტორიას გადავხედავთ, წარმოადგენენ თუ არა ეპიკურეიზმი, სტოიციზმი და სკეპტიციზმი კერძო მოვლენებს? ხომ არ წარმოადგენენ ისინი რომაული სულის განვითარების ძირითად ტიპებს, ფორმის, რომელშიც საბერძნეთი რომში გადადის? ხომ არ წარმოადგენენ ისინი თავიანთი არსით იმდენად ტიპურს, ძლიერს, მარადულს, რომ თანამედროვე კაცობრიობას მათთვის უნდა მიენიჭებია მოქალაქობის სრული სულიერი უფლება?

■

[39] ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, თუ ორივე ფილოსოფოსი ყოველ ნაბიჯზე როგორ უპირდაპირდება ერთიმეორეს. ერთი—სკეპტიკოსია, მეორე—დოგმატიკოსი; ერთი გრძნობიერ სამყაროს თვლის სუბიექტურ ხილულობად, მეორე—ობიექტურ მოვლენად. ის, რომელიც გრძნობიერ სამყაროს სუბიექტურ ხილულობად თვლის, ემყარება ემპირიულ ბუნებისმეტყველებას და 'დადებით ცოდნას და თავის თავში განასახიერებს ექსპერიმენტების მწარმოებელ, ყველგან ცოდნის შემძენ, მთელს ქვეყანაზე მძრწოლავ დაკვირვების მოუსვენრობას. მეორეს, რომელიც ხილულ სამყაროს რეალურად თვლის, სძაგს ცდა; მასში განსახიერებულია თვითკმაყოფადი აზროვნების სიმშვიდე, დამოუკიდებლობა, რომელიც ex principio interno [შინაგანი საწყისიდან] პოულობს თავის ცოდნას. მაგრამ წინააღმდეგობა კიდევ უფრო მაღლა იწევს. სკეპტიკოსი და ემპირიკოსი, რომელსაც გრძნობიერი ბუნება სუბიექტურ ხილულობად მიაჩნია, მას განიხილავს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს თვალსაზრისით და ცდილობს ახსნას და გაიგოს ნივთთა რეალურ ყოფიერება. ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი და დ ო გ მ ა ტ ი კ ო ს ი კი, პირიქით, თვლის რა მოვლენას რეალურად, ყველგან მხოლოდ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ს ხედავს, და მისი ახსნის წესი უფრო იმაზე დაიყვანება, რომ მოსპოს ბუნების ყოველგვარი ობიექტური რეალობა. ამ დაპირისპირეობებში თითქოს განსაზღვრული შეუსაბამობაა დაფარული.

გაჭირებით თუ არის შესაძლებელი დავუშვათ, რომ ეს ფილოსოფოსები, ეწინააღმდეგებიან რა თავის თავს ყველაფერში, ერთდაიმავე მოძღვრებას მიემხრობიან. და მიუხედავად ამისა ისინი თითქოს ერთმანეთთან არიან მიჯაჭვულნი.

■

[43] ლუკრეციუსთან, რომელიც ძველებთაგან საერთოდ მარტოდმარტო მიწვდა ეპიკურეულ ფიზიკას, ჩვენ ვპოულობთ მის უფრო ღრმა დალაგებას.

■

[46] ძალიან ბევრს ოხუნჯობდენ ეპიკურის ამ ღმერთების გამო, რომელნიც, ემსგავსებიან რა ადამიანებს, ცხოვრობენ ნამდვილი ქვეყნის სამყაროთაშორისო სივრცეში...

და მაინც ეს ღმერთები არაა ეპიკურის ფიქცია. ისინი არსებობდენ. ეს ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს პ ლ ა ს ტ ი კ უ რ ი ღ მ ე რ თ ე ბ ი ა. ციცერონს, როგორც რ ო მ ა ე ლ ს, უფლება აქვს მათ დას-

ციონოს, მაგრამ პლუტარქმა—ბერძენმა, სრულიად დაივიწყა ბერძნული მსოფლმხედველობა, როდესაც თქვა, რომ ეს მოძღვრება ღმერთების შესახებ სპობს შიშსა და ცრურწმენას, რომ იგი არ იძლევა არც სიხარულს, არც ღმერთების წყალობას...

[60] ციურ სხეულთა პატივისცემა, ეს არის—კულტი, აღიარებული ყველა ბერძენი ფილოსოფოსის მიერ. ციურ სხეულთა სისტემა არის პირველი გულუბრყვილო და ბუნების მიერ განსაზღვრული ყოფიერება ნამდვილი გონებისა. ასეთივე მდგომარეობა უპირავს ბერძნულ თვითშეგნებას სულის სფეროში. ეს სულიერი მზის სისტემაა. ამიტომ ბერძენი ფილოსოფოსები ციურ სხეულებში თავიანთ საკუთარ სულს ეთაყვანებოდენ.

[66] ეპიკური ამიტომ უდიდესი ბერძენი განმანათლებელია...

განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურის ნატურფილოსოფიას შორის, რაც ჩვენ ზოგადი ნაწილის ბოლოს დავადგინეთ, განვითარდა და დადასტურდა ბუნების ყველა სფეროში. ეპიკურს სრულიად თანმიმდევრად აქვს გატარებული და დამთავრებული ატომისტიკა ყველა თავისი წინაალმდეგობით, როგორც თვითშეგნების ბუნებისმეტყველება, ხოლო ეს უკანასკნელი აბსტრაქტული ერთეულადობის ფორმით არის აბსოლუტური პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ატომისტიკის გაუქმებას და შეგნებულ წინაალმდეგობას საყოველთაოსადმი. დემოკრიტესთვის, პირიქით, ატომი არის მხოლოდ საერთოდ ბუნების ემპირიული გამოკვლევის ზოგადი ობიექტური გამოსახულება. ამიტომ ატომი მისთვის რჩება წმინდა და აბსტრაქტულ კატეგორიად, ჰიპოთეზად, რომელიც ცდის შედეგს წარმოადგენს, და არა მის ენერგეტულ პრინციპს, და ეს ჰიპოთეზა ამიტომ განუხორციელებელი რჩება, ხოლო ბუნების რეალური გამოკვლევა მით არ განისაზღვრება.

[83] პლუტარქი თავის მარიას ბიოგრაფიაში წარმოადგენს იმის საშინელ ისტორიულ მტკიცებას, თუ ეს მორალური მანერა როგორ სპობს ყოველგვარ თეორიულ და პრაქტიკულ პირუთვნელობას. აღწერს რა კიმვრების საშინელ განადგურებას, იგი გვიამბობს, გვამები ისე ბევრი იყო, რომ მასალიოტებს შეეძლოთ მით თავიანთი ვენა-

ხები გაეპოხიერებიათო. ამის შემდეგ წვიმები დადგა, და ეს იყო ყველაზე უხვი წელიწადი ყურძნით და ხილით. რა აზრებს გამოთქვამს კეთილშობილი ისტორიკოსი ამ ხალხის ტრაგიკული დაღუპვის გამო? პლუტარქს სრულიად მორალურად მიაჩნია ღმერთის მხრივ, რომ მან ნება მისცა მთელი დიდი კეთილშობილი ხალხის დაღუპვისა და დალპობისა, რათა ნაყოფის უხვი მოსავალი მიეცა მარსელის ფილისტერებისთვის. ამრიგად, ხალხის გადაქცევაც კი ნეხვის გროვად სასურველ შემთხვევას იძლევა მორალურ თემებზე ოცნებებით დატკბობისთვის.

■

[86] ზოგიერთი მათგანი იმალება ძველი დროის რომელიმე ფილოსოფიური ბუმბერაზის უკან; მაგრამ ვირს მალე ცნობენ ლომის ტყავს ქვეშ, პაროდიად ისმის ახლადგამომცხვარი მანეკენის ქვითქვითის ხმა ძლიერი, მთელს საუკუნეებზე გამწვდარი ხმის გვერდით, თუნდაც არისტოტელესი, რომლის არამკითხე ნაწილად მან თავი გაიხადა...

К. МАРКСИ.

ზენიშვნები უახლესი პრუსიული საცენზურო ინსტრუქციის შესახებ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928).

[120] კანონები ტ ე ნ დ ე ნ ც ი ი ს წინააღმდეგ, კანონები, რომლებიც ობიექტურ ნორმებს არ იძლევიან,—ეს არის ტერორისტული კანონები, მსგავსი იმ კანონებისა, რომლებიც გამოიგონა უკიდურესმა სახელმწიფოებრივმა აუცილებლობამ რობესპიერის დროს და სახელმწიფოს გ ა ფ უ ძ ე ბ ულ ო ბ ა მ რომაელი იმპერატორების დროს.

К. МАРКСИ.

ქამათი პრესის თავისუფლების შესახებ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928).

[143] ქვეყანა, რომელიც, ძველი ათინის მსგავსად, უქმმჯამელებს, მლიქვნელებს, პარაზიტებს უცქერის როგორც ხალხური გონების დამბრმავებლებს (изгоев) როგორც რეგვენებს, არის დამოუკიდებლობის და თვითმყოფადობის ქვეყანა.

მოწინავე „კელნის გაზეთის“ № 179-ში

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928).

[194] საბერძნეთი და რომი ხომ ყველაზე უფრო მაღალი „ისტორიული განვითარების“ ქვეყნებს წარმოადგენენ ძველი ქვეყნის ხალხებს შორის. საბერძნეთის უმაღლესი საშინაო აყვავება თანემთხვევა პერიკლის ეპოქას, უმაღლესი საგარეო აყვავება—ალექსანდრეს ეპოქას... წაიკითხეთ ციცერონი! ეპიკურის, სტოიკოსების ან სკეპტიკოსების ფილოსოფია წარმოადგენდა განათლებულ რომაელთა რელიგიას იმ მომენტისთვის, როდესაც რომმა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ძველი სახელმწიფოების დაცემასთან ერთად თუ მათი რელიგიებიც ქრება, ეს ფაქტი განსაკუთრებულ ახსნას არ საჭიროებს, ვინაიდან ძველ ხალხთა „ჭეშმარიტი რელიგია“ იყო მათი საკუთარი „ეროვნულობის“, მათი „სახელმწიფოს“ კულტი. ძველი რელიგიების დაღუპვამ კი არ გამოიწვია ძველ სახელმწიფოთა დაღუპვა, არამედ, პირიქით, ძველ სახელმწიფოთა დაღუპვამ გამოიწვია ძველი რელიგიების დაღუპვა...

ამრიგად, მთელი ძველი ქვეყანა, მოწინავის აზრით, იმიტომ დაიღუპა, რომ მეცნიერების განვითარებამ აღმოაჩინა ძველ რელიგიათა ცთომილება. თავს დააღწევდა თუ არა დაღუპვას ძველი ქვეყანა, მეცნიერება რომ დადუმებულიყო რელიგიათა ცთომილების შესახებ, რომაულ ხელისუფლებას რომ, მოწინავის რჩევის მიხედვით, ცენზურული შეკვეცებისთვის დაექვემდებარებია ლუკრეციუსი ან ლუკიანე?..

სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც ანტიური ქვეყნის დაღუპვა ახლოვდებოდა, წარმოიშვა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი უ ლ ი ს კ ო ლ ა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებია ბერძნული მითოლოგიის „მარადიული ჭეშმარიტება“ და მისი სრული თანაშეფარდება „მეცნიერული გამოკვლევების შედეგებთან“. ეს მიმართულება, რომელსაც ჯერ კიდევ იმპერატორი იულიანე ეკუთვნოდა, ფიქრობდა, რომ იგი იძულებულს გახდიდა გამქრალიყო დროების ახალი შემოქრილი სული, თუ იგი თვალებს დახუჭავდა, რომ იგი არ დაენახა.

■

[207] უახლესი ფილოსოფია განაგრძობდა მხოლოდ იმ მუშაობას, რომელიც უკვე ჰერაკლიტემ და არისტოტელემ დაიწყო... ტყუილად კი არ გამოსახავენ უმეცრებას უდიდესი ბერძენი პოეტები,

შემაძრწუნებელ დრამებში მიკენის და თიბიის სამეფო გვარეულობათა ცხოვრებიდან, ტრაგიკული ბედის სახით.

Ჯ. ᲛᲐᲠᲯᲘ.

ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928).

[404] სკვითები ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მიუახლოვდენ ბერძნულ კულტურას იმის გამო, რომ საბერძნეთს თავის ფილოსოფოსთა შორის ერთი სკვითი ჰყავდა.

საბედნიეროდ, ჩვენ გერმანელები ვართ—არა სკვითები.

მსგავსად იმისა, როგორც ძველი ხალხები განიცდიდენ თავიანთ წინა-ისტორიულ ეპოქას წარმოდგენაში, მ ი თ ო ლ ო გ ი ა შ ი, ასევე ჩვენ, გერმანელები, ჩვენს მომავალ ისტორიას აზრებში, ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი განვიცდით.

Ჯ. ᲛᲐᲠᲯᲘ.

ᲔᲞᲘᲙᲣᲠᲔᲡ, ᲡᲢᲝᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲔᲞᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐᲒᲐᲜ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I, ГИЗ. 1928).

[450] შემეცნების მთელი საქმიანობა ხომ მხოლოდ ბრძოლაა სიშორესთან, რომელიც ხიბლავდა მთელს ძველს ქვეყანას.

■

[458] ძველ ხალხთა ბრძოლა შეიძლებოდა დამთავრებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინგრა ხილული ცა, სიცოცხლის სუბსტანციალური კავშირი, პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების მიზიდულობის ძალა, ვინაიდან ბუნების ერთიანობა უნდა დაინგრეს იმისთვის, რომ მიღწეული იქნეს სულიერი ერთიანობა. ბერძნები მას ანგრევდენ ჰეფესტის საუცხოვო ჩაქუჩით, ამსხვრევდენ მას ქანდაკებებში; რომაელმა თავისი მახვილი მას გულში დასცა, და ხალხები მოკვდენ; მაგრამ ახალი დროის ფილოსოფია სიტყვის გამოცნობას აწარმოებს, უქვემდებარებს მას სულის ღვთიური ცეცხლის

ზემოქმედებას; როგორც მებრძოლი სულისა სულთან, და არა როგორც ცალკეული განდეგილი, რომელიც ბუნების მიზიდულობას არ ექვემდებარება, იგი საერთო ზემოქმედებას ახდენს და ადნობს ისეთ ფორმებს, რომლებიც აფერხებენ საყოველთაოს გამომჟღავნებას.

■

[459] ვინაიდან ბერძნული ცხოვრებისა და ბერძნული სულის არსს სუბსტანცია შეადგენს, რომელიც პირველად მჟღავნდება მათში როგორც თავისუფალი სუბსტანცია...

Კ. მარქსი.

ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I. ГИЗ. 1928).

[557] უშუალო მონარქიაში, დემოკრატიაში ან არისტოკრატიაში არ არსებობს პოლიტიკური წყობილება როგორც რაიმე განსხვავებული ნამდვილი მატერიალური სახელმწიფოსაგან ან ხალხის ცხოვრების მთელი დანარჩენი შინაარსისაგან. პოლიტიკური სახელმწიფო ჯერ კიდევ არ გამოდის როგორც მატერიალური სახელმწიფოს ფ ო რ მ ა. ჩვენს წინაშე არის, ერთი მხრივ, საბერძნეთის ტიპი, სადაც res publica წარმოადგენს ნამდვილ კერძო საქმეს, მოქალაქეთა ნამდვილ შინაარსს, ხოლო კერძო ადამიანი მონაა. პოლიტიკური სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სახელმწიფო, წარმოადგენს აქ ნამდვილად მოქალაქეთა ცხოვრებისა და ნების ერთადერთ შინაარსს. მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს აზიური დესპოტიის ტიპი, სადაც პოლიტიკური სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა ერთადერთი ინდივიდის კერძო თვითნებობა, ანდა სადაც პოლიტიკური სახელმწიფო მატერიალურთან ერთად მონაა.

■

[560] ბერძნები (და რომაელები) ე რ ო ვ ნ უ ლ ე ბ ი იყვნენ, ვინაიდან და რამდენადაც ისინი ს უ ვ ე რ ე ნ უ ლ ხ ა ლ ხ ე ბ ს წარმოადგენდენ. გერმანელები სუ ვ ე რ ე ნ უ ლ ი არიან, ვინაიდან და რამდენადაც ისინი ეროვნულები არიან.

■

[572] ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, რომ ბერძენი და რომაელი სახელმწიფო ადამიანები გამოცდებს აბარებდენ. მაგრამ,

რა თქმა უნდა, რას ნიშნავს რომელიმე რომაელი სახელმწიფო მოღვაწე პრუსიელ მოხელესთან შედარებით!

■

[533] (ბერძნებთან სამოქალაქო საზოგადოება მ ო ნ ა იყო პოლიტიკური საზოგადოებისა).

■

[633] სახელმწიფო არის მემკვიდრეობითი მონარქი ან აბსტრაქტული პიროვნება,—სხვას არას ნიშნავს, თუ არა იმას, რომ სახელმწიფოს პიროვნება აბსტრაქტულია ანდა რომ სახელმწიფო არის აბსტრაქტული პიროვნების სახელმწიფო; რომაელებსაც ასე გამოჰყავდათ მონარქის უფლება კერძო სამართლის ნორმებიდან ანდა კერძო სამართალი ესმოდათ როგორც სახელმწიფო სამართლის უმაღლესი ნორმა. რომაელები—რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ა, გერმანელები—მ ი ს ტ ი კ ო ს ე ბ ი სუვერენული კერძო საკუთრებისა.

■

[635] კერძო საკუთრების ინსტიტუტი იქმნებოდა რ ო მ ა ე ლ ე ბ ი ს გონიერებისა და გ ე რ მ ა ნ უ ლ ი სულის ზეგავლენით. ფრიად მნიშვნელოვანი იქნება პარალელი გავაკეთოთ აქ ერთიდაიმავე ინსტიტუტის განვითარების ამ ორ პოლუსს შორის. ეს ჩვენ დაგვეხმარება ჩვენი მსჯელობის საგნად გამხდარი პოლიტიკური პრობლემის გადაჭრაში.

რომაელებმა, საკუთრივ, პირველად დაამუშავეს კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი, აბსტრაქტული ს ა მ ა რ თ ა ლ ი, კერძო სამართალი, აბსტრაქტული პიროვნების სამართალი. რ ო მ ა უ ლ ი კ ე რ ძ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი არის კ ე რ ძ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი მისი კლასიკური დამთავრებულობით. მაგრამ რომაელებთან ჩვენ არსად არ ვპოულობთ კერძო საკუთრების უფლების მისტიფიკაციას, როგორც ამას გერმანელებთან ჰქონდა ადგილი. ეს უფლება აგრეთვე არსად არ ხდება ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს საფუძვლად.

კერძო საკუთრების უფლება არის jus utendi et abutendi, უფლება ნივთისადმი თ ვ ი თ ნ ებ უ რ ი მოპყრობისა. რომაელთა მთავარი ინტერესი მიმართულია იმ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა განვითარებისა და განსაზღვრისაკენ, რომლებიც წარმოადგენენ კერძო საკუთრების ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ურთიერთობათ. კერძო საკუთრების საკუთარი დაარსება, მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა, არის ფ ა ქ ტ ი, ა უ ხ ს ნ ე ლ ი ფ ა ქ-

ტი და არა უფლება. მხოლოდ იმ იურიდიულ განსაზღვრათა მეოხებით, რომლებსაც საზოგადოება აძლევს ფაქტურ მფლობელობას, ეს უკანასკნელი იძენს უფლებრივი მფლობელობის, კერძო საკუთრების თვისებას. რაც შეეხება კავშირს პოლიტიკურ წყობილებასა და კერძო საკუთრებას შორის რომაელებთან, იგი შემდეგში გამოისახება:

1) ადამიანი (როგორც მონა), როგორც ამას ძველ ხალხებში ქონდა საერთოდ ადგილი, კერძო საკუთრების საგანს შეადგენს. აქ არაფერი არაა სპეციფიკური რომაული.

2) ქვეყნის დაპყრობა განიხილება როგორც კერძო საკუთრება, მის მიმართ გამოსაყენებლად მიიჩნევა jus utendi et abutendi.

3) თვით რომის ისტორიაში ჩანს ბრძოლა ღარიბებსა და მდიდრებს შორის (პატრიციებსა და პლებეებს შორის და სხვ.).

თანაც კერძო საკუთრება მთლიანად, როგორც ძველ კლასიკურ ხალხებთან საერთოდ, თავს იჩენს ბრბოს მიმართ როგორც საზოგადოებრივი საკუთრება: ხან, როგორც კეთილ დროში, ბრწყინვალე დღესასწაულთა ფორმით, რომლებსაც რესპუბლიკის სახელით მართავდენ, ხან საუცხოო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის დანიშნულ დაწესებულებათა ფორმით (აბანო და სხვ.).

მონობა აიხსნება ომის უფლებით, ოკუპაციის უფლებით. ადამიანები, რომელთა პოლიტიკური არსებობა მოისპო, სწორედ ამის გამო ხდებიან მონები.

ჩვენ აქ უმთავრესად ორ ისეთ პუნქტზე შეეჩერდებით, რომლებიც მკვეთრად გვიჩვენებენ რომაელთა განსხვავებას გერმანელებისგან.

1) იმპერატორის ხელისუფლება იყო არა კერძო საკუთრების ხელისუფლება, არამედ სუვერენიტეტი ემპირიული ნებისა როგორც ასეთისა, სუვერენიტეტი, რომელიც არც კი ფიქრობდა კერძო საკუთრება განეხილა როგორც კავშირი თავის თავსა და მის ქვეშევრდომთა შორის, არამედ, პირიქით, თვითნებურად განაკარგულებდა კერძო საკუთრებას, როგორც ყველა დანარჩენ სოციალურ დოვლათს. იმპერატორის ხელისუფლება ამიტომ მხოლოდ ფაქტიურად მემკვიდრეობითი იყო. მართალია, თავის უმაღლეს განვითარებას კერძო საკუთრების უფლებამ, კერძო უფლებამ მიაღწია იმპერატორების ეპოქაში, მაგრამ ეს განვითარება მეტწილად პოლიტიკური დაცემის შედეგია, ვიდრე პოლიტიკური დაცემა—შედეგია კერძო საკუთრების უფლების განვითა-

რებისა. თანაც, რომში სახელმწიფო სამართალი გაუქმებული იყო, დაშლის პროცესში იმყოფებოდა სწორედ იმ მომენტისთვის, როდესაც კერძო სამართალმა თავის უმაღლეს აყვავებას მიაღწია. გერმანიაში კი პირიქით იყო.

2) სახელმწიფო თანამდებობანი რომში არასოდეს არ წარმოადგენენ მემკვიდრეობით თანამდებობებს, ე. ი. კერძო საკუთრება არ წარმოადგენს გაბატონებულ სახელმწიფო კატეგორიას.

3) წინააღმდეგ გერმანული მაიორატისა და სხვ. რომში ანდერძის თავისუფლება კერძო საკუთრების შედეგია. ამ უკანასკნელ წინააღმდეგობაში მდგომარეობს მთელი განსხვავება კერძო საკუთრების განვითარების რომაული და გერმანული ტიპისა.

ფ. ენგელსი.

ლანდშაფტები.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[55] ელადას ბედნიერება ხვდა დაენახა, თუ მისი ლანდშაფტის ხასიათი როგორ იქნა შეცნობილი მის მცხოვრებთა რელიგიაში. ელადა—პანთეიზმის ქვეყანაა. ყველა მისი ლანდშაფტი ჩასმულია—ანდა, ყოველ შემთხვევაში, იყო ჩასმული,—ჰარმონიის ჩარჩოებში. ამავე დროს კი მისი ყოველი ხე, ყოველი წყარო, ყოველი მთა მეტისმეტად პირველ რიგზეა გამოწეული, ამავე დროს კი მისი ცა მეტისმეტად ლურჯია, მისი მზე მეტისმეტად თვალმომჭრელია, მისი ზღვა მეტისმეტად გრანდიოზულია, რომ მათ შეეძლოთ ვინმე შელლის Spirit of nature-ის [ბუნების სულის], ვინმე ყოვლისმომცველი პანის ლაკონური გასულიერებით დაკმაყოფილდენ; ყოველი არსობა პრეტენზიას აცხადებს თავის საუცხოო სიმრგვალეში ცალკეულ ღმერთზე, ყოველი მდინარე თავის ნიმფებს მოითხოვს, ყოველი ხეივანი—თავის დრიადებს, და აი, ასე შეიქმნა ელინთა რელიგია.

ფ. ენგელსი.

ფელიგზი და გამოცხადება.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II, ГИЗ. 1929).

[164] დგება ახალი განთიადი, მსოფლიო ისტორიული განთიადი, მსგავსი იმისა, როდესაც აღმოსავლეთის მწუხრიდან გამოვლინდა ნათელი, თავისუფალი ელინური შეგნება.

ფ. ენგელსი.

რეინის დღესასწაულობანი.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[227] ამჟამად ყოველ ქალაქს აქვს თავისი თეატრი, სადაც ყოველდღე თამაშობენ, მაშინ როდესაც ელინელებისთვის სცენა მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე გამოცოცხლდებოდა; ამჟამად პრესა ყოველ ახალ დრამას მთელ გერმანიაში ავრცელებს, მაშინ როდესაც ძველ ხალხებში მხოლოდ მცირეოდენთ ხვდებოდათ დაწერილი დრამა წასაკითხად.

ფ. ენგელსი.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[295] ..... მათ შექმნეს და განადიდეს საფაბრიკო სისტემა და თანამედროვე მონობა, რომელიც არაფრით არ ჩამორჩება ძველს ულმობელობასა და სიმკაცრეში.

ფ. ენგელსი.

ინგლისის მდგომარეობა.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[345] გოეთეს არაფრად სიამოვნებდა „ღმერთთან" საქმის დაჭერა; ამ სიტყვისაგან იგი ცუდად ხდებოდა; იგი თავს ისე გრძნობდა როგორც სახლში მხოლოდ ადამიანურში, და ეს ადამიანობა, ეს განთავისუფლება ხელოვნებისა რელიგიის ბორკილებისგან შეადგენდა სწორედ გოეთეს სიდიადეს. ამ მხრივ მას ვერ შეედრებიან ვერც ძველები, ვერც შექსპირი.

ფ. ენგელსი.

ინგლისის მდგომარეობა.—XVIII საუკუნე.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[349] XVIII საუკუნე იყო ანტიკური სულის აღორძინება დაპირისპირებით ქრისტიანულისადმი; მატერიალიზმი და რესპუბლი-

კა,—ფილოსოფია და პოლიტიკა ძველი ქვეყნისა,—ისევ წარმოიშვა, და ფრანგებმა, ანტიკური პრინციპის წარმომადგენლებმა ქრისტიანობის წ ი ა ღ შ ი, ერთხანს ხელთ იგდეს ისტორიული ინიციატივა.

■

[353] ვიდრე სახელმწიფო და ეკლესია—ერთადერთი ფორმებია, რომლებშიც ხორციელდება ადამიანის არსების ზოგადი განსაზღვრანი, მანამდე სოციალური ისტორიის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება. ამიტომ ძველს ქვეყანას და საშუალო საუკუნეებს არ შეეძლოთ გამოემეღავნებიათ რაიმე სოციალური განვითარება; მხოლოდ რეფორმაციამ, პირველმა, ჯერ კიდევ გაუბედავმა და ყრუ ცდამ რეაქციისა საშუალო საუკ-ნეების წინააღმდეგ, გამოიწვია სოციალური გადატრიალება, ყმების გადაქცევა „თავისუფალ“ მუშაკებად.....

ძველს ქვეყანას, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცოდა სუბიექტის უფლების შესახებ და რომლის მთელი სოფლმხედველობა არსებითად აბსტრაქტული, საყოველთაო, სუბსტანციალური იყო, არ შეეძლო მონობის გარეშე არსებობა. ქრისტიანულ-გერმანული სოფლგაგება უპირისპირებდა ძველს ქვეყანას, როგორც ძირითად პრინციპს, აბსტრაქტულ სუბიექტივობას, ე. ი. ნებას, არსს, სპირიტუალიზმს; მაგრამ ეს სუბიექტივობა.... აბსტრაქტული არსი გახდა აბსტრაქტული ფორმა, ადამიანის დამცირება და გასხვისება, და ახალი პრინციპის პირველი შედეგი იყო მონობის აღდგენა სხვა, ნაკლებ საძულველ, მაგრამ სწორედ ამიტომ პირფერულ, უფრო არაადამიანური ფორმით, ბატონყმური უფლების ფორმით. ფეოდალური სისტემის გაუქმებამ, პოლიტიკურმა რეფორმაციამ.... ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ მოსპო ბატონყმური უფლება, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო არაადამიანური, უფრო საყოველთაო გახადა. მან პირველმა წარმოთქვა, რომ კაცობრიობა ამიერიდან უნდა გაერთიანდეს არა იძულებით, ე. ი. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი საშუალებებით, არამედ ინტერესებით, ე. ი. სოციალური საშუალებებით.... ფეოდალიზმის ნანგრევებზე წარმოიშვა ქრისტიანული სახელმწიფო.....

ფ. ენგელსი.

ინგლისის მდგომარეობა. ინგლისის კონსტიტუცია.

[Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. II. ГИЗ. 1929).

[367] .... ვინაიდან ალექსანდრესა და კეისრის საბრძანებლებიც, ისევე როგორც ინგლისისა, ცივილიზებული ხალხის ბატონო-

ბა იყო ბარბაროსებსა და კოლონიებზე. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია მოცილეობა გაუწიოს ინგლისს ძლიერებითა და სიმდიდრით, თანაც ეს ძლიერება და ეს სიმდიდრე არაა თავმოყრილი, როგორც რომში იყო, მარტო ერთი დესპოტის ხელში, არამედ ერის განათლებულ ნაწილს ეკუთვნის.

კ. მარქსი.

კრიტიკული შენიშვნები წერილისა: „პრუსიის მეფე და სოციალური რეფორმა“.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. III. ГИЗ. 1929)

[12] ვინაიდან ეს განკერძოება, ეს საზიზღრობა, ეს მონობა სამოქალაქო საზოგადოებისა არის ის ბუნებრივი საფუძველი, რომელსაც ემყარება თანამედროვე სახელმწიფო, მსგავსად იმისა როგორც სამოქალაქო საზოგადოება მონობისა იყო ბუნებრივი საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა ანტიკური სახელმწიფო. სახელმწიფოს არსებობა და მონობის არსებობა გაუთიშავია. ანტიკური სახელმწიფო და ანტიკური მონობა—ეს აშკარა კლასიკური მოპირისპირეობანი—არა ნაკლებ მიჯაჭვულნი იყვნენ ერთიმეორესთან, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფო და თანამედროვე ჩარჩული მსოფლიო—ეს პირფერული ქრისტიანული წინააღმდეგობანი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

ფმინდა ოჯახი ანუ „კრიტიკული კრიტიკის“ კრიტიკა.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. III. ГИЗ. 1929).

[47] ნამდვილ პრუდონთან რომის იმპერიის დაცემა ნაწინასწარმეტყველევი იყო „ბრძენების“ მიერ (les sages), კრიტიკულ პრუდონთან—„ფილოსოფოსების“ მიერ. კრიტიკული პრუდონი, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ფილოსოფოსებს თვლის ბრძენებად. ნამდვილი პრუდონის მიხედვით, რომაული „სამართალი ნაკურთხი იყო ათასწლიანი იურიდიული პრაქტიკით ანუ იუსტიციით“ (ces droits, consacrés par une justice dix fois séculaire); კრიტიკული პრუდონის მიხედვით, რომში არსებობდა „უფლება, ნაკურთხი ათასწლიანი სამართლიანობით“.

იმავე № 1 პრუდონის თანახმად, რომში ასე მსჯელობდენ: „რომმა... გაიმარჯვა თავისი პოლიტიკისა და თავისი ღმერთების შემწეობით; კულტისა და სახალხო სულის ყოველგვარი რეფორმა სისულელე და შერცხვენა იქნებოდა (კრიტიკულ პრუდონთან სიტყვა „Sacrilège“ ნიშნავს არა წმინდანის შერცხვენას, მკრეხელობას, როგორც ეს არის „მასიურ“ ფრანგულ ენაზე, არამედ უბრალოდ—შერცხვენას); რომს რომ მიზნად დაესახა ხალხთა განთავისუფლება, ამით იგი ხელს აიღებდა თავის სამართალზე“. „ამრიგად,—უმატებს პრუდონი № 1,—რომს თავის მხარეს ჰქონდა როგორც ფაქტი, ისე სამართალი“. პრაქტიკული პრუდონის მიხედვით, რომში უფრო საფუძვლიანად მსჯელობდენ. იქ დეტალურად განიხილება ფ ა ქ ტ ი:

„მონები—რომის სიმდიდრის ყველაზე უმდიდრესი წყაროა. ხალხთა განთავისუფლება ამიტომ .ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო გ ა კ ო ტ რ ე ბ ი ს მომასწავებელი იქნებოდა“. რაც შეეხება ს ა მ ა რ თ ა ლ ს, მასიურ პრუდონს კიდევ შემდეგი მოსაზრებები მოჰყავს: რომის პრეტენზიები თავის გამართლებას პოულობდა საერთაშორისო სამართალში (droit des gens). ასეთი წესი დამონების უფლების დამტკიცებისა სრულიად შეესაბამება რომაელთა წარმოდგენას სამართლის შესახებ. იხილე მასიური პანდექტები: j u r e g e n t i u m s e r v i t u s invasit (Fr. 4 D.1.1).

კრიტიკული პრუდონის მიხედვით, „კერპთთაყვანისმცემლობა, მონობა, ნებიერობა შეადგენდა რომაულ დაწესებულებათა საფუძველს“—ყველა დაწესებულებისას მთლად! ნამდვილი პრუდონი კი ამბობს: „რელიგიის საფუძველს შეადგენდა კერპთთაყვანისცემლობა, სახელმწიფოს საფუძველს—მონობა, კერძო ცხოვრების საფუძველს—ეპიკურეობა (ჩვეულებრივ ფრანგულ ენაზე სიტყვა „épicuréisme“ იმასვე არ ნიშნავს, რასაც „mollesse“, განებიერება). რომის ასეთ მდგომარეობაში „გამოჩნდა სიტყვა უფლისა“,—ასე გვიამბობს მისტიკური პრუდონი; ხოლო ნამდვილი, რაციონალისტური პრუდონი ლაპარაკობს „კაცის“ გამოცხადების შესახებ, „რომელმაც თავს უ წ ო დ ა უფლის სიტყვა“. ნამდვილ პრუდონთან ეს კაცი ქურუმებს „იქედნებს“ (vipères) უწოდებს, კრიტიკულ პრუდონთან კი ის უფრო თავაზიანად ლაპარაკობს და მათ გველებს უწოდებს. პირველ შემთხვევაში იგი რომაულ ყაიდაზე „ადვოკატების“ შესახებ ლაპარაკობს, მეორე შემთხვევაში—გერმანულ ყაიდაზე, სამართლის მცოდნეების შესახებ.

■

[67] კ რ ი ტ ი კ უ ლ ი პ რ უ დ ო ნ ი, რომელმაც განიზრახა გამოარკვიოს ჰომერის კუთვნილი ჰონორარი „ილიადასთვის“, შემდეგს

ამბობს: „ჰონორარი, მე რომ ჰომერს ვუხდი, იმ სამუშაოს უნდა უდრიდეს, რომელიც მან ჩემთვის შეასრულა. როგორ განვსაზღროთ მისი სამუშაოს ღირებულება?". კრიტიკული პრუდონი მეტის მეტი სიძულვილით ეპყრობა პოლიტიკურ ეკონომიურ წვრილმანებს, რომ იცოდეს: ნივთის ღირებულება და ის სამუშაო, რომელსაც ეს ნივთი მეორისთვის ასრულებს, სულ სხვადასხვა საგანია. ნამდვილი პრუდონი ამბობს: „პოეტის ჰონორარი მის პროდუქტს უნდა უდრიდეს; როგორია ამ პროდუქტის ღირებულება"? ნამდვილი პრუდონი ამტკიცებს, რომ „ილიადას" აქვს უსასრულოდ დიდი ფასი (ანუ საცვლელი ღირებულება, prix); კრიტიკული პრუდონი კი ამტკიცებს, რომ მას აქვს უსასრულოდ დიდი ღირებულება. ნამდვილი პრუდონი უპირისპირებს „ილიადას" ღირებულებას მის ღირებულებას პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით (valeur intrinsèque), მის საცვლელ ღირებულებას (valeur échangeable); კრიტიკული პრუდონი კი უპირისპირებს „ილიადას" „შინაგან ღირებულებას", ე. ი. მის ღირებულებას როგორც პოემისას, მის „ღირებულებას გაცვლისთვის".

■

[140] სწორედ ისე, როგორც ანტიკურ სახელმწიფოს თავის ბუნებრივ საფუძვლად მონობა ჰქონდა, სწორედ ასევე თანამედროვე სახელმწიფოს თავის ბუნებრივ-საფუძვლად ბურჟუაზიული საზოგადოება აქვს.....

■

[147] ნაციონალურობის ეგოიზმი არის სახელმწიფოს საყოველთაო ბუნების ბუნებრივი ეგოიზმი წინააღმდეგ ფეოდალურ გამიჯვნათა ეგოიზმისა..... ნაციონალიზმმა რომი და საბერძნეთი დამხობამდე მიიყვანა. მაშასადამე, კრიტიკა სპეციფიურს არას ამბობს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ, აიძულებს რა ნაციონალიზმს დაამხოს რევოლუცია.

■

[150] რობესპიერი, ს.-ჟუსტი და მათი პარტია იმიტომ დაიღუპა, რომ ისინი ერთმანეთში ურევდენ ანტიკურ რეალისტურ-დემოკრატიულ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც ნამდვილ მონობაზე იყო დაფუძნებული, და უახლეს

სპირიტუალისტურ-დემოკრატიულ წარმომადგენლობით სახელმწიფოს, რომელიც ემანსიპირებულ მონობაზე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაზეა, დაფუძნებული.

ფ. ენგელსი.

მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში.

(ქართული თარგმანი ჟურ. საქ. სოც. მეურნეობის გამოცემა 1935 წ. ტფილისი).

[86] მთელი განსხვავება ძველი, აშკარა მონობისაგან მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე მუშა თავისუფალი სჩანს, ვინაიდან მისი გაყიდვა ერთბაშად კი არ სწარმოებს, არამედ ნაწილ-ნაწილ, დღიურად, კვირეულად, წლიურად, და ვინაიდან ერთი მესაკუთრე კი არ ჰყიდის მას მეორეზე, არამედ თვით მუშა არის იძულებული თავისი თავი გაჰყიდოს, რადგან ის ერთის მონა კი არაა, არამედ—მთელი მქონებელი კლასის... ბურჟუაზიისათვის კი, პირიქით, მდგომარეობა ეხლა დიდად უფრო უკეთესია, ვიდრე ძველი მონობის დროს: მას შეუძლია როდესაც მოესურვება მაშინ დაითხოვოს თავისი მუშები, დაბანდებული კაპიტალის დაუკარგავად, და საერთოდ მუშაობა ეხლა მას გაცილებით უფრო იაფად უჯდება, ვიდრე მონების მუშაობა დაჯდებოდა, როგორც ეს მისდა სანუგეშოდ ადამ სმიტმა გამოიანგარიშა.

[116] მონის არსებობა მისი ბატონის პირადი სარგებლობითაა უზრუნველყოფილი. ყმას ერთი ნაგლეჯი მიწა მაინც მოეპოვება, რომლითაც ის სცხოვრობს; მათ, ყოველშემთხვევაში, შიმშილით სიკვდილისაგან მაინც აქვთ გარანტია; პროლეტარი კი მარტოდ მარტო საკუთარი თავის ანაბარაა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

მოსამზადებელი სამუშაოები „ფეიერბახის ოჯახისათვის".

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. III, ГИЗ. 1929).

[619] მაგრამ მოპირისპირეობა საკუთრების არ ქონებასა და საკუთრებას შორის არის მოპირისპირეობა ჯერ კი-

დევ არა დიფერენცირებული, არა განხილული თავის აქტიურ მიმართებაში თავის შინაგან მდგომარეობისადმი; იგი არ არის ჯერ კიდევ წინაალმდეგობა, ვიდრე არ განიხილება როგორც მოპირისპირეობა შრომასა და კაპიტალს შორის. ეს მოპირისპირეობა შეიძლება პირველ ფორმაში გამოიხახოს კერძო საკუთრების პროგრესული მოსრაობის გარეშეც (ძველ რომში, თურქეთში და სხვ.). ამ სახით იგი ჯერ კიდევ არა ჩანს თვით კერძო საკუთრებიდან გამომდინარედ, მაგრამ შრომა, კერძო საკუთრების სუბიექტური არსი, როგორც საკუთრების გამომრიცხველი მომენტი, და კაპიტალი, ობიექტივირებული მოოია, როგორც შრომის გამომრიცხველი მომენტი,—ასეთია კერძო საკუთრება როგორც წინაალმდეგობის ხარისხამდე განვითარებული ფორმა აღნიშნული მოპირისპირეობისა, ამიტომ როგორც ენერგიული, იგი არის დაშლის გამომწვევი მისი ფორმა.

■

[631] ადვილია, რა თქმა უნდა, ცალკეულ ინდივიდს უთხრა ის, რაც უკვე არისტოტელმა თქვა: შენ შენი მამისა და შენი დედის მიერ ხარ გაჩენილი; შენს შემთხვევაში ორი ადამიანის ერთობლიობამ, ე. ი. ადამიანის გვაროვნულმა აქტმა წარმოშვა ადამიანი.

■

[655] ნათელი ბინა, რასაც პრომეთე ესქილთან ერთერთ უდიდეს საბოძვაოთაგანს უწოდებს, რომელთა საშუალებით მან ველური ადამიანად გადააქცია, მუშებისთვის აღარ არსებობს.

■

[660] თეორიული გამოცანების ახსნა რომ პრაქტიკის ამოცანას შეადგენს და პრაქტიკულად გადაჭრება, რომ ჭეშმარიტი პრაქტიკა ნამდვილი და დადებითი თეორიის პირობას წარმოადგენს—ეს ნათლად ჩანს, მაგალითად, ფეტიშიზმის შემთხვევაში. ფეტიშისტის გრძნობიერი შეგნება სხვა არის, ვიდრე ძველი ბერძნის გრძნობიერი შეგნება, ვინაიდან მისი გრძნობიერი ყოფიერება კიდევ სხვაა. აბსტრაქტული მტრობა გრძნობასა და სულს შორის აუცილებელია მანამდის, ვიდრე ადამიანს საკუთარი შრომით არაა შექმნილი ადამიანური გემოვნება ბუნებისადმი, ადამიანური გრძნობა ბუნებისა, და მაშასადამე, ბუნებრივი გრძნობაც ადამიანისა.

ფეიერბახი

«იდეალისტური და მატერიალისტური თვალსაზრისი».

(Архив К. Маркса и Ф. Энгельса, кн. I, ГИЗ. 1924)

[212] ეს იყო რევოლუცია, რომელთან შედარებით საფრანგეთის რევოლუცია ბავშვურ სათამაშოს წარმოადგენს,—მსოფლიო ბრძოლა, რომლის წინაშე დიადოხების ბრძოლა რაღაც უმნიშვნელო ჩანს.

■

[218] ..... ამის გამოისობითაა, რომ ფეიერბახი..... რომის კამპანიაში მხოლოდ საძოვრებს და ჭაობებს პოულობს, მაშინ როდესაც ავგუსტის დროს აქ შეიძლებოდა გვენახა გაბმული ვენახები და რომაელი კაპიტალისტების ვილები.

■

[222] შრომის დანაწილებასთან ერთად.... მოცემულია გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ც—თანაც არა თანასწორი, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად შრომის და მისი პროდუქტების განაწილება, ე. ი. საკუთრება, რომლის პირველდაწყებითი ფორმა უკვე ოჯახში მოიპოვება, სადაც ცოლი და ბავშვები მამაკაცის მონებია. მონობა—რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძლიერ ტლანქი და ფარული—ოჯახში წარმოადგენს პირველ საკუთრებას.

■

[228] (მარქსის ხელით:..... თუ შრომის დანაწილების ტლანქი ფორმა ინდოელებსა და ეგვიპტელებში იწვევს კასტურ წყობილებას მათ სახელმწიფოსა და მათ რელიგიაში,—ისტორიკოსს ჰგონია, რომ კასტური წყობილებაა ის ძალა, რომელმაც წარმოშვა ეს ტლანქი საზოგადოებრივი ფორმა).

■

[234] ქალაქებში, რომლებიც საშუალო საუკუნეებში არ გადასულან მზა სახით წარსულიდან, არამედ ახლად შეიქმნენ განთავისუფლებული ყმებისგან.....

■

[236] უახლოესი ნაბიჯი შრომის დანაწილების სფეროში იყო წარმოების გამოცალკევება ურთიერთობის (Verkehr) ფორმებიდან, ვაჭართა განსაკუთრებული კლასის შექმნა,—გამოცალკევება, გადმოსული წარსულიდან ისტორიულად შენახულ ქალაქებში.....

■

[236] პირველდაწყებით ისტორიაში ყოველი გამოგონება ყოველდღიურად ახლად უნდა შექმნილიყო და ყოველ ადგილას—დამოუკიდებლად. თუ რამდენად მცირედ იყვნენ საწარმოო ძალები გარანტირებული სრული დაღუპვისგან თვით შედარებით მეტად ფართო ვაჭრობის შემთხვევაში, ამის მაგალითს ფინიკიელთა მაგალითი გვიჩვენებს...., რომელთა გამოგონების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ხნით დაიღუპა ვაჭრობიდან მათი გაძევებისა, ალექსანდრეს მიერ მათი დაპყრობისა და ამის შემდგომ მათი დაცემის გამო.

■

[247] პირიქით, იმ ქვეყნებში, რომელთაც, მსგავსად ჩრდილოეთ ამერიკისა, თავიანთი არსებობა დაიწყეს უკვე განვითარებულ ისტორიულ ეპოქაში, განვითარება მეტად სწრაფად ხდება..... მათი არსებობა ამიტომ იწყება ძველი ქვეყნების ყველაზე უფრო პროგრესული ინდივიდების არსებობისას, და, მაშასადამე, ამ ინდივიდთა შესაფერი ყველაზე უფრო განვითარებული ურთიერთობის ფორმის არსებობისას ჯერ კიდევ მანამდის, ვიდრე ეს ურთიერთობის ფორმა თვით ძველ ქვეყნებში დამკვიდრდებოდა. ეს შეეხება ყველა კოლონიას, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ უბრალო სამხედრო ან სავაჭრო საყუდელს. ამის მაგალითს წარმოადგენს კართაგენი, ბერძნული კოლონიები და ისლანდია XI და XII საუკუნეებში. იგივე ხდება დაპყრობის შემთხვევაშიც, თუ დაპყრობილ ქვეყანაში მზა სახით გადაიტანება სხვა ნიადაგზე განვითარებული ურთიერთობის ფორმა.

■

[247] მთელ ამ ისტორიულ კონცეპციას ეწინააღმდეგება, თითქოს, დაპყრობის ფაქტი. აქამდის ძალადობაში, ომში, ძარცვაში, მკვლელობაში და სხვ. ხედავდენ ისტორიის მამოძრავებელ ძალას. ჩვენ აქ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ყველაზე უფრო აუცილებელით და ამიტომ შევჩერდეთ უსაოცრეს მაგალითზე, მაგალითზე ძველი ცი—

ვილიზაციის ნგრევისა რომელიმე ბარბაროსი ხალხის მიერ და ამასთან დაკავშირებულ, თავიდან დაწყებულ, საზოგადოების ახალი დანაწევრების შექმნასთან (რომი და ბარბაროსები, ფეოდალიზმი და გალლია, აღმოსავლეთ რომის იმპერია და თურქები).

ბარბაროსი დამყრობელი—ხალხისთვის თვით ომი ჯერ კიდევ წარმოადგენს..... ურთიერთობათა რეგულარულ ფორმას, რომელსაც მით უფრო გულმოდგინედ ეწევიან, რაც უფრო დიდია მოსახლეობის მატება, მათთვის ერთადერთი შესაძლებელი, წარმოების ტრადიციული წესის დროს, ახალ წარმოების საშუალებათა მოთხოვნილებას ქმნის. იტალიაში კი, პირიქით, მიწის საკუთრების კონცენტრაციის გამო (რაც გამოწვეული იყო არა მარტო შესყიდვებითა და დავალიანებით, არამედ აგრეთვე მემკვიდრეობითი გადასვლით, ვინაიდან იმ დროს გამეფებული გარყვნილებისა და ქორწინების იშვიათობის დროს ძველი გვარების თანდათანი გადაშენება ხდებოდა, ხოლო მათი ავლადიდება მცირეოდენთა ხელში გადადიოდა) და მისი საძოვრებად გადაქცევის გამო (რაც გამოწვეული იყო გარდა ჩვეულებრივი, ამჟამადაც ძალაში მყოფი ეკონომიური მიზეზებით, ნაძარცვის შემოზიდვით, ბეგარის სახით შემოსული პურით და აქედან გამომდინარე მომხმარებელთა არარსებობით იტალიური მარცვლისთვის), თითქმის გაქრა თავისუფალი მოსახლეობა; მონებიც კი მუდამ ამოწყვეტას განიცდიდენ, და საჭირო ხდებოდა მათი მუდმივი შეცვლა ახალი მონებით. მონობა მთელი წარმოების საფუძვლად რჩებოდა. პლებეებმა, რომელნიც თავისუფალთა და მონებს შუა იდგნენ, ვერასოდეს ვერ შეძლეს ლუმპენ-პროლეტარიატის სტადიიდან გამოსვლა. საერთოდ რომი არასოდეს არ გამოსულა ქალაქის სტადიიდან, რომელიც თავის პროვინციებთან თითქმის მარტოოდენ პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდა, რაც, იგულისხმება, შეიძლებოდა დარღვეულიყო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ამბებით.

არაფერი არაა იმაზე უფრო ჩვეული წარმოდგენა, თითქოს ისტორიაში აქამდის ყოველივე მხოლოდ დაპყრობით (Nehmen) განიხილებოდა. ბარბაროსებმა დაიპყრეს რომის იმპერია და ამ დაპყრობის ფაქტით ხსნიან გადასვლას ძველი ქვეყნიდან ფეოდალიზმზე..... წარმოების ამ მალე დამდგარი აუცილებლობიდან გამომდინარეობს, რომ დამკვიდრებულ დამპყრობთა მიერ მიღებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა უნდა შეეფერებოდეს მათ მიერ დაპყრობილ ხალხებში ნახულ საწარმოო ძალთა განვითარების საფეხურს, და თუ ეს ასე არ არის თვით დასაწყისში, მაშინ იგი უნდა შეიცვალოს საწარმოო ძალთა თანახმად. ამით აიხსნება ხალხთა გადასახლების

შემდგომ ეპოქაში არსებული, ყველგან აღნიშნული, ფაქტი, რომ მსახური ბატონი გახდა და რომ დაპყრობებმა ძლიერ მალე გადაიღეს დაპყრობილთა ენა, განათლება და ზნე-ჩვეულებანი. ფეოდალიზმი სრულიადაც არ ყოფილა მზა სახით გერმანიიდან გადმოტანილი, იგი წარმოიშვა ჯარის სამხედრო ორგანიზაციის სახით თვით დაპყრობის დროს, და მხოლოდ დაპყრობის შემდეგ განვითარდა ეს ორგანიზაცია ნამდვილ ფეოდალიზმად, დაპყრობილ ქვეყნებში დახვედრილ საწარმოო ძალთა ზეგავლენით. თუ როგორ ძლიერ იყო ეს ფორმა დაპირობებული საწარმოო ძალებით, ამას გვიჩვენებენ უშედეგო ცდები დაემყარებიათ სხვა ფორმები, ჩასახული ძველ-რომაული რემინისცენციებიდან (კარლოს დიდი და სხვ.)

[251] გამოთქმა „სამოქალაქო საზოგადოება" XVIII საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ძველი და საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმებიდან უკვე საკუთრების ურთიერთობანი გამოიჩეკა.

[251] საკუთრების პირველ ფორმას, როგორც ძველ ქვეყანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, წარმოადგენს ტომური, გვაროვნული საკუთრება, გამოწვეული რომაელებში უმთავრესად ომით, ხოლო გერმანელებში—მესაქონლეობით. ვინაიდან ძველად ერთ ქალაქში ერთად რამდენიმე გვარი ცხოვრობდა, ამიტომ გვაროვნულ საკუთრებას მაშინ სახელმწიფო საკუთრების ხასიათი ჰქონდა, ხოლო ცალკეული ინდივიდის უფლება მასზე დაიყვანებოდა უბრალო ფლობელობამდე (possessio), რაც, თუმცა, ისევე როგორც საერთოდ მთელი გვაროვნული საკუთრება, მხოლოდ მიწის საკუთრებით განისაზღვრებოდა. ნამდვილი კერძო საკუთრება ძველ ხალხებში, ისევე როგორც ახლებში, იწყება მხოლოდ მოძრავ საკუთრებასთან ერთად—მონები და საზოგადოებრივი ორგანიზაცია (dominium ex jure Quiritum).

[252] კერძო სამართალი კერძო საკუთრების პარალელურად ვითარდება ნატურალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაშლის პროცესიდან. რომაელებში კერძო საკუთრების და კერძო სამართლის განვითარებას შემდგომი სამრეწველო და სავაჭრო შედეგები არა ჰქონია, ვინაიდან მათი წარმოების წესი უცვლელი რჩებოდა

(შევახშეობა!)..... როგორც კი მრეწველობამ და ვაჭრობამ განავითარეს—ჯერ იტალიაში, ხოლო უფრო გვიან სხვა ქვეყნებში—კერძო საკუთრება, დაუყოვნებლივ რეციპირებულ იქნა და ავტორიტეტით აღჭურვეს დამუშავებული რომაული კერძო სამართალი. როდესაც შემდეგში ბურჟუაზიამ იმდენი ძალა მოიპოვა, რომ მეფეებმა მისი ინტერესების დაცვა დაიწყეს, რათა მისი დახმარებით დაეხოთ ფეოდალური დიდებულნი, მხოლოდ მაშინ დაიწყო ყველა ქვეყანაში—საფრანგეთში XVI საუკუნეში—სამართლის საკუთარი განვითარება, რაც ყველგან, გარდა ინგლისისა, რომაული კანონმდებლობის საფუძველზე ხდებოდა. მაგრამ ინგლისშიც კერძო სამართლის (განსაკუთრებით მოძრავ საკუთრებასთან დაკავშირებულის) შემდგომი განვითარებისთვის საჭირო შეიქნა მიმართვა რომაული სამართლის პრინციპებისადმი.

[264] მარქსის მიერ არეებზე დაწერილია: საზოგადოებრივი ორგანიზაციას, როგორადაც იგი გამოვლინდება ანტიურ სახელმწიფოში, ფეოდალიზმში, აბსოლუტურ მონარქიაში ამ კავშირს (?) შეეფარდებიან განსაკუთრებით რელიგიოზური წარმოდგენანი (?)

[264] შრომის დანაწილების განვითარების სხვადასხვა საფეხური იმავდროულად წარმოადგენს საკუთრების სხვადასხვა ფორმას, ე. ი. შრომის განვითარების ყოველი საფეხური განსაზღვრავს აგრეთვე ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებას შრომის მასალისადმი, იარაღისადმი და პროდუქტისადმი.

საკუთრების პირველ ფორმას გვაროვნული საკუთრება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი შეეფერება წარმოების განუვითარებელ საფეხურს, რომლის დროსაც ხალხი ცხოვრობს ნადირობით, მეთევზეობით, მესაქონლეობით ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მიწათმოქმედებით. უკანასკნელ შემთხვევაში იგი გულისხმობს ჯერ კიდევ უუქად მდებარე მიწების დიდ მასას. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ საფეხურზე შრომის დანაწილება ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და შემოიფარგლება ოჯახში არსებული შრომის ნატურალური დანაწილების შემდგომი გაფართოებით. ამიტომ საზოგადოებრივი დანაწევრება შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის გაფართოებით; ეს არის—გვარის პატრიარქალური მეთაურები, მათ ქვეშ—გვარის წევრები, სულ დაბლა—მონები. ოჯახში ფარულად არსებული მონობა მხოლოდ თანდათანობით ვითარდება, მოსახლეობის და მოთხოვნილებათა ზრდასთან და საგარეო ურთიერთობათა გაფართოებასთან ერთად, აგრეთვე—ომებსა და გაცვლით ვაჭრობასთან ერთად.

საკუთრების მეორე ფორმას წარმოადგენს ანტიკური თემური და სახელმწიფო საკუთრება, რომელიც წარმოიშვა რამდენიმე გვარის გაერთიანებით ერთ ქალაქში, ხელშეკრულების ან დაპყრობის გზით, და რომლის დროსაც მონობა შენარჩუნებულია. თემურ საკუთრებასთან ერთად უკვე ვითარდება მოძრავი, ხოლო შემდეგ უძრავი კერძო საკუთრება, მაგრამ—როგორც განსაკუთრებული, თემური საკუთრებისადმი დაქვემდებარებული, ფორმა. სახელმწიფოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მონებზე მხოლოდ კოლექტივურად და უკვე მარტო ამის გამოც დაკავშირებული არიან თემური საკუთრების ფორმასთან. ეს არის—კოლექტივური კერძო საკუთრება აქტიური მოქალაქეებისა, რომელნიც იძულებული არიან მონების მიმართ ასოციაციის ეს ნატურალური ფორმა დაიცვან. ამიტომ ყოველივე ამაზე დაფუძნებული დანაწევრება საზოგადოებისა, ხოლო ამასთან ერთად ხალხის ძლიერებაც, იმ ზომითვე ჰქრება, რა ზომითაც ვითარდება უძრავი კერძო საკუთრება. შრომის დანაწილება აქ უფრო განვითარებულია. ჩვენ ვხედავთ უკვე წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის, შემდეგში—წინააღმდეგობას სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ქალაქისა და სოფლის ინტერესებს წარმომადგენლობენ, ხოლო ქალაქების შიგნით—წინააღმდეგობას მრეწველობასა და საზღვაო ვაჭრობას შორის. უკვე სრულად განვითარდენ კლასობრივი ურთიერთობანი მოქალაქეებსა და მონებს შორის.

კერძო საკუთრების განვითარებასთან ერთად ჩვენ პირველად ვხვდებით აქ ისეთ მოვლენებს, რომლებსაც ჩვენ შემდეგში შევხვდებით—მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით—თანამედროვე კერძო საკუთრებაში. ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს კერძო საკუთრების კონცენტრაცია, რაც რომში მეტად ადრე დაიწყო (საბუთი—ლიციინიუსთა მიწის კანონი), ხოლო სამოქალაქო ომების დროიდან, განსაკუთრებით კი იმპერატორის ეპოქაში, ძლიერ სწრაფად განვითარდა; მეორეს მხრივ, ამასთან დაკავშირებით, პლებეურ წვრილ გლეხთა გადაქცევა პროლეტარიატად, რომელსაც, თავისი შუალედი, სანახევრო მდგომარეობის გაშო მქონებელ მოქალაქეებსა და მონებს შორის, სრულიად დამოუკიდებელი განვითარება არ მიუღიათ.

მესამე ფორმას წარმოადგენს ფეოდალური ანუ წოდებრივი საკუთრება. ძველი დრო თუ გამოდიოდა ქალაქიდან და მის მოსაზღვრე მცირე ოლქიდან, საშუალო საუკუნეები გამოდიოდა სოფლიდან. პირველდაწყებითმა, დიდ ფართობზე აქა-იქ გაბნეულმა მოსახლეობამ, რომელსაც დიდი ზრდა არ მიუღია დამპყრობთა მხრივ, ეს ცვლილება გამოსავალ პუნქტში დააპირობა.

ამიტომ, საბერძნეთისა და რომისადმი დაპირისპირებით, ფეოდალური განვითარება იწყება გაცილებით უფრო ფართო ნიადაგზე, რაც მომზადდა რომის მიერ წარმოებული დაპყრობებით და პირველად ამასთან დაკავშირებული მიწათმოქმედების გაფართოებით. დაღუპვის გზაზე მდგარი რომის იმპერიის უკანასკნელი საუკუნეების ბატონობამ და ბარბაროსების მიერ დაპყრობამ დიდძალი საწარმოო ძალები გაანადგურა; მიწათმოქმედებამ დეგრადაცია განიცადა, მრეწველობა, გასაღების არ არსებობის გამო, დაუძლურდა, ვაჭრობა ჩაკვდა ანდა ძალადობით შეწყდა, სოფლის და ქალაქის მოსახლეობამ იკლო. ამ ფაქტებმა და მათ მიერ დაპირობებულმა დაპყრობის ორგანიზაციის წესმა შექმნა, გერმანული ჯარების სტრუქტურასთან დაკავშირებით, ფეოდალური საკუთრება. იგი, გვაროვნული და თემური საკუთრების მსგავსად, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციაზეა დაფუძნებული, მაგრამ რასაც, უშუალო მწარმოებელი კლასის სახით, უპირისპირდებიან არა მონები, როგორც ეს ძველად იყო, არამედ წვრილი ყმა-გლეხები. ფეოდალიზმის სრულ განვითარებასთან ერთად ჩნდება ანტაგონიზმიც ქალაქებთან. მიწის საკუთრების იერარქიული დანაწევრება და ამასთან დაკავშირებული შეიარაღებული რაზმების სისტემა აზნაურობას ძალაუფლებას აძლევდა ყმებზე. ეს ფეოდალური სტრუქტურა, ისევე როგორც ანტიკური თემური საკუთრება, წარმოადგენდა ასოციაციას, მიმართულს დამონებული მწარმოებელი კლასის წინააღმდეგ, მაგრამ ასოციაციის ფორმა და უშუალო მწარმოებლებისადმი დამოკიდებულება სხვანაირი იყო წარმოების სხვა პირობების მიხედვით.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

წმიდა მაქსი.

(შტირნერის მოძღვრების კრიტიკა).

(Пер. с нем. под ред. Б. Гимельфарба, Москва, 1919 г.)

[127] საბერძნეთის ისტორია, პერიკლეს დროიდან მის ჩათვლით, დაყვანილია [შტირნერთან. რ ე დ.] განყენებულ ცნებათა ბრძოლაზე: გონების, სულის, გულის, თავაზიანობისა და სხვ. ეს საბერძნეთის პარტიებია. ამ მოჩვენებათა ქვეყანაში, რაც ბერძნულ ქვეყნადაა გასაღებული, აგრეთვე ალეგორიული არსებანი მოქმედებენ, როგორიცაა ქალბატონი წმიდა გული, და მითოლოგიური არსებანი, როგორიცაა პილატე (რომელიც ყოველთვის და ყოველგან ჩნდება,

სადაც კი ბავშვებია), მედიდურად იჭერენ ადგილს ტიმონის გვერ-
დით.

მას შემდეგ რაც წმ. მაქსმა რამდენჯერმე საოცარი გამოცხა-
დება მოგვცა სოფისტებისა და სოკრატეს შესახებ, იგი აქვე ნახ-
ტომს აკეთებს სკეპტიკოსებისკენ. იგი მათში აჩენს სოკრატის დროს
დაწყებულ სამუშაოთა დამსრულებლებს. Jacques le bonhomme-ის-
თვის არ არსებობს ბერძნების პოზიტივური ფილოსოფია, უმალვე
მიმავალი სოფისტებსა და სოკრატეს შემდეგ, ე. ი. არ არსებობს
არისტოტელეს ენციკლოპედიური მეცნიერება. მას „არ შეუძლია
საკმაოდ დროულად“ „განთავისუფლდეს“ წინანდელისაგან, იგი იჩ-
ქარის „ახალზე“ გადასვლას და პოულობს მას სკეპტიკოსებში, სტოი-
კოსებში და ეპიკურეელებში. ეხლა ვნახოთ, რა გამოცხადებებს გვიჩ-
ვენებს ჩვენი წმიდა მამა ამ უკანასკნელთა შესახებ.

„სტოიკოსებს სურდათ განეხორციელებიათ იდეალი ბრძენის,
ადამიანის, რომელიც აღსავსეა მიწიერი სიბრძნით, ადამიანის, რო-
მელსაც უნარი აქვს ცხოვრების, ე. ი. ბრძნული ცხოვრების შექმნის;
ამ სიბრძნის წყაროს ისინი ხედავენ სიძულვილში სამყაროსადმი,
შეზღუდულ ცხოვრებაში, რომელიც გაფართოებას არ ცდილობს,
ცხოვრებაში სამყაროსადმი მეგობრული ურთიერთობის გარეშე, ე. ი.
განცალკევებულ ცხოვრებაში, ცხოვრებაში როგორც ცხოვრებაში,
და არა ურთიერთობაში სხვებთან; მხოლოდ თვით სტოიკოსი ცხოვ-
რობს, ყოველივე დანარჩენი მისთვის მკვდარია. ეპიკურეელები კი,
პირიქით, ისწრაფვიან მოძრაობით აღსავსე ცხოვრებისადმი“.

Jacques le bonhomme-ს—ადამიანს, რომელსაც სურს თავისში
განახორციელოს იდეალი, ცხოვრების უნარი რომ აქვს, ჩვენ მივუ-
თითებთ დიოგენ ლაერტელზე; იგი დაინახავდა, რომ ბრძენი, სოფო-
სი, სხვა არა არის, თუ არ იდეალიზებული სტოიკოსი, ხოლო არა
სტოიკოსი—რეალიზებული ბრძენი. თუმცა, სოფოსი—პირველი პი-
რია, რომლის როლშიც გამოდის ჩვენს წინაშე ბერძენი ფილოსო-
ფოსი; მითოლოგიურად იგი გამოდის შვიდ ბრძენში, პრაქტიკუ-
ლად—სოკრატში და წარმოადგენს იდეალს სტოიკოსებისთვის, ახალ
აკადემიკოსებისთვის და სკეპტიკოსებისთვის. თითოეულ ამ შკო-
ლას თავისი საკუთარი ὁόφὸς აქვს, მსგავსად იმისა, როგორც წმ.
ბრუნოს მისი „ერთადერთი გვარი“. დიახ, წმ. მაქსს შეუძლია
„ბრძენი“ იპოვოს XVIII საუკუნეში განმანათლებელ ფილოსოფია-
ში და თვით ჟან პოლთანაც „ბრძენ ადამიანებში“, როგორიცაა
ემანუელი და სხვ. ფილოსოფოს-სტოიკოსს ვერ წარმოუდგენია „ცხოვ-
რება სასიცოცხლო განვითარების გარეშე“,—ა რ ა მ ე დ ა ბ ს ო ლ უ-

ტურად მოძრავი ცხოვრება, რაც უკვე გამომდინარეობს მისი მსოფლმხედველობიდან—ჰერაკლიტური, დინამიკური, განვითარებაში მყოფი, ცოცხალი მსოფლმხედველობიდან; ეპიკურეელებს კი მათი mors immortalis,—როგორც ლუკრეციუსი ამბობს,—ატომი, წარმოადგენს სოფლმხედველობის პრინციპს, და „მიმდინარე ცხოვრების" ადგილას თავსდება ღვთიური მუზა, რომელიც სასიცოცხლო იდეალს წარმოადგენს, დაპირისპირებით არისტოტელეს ღვთიურ ენერგიასთან.

„სტოიკოსების ეთიკა—ეს არის მათი ერთადერთი მეცნიერება, რადგან სულის შესახებ მათ მხოლოდ ის გამოთქვეს, თუ როგორ უნდა ეფარებოდეს იგი სამყაროს, ხოლო ბუნების შესახებ (ფიზიკა)—მხოლოდ ის, რომ ბრძენმა თავი უნდა დაიცვას მის წინააღმდეგ—არა მოძღვრება სულის შესახებ, არამედ მოძღვრება თავის თავისგან სამყაროს მოშორებისა და თვითდამტკიცებისა სამყაროს წინააღმდეგ".

სტოიკოსებმა „მხოლოდ ის გამოსთქვეს ბუნების შესახებ", რომ ფიზიკა არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერება ფილოსოფიისთვის, და ამიტომ ისინი ცდილობდენ შემდგომი განვითარებაც კი მიეცათ ჰერაკლიტეს ფიზიკისთვის. შემდეგ ისინი ამბობდენ, რომ ὥρα, მამაკაცის სილამაზე, უმაღლესი რამ არის, რის გამოსახვაც კი ადამიანს შეუძლია, და სიცოცხლეს ზეიმობდენ ბუნებასთან შეხამებით, თუმცა ისინი ამასთანავე ხშირად ხვდებოდენ წინააღმდეგობებს. სტოიკოსების აზრით ფილოსოფია სამ მოძღვრებად ნაწილდება: „ფიზიკა, ეთიკა, ლოგიკა". „ფილოსოფიას ისინი ცხოველს და კვერცხს ადარებენ; ლოგიკას—ცხოველის ძვლებსა და მისწრაფებებს, კვერცხის გარეგან ნაპუპს; ეთიკას—მხეცების ხორცს და კვერცხის ცილას, ხოლო ფიზიკას—ცხოველის სულს და კვერცხის გულს" (Diog. Laert., Zeno).

უკვე აქედან ვხედავთ, თუ რამდენად ნაკლებად წარმოადგენს ეთიკა „სტოიკოსების ერთადერთ მეცნიერებას". ამას კიდევ თან ის ერთვის, რომ ისინი, არისტოტელეს მიხედვით, საერთოდ ფორმალური ლოგიკისა და სისტემატიკის მთავარი დამაარსებელნი არიან.

„სტოიკოსები" ისე შორს იყვნენ იმისგან, რომ „არაფერი არ გამოეთქვათ სულის შესახებ", რომ მათ ეწყებათ გულთამხილავობაც კი, რის გამოც გამოდის ეპიკურე როგორც განმანათლებელი და დასცინის მათ, როგორც „ბებერ დიაცთ", ხოლო ნეოპლატონიკოსებმა სულების შესახებ თავიანთი ისტორიის ნაწილი სტოიკოსებისგან გადმოიღეს. ეს გულთამხილაობა, ერთის მხრივ, გამომდინარეობს

შეუძლებლობიდან გატარდეს დინამიკური სოფლმხედველობა იმ მასალის გარეშე, რომელსაც აწვდის ემპირიული საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ხოლო მეორე მხრივ—მიდრეკილებიდან განიხილონ ბერძნული სამყარო და თვით რელიგიაც სპეკულატიკურად და გახადონ ესენი მოაზროვნე სულის მსგავსნი.

„სტოიკოსების ეთიკა“ იმდენად არის „მოძღვრება თავის თავისგან სამყაროს მოშორებისა და თვითდამტკიცებისა სამყაროს წინააღმდეგ“, რომ, მაგ., სტოიკურ სათნოებად ითვლება „გქონდეს საქმიანი სამშობლო და გყავდეს მამაცი მეგობარი“, აღიარებდე „კეთილად მხოლოდ მშვენიერს“ და გამრავლების ნებას აძლევდე სტოიკოს ბრძენთ, როგორც სურთ, მაგ., სისხლის შერევით და სხვა და სხვა. „სტოიკოსი ფილოსოფოსი ისე გართულია არა საზოგადოებრივი, არამედ იზოლირებული ცხოვრებით“, რომ ზენონი მის შესახებ ამბობს: „დეე ბრძენს ნუ გაუკვირდება ის, რაც გაკვირვების ღირსად ჩანს,—მაგრამ საქმიანი ადამიანი მარტოობაში არ იცხოვრებს, ვინაიდან იგი საზოგადოებრივია ბუნებით და პრაქტიკულად მოსაქმეა“ (Diog. Laert., lib. VII, 1). თუმცა, გაზვიადებული მოთხოვნა იქნებოდა, რომ Jacques le bonhomme-ის გიმნაზიური სიბრძნისადმი დაპირისპირებით გაგვევითარებია წინააღმდეგობით სავსე ეთიკა სტოიკოსებისა.

სტოიკოსების არსებობის წყალობით Jacques le bonhomme-ს დასაშვებად მიაჩნია, თანაც, რომაელთა არსებობაც, რომელთა შესახებაც მას, ცხადია, არაფრის თქმა არ შეუძლია, ვინაიდან მათ არა აქვთ ფილოსოფია. მათგან ჩვენ მხოლოდ ის გვესმის, რომ ჰორაციუსი (!) „სტოიკური მიწიერი სიბრძნის იქით არ წასულა“, integer vitae scelerisque purus!

სტოიკოსების არსებობის წყალობით იგი იხსენიებს აგრეთვე დემოკრიტესაც, სახელდობრ: იგი აღწერს რომელიღაც სახელმძღვანელოდან არასწორად გადათარგმნილ ბუნდოვან ადგილს დიოგენ ლაერტელისაგან და ამაზე აფუძნებს გრძელ ხოტბის ჰიმნს დემოკრიტესადმი. ეს ხოტბის ჰიმნი იმით გამოირჩევა, რომ პირდაპირ წინააღმდეგობაში იმყოფება წინამავალ ბუნდოვან, არა სწორად თარგმნილ ადგილთან და „სულის სიმშვიდეს“ (შტირნერის თარგმანი εὐθυμία) აქცევს „თავის თავისგან სამყაროს მოშორებად“ შტირნერს წარმოუდგენია, რომ დემოკრიტე სტოიკოსი იყო და სწორედ ისეთი სტოიკოსი, როგორიც შეეძლო ერთადერთს წარმოედგინა თავის გიმნაზიურ შეგნებაში; იგი ფიქრობს, რომ მთელი მისი საქმიანობა მდგომარეობს „ცდაში სამყაროსგან განთავისუფლებისა“, ე. ი. „თავის თავისგან სამყაროს

მოშორებაში“, და ეხლა მას შეუძლია დემოკრიტეს სახით ყველა სტოიკოსი უკუაგდოს. Jacques le bonhomme-ს არ მოსწონს, რომ მწირი—დემოკრიტეს მოძრავი ცხოვრება აქარწყლებს წმ. მაქსის აბ წარმოდგენას, რომ დემოკრიტეს ფილოსოფიის ნამდვილ წყაროს არისტოტელე წარმოადგენს, და არა დიოგენ ლაერტელის რამდენიმე ანეკდოტი, რომ დემოკრიტე ძალიან ნაკლებად იშორებდა თავის თავისგან სამყაროს, რომ იგი უფრო ემპირიული ბუნებისმეტყველი იყო და პირველი ენციკლოპედისტი ბერძნებში, რომ მისი ნაკლებ ცნობილი ეთიკა იფარგლება რამდენიმე კრიტიკული შენიშვნით, რაც როგორც ფიქრობენ, მან გააკეთა როგორც ძველმა, ბევრჯერ ნამოგზაურევმა ადამიანმა, რომ მის თხზულებებს ბუნებისმეტყველებაში ფილოსოფია ეწოდება მხოლოდ per abusum, რომ მისი ატომი, ეპიკურესაგან განსხვავებით, მხოლოდ ფიზიკური ჰიპოთეზაა, გაპირებით გამოსადეგი ფაქტების ასახსნელად, როგორც თანამედროვე ქიმიის რთულ შენაერთებში (დალტონი და სხვ.); დემოკრიტე ვაგებული უნდა იქნეს „ერთადერთი“ აზრით, დემოკრიტე ლაპარაკობს სულის სიმშვიდის შესახებ, ე. ი. თავის თავში წასვლის შესახებ, ე. ი. თავის თავისგან ქვეყნის მოშორების შესახებ; დემოკრიტე სტოიკოსია, და იგი ინდოელი ფაკირისგან, რომელიც ბუტბუტებს „ბრამა“-ს (ე. ი. არა „ბრამა“-ს, არამედ „ომ“-ს), მხოლოდ „ხარისხით“ გაირჩევა, როგორც ალმატებითი ხარისხი შედარებითისგან.

ეპიკურელთა შესახებ ჩვენმა მეგობარმა მხოლოდ იმდენივე იცის, რამდენიც სტოიკოსების შესახებ, სახელდობრ ის, რაც უცილობლად ყოველმა გონიერმა იცის. ეპიკურეს გედონს იგი უპირისპირებს სტოიკურ და სკეპტიკურ ატარაქსიას და არ იცის, რომ ეს ატარაქსია გვხვდება აგრეთვე ეპიკურთანაც, რომ იგი გედონზე მაღალია, რის გამოც სრულიად ქარწყლდება მთელი მისი დაპირისპირება. იგი ჩვენ მოგვითხრობს, რომ ეპიკურელები ქადაგებენ მარტოოდენ „სხვანაირ დამოკიდებულებას სამყაროსადმი“-ო. დეე მან გვიჩვენოს (არა სტოიკოსი) ფილოსოფოსი „ძველი ან ახალი დროისა“, რომელიც „მხოლოდ“ იმასვე არ აკეთებდეს. ბოლოს და ბოლოს წმინდა მაქსი გვამდიდრებს ეპიკურელთა ახალი წარმოთქმით: „სამყარო მოტყუილებული უნდა იქნეს, ვინაიდან იგი მტერია ჩემი“; აქამდის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ეპიკურელები მარტოოდენ ამნაირად გამოსთქვამდნენ: სამყაროს უნდა ჩამოცილდეს წყევა, იგი განთავისუფლებული უნდა იქნეს შიშისგან ღმერთების წინაშე, ვინაიდან იგი მ ე გ ო ბ ა რ ი ა ჩემი. რათა ჩვენს წმიდანს წარმოდგენა მივცეთ ეპიკურეს ფილოსოფიის რეალური საფუძვლის შესახებ, უნდა

მოვიხსენიოთ მხოლოდ, რომ მასთან ყველაზე ადრე ეპოულობთ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო დამყარებულია ადამიანთა ურთიერთ ხელშეკრულებაზეო, contrat social.

თუ რამდენად ვერ ცილდებიან წმიდა მაქსის გამოცხადებანი სკეპტიკოსების შესახებ იმავე ჩარჩოებს, უკვე იქიდანაც ჩანს, რომ იგი მათ ფილოსოფიას ეპიკურეს ფილოსოფიაზე უფრო რადიკალურად თვლის. სკეპტიკოსებს ადამიანთა თეორიული დამოკიდებულება დაჰყავდათ ნივთებზე, ილუზიაზე, ხოლო პრაქტიკაში ყოველივეს ძველებურად ტოვებდენ, ანგარიშს უწევდენ რა ილუზიას იმდენად, რამდენადაც სხვები უწევენ ანგარიშს სინამდვილეს; საქმეს ისინი მხოლოდ სხვა სახელწოდებას აძლევდენ. ეპიკურე კი იყო ძველი დროის ნამდვილი რადიკალური განმანათლებელი, რომელიც ძველ რელიგიას თავს ესხმოდა, და მისგან გამომდინარეობდა რომაელთა ათეიზმი, რამდენადაც იგი მათში არსებობდა. აი რატომ ასხამდა მას ლუკრეციუსი ხოტბას როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გათელა რელიგია, აი რატომ დაიმსახურა მან ეკლესიის ყველა მამაში, პლუტარქიდან ლუთერამდის, დიდება უღვთო ფილოსოფოსისა par excellence, ღორისა; კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ თუ პაველ ფილოსოფოსების წინააღმდეგ აღსდგა, მას მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ეპიკურეელები (Strom. lib. I, გვ. 245, კელნი, 1688 წლ. გამოცემა). აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ „მოხერხებულად, მატყუარად" და „ჭკვიანურად" ეჭირა თავი ამ გულახდილ ათეისტს სამყაროს მიმართ, აშკარად თავს ესხმოდა რა მის რელიგიას, მაშინ როდესაც სტოიკოსები სპეკულატიურად უფარდებდენ თავიანთ თავს ძველ რელიგიას, ხოლო სკეპტიკოსები ყოველთვის თავიანთ „ილუზიას" აყენებდენ იმის საბაბად, რათა ყველგან თავიანთი მსჯელობისთვის დაერთოთ reservatio mentalis.

ამრიგად, სტოიკოსების თეორია დაიყვანება „სიძულვილზე სამყაროსადმი", ეპიკურეელთა—იმავე „მიწიერ სიბრძნეზე" როგორც სტოიკოსებთან, სკეპტიკოსებისა,—იმაზე, რათა „სამყარო ისე იქნეს დატოვებული როგორც არის, ხოლო თვით გულგრილი დარჩეს მისდამი". ამრიგად, შტირნერის მიხედვით, სამივე ამთავრებს გულგრილობით სამყაროსადმი, „სიძულვილით სამყაროსადმი". ჯერ კიდევ დიდი ხნით მასზე ადრე ჰეგელმა ეს შემდეგნაირად გამოთქვა: სტოიციზმი, სკეპტიციზმი, ეპიკურეელობა იმაზე დაიყვანებოდა, რათა სული გულგრილი გამხდარიყო ყოველივესადმი, რასაც სინამდვილე წარადგენს (Phil. d. Gesch., 327).

წმიდა მაქსი რეზაუშეს უკეთებს (აზრის ძველი სამყაროს კრიტიკას, ამბობს რა, რომ „ძველებს აზრი ჰქონდათ, მაგრამ მათთვის უცხო იყო აზრი როგორც ასეთი“. ძველი ფილოსოფიის ისტორია უნდა შეეგუოს შტირნერის კონსტრუქციას. რათა ბერძნებმა არ დატოვონ თავიანთი ბავშვური როლი, საჭიროა, რომ არასოდეს არ არსებობდეს არც არისტოტელე, არც მისი თვით თავისში არსებული აზროვნება (ἡ νόησις ἡ καθ'αὐτήν), თვით თავის მოაზროვნე გონება (αὐτόν δε νοεῖν) და თვით თავის მოაზროვნე აზროვნება (ἡ νόησις τῆς νοήσεως), — საერთოდ არც მისი მეტაფიზიკა, არც მესამე წიგნი მისი ფსიქოლოგიისა.

წმიდა მაქსს შეეძლო ისეთივე წარმატებით, როგორც იგი გვახსენებს აქ „იმას, რაც წინად იყო თქმული ჩვენი ბავშვობის წლების შესახებ“, დაემატებია სიტყვებისთვის „ჩვენი ბავშვობის წლების“ შესახებ: დეე დაინახონ, რა იქნება შემდეგში ნათქვამი ძველებისა და ზანგების შესახებ და რა არ იქნება ნათქვამი არისტოტელეს შესახებ.

რათა შეფასდეს ძველ ფილოსოფიურ სისტემათა ნამდვილი მნიშვნელობა ძველი ქვეყნის დაშლის დროს, Jacques le bonhomme-მა უნდა შეისწავლოს მათი მოწაფეების ნამდვილი სასიცოცხლო მდგომარეობა რომის მსოფლიო ბატონობის ქვეშ. ასე, სხვათა შორის, ლუკიანეს აღწერილი აქვს, თუ ხალხს როგორ მიეჩნდა ისინი საჯარო ჯამბაზებად, ხოლო რომაელი კაპიტალისტები, პროკონსულები და სხვ. ქირაობდენ მათ გასართობად სასახლის მასხარების სახით; სუფრაზე ისინი მონებს ედავებოდენ რამდენიმე ძვლისა და პურის ნამცეცისთვის, სვამდენ მათთვის ცალკე მიტანილ მეავე ღვინოს, ხოლო შემდეგ მაღალ თანამდებობის პირთ მომჯადოებელი ფრაზებით ართობდნენ: ატარაქსია, ათაზია, გედონი და სხვ.

დიახ, ჩვენს გულკეთილს ადამიანს თუ სურდა ძველი ფილოსოფიის ისტორიიდან ძველი ქვეყნის ისტორია შეექმნა, მაშინ, თავისთავად იგულისხმება, სტოიკოსებსაც, ეპიკურეელებსაც და სკეპტიკოსებსაც თავიანთი ადგილი უნდა დაეთმოთ ნეოპლატონიკოსებისთვის, რომელთა ფილოსოფია სხვა არა არის რა, თუ არა სტოიკურ, ეპიკურეულ და სკეპტიკურ დოქტრინათა ფანტასტიური შეერთება პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის შინაარსთან. ამის ნაცვლად იგი ამ მოძღვრებებს შლის უშუალოდ ქრისტიანობაში.

■

[186] წმ. მაქსი ფიქრობს, რომ ძველად, როდესაც თითოეული ხალხი შეკავშირებული იყო მის შემადგენელ წევრთა მატერიალური ინტერესების ერთიანობით, სხვადასხვა ტომთა მტრობით მაინც, სადაც, საწარმოო ძალთა ნაკლებობის გამო, თითოეული თვით უნდა ყოფილიყო მონა ან მონები ჰყოლოდა, და სხვადასხვა, სადაც „ბუნებრივ ინტერესს" (ნ. ვიგანდი) წარმოადგენდა კუთვნილება რომელიმე ხალხისადმი, — მაშინ „ხალხის" ანუ „ხალხური სულის" ცნებებმა წარმოშვეს პირველად ეს ინტერესები...

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

„გერმანული იდეოლოგიიდან".

(Архив К. Маркса и Ф. Энгельса, кн. 4. ГИЗ. 1929).

[229] „ჩემი კერძო (პრივატული) საკუთრება, ეს არის მხოლოდ ის, რასაც სახელმწიფო მაძლევს მე თ ა ვ ი ს ი საკუთრებიდან, ა რ თ მ ე ვ ს (priviert) რა მას სახელმწიფოს სხვა წევრებს: იგი — სახელმწიფო საკუთრებაა" (გვ. 339).

მაგრამ შემთხვევით აღმოჩნდება, რომ საქმე სწორედ პირიქითაა. კერძო საკუთრება რომში, რასაც შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ეთიმოლოგიური კალამბური, მკვეთრ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებასთან. მართალია, სახელმწიფო აძლევდა პლებეებს კერძო საკუთრებას, მაგრამ ამავე დროს იგი „სხვებს" არ ართმევდა მათ კერძო საკუთრებას, არამედ თვით ამ პლებეებს ართმევდა მათს სახელმწიფო საკუთრებას (ager publicus) და მათს პოლიტიკურ უფლებებს, და ს წ ო რ ე დ ამიტომ მათ ეწოდებოდა privati, გაყვლეფილნი, და არა ის ფანტასტური „სხვა წევრები სახელმწიფოსი", რომელთა შესახებაც ფანტაზიას ეძლევა სანკტ-სანჩო.

[234] ჩვენ აქ არ განვმარტავთ იმას, რომ მამის აბსოლუტური ძალაუფლება და მაიორატის უფლება,—როგორც პირველდაწყებითი ლენური მაიორატის, ისე შემდგომდროინდელისა, — დამყარებულია ფრიად განსაზღვრულ მატერიალურ ურთიერთობებზე. იგივეა ძველ ხალხებშიც თ ე მ ურ ი ცხოვრების დაშლისა და მისი კერძო საკუთრების რეჟიმით შეცვლის ეპოქაში (ამის საუკეთესო დამტკიცებას წარმოადგენს რომის სამეკვიდრეო სამართლის ისტორია). საერთოდ სანჩოს არ შეეძლო აერჩია უფრო უხეირო მაგალითი, თუ არ სა-

მემკვიდრეო სამართალი, რომელიც ძლიერ გარკვეულად უჩვენებს სამართლის დამოკიდებულებას საწარმოო ურთიერთობისგან (შეად., მაგალითად, რომისა და გერმანული სამემკვიდრეო სამართალი).

■

[235] მის [სანკტ-სანჩოს. რ ე დ.] დასამშვიდებლად ჩვენ მას შეენიშნავთ, რომ ყველა ადრინდელ კანონმდებლობაში საქციელი ორი ძაღლისა, რომელთაც ძვალი იპოვეს, განიხილება როგორც სამართალი (vim vi repellere licere, ამბობს პანდექტები; idque jus natura comparatur, რის ქვეშ იგულისხმება jus quod natura omnia animalia—ადამიანების და ძაღლების—docuit, შემდეგში კი ძალების ორგანიზებული უკუგდება ძალების მიერ „სწორედ“ სამართალი ხდება.

■

[235] საქმე ისაა, რომ უახლესმა გამოკვლევებმა სამართლის ისტორიაში დაადგინა: როგორც რომში, ისე გერმანელ, კელტ და სლავიანელ ხალხებში საკუთრების განვითარებას გამოსავალ პუნქტად ჰქონდა თემური ანუ გვაროვნული საკუთრება, და რომ ნამდვილი კერძო საკუთრება ყველგან უზურპაციის გზით წარმოიშვა...

■

[257] მისი [სანჩოს. რ ე დ.] დამპყრობთა „საზოგადოება დაახლოებით ისევე იქცევა, როგორც ნახევრად-ველურ გერმანელთა „კავშირები“, რომლებმაც რომის პროვინციები დაიპყრეს და იქ ტლანქი ლენური წყობილება შემოიღეს, მთლიანად გამსჭვალული ძველი გვაროვნული ყოფით.

■

[282] სიამოვნების მქადაგებელი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ისევე ძველია ევროპაში, როგორც კირენაის სკოლა. თუ ძველად ამ ფილოსოფიის პროტაგონისტები ბ ერ ძ ნ ე ბ ი იყვნენ, ახალ დროში ასეთები არიან ფ რ ა ნ გ ე ბ ი, და იმავე საფუძვლით, ვინაიდან მათი ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი და მათი საზოგადოებრივი ცხოვრება განსაკუთრებულად განწყობილად ხდის მათ განცხრომისადმი. განცხრომის ფილოსოფია ყოველთვის მხოლოდ მახვილი იდეოლოგია იყო განსაზღვრული საზოგადოებრივი წრეების, რომელნიც განცხრომის პრივილეგიით სარგებლობდნენ.

„რეინის მიმოხილველის“ კომუნიზმი.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. V. ГИЗ. 1929).

[173] ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ამართლებდნენ ანტიკურ მონობას, განადიდებდა საშუალო საუკუნეების ბატონყმობას და ამ პრინციპებს შეუძლია აგრეთვე, საჭიროების დროს, პროლეტარიატის თანამედროვე ჩაგვრაც დაიცვას, თუმცა საბრალო ღრეჯით.

მორალიზაციის მოძღვენი კრიტიკა და კრიტიკის მოძღვენი მორალი.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. V. ГИЗ. 1929).

[211] მონარქები (ან მონარქია), მოგვითხრობს ის [ჰეინცენი. რედ.], წარმოადგენენ „ჰირ-ვარამისა და სიღატაკის მთავარ მიზეზს“. მონარქიის გაუქმებასთან ერთად უქმდება, რასაკვირველია, ეს ახსნაც, ისე რომ მონობას, რომელმაც დაღუპვამდე მიიყვანა ანტიკური რესპუბლიკები, მ ო ნ ო ბ ა ს, რომელიც უსაშინელეს შერყევას გამოიწვევს ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკის სამხრეთ შტატებში, ამ მონობას შეეძლო ფალსტაფის სიტყვებით წამოეძახა: „ოჰ, რა იქნებოდა რომ ეს არგუმენტები ისევე იაფი იყოს, როგორც მაყვალი“.

ფილოსოფიის სიღატაკე.

(ქართული თარგმანი: 1931 წ. სახელგამი).

[173] მ ო ნ ო ბ ა ეკონომიური კატეგორიაა, როგორც ყოველი სხვა. მაშასადამე, იმასაც აქვს ორი მხარე. ნუ შევჩერდებით ცუდ მხარეზე და ვილაპარაკოთ მონობის კარგ მხარეზე. თავის თავად იგულისხმება, აქ ლაპარაკია პირდაპირს მონობაზე. შავკანიანთა მონობაზე სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდილო-ამერიკის სამხრეთ შტატებში.

პირდაპირი მონობა ბურჟუაზიული მრეწველობის დასაყრდენია, ისე როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. უმონობოდ არ იქნებოდა ბამბა, უბამბოდ არ იქნებოდა თანამედროვე მრეწველობა. მონობამ მისცა კოლონიებს მათი მნიშვნელობა, კოლონიებმა შეჰქმნეს მსოფლიო ვაჭრობა. მსოფლიო ვაჭრობა პირობაა მსხვილი მრეწველობისა. ამრიგად, მონობა უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიური კატეგორიაა.

უმონობოდ ჩრდილო-ამერიკა, ეს ყველაზე უფრო პროგრესიული ქვეყანა, პატრიარქალურ ქვეყნად გადაიქცევოდა. ამოშალეთ ჩრდილო-ამერიკა მსოფლიო რუკიდან და—თქვენ მიიღებთ ანარქიას, თანამედროვე ვაჭრობისა და ცივილიზაციის სრულს დაცემას. მოსპეთ მონობა და თქვენ ამოშლით ამერიკას გეოგრაფიულ რუკიდან [1].

---

[1] 1847 წლისთვის ეს სრულიად მართალი იყო. მაშინ შეერთებული შტატების მსოფლიო ვაჭრობა უმთავრესად იმიგრანტებისა და სამრეწველო პროდუქტების იმპორტით და ბამბისა და თამბაქოს, ე. ი. სამხრეთის მონური შრომის პროდუქტების, ექსპორტით განისაზღვრებოდა. ჩრდილოეთის შტატები უმთავრესად ხორბალსა და ხორცს აწარმოებდენ მონათმფლობელი შტატებისათვის. მონობის მოსპობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთმა საექსპორტოდ იწყო ხორბლისა და ხორცის წარმოება და ამასთან სამრეწველო ქვეყნად იქცა, და ამერიკის ბამბის მონოპოლიას ინდოეთის, ეგვიპტის, ბრაზილიის და სხვ. სახით ძლიერი კონკურენცია გაუჩნდა. და მაშინაც ამ მოსპობას შედეგად მოჰყვა განადგურება ხამხრეთის, რომელმაც ვერ მოახერხა აშკარა ხანგთა მონობის შენაცვლება ინდოელი და ჩინელი კულის ფარული მონობით. — ფ. ე.

მონობას, რადგან იგი ეკონომიური კატეგორიაა, ყოველთვის ადგილი ჰქონდა ხალხთა დაწესებულებებს შორის. თანამედროვე ხალხებმა თავიანთ ქვეყანაში მონობას მხოლოდ ნიღაბი ააფარეს, ხოლო ახალ ქვეყანაში იგი დაუფარავად შემოიღეს.

რას იზამს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი იმისათვის, რომ მონობა იხსნას. იგი ამოცანას წამოაყენებს: შენარჩუნებულ იქნეს ამ ეკონომიური კატეგორიის კარგი მხარე და მოშორებულ იქნეს ცუდი მხარე.

ჰ ე გ ე ლ ს არ აქვს პრობლემები დასადგენი. მან მხოლოდ დიალექტიკა იცის. ბ-ნ პრუდონს ჰ ე გ ე ლ ი ს დიალექტიკის მხოლოდ სიტყვები აქვს. მისი საკუთარი დიალექტიკური მეთოდი მარტოოდენ კარგისა და ცუდის დოგმატიურ გარჩევაში მდგომარეობს.

[195] შრომის დანაწილების მარტო ამ მხარეს თუ მივაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ვპოებთ ერთ ადგილას—ძველ რესპუბლიკებს, მეორე ადგილას—ქრისტიანულ ფეოდალიზმს.

[235] მაშასადამე, რენტა არა თუ არ აქცევს მიწის დამმუშავებელს, ფერმერს, უბრალო მუშად და არ „გამოგლეჯს კოლონს პროდუქტის გარდამეტს, რომელიც მას არ შეუძლია არ ჩასთვალოს თავისად“,—იგი მემამულის პირისპირ, მონის, ყმის, მობეგრის ან საქირაო მუშის ნაცვლად—აყენებს სამრეწველო კაპიტალისტს.

[243] მიწა—კაპიტალი რომ მარადიული იყოს, მაშინ ზოგიერთ ადგილებს სულ სხვა სახე ექნებოდა, ვიდრე დღეს აქვს,—რომის კამპანას, სიცილიას, პალესტინას ჩვენ დღესაც ისევე ბრწყინვალედ აყვავებულს ვიხილავდით, როგორც იყვნენ ისინი ძველად.

კ. მარქსი.

დაქირავებული შრომა და კაპიტალი.

(კ. მარქსი: რჩეული ნაწერები. ტ. I. ქართული თარგმანი. 1935 წ. საქ. პარტგამომცემლობა).

[223] შრომა ყოველთვის არ ყოფილა საქონელი: შრომა ყოველთვის არ ყოფილა დაქირავებული, ე. ი. თავისუფალი შრომა. მონა არ ყიდდა თავის სამუშაო ძალას მონათმფლობელზე, როგორც ხარი არ ყიდის თავის მუშაობას გლეხზე. მონა თავის სამუშაო ძალითურთ ერთხელ და სამუდამოდ გაყიდულია მის პატრონზე. იგი არის საქონელი, რომელიც შეიძლება ერთი მესაკუთრის ხელიდან გადავიდეს მეორე მესაკუთრის ხელში. თვითონ იგი—საქონელია, მაგრამ სამუშაო ძალა არ არის მისი საქონელი. ყმა მხოლოდ თავის სამუშაო ძალის ერთ ნაწილს ყიდის. ის კი არ ღებულობს ქირას ადგილ-მამულის მესაკუთრისაგან: პირიქით, ადგილ-მამულის მესაკუთრე ღებულობს მისგან ბეგარას. ყმა ადგილ-მამულს ეკუთვნის და მემამულისთვის მოაქვს ნაყოფი. წინააღმდეგ ამისა თავისუფალი მუშა თავის თავს ყიდის და ისიც ნაწილ-ნაწილად.

[229] რა არის ზანგი-მონა?—შავი რასის ადამიანი. ერთი განმარტება იმდენი ღირს, რამდენიც მეორე.

ზანგი ზანგია. მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იქცევა იგი მონად. ბამბის სართავი მანქანა არის მანქანა ბამბის სართავად. მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იქცევა ის კაპიტალად.

[229] ამრიგად, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც აწარმოებენ ცალკე პირები, ე. ი. საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობანი, იცვლებიან, გარდიქმნებიან მატერიალურ საწარმოო საშუალებათა, საწარმოო

ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად. საწარმოო ურთიერთობანი, მთლიანად აღებულნი, შეადგენენ იმას, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოებას უწოდებენ და სახელდობრ ისტორიული განვითარების განსაზღრულ საფეხურზე მდგომ საზოგადოებას, თავისებური განსხვავებული ხასიათის საზოგადოებას. ანტიური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება საწარმოო ურთიერთობათა ისეთ მთლიან შეერთებას წარმოადგენს, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებული საფეხურია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში.

ფ. ენგელსი.

კომუნიზმის პრინციპები.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. V. ГИЗ. 1929).

[467] ძველად მშრომელნი თავიანთ მეპატრონეთა მონები იყვნენ, მსგავსად იმისა, როგორც არიან ისინი ასეთები ამჟამადაც მრავალ ჩამორჩენილ ქვეყანაში და თვით შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილშიც კი. საშუალო საუკუნეებში ისინი ყმები იყვნენ... ამას გარდა, ქალაქად საშუალო საუკუნეებში და სამრეწველო რევოლუციამდე არსებობდნენ ქარგლები, წვრილ-ბურჟუაზიულ ოსტატებთან მომუშავენი, ხოლო მანუფაქტურის განვითარებასთან ერთად თანდათანობით გაჩნდენ მუშები...

მე-7 საკითხი: რით განსხვავდებიან პროლეტარები მონებისაგან?

პასუხი: მონა ერთხელ და სამუდამოდაა გაყიდული, პროლეტარმა კი თავისი თავი ყოველდღე და ყოველ საათს უნდა ჰყიდოს! მონა ბატონის საკუთრებას შეადგენს და უკვე ამ უკანასკნელის დაინტერესების გამო უზრუნველყოფილი არსებობით სარგებლობს, რაგინდ საბრალო არ უნდა იყოს ეს არსებობა. თითოეული ცალკეული პროლეტარი მთელი ბურჟუაზიული კლასის, ასე ვთქვათ, საკუთრებას წარმოადგენს. მის შრომას მხოლოდ მაშინ ყიდულობენ, როდესაც ვინმე მას საჭიროებს, და ამიტომ მისი არსებობა არაა უზრუნველყოფილი. ეს არსებობა უზრუნველყოფილი აქვს მხოლოდ მუშათა კლასს მთლიანად. მონა კონკურენციის გარეშე იდგა, პროლეტარი კი დაქვემდებარებულია კონკურენციისადმი და თავის თავ-

ზე გრძნობს მის ყველა რხევას. მოხა ნივთად ითვლება და არა ბურ-ჟუაზიული საზოგადოების წევრად. პროლეტარს ცნობენ პიროვნებად, ბურჟუაზიული საზოგადოების წევრად. მონა შეიძლება უკეთეს პირობებში ცხოვრობდეს, ვიდრე პროლეტარი, მაგრამ პროლეტარი ეკუთვნის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარ საზოგადოებას, და თვითონაც იგი უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე მონა. მონას შეუძლია თავის განთავისუფლება, კერძო საკუთრების ყველა ინსტიტუტიდან მარტოოდენ მონობის გაუქმებით, რის გამო იგი პროლეტარი გახდება, პროლეტარს კი შეუძლია თავი გაინთავისუფლოს მხოლოდ საერთოდ კერძო საკუთრების გაუქმებით.

ჟ. მარქსი და ფ. ენგელსი.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი.

(კარლ მარქსი: რჩეული ნაწერები. ტ I. ქართული თარგმანი. 1935 წ. საქ. პარტგამომცემლობა).

[177] თავისუფალი და მონა, პატრიკი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი და ქარგალი, მოკლედ, დამჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წინააღმდეგობაში უდგენ ერთმანეთს, ეწეოდენ შეუწყვეტელ, ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, რაიცა მუდამ თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა ერთად დაღუპვით.

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ საზოგადოების სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებად, საზოგადოებრივი მდგომარეობის მრავალ საფეხურს. ძველ რომში ჩვენ ვხედავთ პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; საშუალო საუკუნეებში—ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ქარგლებს, ყმებს და ამას გარდა თითქმის ყველა ამ კლასში კიდევ განსაკუთრებულ საფეხურებს.

[192] რასაც თქვენ მიმხვდარხართ ანტიური საკუთრების შესახებ, რასაც თქვენ მიმხვდარხართ ფეოდალური საკუთრების შესახებ, ის თქვენ ველარ გაგიგიათ ბურჟუაზიული საკუთრების შესახებ.

[195] როდესაც ძველმა ქვეყანამ დაცემისკენ იბრუნა პირი, ძველი რელიგიები დაამარცხა ქრისტიანულმა რელიგიამ.

[201] ცნობილია, რომ იმ ხელნაწერებზე, რომელნიც შეიცავდენ ძველი კერპთაყვანისცემის დროის კლასიკურ ნაწარმოებთ, ბერები ათავსებდენ კათოლიკური წმინდანების ცხოვრების რეგვენულ აღწერას.

23—24 ივნისი პარიზში.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VI. ГИЗ. 1930).

[211] ისტორიაში ცნობილია მხოლოდ ორი მომენტი, მსგავსი იმ ბრძოლისა, რასაც ამჟამად ადგილი აქვს პარიზში: მონების ომი რომში და 1834 წლ. ლიონის აჯანყება.

გლეხთა ომი გერმანიაში.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VIII. ГИЗ. 1930).

[128] საშუალო საუკუნეები სრულიად პრიმიტიული მდგომარეობიდან განვითარდენ. მან დედამიწის პირისაგან აღგავა ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია და ყოველივე სულ თავიდან დაიწყო. ერთადერთი, რაც საშუალო საუკუნეებმა აიღეს დაღუპული ძველი ქვეყნიდან, ეს იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრად დანგრეული, თავისი წინანდელი ცივილიზაცია დაკარგული ქალაქები.

საერთაშორისო მიმოხილვები, I.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VIII. ГИЗ. 1930).

[209] რასაც ძველად წარმოადგენდა ტირი, კართაგენი და ალექსანდრია, საშუალო საუკუნეებში—გენუა და ვენეცია, რასაც აქამდე წარმოადგენდენ ლონდონი და ლივერპული,—მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს,—ასეთებად ხდებიან ამჟამად ნიუ-იორკი და სანფრანცისკო...

[209] და მაშინ წყნარი ოკეანე ისეთივე როლს შეასრულებს, როგორც ამჟამად ასრულებს ატლანტიის ოკეანე, ხოლო ძველად და საშუალო საუკუნეებში ასრულებდა ხმელთაშუაზღვა, — მსოფლიო ურთიერთობისთვის დიდი წყლის გზის როლს...

საერთაშორისო მიმოხილვები, III.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VIII. ГИЗ. 1930).

[230] იმავე დროს ინგლისის ზანგოფილურმა ბურჟუაზიამ აღმოაჩინა, რომ „მანჩესტერის კეთილდღეობა დამოკიდებულია მონების

შრომის გამოყენებისგან ტეხასში, ალაბამაში, ლუიზიანაში და რომ ეს იმდენადვე საოცარი ფაქტია, რამდენადაც შემაძრწუნებელი“ („Economist“, 1850 წლ. 21 სექტ.). ინგლისის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგი რომ ამერიკული კავშირის სამხრეთ შტატებში მონობის არსებობაზეა დამოკიდებული, რომ მონების აჯანყებას ამ ქვეყნებში შეუძლია დაანგრიოს მთელი თანამედროვე სისტემა წარმოებისა,— ყოველ შემთხვევაში მეტად სამწუხარო ფაქტია იმათთვის, რომლებმაც, რამდენიმე წლის წინად, 20 მილ. გირვ. სტერლ. დახარჯეს ზანგების განთავისუფლებაზე თავის საკუთარ კოლონიებში. მაგრამ ამ ფაქტს მივყევართ ერთადერთ შესაძლებელ გადაჭრამდე მონობის საკითხისა, რაც ამასწინათ ისევ გახდა ხანგრძლივი და დაძაბული კამათის თემად ამერიკულ კონგრესში. ამერიკული წარმოება ბამბისა მონობაზეა დაფუძნებული... მაგრამ რაკი თავისუფალი შრომა სხვა ქვეყნებში მრეწველობის საკმაო რაოდენობის ბამბას აწვდის და თან უფრო იაფად, ვიდრე მონების შრომა შეერთებულ შტატებში, ამიტომ ამერიკის საბამბო მონოპოლიასთან ერთად საფუძველი ეცლება ამერიკულ მონობასაც, და მონები უნდა განთავისუფლდენ, ვინაიდან მონების სახით ისინი უსარგებლონი გახდენ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

გ.-ფრ. დაუმერის წიგნის: „ახალი საუკუნის რელიგია“-ს შესახებ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса. т. VIII. ГИЗ. 1930).

[268] იგივე ურცხვი ზერელობა საშუალებას აძლევს ბატონ დაუმერს სრულიად უგულებელჰყოს ის გარემოება, რომ ქრისტიანობას წინ უსწრებდა ანტიკური „მსოფლიო წესების“ კრახი და რომ ქრისტიანობა უბრალოდ ამ კრახის გამოსახულება იყო; რომ „სრულიად ახალი მსოფლიო წესები“ წარმოიშვენ არა შიგნით ქრისტიანობის წყალობით, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰუნები და გერმანელები „გარედან ეძგერენ რომის იმპერიის მძოვრს“...

კ. მარქსი.

თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა.

(ქართული თარგმანი 1932 წ. სახელგამი).

[9] ასე, ლუთერი პავლე მოციქულის ნიღაბს იფარებდა, 1789—1814 წლ. რევოლუცია რიგრიგობით მოირთვებოდა როგორც

რომის რესპუბლიკა და როგორც რომის იმპერია, და 1848 წლის რევოლუციამ უკეთესი ვერა ჰპოვა რა, თუ არ პაროდია ეყო ხან 1789 წლისთვის და ხან 1793—1795 წლების... კამილ დემულენი, დანტონი, რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, ნაპოლეონი, ძველი საფრანგეთის რევოლუციის გმირები, პარტიები და მასები რომაულ ტანსაცმელში და რომაული ფრაზებით თავიანთი დროის ამოცანას ანხორციელებდენ: ბორკილებისაგან განთავისუფლებას და თანამედროვე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოების შექმნას.

[10] ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის შექმნისთანავე გაჰქრენ წარღვნის წინადროინდელი გოლიათები და მათთან ერთად მკვდრეთით აღმდგარი რომაელები—ბრუტოსები, ბრაკხები, პუბლიკოლები, ტრიბუნები, სენატორები. და თვით კეისარიც... სრულიად შთანთქმულს სიმდიდრის წარმოებასა და მშვიდობიან საკონკურენციო ბრძოლაში, მას აღარ გაეგებოდა, რომ მის აკვანს ძველი რომის აჩრდილები წყესავდენ... რომის რესპუბლიკის კლასიკურად მკაცრ ტრადიციებში პოულობდენ იმ იდეალს და ხელოვნების ფორმებს, იმ თავმოტყუილებას, რასაც ისინი საჭიროებდენ იმისთვის, რომ თავიანთი ბრძოლის ბურჟუაზიული შეზღუდული შინაარსი საკუთარი თავისთვისე დაემალათ და თავიანთი აღგზნება დიდი ისტორიული ტრაგედიის სიმაღლეზე აეყვანათ.

ფ. ენგელსი.

გასული წლის დეკემბერში ფრანგი პროლეტარების შედარებითი პასივობის ნამდვილი მიზეზები.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VIII. ГИЗ. 1930).

[419] ამის მსგავსი რომ ჯერ კიდევ არ მომხდარა, და ასეთი სირცხვილი არცერთ ხალხს არ მოსელია, მას შემდეგ რაც დაღუპვის გზაზე მდგარი რომის პრეტორიანულმა ლეგიონერებმა იმპერია საჯარო ვაჭრობაზე გამოიტანეს და იგი მას მიჰყიდეს, ვინც მაღალი ფასი შეაძლია.

ფ. ენგელსი.

წერილები ინგლისის შესახებ, I.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. VIII. ГИЗ. 1930).

[434] ალარმისტებს კართაგენის მაგალითი მოჰყავთ, რომლის ფლოტი და არმია გაბნეული იყო სულ უშორეს სამფლობელოებში

და რომელსაც რომაელები ორჯერ თავს დაესხენ. მაგრამ, თუ ომის წარმოების უკვე სრულიად შეცვლილი პირობების შესახებ არ ვილაპარაკებდ, რომაელების გადასხმა აფრიკაში მეორე პუნიური ომის დროს მხოლოდ მას შემდეგ შეიქნა შესაძლებელი, რაც კართაგენის არმიის საუკეთესო ნაწილი მოისპო ესპანეთსა და იტალიაში, ხოლო პუნიური ფლოტი გაძევებული იქნა ხმელთაშუა ზღვიდან; თავდასხმა, თავდასხმა კი არ იყო, არამედ მეტად სოლიდური სამხედრო ოპერაცია, რომელიც ხანგრძლივი, და რომისთვის კეთილსასურველი, ომის სრულიად ბუნებრივ დამთავრებას წარმოადგენდა. მესამე პუნიურ ომს კი ოდნავ თუ შეიძლება ომი ეწოდოს; ეს იყო უსუსტესი მოწინააღმდეგის უბრალო ჩაგვრა ათჯერ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის მიერ. ეს იყო ნაპოლეონის მიერ ვენეციის კონფისკაციის მსგავსი რამ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

წერილები ინგლისის შესახებ.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. X. ГИЗ. 1924).

[98] ძველი დროის შესახებ ტაციტი გვაცნობებს, რომ იმპერატორმა კლავდიუსმა ახალი პატრიციული თაობა შექმნა (ვინაიდან ამოწყდენ ისინი, რომლებიც დანიშნული იყვენ დიქტატორის ცეზარის მიერ კასიუსის კანონით და პრინცეპსის ავგუსტოსის მიერ—სენიუსის კანონით). ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ ბუნება არ უფრთხილდება მემკვიდრეობით არისტოკრატიას...

■

[128] ძველ სახელმწიფოებში, საბერძნეთსა და რომში, იძულებითი ემიგრაცია, რაც კალონიების პერიოდული მოწყობის ფორმას იღებდა, მუდმივ რგოლს შეადგენდა საზოგადოებრივ ჯაჭვში. ამ სახელმწიფოთა მთელი სისტემა აგებული იყო მოსახლეობის რაოდენობის გარკვეულ შეზღუდვაზე, რომლის გადაცილებაც არ შეიძლებოდა ისე, რომ საფრთხეში არ ჩავარდნილიყო თვით არსებობა ანტიკური ცივილიზაციისა. მაგრამ რატომ იყო ეს ასე? იმიტომ, რომ მათთვის სრულიად უცნობი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოყენება მატერიალური წარმოებისადმი. იმისთვის, რომ ისინი ცივილიზებული დარჩენილიყვნენ, საჭირო იყო ყოფილიყვენ მცირერიცხოვანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმ მძიმე ფიზიკური

შრომის მსხვერპლნი გახდებოდენ, რომელიც მაშინ თავისუფალ მოქალაქეს მონად აქცევდა. საწარმოო ძალთა არარსებობა მოქალაქეებს დამოკიდებულს ხდიდა განსაზღვრული რაოდენობრივი თანაშეფარდებისგან, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდა. ამიტომ ერთადერთ გამოსავალს მდგომარეობიდან წარმოადგენდა იძულებითი ემიგრაცია...

მე არ ვიზიარებ... არც სისმონდის შეხედულებას, რომელსაც თავის იპოხონდრიულ ფილანტროპიაში სურდა ძალადობით შეენარჩუნებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დრომოჭმული მეთოდები და მეცნიერება გაეძევებია მრეწველობიდან, როგორც პლატონი აძევებდა პოეტებს თავისი რესპუბლიკიდან.

<u>კ. მარქსი და ფ. ენგელსი.</u>

აღმოსავლეთის საკითხი.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. X. ГИЗ. 1924).

[169] ძველ საბერძნეთში ერთი ორატორის შესახებ, რომლის დუმილი მოსყიდული იყო, ამბობდენ, რომ მას „ხარი აქვს ენაზეო“. ასეთ ხარს წარმოადგენდა იმ დროს ეგვიპტიდან შემოღებული ვერცხლის მონეტა.

■

[171] ჭეშმარიტად, როდესაც ჩვენ ამ გაზეთებს [„ტაიმს“-ს და „Constitutionnel“-ს. რედ.] ვკითხულობთ, ჩვენთვის გასაგები ხდებიან ბერძენი ორატორები დემოსთენის ფილიპიკების დროისა მაკედონელი ხარებით ენაზე.

■

[221] რუსეთის რელიგია და ცივილიზაცია—ბიზანტიური წარმოშობისაა, და მისი მისწრაფება თავისადმი დაექვემდებარებია ბიზანტიის იმპერია, რომელიც მაშინ ასეთ დაშლის მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაცილებით უფრო ბუნებრივი იყო, ვიდრე გერმანელი იმპერატორების მისწრაფება დაექვემდებარებიათ რომი და იტალია.

■

[223] კონსტანტინოპოლი, ეს არის მარადული ქალაქი, აღმოსავლეთის რომი. აღმოსავლეთის ცივილიზაცია და აღმოსავლეთის ბარბაროსობა საბერძნეთის იმპერატორების დროს, აღმოსავლეთის ბარბაროსობა და დასავლეთის ცივილიზაცია თურქების ბატონობის დროს ისე მჭიდროდ გადაეკვდო ერთიმეორეს, რომ ეს ცენტრი თეოკრატიული იმპერიისა ევროპული პროგრესის გავრცელებისთვის ნამდვილი ზღუდე შეიქნა. როდესაც საბერძნეთის იმპერატორები გაძევებულ იქნენ თურქეთის სულთანების მიერ, ძველი ბიზანტიის იმპერიის სულმა დინასტიების ამ ცვლას გადაეახანა, და თუ სულთანი ოდესმე მეფით შეიცვლება, ახლად აღორძინებულ აღმოსავლეთ რომის იმპერიას კიდევ უფრო მეტი დემორალიზაციის მომხდენი გავლენა ექნება, ვიდრე ძველად იმპერატორის დროს ჰქონდა...

■

[224] გრაფი მალმსბერი—ძველი რომაელი არ არის. მის გრძნობებს ისე არაფერი ეწინააღმდეგება, როგორც რომაული ჩვევა უცხო ელჩების ღიად მოსმენისა სენატის კრების წინაშე.

ქ. მარქსი და ფ. ენგელსი.

პალმერსტონის სამინისტრო.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. XI. ГИЗ. 1924).

[208] რუსებისთვის ხელსაყრელია ხელი შეუწყონ ილუზიას, რომლითაც მოცულია ყირიმის ექსპედიცია, და პათოსი, რომლითაც „Post"-ი ლაპარაკობს რუსეთის აგენტებისა და ჯაშუშების შესახებ, მოგვაგონებს ესქინოსს, რომელიც, ბრალს დებდა რა დემოსთენს იმაში, რომ იგი მოსყიდულია ფილიპეს მიერ, აგრეთვე თავს იქებდა, რომ ყველაზე ადრე მიწვდა მაკედონიის მეფის საიდუმლო გეგმებს. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმისგან, რომ პრინცი ნაპოლეონ ბონაპარტე დემოსთენად გავასაღოთ.

■

[220] ცნობილია, რომ ტირის და კართაგენის მეუფენი ღმერთების წყრომას შეიწყალებდენ არა თავის მსხვერპლად მიტანით, არამედ ღარიბებისგან ბავშვების ყიდვით, რათა შემდეგ ისინი მოლოქის გავარვარებულ ხელში ჩაეგდოთ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

ბრიტანეთის არმია.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. XI. ГИЗ. 1924).

[407] თანამედროვე მსოფლიოში თუ ინდივიდუალური არა, ყოველ შემთხვევაში ეროვნული სიმდიდრე შრომის ზრდასთან ერთად იზრდება, ანტიკურ ქვეყანაში კი იგი იზრდებოდა მზარდ ეროვნულ სიზარმაცესთან ერთად.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი

ესპანეთის რევოლუცია.

(Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. XI. ГИЗ. 1924).

[472] [კარლოს V. რედ.]... ერთდროულად შეტევა აწარმოა ესპანური თავისუფლების ორ მთავარ საფუძველზე—კორტესსა და აიუნტამიენტზე (საქალაქო თემებზე). პირველი წარმოადგენს ძველი გოთური საბჭოების სახეცვლილებას, ხოლო მეორე, რომის მუნიციპალიტეტების სამემკვიდრეო და საარჩევნო საწყისთა შენარევი, განუწყვეტლად არსებობდა რომაელთა დროიდან.

კ. მარქსი.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის.

(ქართული თარგმანი სახელგამი 1932 წ.).

[7] რაგინდ სხვადასხვაც იყოს განაწილება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მაინც შესაძლებელია ისევე მის შესახებ, როგორც წარმოების შესახებაც, გამოვაცალკევოთ საერთო განსაზღვრანი, და ასევე შესაძლებელია ყველა ისტორიული განსხვავებანი არეულ და გაქრობილ იქნენ ზოგად ადამიანურ კანონებში. მაგალითად, მონა, ყმა, დაქირავებული მუშა—ყველანი იღებენ განსაზღვრული რაოდენობის სარჩოს, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს იარსებონ, როგორც მონამ, როგორც ყმამ, როგორც დაქირავებულმა მუშამ.

[9] დავასკვნათ: არსებობენ წარმოების ყველა საფეხურისთვის საერთო განსაზღვრანი, რომელთაც, როგორც ზოგადებს, აზროვნება

უკეთებს ფიქსაციას; მაგრამ ყოველი წარმოების ეგრეთწოდებული ზოგადი პირობები სხვა არა არის რა გარდა ამ აბსტრაქტული მომენტებისა, რომლებითაც ვერც ერთი ნამდვილი ისტორიული წარმოების წესი ვერ გაიგება.

[17] ცალკე ინდივიდუუმის მიმართ, რასაკვირველია, განაწილება ისე გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი კანონი, განმსაზღვრელი მისი მდგომარეობისა წარმოების სფეროში...

[18] თუ მთელს საზოგადოებას განვიხილავთ, განაწილება კიდევ ერთის მხრივ გვეჩვენება წარმოების წინ მავალად და მის განმსაზღვრელად; ამასთანავე იგი გვეჩვენება წინაეკონომიურ ფაქტად. დამპყრობელი ხალხი მიწას ანაწილებს დამპყრობელებს შორის და ამგვარად ამყარებს საადგილმამულო საკუთრების განსაზღვრულ განაწილებასა და ფორმას, განსაზღვრავს, ამიტომ, წარმოებას, ან იგი დაპყრობილებს მონებად აქცევს და მონურ შრომას ხდის წარმოების საფუძვლად. ან ხალხი რევოლუციის გზით წვრილ ნაკრებად ანაწილებს მსხვილ საადგილ-მამულო საკუთრებას და ამგვარად ამ ახალი განაწილებით ახალ ხასიათს აძლევს წარმოებას.

[19] ყველა დაპყრობის დროს სამი რამ არის შესაძლებელი. დამპყრობელი ხალხი დაპყრობილ ხალხს თავის საკუთარი წარმოების წესს ახვევს თავს (მაგალითად, ინგლისელები ირლანდიაში ამ საუკუნეში, ნაწილობრივ ინდოეთში); ან იგი ხელუხლებელს სტოვებს წარმოების ძველ წესს და კმაყოფილდება საურით (მაგალითად, თურქები და რომაელები), ანდა ადგილი აქვს ურთიერთქმედობას, რითაც ახალი წარმოიშობა,—სინთეზი (ნაწილობრივ გერმანელების მიერ წარმოებულ დაპყრობათა დროს), ყველა ამ შემთხვევაში წარმოების წესი, იქნება იგი დამპყრობელი ხალხისა, დაპყრობილისა, თუ იქნება ორივეს შერევისგან წარმომდგარი, განმსაზღვრელია იმ განაწილების, რომელიც ახლად მყარდება. თუმცა ეს უკანასკნელი წინაპირობას წარმოადგენს წარმოების ახალი პერიოდისთვის, თვით იგი კვლავ პროდუქტია წარმოების, არა მარტო ისტორიულისა საზოგადოდ, არამედ—განსაზღვრული ისტორიული წარმოების. მაგალითად, მონგოლები, რომელნიც რუსეთს ანადგურებენ, თავიანთი წარმოების შესაბამისად მოქმედებდენ, მესაქონლეობის შესაბამისად, რომლისთვისაც ფართო, დაუსახლებელი ადგილები მთავარ პირობას შეადგენს. გერმანელ ბარბაროსებს, რომლებისთვისაც ყმების საშუალებით წარმათული მიწათმოქმედება ტრადიციული იყო და რომლებსაც განმარტოებული ცხოვრება ჰქონდათ სოფლად, მით უფრო ადვილად შეეძლოთ რომის პროვინციები ამ პირობებისთვის დაე-

ქვემდებარებიათ, რომ იქ წარმომდგარი საადგილმამულო საკუთრების კონცენტრაციით მიწათმოქმედების ძველი სისტემები უკვე სრულიად გადატრიალებული იყო. არსებობს ტრადიციული წარმოდგენა, რომ ზოგიერთ პერიოდებში ადამიანები ვითომც ძარცვა გლეჯით ცხოვრობენ. მაგრამ, რათა ძარცვა შეიძლებოდეს, საჭიროა მოიპოვებოდეს საძარცვი რამ, ე. ი. წარმოება. და თვით ძარცვის წესიც წარმოების წესით განისაზღვრება. მაგალითად, ნაცია, რომელშიაც საბირჟო სპეკულიაციებია განვითარებული, არ შეიძლება იმ. გვარადვე იქნეს გაძარცული, როგორც მწყესობას მიმდევარი ნაცია.

მონის სახით საწარმოო იარაღის უშუალო ძარცვას აქვს ადგილი. მაგრამ იმ ქვეყნის წარმოება, რომლისთვისაც მონა ძარცვის საგანს შეადგენს, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელჰყოფდეს მონურ შრომას, ანდა (როგორც სამხრეთ ამერიკაში და სხვ.) მონების შესაბამისი წარმოების წესი უნდა იქნეს შექმნილი.

[26] შემდეგ: თუმცა ფული ადრიანად და მრავალმხრივად ასრულებს როლს, მაგრამ იგი მაინც გაბატონებული ელემენტი ხდება ძველად მხოლოდ ცალმხრივად ჩამოყალიბებულ ნაციებში, მოვაჭრე ერებში, და თვით ფრიად განვითარებულ ძველს დროშიაც, ბერძნებსა და რომაელებს შორის, მის სრულს განვითარებას, რაც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინაპირობას შეადგენს, მხოლოდ რღვევის პერიოდში ვხედავთ. მაშასადამე, ეს სრულიად მარტივი კატეგორია თავისი ინტენსივობით გვევლინება მხოლოდ საზოგადოების უაღრესად განვითარებულ მდგომარეობაში. იგი სრულიადაც გამჯდარი არ აქვს ყველა ეკონომიურ ურთიერთობას; მაგალითად, რომის იმპერიაში, მისი უაღრესი განვითარების დროს, საფუძველს ისევ ნატურალური ხარკი და ნატურალური ბეგარა წარმოადგენდა. ფულადი მეურნეობა იქ ნამდვილად მხოლოდ ლაშქარში იყო სავსებით განვითარებული და მთლიანად შრომას არასოდეს არ მოიცავდა.

[27] შრომა სრულიად მარტივ კატეგორიად გვეჩვენება. ასევე ძველისძველია მასზე წარმოდგენა ამ ზოგადობაში, როგორც შრომაზე საერთოდ. მიუხედავად ამისა, „შრომა“, ეკონომიურად ამ მარტივ ფორმაში აღებული, ისევე თანამედროვე კატეგორიაა, როგორც ის ურთიერთობანი, რომელნიც იმ მარტივ აბსტრაქციას წარმოშობენ.

[29] ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების უაღრესად განვითარებული და მრავალსახოვანი ისტორიული ორგანიზაციაა; კატეგორიები, რომელნიც ამ საზოგადოების ურთიერთობათ გამოსახავენ, მისი სტრუქტურის გაგება, შესაძლებლობას აძლევს მას ჩაიხედოს

ყველა მოსპობილ საზოგადოებრივ ფორმათა სტრუქტურასა და საწარმოო ურთიერთობაში, რომელთა ნანგრევებსა და ელემენტებზე იგი აღიმართა ისე, რომ ნაწილობრივ ზოგ ნაშთებს, რომელთაც მან ჯერ კიდევ ვერ სძლია, იგი თან მიათრევს, ნაწილობრივაც ზოგს, რაც წინად მარტოოდენ ჩანასახის სახით არსებობდა, სრულს მნიშვნელობამდე ანვითარებს და სხვ. ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, უმაღლესის ნიშნები დაბალი სახის ცხოველებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაგებულ იქნეს, თუ ეს უმაღლესი უკვე ცნობილი არის. ბურჟუაზიული ეკონომია იძლევა გასაღებს ანტიკური ეკონომიისთვის და სხვ. მაგრამ სრულიადაც არა იმ ეკონომისტებისებურს, რომელნიც ყველა ისტორიულ განსხვავებას წარხოცენ და ყველა საზოგადოებრივ ფორმაში ბურჟუაზიულს ხედავენ. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ხარკი, მეათედი (десятина) და სხვ., თუ ვიცით საადგილმამულო რენტა. მაგრამ არ უნდა გავაიგივეოთ ისინი.

და რადგან, შემდეგ, თვით ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარების ანტაგონისტური ფორმაა, ამიტომ ჩვენ მასში ვხვდებით უწინდელ ფორმათა ურთიერთობას ხშირად გადაგვარებულს ანდა სახეშეცვლილს, მაგალითად, სათემო საკუთრებას. ამიტომ, თუ მართალია, რომ ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიები ყველა საზოგადოებრივ ფორმათათვის შეიცავს ჭეშმარიტებას, ეს ჩვენ უნდა მივიღოთ cum grano salis. ეს კატეგორიები შეიძლება ამ ურთიერთობათ შეიცავდეს განვითარებული, გადაგვარებული, გაკარიკატურებული და სხვ. სახით, მაგრამ—ყოველთვის არსებითად შეცვლილი სახით. ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება იმაზეა „საზოგადოდ დამყარებული, რომ უკანასკნელი ფორმა წინანდელ ფორმებს თავის საფეხურებად განიხილავს და ყოველთვის ცალმხრივად გაიგებს, ვინაიდან მას იშვიათად და მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ პირობებში შესწევს თვითკრიტიკის უნარი; რასაკვირველია, აქ ლაპარაკია არა ისეთ ისტორიულ პერიოდებზე, რომლებიც თავისთავად დაცემის ხანას წარმოადგენს. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მარტოოდენ მაშინ მოიპოვა წინანდელი მითოლოგიის გაგებისთვის ხელის შეწყობის უნარი, როდესაც მისი თვითკრიტიკა განსაზღვრულ ზომამდე, ასე ვსთქვათ dynamei მომზადებული იყო. ასევე ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მარტოოდენ მაშინ მიაღწია ფეოდალური, ანტიკური, აღმოსავლური საზოგადოების გაგებას, როდესაც დაწყებულ იქნა ბურჟუაზიული საზოგადოების თვითკრიტიკა. რამდენადაც ბურჟუაზიული ეკონომია, მითოლოგიურად, თავის თავს პირწმინდათ (?) არ აიგივეებდა წარსულთან, მის მიერ წარმოებული კრიტიკა წინანდელი, სა-

ხელდობრ ფეოდალური (საზოგადოებისა), რომლის წინააღმდეგ მას უშუალოდ ბრძოლა უხდებოდა, იმ კრიტიკას ჰგავდა, რომელსაც ქრისტიანობა წარმართობის წინააღმდეგ ანდა პროტესთანტიზმი კათოლიციზმის წინააღმდეგ აწარმოებდა.

■

[31] მტკიცე ბინადარ მიწათმომქმედ ხალხებში,—ეს მტკიცე ბინადრობა უკვე დიდ პროგრესს წარმოადგენდა,—სადაც მიწათმოქმედებას უპირატესობა აქვს მოპოვებული, როგორც ანტიურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში, თვით მრეწველობასა და მის ორგანიზაციას და საკუთრების ფორმებს, რომელნიც მას შეესაბამებიან, მეტნაკლებ მიწათმფლობელური ხასიათი აქვს; [საზოგადოება] ან საკვებით დამოკიდებულია მიწათმოქმედებაზე, როგორც ძველ რომაელებში, ანდა იგი ჰბაძავს, როგორც საშუალო საუკუნეებში, სოფლის ორგანიზაციის ურთიერთობას ქალაქად... ყველა იმ ფორმაში, სადაც საადგილმამულო საკუთრებაა გაბატონებული, ჯერ კიდევ ბუნებით მოცემული დამოკიდებულება ბატონობს.

■

[32] ის სიწმინდე (აბსტრაქტული გარკვეულობა), რომლითაც მოვაჭრე ხალხები—ფინიკიელები, კართაგენელები—ძველს ქვეყანაში გამოჩნდენ, სწორედ მიწათმომქმედ ხალხთა გაბატონების ბიზანტიაა მოცემული. კაპიტალი სავაჭრო ანუ ფულადი კაპიტალის სახით ჩნდება სწორედ ამ აბსტრაქციაში იქ, სადაც კაპიტალი ჯერ კიდევ არ არის საზოგადოების გაბატონებული ელემენტი. ლომბარდელებს, ებრაელებს იგივე ადგილი უკავიათ მიწათმოქმედების მაწარმოებელ საზოგადოებათა მიმართ საშუალო საუკუნეებში.

■

[33] ომი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე მშვიდობიანობა; (განსამარტებელია) ის წესი, თუ როგორ განვითარდა ზოგი ეკონომიური ურთიერთობა, როგორიცაა დაქირავებული შრომა, მანქანები და სხვ., უფრო ადრე ომის გზითა და ლაშქარში, ვიდრე ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით.

■

[34] მატერიალური წარმოების განვითარების უთანასწორო შეფარდება, მაგალითად, ხელოვნებითს წარმოებასთან. საზოგადოდ პრო-

გრესის ცნება არ უნდა ავიღოთ ჩვეულებრივს აბსტრაქციაში. ხელოვნების შესახებ ეს უპროპორციულობა ისე მნიშვნელოვანი და ძნელი არ არის გასაგებად, როგორც თვით პრაქტიკულ-სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, მაგალითად, შეერთებული შტატების განათლების შედარება ევროპის განათლებასთან. მაგრამ ნამდვილი ძნელი პუნქტი, რომელიც აქ უნდა განმარტებულ იქნეს, შემდეგში მდგომარეობს: საწარმოო ურთიერთობანი სამართლის ურთიერთობათა სახით როგორ განიცდიან არათანასწორ (?) განკითარებას. მაშასადამე, მაგალითად, დამოკიდებულება რომის კერძო სამართლისა (სისხლის სამართალსა და საჯარო სამართალში ამას ნაკლებ აქვს ადგილი) თანამედროვე წარმოებასთან.. ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულიადაც არ შეეფარდება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, აგრეთვე მატერიალურ საფუძველს, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩოხჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან ანდა აგრეთვე შექსპირი. ხელოვნების ზოგიერთი სახის, მაგ., ეპოსის, შესახებ აღიარებულიც კია, რომ იგი თავისი კლასიკური ფორმით, რომელიც ეპოქის შემქმნელია მსოფლიო ისტორიაში, უკვე ველარ წარმოიშობა, როგორც კი ხელოვნებითი წარმოება, როგორც ასეთი, დაიწყება; რომ ამგვარად, თვით ხელოვნების სფეროში ზოგი მნიშვნელოვანი ფორმები ხელოვნების განვითარების მხოლოდ დაბალ საფეხურზეა შესაძლებელი. თუ ეს ასეა ხელოვნების სხვადასხვა სახეების შეფარდების მხრივ თვით ხელოვნების სფეროში, მით ნაკლებ გასაკვირი უნდა იყოს, თუ ამასვე ადგილი აქვს ხელოვნების მთელი სფეროს შეფარდების მხრივ საზოგადოების საერთო განვითარებასთან. სიძნელე მხოლოდ ამ წინააღმდეგობათა ზოგად გამოსახვაში მდგომარეობს. თუ კი ჩვენ ეს წინააღმდეგობანი დავაკონკრეტეთ, ისინი უკვე ახსნილი არიან. ავიღოთ, მაგალითად, საბერძნეთის ხელოვნებისა და შემდეგ შექსპირის დამოკიდებულება ახლანდელ დროსთან. ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელია იმ შეხედულებას ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ბერძნულ ფანტაზიასა და, ამიტომ, ბერძნულ (ხელოვნებას) საფუძვლად უდევს, ადგილი ჰქონდეს სელფაქტორის, რკინისგზების, ორთქლმავალებისა და ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს? სადღაა ადგილი ვულკანისთვის Roberts et C°-ის გვერდით, იუპიტერისთვის მეხამრიდის გვერდით და ჰერმესისთვის Crédit Mobilier-ს გვერდით.

ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადამე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად. სადღაა ადგილი ღმერთქალი ფამასთვის (სამართლიანობის ღმერთქალისთვის) Printinghousesquare-ის („Times"-ის ტიპოგრაფია ლონდონში) გვერდით? ბერძნული ხელოვნება გულისხმობს ბერძნულ მითოლოგიას, ე. ი. ბუნებასა და საზოგადოებრივ ფორმასაც, რომელმაც უკვე მიიღო შეუცნობლად ხელოვნების წესით გადამუშავება ხალხის ფანტაზიის მიერ. ეს არის მისი მასალა. არა ყოველი რომელიც გინდა მითოლოგია, ბუნების არა ყოველი რომელიც გინდა შეუცნობლად ხელოვნებითი გადამუშავება. (აქ მასში იგულისხმება ყველაფერი საგნობრივი, მაშასადამე, საზოგადოება. ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ გახდებოდა საბერძნეთის ხელოვნების ნიადაგად და წიაღად. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი მითოლოგია კი (უნდა ყოფილიყო) ეს. ამნაირად, (ბერძნული ხელოვნების ნიადაგი) არასგზით არ შეეძლო (შეექმნა) ისეთ საზოგადოებრივ განვითარებას ბუნებასთან, რომელიც გამორიცხავს ყოველ გამმითებულ მიმართებას მისადმი, მაშასადამე, მითოლოგიისგან, დამოუკიდებელ ფანტაზიას მოითხოვს ხელოვანისაგან.

მეორეს მხრივ: შესაძლებელია ახილესი დენთისა და ტყვიის არსებობის დროს? ანდა საზოგადოდ ილიადა საბეჭდი დაზგისა და საბეჭდი მანქანის არსებობისას? განა არ ჰქრება აუცილებლად სიმღერა, არაკი და მუზა სასტამბო პრესის გაჩენასთან ერთად, არ ჰქრება, მაშასადამე, ეპიური პოეზიის აუცილებელი პირობები?

მაგრამ სიძნელე ამის გაგებაში კი არ მდგომარეობს: ბერძნული ხელოვნება და ეპოსი რომ განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთანაა დაკავშირებული. სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ კიდევ ხელოვნებითს სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრულის მხრივ ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

მამაკაცი ხელახლა ბავშვად ვერ იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაბავშვდება. მაგრამ განა მას არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა, განა თვით იგი არ უნდა მიისწრაფოდეს, რომ უმაღლეს საფეხურზე გადმოსცეს მისი ნამდვილი არსება, და განა ბავშვის ბუნებაში სიცოცხლეს არ მოიღებს ყოველ ეპოქაში მისი საკუთარი ხასიათი თავისი ჭეშმარიტი ბუნებრივი სახით? კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშვობას, როდესაც იგი უმშვენიერესად გაიშალა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, რო-

გორც განუმეორებელ საფეხურს? არიან გაუწვრთენელი ბავშვები და ნაადრევად ჭკვიანი ბავშვები. ძველ ხალხთაგან ბევრნი ამ კატეგორიას ეკუთვნიან. ბერძნები ნორმალური ბავშვები იყვნენ. ჩვენთვის მათი ხელოვნების მომხიბლველობა არ ეწინააღმდეგება განუვითარებელ საზოგადოებრივ საფეხურს, რომელზედაც იგი აღმოცენდა, იგი, პირიქით, მისი შედეგია, განუყრელად დაკავშირებულია, უფრო, იმ გარემოებასთან, რომ ის მოუმწიფებელი საზოგადოებრივი პირობები, რომლებშიაც იგი წარმოიშვა და სადაც მარტოოდენ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, არასოდეს არ შეიძლება განმეორდეს.

კ. მარქსი.

პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკისათვის.

(ქართული თარგმანი 1932 წ.).

[42] ფართო მოხაზულობით, შესაძლებელია აზიურ, ანტიურ, ფეოდალურ და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოების წესს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესიული ეპოქები ეწოდოს.

[45] .... თითოეული საქონელი შეიძლება წარმოვიდგინოთ ორგვარი თვალსაზრისის მიხედვით: როგორც **სახმარი ღირებულება** და როგორც **საცვლელი ღირებულება**[1].

[1] Aristot. d. Rep. 1. I, c. 9. (edit. I Bekkeri, Oxonii, 1837). „რადგან ყოველი დოვლათის ხმარება ორნაირია... პირველი არის თვისება ნივთისა, როგორც ასეთის, ხოლო მეორე—არა. ასე, მაგალითად, სანდალი ფეხის შესამოსად იხმარება და გასაცვლელად. ერთიც და მეორეც სანდლის სახმაო ღირებულებაა, ვინაიდან ისიც, ვინც სანდალს მისთვის საჭირო რამეზე, მაგალითად, საკმელხე, ცვლის, სანდალს, როგორც სანდალს ხმარობს მაგრამ ეს არ არის მისი მოხმარების ბუნებრივი წესი, რადგან სანდალი გაცვლისათვის არ არსებობს. ასეა საქმე სხვა დოვლათთა შესახებაც“.

[52] პირიქით, სოფლურ-პატრიარქალურ მრეწველობაში, როდესაც მრთველი და ფეიქარი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდენ, როდესაც ოჯახის მდედრობითი ნაწილი რთავდა, მამრობითი ნაწილი ქსოვდა,—ოჯახის საკუთარი მოთხოვნილებისთვის,—ნართი და ტილო **საზოგადოებრივ** პროდუქტებს წარმოადგენდა, რთვა და ქსოვა **საზოგადოებრივ** შრომას წარმოადგენდა ოჯახის ფარგალში, მა-

გრამ მათი საზოგადოებრივი ხასიათი იმაში არ მდგომარეობდა, რომ ნართი როგორც საყოველთაო ეკვივალენტი იცვლებოდა ტილოზე როგორც საყოველთაო ეკვივალენტზე, ან რომ ორივე ერთი მეორეზე იცვლებოდა როგორც ერთი და იმავე საყოველთაო სამუშაო დროის თანასწორმნიშვნელოვანი და თანასწორფასეული გამოხატულება. პირიქით, ოჯახური კავშირი თავისი ბუნებრივად აღმოცენებული შრომის დანაწილებით თავისებურ საზოგადოებრივ ბეჭედს ასვამდა შრომის პროდუქტს. ან ავიღოთ საშუალო საუკუნეების ნატურალური ბეგარა და ნატურალური გადასახადები. ცალკე პირთა სხვადასხვა განსაზღვრული შრომა თავისი ნატურალური ფორმით, შრომის განსაკუთრებულება და არა მისი საყოველთაობა შეადგენს აქ საზოგადოებრივ კავშირს. ანდა ავიღოთ, დასასრულ, თემური შრომა მისი ბუნებრივად აღმოცენებული ფორმით, როგორც ჩვენ მას ყველა კულტურულ ხალხთა ისტორიის ბეჭეზე ვპოულობთ [1]...

---

[1] ამ ბოლო დროს გავრცელდა სასაცილო ცრუ შეხედულება, ვითომ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ი სათემო საკუთრების ფორმა სპეციფიურად სლავური ან მხოლოდ და მხოლოდ რუსული ფორმა იყოს. ნაძდვილად იგი საკუთრების პირველყოფილი ფორმაა, რომელსაც ჩვენ ხვდებით რომაელებსა, გერმანელებსა და კელტებს შორის; ინდოეთში კი დღესაც მოიპოვება ამის მრავალგვარი ნიმუშები, თუმცა ნაწილობრივ უკვე დაშლილი სახით. სათემო საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდიური ფორმების ხედმიწევნითი შესწავლა ჩვენ დაგვანახვებდა, თუ ბუნებრივად აღმოცენებული სათემო საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოსდგება მათი რღვევის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კერძო საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი.

■

[53] აქ წარმოების წინამძღვარია თემური წყობილება, რაც ხელს უშლის, რომ ცალკე პიროვნების შრომა კერძო შრომა და მისი პროდუქტი კერძო პროდუქტი იყოს, და რის გამო ცალკე შრომა, უფრო გვეელინება უშუალოდ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქცია.

■

[57] ასე, ანტიურ საოჯახო მრეწველობაში ქალები ტანისამოსს აწარმოებდენ ტანისამოსის საცვლელი ღირებულების უწარმოებლად.

■

[68] მისი მფლობელისთვის საქონელი სახმარი ღირებულებაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი საცვლელი ღირებულებაა [1].

[1] ამ განსაზღვრულობით ჰქონდა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ს წარმოდგენილი საცვლელი ღირებულება (იხ. ამ თავის დასაწყისში მოყვანილი ადგილი).

■

[73] მართლაც, საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესი წარმოიშვება თავდაპირველად არა ბუნებრივად აღმოცენებული თემის წიაღში [1]... არამედ მის საზღვრებზე... ის განსაკუთრებული სახმარი

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ამასვე შენიშნავს, კერძო ოჯახის, როგორც თავდაპირველი საზოგადოებრივი ერთეულის შესახებ. მაგრამ თვით ოჯახის თავდაპირველი ფორმა საგვარეულო ოჯახია, საიდანაც ისტორიული დაშლის გზით კერძო ოჯახი წარმოსდგება. „თავდაპირველ საზოგადოებრივ კავშირში ე. ი. ოჯახში, ცხადია, არ არსებობს მისი (გაცვლის) აუცილებლობა“ (1. c.).

ღირებულებანი, რომელნიც სხვადასხვა თემთ შორის წარმოებულ გაცვლითს ვაჭრობაში საქონლად იქცევიან, როგორიცაა მონა, ცხოველი, ლითონი, შეადგენენ, ამიტომ, უმრავლეს შემთხვევაში ფულს თვით თემის შიგნით.

■

[83 შენიშვნა 3] პატრიარქალურ მიწათმოქმედებას, რომელიც ემსახურებოდა უშუალოდ სახმარ ღირებულებათა წარმოებას მემამულისათვის, იგი, ამიტომ, „ბოროტებად“ სთვლის, თუ სპარტაში ან რომში ან ათინაშიაც კი არა, მგთვრამეტე საუკუნის სამრეწველო ქვეყნებში მაინც.

■

[86] წინააღმდეგ ა დ ა მ ს მ ი ტ ს ა, დ ა ვ ი თ რ ი კ ა რ დ ო მ თანამიმდევრობით გამოიმუშავა საქონლის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროის საშუალებით და დაგვანახვა, რომ ეს კანონი ... ბურჟუაზიულ საწარმოო უთრიერთობაზედაც კი ბატონობს ... ყოველ შემთხვევაში, იგი გრძნობს, რომ კანონის განხორციელება განსაზღვრულ ისტორიულ წინაპირობებზეა დამოკიდებული... ნამდვილად ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ღირებულების კანონი თავისი სრული განვითარებული სახით გულისხმობს მსხვილი სამრეწველო წარმოებისა და თავისუფალი კონკურენციის შემცველ საზოგადოებას, ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

[93 შენიშვნა 1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი, მართალია, მიმხვდარია, რომ საკონელთა ფასი მათი საცვლელი ღირებულების წინასწარ არსებობას გულისხმობს: „ცხადია, გაცვლა-გამოცვლა ფულზე ადრე არსებობდა, ვინაიდან სულერთია, მივცემთ სახლში ხუთ ლოგინს, თუ იმდენ ფულს, რამდენიც ხუთი ლოგინი ღირს“. მაგრამ, მეორეს მხრივ რადგან საკონელთ მხოლოდ ფასში აქვთ ერთძანეთისთვის საცვლელი ღირებულების ფორმა, ამიტომ იგი ფულის საშუალებით სთელის მათ თანაზომადად. „ამის გამო ყველაფერი იმით (ფულით) ზომდა იქნეს შეფასებული ამგვარად, ყოველთვის შესაძლებელი იქნება გაცვლა-გამოცვლა და, მაშასადამე, ურთიერთობა. ფული, მსგავს დ ზომისა, ყველაფერს თანაზომადად ხდის და შეათანასწორებს. ვინაიდან უგაცვლა-გამოცვლოდ არ იქნებოდა ურთიერთობა, თანასწორობის გარეშე არ იქნებოდა გაცვლა-გამოცვლა, ხოლო თანაზომადობის გარეშე—თანასწორობა“; იგი არ მალავს, რომ ეს სხვად სხვა ნივთები, რომლებიც ფულით გაიზომება, საკუთარი არათანაზომადი სიდიდეებია. რასაც იგი ეძებს, ეს არის საკონელთა, როგორც საცვლელ ღირებულებათა, ერთიანობა, რომელსაც იგი, როგორც ანტიური ბერძენი, ვერ პოულობს. გასაპიროიდან თაკის დახმარებას იმით ახერხებს, რომ თავის თავად არათანაზომად საგნს ფულის საშუალებით თანაზომადად ხდის, რამდენადაც ეს პრაქტიკული მოთხოვნილებისთვის საკმარო არის. „ნამდვილად არ შეიძლება ასეთი გაბსხვავებული თანაზომადად ვაქციოთ, მაგრამ პრაქტიკული მიზნისთვის ეს ადვილად დასაშვებია“. (Arist., Ethic. Nicom. I. 5, c. 8, edit. Bekkeri. Oxonii 1837).

■

[100 შენიშვნა 1] „ა ნ ა ხ ა რ ს ი ს მ ა, რომელსაც ვიღაცამ ჰკითხა, ბერძნები ფულს რისთვის ხმარობენო, უპასუხა: ანგარიშისთვისო“ (Athen. Deipn., I, IV, 49, v. 2, ed. Schweighäuser, 1802).

■

[151] ანტიურ მწერლებს, რომელთაც მხოლოდ ლათინური მიმოქცევის მოვლენებზე შეეძლოთ დაკვირვება მოეხდინათ, მონეტა ესმით უკვე როგორც სიმბოლო ანუ ღირებულების ნიშანი. ასე, მაგალითად, პ ლ ა ტ ო ნ ს [2] და ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ს [3].

2. Plato, de Rep. I. II. („ფული გაცვლა-გამოცვლის სიმბოლოა“) Opera omnia etc. ed. G. Stallbaumius. London, 1850. p. 301. პ ლ ა ტ ო ნ ი ფულს ანვითარებს მხოლოდ ორ დანიშნულების მხრივ: როგორც ღირებულების საზომს და როგორც ღირებულების ნიშანს, მაგრამ ღირებულების იმ ნიშანს გარდა, რომელიც შინაგანი მიმოქცევისთვის გამოიყენება, მოითხოვს კიდევ ღირებულების სხვა ნიშანს საბერძნეთთან და უცხოეთთან აღებთ-მიცემისთვის (შეად. აგრეთვე მისი კანონების მე-5 წიგნი).

3. [151] Aristoteles, Ethic. Nicom. I. 5 c. 8. l. c. „საურთიერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას ფული გაცვლა-გამოცვლის საშუალება გახდა შეთანხმების გზით, ამიტომ მისი სახელწოდებაა νόμισμα ვინაიდან იგიარსებობს არა ბუნებით, არამედ νόμῳ-ს დადგენილებით, და ჩვენს ხელთ არის შევსცვალოთ იგი და გავხადოთ მსვლელობას მოკლებული“. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ მ ა პ ლ ა ტ ო ნ ზ ე გაცილებით უფრო მრავალმხრივად და ღრმად გაიგო ფული. შემდეგ ადგილას იგი ლამაზად არკვევს, თუ სხვადასხვა თვებებს შორის გაცვლა-გამოცვლიდან

როგორ წარმოსდგება ის აუცილებლობა, რომ ფულის ხასიათი მიეცეს ერთ სპეციფიურ საქონელს, რომელიც თვითონ ფასეულ სუბსტანციას წარმოადგენს. „როდესაც გაცვლა-გამოცვლამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, აუცილებლის შემოტანისა და ზედმეტის გატანის გამო, აუცილებლობის გზით შემოღებულ იქნა ფულის ხმარება... რის გამო დაწესებულ იქნა, მიღებული ყოფილიყო და გაცემული ყოფილიყო გაცვლა-გამოცვლისას ისეთი რამ, რასაც თვითონ აქვს სასარგებლო გამოსაყენებლობა და იმავე დროს მოხერხებულია გაცვლა-გამოცვლისათვის. მაგალითად, რკინა, ვერცხლი და სხვა" (Arist., De Rep. lib. I c. 9. l. c.) ეს ადგილი მოჰყავს მ ი შ ე ლ შ ე ვ ა ლ ი ე ს, რომელსაც ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ან არ წაუკითხავს ან ვერ გაუგია, იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომ არისტოტელის შეხედულებით მიმოქცევის საშუალება ფასეული ნივთიერებისაგან უნდა შესდგებოდეს რომელსაც თავისთავად არ აქვს ღირებულება. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი, პირიქით, გარკვეულად ამბობს, რომ ფულს როგორც მარტოოდენ მიმოქცევის საშუალებას, ეტყობა, მხოლოდ პირობითი ანუ კანონით დაწესებული არსებობა აქვს, როგორც მისი სახელწოდება νόμισμα უჩვენებს და როგორც ეს იქიდან სჩანს, რომ იგი ნამდვილად თავის სახმარ ღირებულებას როგორც მონეტა მხოლოდ თავის ფუნქციისაგან მოიღებს და არა მისდამი კუთვნილი სახმარი ღირებულებისგან.

■

[164] იმ ხალხებში, რომელთაც წმინდა ლითონური მიმოქცევა აქვთ, როგორც ეს ძველ ხალხებში იყო, განძის შედგენა წარმოადგენს პროცესს, რომელსაც ყველგან აწარმოებენ კერძო პირნი და სახელმწიფოც, რომელიც თავის სახელმწიფო განძს უვლის. უძველეს დროში, აზიასა და ეგვიპტეში, მეფეთა და ქურუმთა სალაროებში დაცული განძი უპირატესად მათი ძლიერების დამამტკიცებელი იყო. საბერძნეთსა და რომში სახელმწიფო განძის, როგორც მუდამ უზრუნველყოფილი და მტკიცე ფორმის გარდამეტის, შექმნა პოლიტიკის საგანს შეადგენდა. ამგვარ განძთა სწრაფი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში დამპყრობელთა მიერ და მათი ნაწილობრივ უეცარი გადადინება მიმოქცევაში ანტიურ ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენს.

■

[165] საქონლის მფლობელმა, რომელიც ახლა განძის დამგროვებლადაა გადაქცეული, შეძლებისამებრ ბევრი უნდა გაჰყიდოს და შეძლებისამებრ ნაკლები იყიდოს, როგორც ამას უკვე ასწავლიდა ძველად კ ა ტ ო ნ ი: patrem familias vendacem, non emacem esse.

■

[170] ამგვარად, ფული წარმოადგენს იმდენადვე საგანს, რამდენადაც წყაროს გამდიდრებისადმი მისწრაფებისას[1].

---

[1] „ფულიდან აქვს თავისი დასაწყისი სიძუნწეს... რომელიც თანდათან რაღაც გახელებამდე გაიზარდა; ეს უკვე აღარ იყო სიძუნწე, არამედ—ოქროს წყურვილი".

■

[170] ცხვრების დაგროვება მწყემსად მხდის, მონებისა და ადგილმამულის დაგროვება საპიროდ ხდის ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობას და სხვა.

[171 შენიშვნა 1] ჰ ო რ ა ც ი ს. ამგვარად, განძის შედგენის ფილოსოფიის არა ესმის რა, როდესაც ამბობს (Satir. I, II, Satir. III): „თუ ვინმე ყიდულობს ჩანგებს და მათ ერთად აწყობს, ასე რომ არც ჩანგზე სწავლობს, არც მუზას ეწესახურება; თუ მეწაღის დანებს და კალაპოტებს ყიდულობს არა მეწაღე და გემის იალქნებს—კაცი, რომელსაც ვაპრობისადმი მიდრეკილება არა აქვს, ასეთი კაცი ყველას სამართლიანად შეეძლება ჩასთვალოს შერყეულად და სულელად. რით განსხვავდება ასეთებისგან ის, ვინც ფულსა და ოქროს აგროვებს და მოგროვილის მოხმარება არ იცის, ეშინია რა მას მიეკაროს, როგორც რაიმე ღვთიურ საგანს“.

[172] რაც უფრო განუვითარებელია სადმე საქონლის წარმოება, მით უფრო მნიშვნელოვანია იქ ღირებულების გამოცალკევება ფულის სახით,—განძის შედგენა, რომელიც, ამიტომ, დიდ როლს ასრულებს ძველ ხალხებში, აზიაში დღემდეც, და თანამედროვე მიწათმომქმედ ხალხებში, სადაც საცვლელი ღირებულება ჯერ კიდევ არ მოსდებია ყველა საწარმოო ურთიერთობას.

[173] ის მოვლენა, რომ სიმდიდრის ზრდასთან ერთად ოქროსი და ვერცხლის, როგორც ფუფუნების საგნების, ხმარება იზრდება, ისეთი მარტივი რამ არის, რომ იგი ძველებს სრულიად ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი [1].

---

[1] იხ. ქვემოდ ქ ს ე ნ ე ფ ო ნ ი დ ა ნ მოყვანილი ადგილი.

[175 შენიშვნა 1] შემდეგ ადგილას ქსენოფონი ანვითარებს ფულს ცნებას მის სპეციფიურ ფორმაგანსაზღვრულობაში, როგორც ფულს და განძს: „მხოლოდ ამ ერთ საქმეში იმ მრავალ საქმეთაგან, რომლებსაც ვიცნობ, არავის აქვს მომწყობელთა შური. რაც უფრო მდიდარი აღმოჩნდება ვერცხლის მადნები და რაც უფრო მეტი ვერცხლი იქნება მოპოვებული, მით უფრო მეტი ადამიანი ჰკიდებს ხელს ამ საქმეს. მოძრავ ქონებას, თუ ვინმემ იგი იმ ფინი შეიძინა თავის სახლისთვის, რამდენიც სჭირია, მეტის რაოდენობით აღარ იყიდის, ფული კი არავის არასოდეს ისე ბევრი არ შეუძენია, რომ იგი კიდევ არ სჭიროდეს; თუ იგი ვინმეს მოპარებულად აღმოაჩნდება, გარდამეტს

მიწაში ჩაფლავს და იმავე ნაკლებ არ სიამოვნებს, ვიდრე რომ მოეხმარა იგი, როდესაც სახელმწიფონი კეთილდღეობაში არიან, ადამიანებს ფული ძალიან სჭირიათ: მამაკაცებს სურთ დაბარჯონ იგი ლამაზ იარაღსა და კარგ ცხენებში, დიდებულ სასახლეებსა და ნაგებობაში; ქალები მიილტვიან ძვირფასი ჩაცმულობისა და ოქროს მორთულობისადმი. ხოლო როდესაც სახელმწიფონი გაჭირვებას განიცდიან მოუსავლობისა ან ომის გამო, რომლის დროს მიწის დამუშავება კიდევ უფრო მეტრდება, ადამიანებს ფული ესაჭიროებათ სანოვაგის საყიდლადაც და ჯარის დასაქირავებლადაც". (Xen. De Vectig. c. IV) ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი „რესპუბლიკის" (c. 9. 1) 2-ში ანვითარებს მიმოქცევის ორსავე პროცესს, ს-ფ-ს და ფ-ს-ფ-ს, მათს დაპირისპირებაში „ეკონომიკისა" და „ბრემატისტიკის" სახელწოდებით. ორივე ფორმა ერთი მეორისადმი დაპირისპირებული იყო საბერძნეთის ტრაგიკოსების მიერ, განსაკუთრებით ე ვ რ ი პ ი დ ე ს მიერ, როგორც ἄχη და χέρδος.

■

[185] თუ იმავდროულად შესასრულებელი სხვადასხვა გადახდა ერთ ადგილასაა თავმოყრილი, რაც ბუნებრივად წარმოსდგება მხოლოდ საქონელთა მიმოქცევის დიდ შესაკრებ პუნქტებში, მაშინ ეს სხვადასხვა გადახდა როგორც უარყოფითი და დადებითი სიდიდე ერთი მეორეს აბათილებს... სპეციალური დაწესებულებანი გადახდათა ასე გასასწორებლად წარმოსდგებიან დაძოუკიდებლად საკრედიტო სისტემის განვითარებისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ძველ რომში.

■

[188] ის დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც ძვირფას ლითონთა ღირებულების დაცემა გამოიწვია ევროპაში, ისევე ცნობილი ფაქტია, როგორც ის პირიქითი რევოლუცია, რომელიც ძველი რომის რესპუბლიკის ადრინდელ ეპოქაში მოხდა იმის გამო, რომ აიწია სპილენძის ღირებულებამ,—სპილენძის, რომლითაც დადებული იყო პლებეების სავალო ხელშეკრულებები... ძვირფას ლითონთა ღირებულების დაცემა სარგებლობას აძლევს მოვალეებს მევალეების ხარჯზე, ხოლო მათი ღირებულების აწევა მევალეებს აძლევს მოვალეების ხარჯზე სარგებლობას.

■

[189]... უფორმო ნედლი ლითონი (aes rude) თავდაპირველი ფორმა იყო მიმოქცევის საშუალების და თვით მონეტური ფორმა თავდაპირველად მხოლოდ ოფიციალური სახელწოდება იყო ლითონის ნაკრებში მოქცეული წონისთვის.

■

[196] გარდა მათი იშვიათობისა, ოქროს და ვერცხლის დიდი სირბილე შედარებით რკინასთან და თვით სპილენძთანაც კი (ნაწრთობ მდგომარეობაში, რა სახითაც მას ძველები ხმარობენ)...

■

[197] მაგრამ მათ მაინც, (ოქროსა და ვერცხლს. რედ.) როგორც ამას უკვე ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ც შენიშნავს, უფრო მტკიცე ღირებულების სიდიდე აქვთ, ვიდრე სხვა საქონელს საშუალოდ.

■

[197]... დაპყრობათ და სხვა პოლიტიკურ გადატრიალებათ, რომელნიც ლითონთა ღირებულებაზე დიდ გავლენას ახდენდენ ძველ ქვეყანაში, მხოლოდ ადგილობრივი და დროებითი მნიშვნელობა აქვთ. ...ამიტომ, მისი ნაკლები აბსოლუტური იშვიათობის მიუხედავად, ვერცხლის თავდაპირველი ღირებულება შედარებით უფრო დიდია, ვიდრე ოქროსი. ს ტ რ ა ბ ო ნ ი თუ გვარწმუნებს, რომ არაბების ერთ თემში 10 გირვანქა ოქროს 1 გირვანქა რკინაში და 2 გირვანქა ოქროს 1 გირვანქა ვერცხლში აძლევდენ,—ეს სრულიადაც არაა დაუჯერებლად მისაჩნევი... ძველს აზიაში ოქროს და ვერცხლის შეფარდება იყო როგორც 6:1 ან 8:1, უკანასკნელი შეფარდება ჩინეთსა და იაპონიაში ჯერ კიდევ მე 19 საუკუნის დასაწყისს; 10:1 შეფარდება ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ი ს დროს, შეიძლება მივიჩნიოთ საშუალო შეფარდებად ძველი დროის შუა ხანებში. ესპანიის ვერცხლის მადნების ექსპლოატაციას კართაგენის მიერ და შემდგომ რომის მიერ დაახლოვებით ისეთივე გავლენა ჰქონდა ძველს დროში, როგორც ამერიკის მადნების აღმოჩენას თანამედროვე ევროპაში. რომის იმპერატორთა ეპოქისთვის 15 ან 16:1 შეიძლება დაახლოვებით საშუალოდ მივიჩნიოთ, თუმცა ჩვენ ხშირად ვერცხლის უფრო მეტად ფასდაცემას ვხვდებით რომში ... საშუალო საუკუნეებში ნორმალური შეფარდებაა, ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ი ს დროის მსგავსად, 10:1 და, ამერიკის მადნების აღმოჩენის გამო, ხდება 16 ანუ 15:1.

■

[203] სრულიად შეუფერებელია ი უ მ ი ს მოწაფეების მიერ ჩვეული მითითება ფასების გადიდებაზე ანტიურ რომში მაკედონიის, ეგვიპტისა და მცირე აზიის დაპყრობის გამო. ძველი ქვეყნის დამახასიათებელი მოვლენები: დაგროვებული ფულადი განძის უეცარი და ძალადობითი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ძვირფას ლითონთა წარმოების ხარჯების დროებითი შემცირება განსაზღვრული ქვეყნისთვის წარმოების უ ბ რ ა ლ ო მძარცველობითი პროცესის გზით,—ისევე არ ეხება ფულის ბიმოქცევის იმანენტურ კანონებს, როგორც,

ეთქვათ, ეგვიპტედან და სიცილიიდან მოტანილი ხორბლის მუქთად დარიგება რომში არ სცვლის საყოველთაო კანონს, რომელიც ხორბლის ფასს აწესრიგებს.

კ. მარქსი.

შრომის ხელფასი, ფასი და მოგება.

(კ. მარქსი: რჩეული ნაწერები. ტ. I. ქართ. თარგ. სახელგამი 1935 წ.).

[251] მოქალაქე ვესტონი თავის თეორიას შემდეგი მაგალითით ასურათებს: თუ მათლაფაში განსაზღვრული რაოდენობის წვენია, რომელიც განსაზღვრულ რაოდენობის პირებისათვის არის დანიშნული, კოვზების სიდიდის გადიდება წვენის მომატებას როდი გამოიწვევს. ნება მიბოძოს ვესტონმა ეს ილუსტრაცია არაფრად ჩავაგდო (ausgelöffelt), მან მე მენენიუს აგრიპას შედარება მომაგონა. როცა რომაელი პლებეები რომაელი პატრიციების წინააღმდეგ გაიფიცენ, პატრიციი აგრიპა მათ უმტკიცებდა, რომ პატრიციული სტომაქი პოლიტიკური სახელმწიფო სხეულის პლებეურ ასოებს კვებავსო. აგრიპამ ვერ დაამტკიცა მხოლოდ, როგორ შეიძლება იკვებებოდეს ერთი ადამიანის ასოები, როცა მეორე ადამიანის სტომაქი ივსება. მოქალაქე ვესტონს, თავის მხრივ, სრულიად ავიწყდება, რომ მათლაფა, საიდანაც მუშები სჭამენ, ეროვნული შრომის ნაწარმოებითაა სავსე, და თუ ისინი მეტის ამოღებას ვერ ახერხებენ იქიდან, ეს იმიტომ კი არა, რომ მათლაფა პატარაა ან შიგ ცოტაა წვენი, ამის მიზეზია მხოლოდ კოვზების სიპატარავე.

■

[275] მუშებს რომ შეძლება მისცემოდათ თავიანთი სამუშაო ძალა დროის განუსაზღვრელად გაეყიდათ, ხელახლა მონობა წარმოიშობოდა. თუ, მაგალითად, ასეთი გაყიდვა მუშების მთელი სიცოცხლის ვადით მოხდებოდა, მუშა ერთბაშად დამქირავებლის მონად გადაიქცეოდა სიკვდილამდე.

■

[277] ხელფასის სისტემის საფუძველზე თვით გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შრომა გ ა დ ა ხ დ ი ლ ა დ გვეჩვენება. მ ო ნ ო ბ ი ს დროს, პირიქით, თვით შრომის ფასიანი ნაწილი გადაუხდელ შრომად გვეჩვენება. ცხადია, მონამ რომ მუშაობა შესძლოს, მან უნდა იცხოვროს; და მისი სამუშაო დღის ნაწილი იმაზე იხარჯება, რომ იმის საარსებო საშუალებათა ღირებულება ანაზღაურდეს. მაგრამ, რადგან მონასა და მის მფლობელს შორის არავითარი ხელშეკრულება არ იდებოდა,

რადგან მათ შორის არავითარი ყიდვა-გაყიდვა არ ხდებოდა, გვეჩვენება, რომ მთელი მისი შრომა სრულიად უსასყიდლოდ იყო გაღებული.

ج. ᲛᲐᲠᲯᲘ.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ.

(ტ. I, ქართული თარგმანი. სახელგამი 1930 წ.).

[26] ეს ორი უკანასკნელი თავისებურება ეკვივალენტური ფორმისა უფრო თვალსაჩინო შეიქნება, თუ გავიხსენებთ იმ დიდებულ მკვლევარს, რომელმაც აზროვნების, საზოგადოების და ბუნების მრავალ ფორმებთან ერთად პირველად გამოიკვლია ღირებულების ფორმა. ეს მკვლევარია ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ.

პირველ ყოვლისა, ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲡ ნათლად აქვს გამოთქმული, რომ საქონლის ფულადი ფორმა მხოლოდ უფრო განვითარებული სახეა ღირებულების მარტივი ფორმისა, ე. ი. ერთი საქონლის ღირებულების გამოხატულებისა რომელიმე მეორე საქონელში. ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ ამბობს:

„5 ლოგინი=1 სახლს“ („κλίναι πέντε ἀντὶ οἰκίας“)

„არ განირჩევა“ შემდეგისაგან:

„5 ლოგინი=ამდენ და ამდენ ფულს“

(„κλίναι πέντε ἀντί... ὅσου αἱ πέντε κλίναι“).

შემდეგ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ ხედავს, რომ ღირებულებითი შეფარდება, რომელშიაც მოთავსებულია ღირებულების ეს გამოხატულება, თავის მხრივ გულისხმობს, რომ სახლი ლოგინს თვისებრივად ეთანასწორება, და რომ ეს ორი მატერიალურად სხვადასხვა ნივთი მათი არსის ამგვარი თანასწორობის გარეშე ვერ შეეფარდებოდა ერთმანეთს, როგორც თანაზომადი სიდიდეები. „გაცვლა“, — ამბობს იგი,—„არ შეიძლება თანასწორობის გარეშე“ („οὔτ' ἰσότης μὴ οὔσης συμμετρίας“). მაგრამ აქ ფერხდება იგი და თავს ანებებს ღირებულების ფორმის შემდგომ ანალიზს. „მაგრამ ნამდვილად შეუძლებელია („τῇ μὲν οὖν ἀληθείᾳ ἀδύνατον“), რომ ესოდენ სხვადასხვაგვარი ნივთები თანაზომადი“, ე. ი. თვისებრივად თანასწორი იყოს. ამნაირად ეს გათანასწორება უცხოა ნივთების ნამდვილი ბუნებისათვის. იგი მხოლოდ „ხელოვნური საშუალებაა პრაქტიკული საჭიროებისათვის“ [21]а.

[21]а Aristoteles, Ethicorum ad Nicomachum libri decem, lib. V, c. 8.

ამრიგად, ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ თვითონვე გვეუბნება, თუ რამ შეაჩერა მისი შემდგომი ანალიზი, სახელდობრ ღირებულების ცნების უქონლობამ. რა არის ის თანასწორი ე. ი. საერთო სუბსტანცია,

რომელსაც წარმოადგენს სახლი ლოგინისათვის ამ უკანასკნელის ღირებულების გამოხატულებაში? ამის მსგავსი რამ „სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს“—ამბობს ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი. რატომ? სახლი ლოგინის თანასწორია, რამდენადაც იგი ისეთ რაიმეს შეიცავს, რაც ორივესთვის, ლოგინისა და სახლისათვის, ნამდვილად საერთოა. და ეს—ადამიანის შრომაა.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ მ ა ვერ ამოიკითხა თვით ღირებულების ფორმაში ის ფაქტი, რომ საქონლის ღირებულების ფორმაში ყველა შრომა ადამიანის თანასწორი და, ამის გამო, თანასწორმნიშვნელოვანი შრომის სახით გამოიხატება. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ საბერძნეთის საზოგადოება დამყარებული იყო მონურ შრომაზე და ამიტომ მის ბუნებრივ საფუძველს ადამიანის და მისი სამუშაო ძალის უთანასწორობა შეადგენდა. ღირებულების გამოხატვის საიდუმლოება, ყველა შრომის თანასწორობა და თანასწორმნიშვნელობა, რამდენადაც იგი წარმოადგენს ადამიანის შრომას საზოგადოდ, შესაძლოა ამოცნობილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის თანასწორობის შეგნებამ ხალხში გამჯდარი აზრის სიმტკიცეს მიაღწია. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც საქონლის ფორმა, ე. ი. სადაც ადამიანთა, როგორც საქონლის მფლობელთა, ურთიერთობა, გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს ბრწყინვალე გენია სწორედ იმაში მოსჩანს, რომ საქონლის ღირებულების გამოხატულებაში მან თანასწორობის ურთიერთობა აღმოაჩინა. მხოლოდ საზოგადოების ისტორიულმა ფარგლებმა, რომელშიაც იგი ცხოვრობდა, ხელი შეუშალეს მას გამოეძებნა, თუ რაში მდგომარეობს „ჭეშმარიტად“ ეს თანასწორობის ურთიერთობა.

■

[29 შენიშვნა 22 *ბ*] მაგ. ჰომეროსი ერთი ნივთის ღირებულებას მთელ რიგ სხვადასხვა ნივთების მწკრივში გამოხატავს.

[66 შენიშვნა 30] შენიშვნა მე-2 გამოცემისთვის. „ამ ბოლო დროს გავრცელდა სასაცილო შეხედულება, ეითომც პირველყოფილი სათემო საკუთრება სპეციფიურად სლავური ან მხოლოდ და მხოლოდ რუსული მოვლენა იყოს. ნამდვილად იგი საკუთრების პირველადელი ფორმაა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით რომაელებსა, გერმანელებსა და კელტებს წორის. ინდოეთში კი დღესაც მრავალად მოიპოვება სხვადასხვა ნიმუში ამგვარი საკუთრებისა, თუმცა ნაწილობრივ უკვე დაშლილი სახით. სათემო საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდური ფორ-

მების ზედმიწევნით შესწავლა ჩვენ დაგვანახვებდა, თუ პირველყოფილი სათემო საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოსდგება მათი რღვევის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კერძო საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური სათემო საკუთრების სხვადადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი" (Karl Marx: „Zur Kritik der Politischen Oekonomie". გვ. 10).

■

[45] ძველი აზიური, ანტიური და სხვ. წარმოების წესის დროს შრომის პროდუქტის საქონლად გადაქცევა და ამიტომ ადამიანის ყოფნაც საქონლის მწარმოებლის სახით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, მაგრამ ეს როლი მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც უფრო ძლიერდება სათემო ცხოვრების რღვევის პროცესი. მოვაჭრე ხალხნი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ძველი ქვეყნის ნაპრალებში ცხოვრობენ მხოლოდ, როგორც ეპიკურის ღმერთები, ანდა როგორც ებრაელები პოლონეთის საზოგადოების სერეტებში. ეს ძველი საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმები გაცილებით უფრო მარტივია და ცხადი, ვიდრე ბურჟუაზიული. მაგრამ ისინი დამყარებულნი არიან ან ინდივიდუალური ადამიანის განუვითარებლობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სხვებთან, ასე ვთქვათ, ბუნებრივ-გვაროვნულად დამაკავშირებელი ჭიპი, ანდა დამყარებული არიან უშუალო ბატონისა და დამონების ურთიერთობაზე; მათი არსებობის პირობებია: შრომის საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი საფეხური და ადამიანთა სათანადოდ შეზღუდული ურთიერთობა — როგორც ერთმანეთთან, ისე ბუნებასთან — მათი მატერიალური ცხოვრების შემქმნელ პროცესში. ეს რეალური შეზღუდვა იდეალურად გამოიხატება ძველ ნატურალურ და ხალხურ რელიგიებში.

■

[48 შენიშვნა 33] ... სწორედ რომ სასაცილოა ბ-ნი ბ ა ს ტ ი ა, რომელიც ფიქრობს, ვითომც ძველი ბერძნები და რომაელები მხოლოდ ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდენ. მაგრამ ადამიანმა რომ მთელი საუკუნეები ძარცვა-გლეჯით იცხოვროს, ამისათვის მუდამ უნდა მოიპოვებოდეს საძარცვი, ე. ი. საძარცვი საგნის განუწყვეტელი რეპროდუქცია უნდა ხდებოდეს. უნდა ვიფიქროთ ანიტომ რომ ბერძნებსაც და რომაელებსაც მოუპოვებოდათ რაიმე წარმოების პროცესი, ე. ი. ეკონომიკა, რომელიც მათი ქვეყნის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენდა, სწორედ ისე, როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკა თანამედროვე ქვეყნის საფუძველს შეადგენს. ან იქნებ ბ ა ს ტ ი ა ფიქრობს, რომ მონურ შრომაზე დამყარებული წარმოების პროცესი ძარცვა-გლეჯის სისტემას ეყრდნობა? მაშინ იგი სახიფათო გზას ადგება. თუკი აზროვნების ისეთი ბუმბერაზი, როგორიც ა რ ი ს ტ ო ტ ე-

ლ ი ა, სცდებოდა მონური შრომის შეფასებაში, რატომ არ შეიძლება შესცდეს დაქირავებული შრომის შეფასებაში ისეთი ჭონდრის ეკონომისტი, როგორიც არის ბ ა ს ტ ი ა?—ესარგებლობ აქ შემთხვევით და მოკლედ ვუპასუხებ იმ შენიშვნაზე, რომელიც მოთავსებული იყო ერთ გერმანულ-ამერიკულ გაზეთში ჩემი შრომის „Zur Kritik der Politischen Oekonomie, 1859“ გამოქვეყნების გამო. გაზეთის აზრით, ჩემი შეხედულება, რომ წარმოების განსაზღვრული წესი და მისი შესაფერი საწარმოო ურთიერთობა, მოკლედ, „საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა რეალური ბაზისია, რომელზედაც აღმართულია იურიდიული და პოლიტიკური ზედ-ნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები“, და რომ „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ“, — ყველაფერი ეს, გაზეთის აზრით, თუმცა სწორია დღევანდელი დროისთვის, როდესაც გაბატონებულია მატერიალური ინტერესები, მაგრამ არ არის სწორი არც საშუალო საუკუნეებისათვის, სადაც კათოლიციზმი ბატონობდა, და არც ათინისა და რომისათვის, სადაც გაბატონებული იყო პოლიტიკა. პირველ ყოვლისა, საკვირველია, თუ ვისმე გონია, რომ ეს გაცვეთილი ფრაზები საშუალო საუკუნეებისა და ანტიური ქვეყნის შესახებ ვისთვისმე უცნობი დარჩა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ საშუალო საუკუნეები ვერ იცხოვრებდა კათოლიციზმით, და ანტიური ქვეყანა—პოლიტიკით. პირიქით. მაშინდელი ეკონომიური პირობები ნათელყოფს იმას, თუ რად თამაშობდა მთავარ როლს ერთ შემთხვევაში პოლიტიკა და მეორეში კათოლიციზმი. გარდა ამისა, სრულიად საკმარისია, მაგალითად, რომის რესპუბლიკის ისტორიის ზერელე გაცნობა იმის გასაგებად, რომ მისი ისტორიის საიდუმლოებას მიწის საკუთრების ისტორია შეადგენს. მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ დონ-კიხოტი დაისაჯა იმ შემცდარი აზრის გამო, ვითომც მოხეტიალე რაინდობას თანაბრად იგუებდეს საზოგადოების ყოველი ეკონომიური ფორმა.

■

[51 შენიშვნა 39] „რადგან ყოველი დოვლათის ხმარება ორნაირია—პირველი არის თვისება ნივთისა, როგორც ასეთის. ხოლო მეორე—არა, მაგალითად, სანდალი ფეხის შესამოსად იხმარება და გასაცელელად. ერთიც და მეორეც სანდლის სახმარი ღირებულებაა, ვინაიდან ისიც, ვინც სანდალს მისთვის საჭირო რამეზე, მაგალითად, საჭელზე, სცვლის, სანდალს, როგორც სანდალს, ხმარობს. მაგრამ ეს არ არის მისი მოხმარების ბუნებრივი წესი, რადგან სანდალი გაცვლისთვის არ არსებობს“ (Aristoteles: „De Republica“, lib. I, c. 9).

■

[54] ადამიანი ხშირად თვით ადამიანს მონის სახით ფულის თავდაპირველ მასალად იყენებდა, მაგრამ მიწას—არასოდეს.

■

[64] ლითონის წონის ფულადი სახელწოდებანი თანდათან შორდებიან თავის პირვანდელ წონით სახელწოდებებს. ამ მიზეზთა შორის ისტორიულად გადამწყვეტი მნიშვნელობის არიან: 1) უცხო

ფულის შემოღება ნაკლებად განვითარებულ ხალხში; ასე, მაგალითად, ძველ რომში ვერცხლის და ოქროს მონეტა თავდაპირველად მიმოქცეოდა როგორც უცხოეთის საქონელი. ამ უცხოეთის ფულის სახელწოდებანი განსხვავდებიან ადგილობრივი წონითი სახელწოდებებისაგან.

■

[69 შენიშვნა 65] „ჰერაკლიტის სიტყვით ყველაფერი გარდაქმნის გზით წამოადგება ... ცეცხლისაგან ზდა ცეცხლი ყველაფრისაგან, ისე, როგორც ოქრო იქცევა საქონლად და საქონელი ოქროდ“ (F. Lassale: „Die Philosophie Herakleitos des Dunkeln, Berlin, 1858, B. I, s. 222). ლასალის შენიშვნა ამ ადგილას 224 გვ. შენიშვნა 3 შეცდომით გაბიხილავს ფულს, როგორც ღირებულების უბრალო ნიშანს.

■

[94 შენიშ. 90] ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს საბერძნეთის ისტორიაში ფოკელების მიერ განძეულობის გატაცება დელფის ტაძრიდან. ძველ დროში, როგორც ვიცით, საქონელთა ღმერთს ტაძარში ჰქონდა ბინა. ეს უკანასკნელი „წმინდა ბანკი“ იყო. ფინიკიელებს, ამ მოვაჭრე ხალხს par excellence, ფული ყველა ნივთის გარდაქმნილ ფორმად მიაჩნდათ. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ის ქალწულები, რომელნიც სიყვარულის ღმერთის დღესასწაულზე უცხოელებს ნებდებოდენ, მიღებულ ფულს საჩუქრად ამ ღმერთს სწირავდენ“.

■

]94] მაგრამ ფული თვითონ საქონელია, ე. ი. გარეგანი ნივთი, რომელიც შეიძლება ყველას კერძო საკუთრებად გახდეს. ამნაირად საზოგადოებრივი ძალა კერძო პირის ძალად იქცევა. ამიტომ ანტიური საზოგადოება გმობს ფულს, როგორც მონეტას, რომელზედაც ხურდავდება მისი ეკონომიური და ზნეობრივი წყობილება [1]. თანა-

[1] „ადამიანთა შორის არაფერს არ შეუქმნია ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს. იგი ანადგურებს ქალაქებს, აძევებს ხალხს სახლებიდან და რყვნის მის გონებას. კეთილ ადამიანს ცუდ საქმეზე აკეზებს და ყოველ მოქმედებაში უპატიოსნობა შეაქვს“ (სოფოკლი: ანტიგონა).

მედროვე საზოგადოება, რომელმაც თავის სიყმაწვილეში თმით, ამოათრია პლუტოსი (სიმდიდრის ღმერთი) დედამიწის წიაღიდან [93] მიესალმა ოქროს, როგორც თავისი ცხოვრების ძირითადი პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას.

[93] „სიხარბე ლამობს თვით პლუტოსის დედამიწის წიაღიდან ამოყვანას“ (Athen.: „Deipnos).

■

[102] საქონლის წარმოების განვითარების განსაზღვრულ დონეზე და ფარგლებში, ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია არ კმაყოფილდება საქონლის მიმოქცევის სფეროთი. ფული ყოველი ხელშეკრულების საყოველთაო საქონელი ხდება. რენტა, ხარკი და სხვ. ნატურალური გადასახადიდან ფულად გადასახადად იქცევა. თუ რა ძლიერ დამოკიდებულია ასეთი გადაქცევა წარმოების პროცესის საერთო ხასიათზე, ამას გვიჩვენებს, მაგალითად, ოჯერ მომხდარი უნაყოფო ცდა რომის იმპერიისა, რომ ფულით აკრეფილიყო ყველა გადასახადი. საფრანგეთის გლეხების საშინელი სიღარიბე ლუი XIV-ს დროს... გამოწვეული იყო არა მარტო ხარკების სიდიდით, არამედ მათი გადაქცევით ნატურალური ფორმიდან ფულად ფორმაში.

■

[105 შენიშვნა 108] უწინ ოქროს დამუშავება ხდებოდა თითქმის მხოლოდ ოქრონარევი ალუვიალური ფენების გარეცხვით, ე. ი. ოქრონარევი ქანების გამოფიტვის პროდუქტების გარეცხვით. ეხლა ეს მეთოდი აღარ არის საკმარისი და სულ უფრო და უფრო ადგილს უთმობს თვით ოქრონარევი კვარცის ძარღვების უშუალო დამუშავებას; ამ წესს აქამდე მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, თუმცა მას ჯერ კიდევ ძველად (დიოდორე III, 12—14) კარგად იცნობდენ.

■

[113] მარტივი საქონლის მიმოქცევა გაყიდვა ყიდვის გულისთვის—საშუალებაა მიმოქცევის გარეშე მდებარე საბოლოო მიზნის მისაღწევად, სახმარ ღირებულებათა მისათვისებლად, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ფულის, როგორც კაპიტალის, მიმოქცევა—კი, პირიქით, თვითმიზანია, რადგანაც ღირებულების ზრდა მხოლოდ ამ მუდმივად განახლებაში მყოფი მოძრაობის ფარგლებში სწარმოებს. ამიტომ კაპიტალის მოძრაობამ საზღვარი არ იცის [6].

---

[6] არისტოტელი ქრემატისტიკას უპირდაპირებს ეკონომიკას. მისი გამოსავალი წერტილი ეკონომიკაა. რამდენადაც ეს უკანასკნელი შეძენის ხელოვნებაა, იგი კმაყოფილდება ცხოვრებისთვის აუცილებელი და ოჯახისთვის ან საერმწიფოსთვის სასარგებლო დოვლათის მოპოვებით. „ჭეშმარიტი სიმდიდრე (ὁ ἀληθινὸς πλοῦτος) ამგვარი სახმარი ღირებულებისაგან შესდგება; ვინაიდან კეთილი ცხოვრებისთვის საკმარისი რაოდენობა ამ სახის ქონებისა უსაზღვრო არ არის. მაგრამ არის კიდევ მეორეგვარი შეძენის ხელოვნება, რომელსაც უპირატესად და სამართლიანად ქრემატისტიკა ეწოდება და რომლისთვისაც თითქოს არ არსებობს სიმდიდრის და ქონების საზღვარი. საქონლით ვაჭრობა (ἡ καπηλική) სიტყვა-სიტყვით წვრილმანით ვაჭრობას ნიშნავს და არისტოტელი ამ ფორმას

იღებს, რადგანაც მასში სახშარი ღირებულება სპარბობს)—თავის ბუნებით ქრემატისტიკას არ ეკუთვნის, რადგანაც გაცვლა აქ მხოლოდ მათთვის (მყიდველისა და გამყიდველისთვის) აუცილებელ საგნებზე ვრცელდება". ამიტომ განგრძობს იგი, საქონლით ვაჭრობის პირვანდელი ფორმა გაცვლითი ვაჭრობა იყო, მაგრამ მის გაფართოებასთან ერთად აუცილებლობით წარმოიშვა ფული. ფულის შემოღებით გაცვლითი ვაჭრობა აუცილებლად καπηλική-დ, საქონლით ვაჭრობად, უნდა განვითარებულიყო, ხოლო ეს უკანასკნელი, წინაღმდეგ მისი პირვანდელი ტენდენციისა, გადაიქცა ქრემატისტიკად, ე. ი. ფულის შეძენის ხელოვნებად. ქრემატისტიკა ეკონომიკისაგან იმით განსხვავდება, რომ „მისთვის მიმოქცევა სიმდიდრის წყაროა (ποιητική χρημάτων... διὰ χρημάτων μεταβολῆς). იგი თითქოს ფულის ირგვლივ ტრიალებს, ოადგან ფული ამგვარი გაცვლის დასაწყისი და დასასრულია (τὸ γὰρ νόμισμα στοιχεῖον καὶ πέρας τῆς ἀλλαγῆς ἐστιν). ამიტომ ის სიმდიდრე, რომლისკენაც ქრემატისტიკა მიისწრაფის, უსაზღვროა. ყოველი ხელოვნება, რომელსაც თავისი ამოცანა საშუალებად კი არ მიაჩნია, არამედ საბოლოო მიზნად, უსაზღვროა თავის მისწრაფებაში, რადგან იგი ცდილობს სულ უფრო და უფრო დაუახლოვდეს ამ მიზანს; ის ხელოვნება კი, რომელიც მხოლოდ საშუალებას ეძებს რაიმე მიზნისთვის, უსაზღვრო არ არის, რადგან თვით ეს მიზანი მას საზღვარს უდებს; ასევე ამ ქრემატისტიკასაც არა აქვს საზღვარი, მისი მიზანი აბსოლუტური გამდიდრებაა. საზღვარი ეკონომიკას აქვს და არა ქრემატისტიკას... პირველი ისახავს მიზნად თვით ფულისაგან განსხვავებულ რაიმეს, მეორე კი,—ფულის გამრავლებას... აღრევა ამ ორი ფორმისა, როძელიც ერთი მეორეში გადადის, ზოგიერთებს საბაბს აძლევს ფულის შენახვა და მისი უსაზღვროდ გამრავლება მიიჩნიოს ეკონომიკის საბოლოო მიზნად" (Aristoteles: „De Republica", edit. Bekker, lib. I, c. 8 და 9 passim).

■

[115] ღირებულების შეწყვეტილ გადიდებას, რომელსაც განძის შემქმნელი მიზნად ისახავს, როდესაც იგი ცდილობს ფული მიმოქცევისგან იხსნას უფრო გონიერი კაპიტალისტი იმით აღწევს, რომ ფულს მუდამ ხელახლა ანდობს მიმოქცევას.

„Σώζειν" (სიტყვა-სიტყვით — „ხსნა")—ბერძნების ერთერთი დამახასიათებელი გამოთქმაა განძის დაგროვების აღსანიშნავად. ამგვარადვე ინგლისური „to save" ხსნასაც ნიშნავს და დაზოგვასაც.

■

[123] ასე, მაგალითად, მცირე აზიის ქალაქები იხდიდენ ყოველწლიურ ფულად ხარკს ძველი რომის სასარგებლოდ. ამ ფულით რომი მათგან ყიდულობდა სხვადასხვა საქონელს და თანაც ძალიან ძვირად ყიდულობდა. მცირე აზიელები რომაელებს ატყუებდენ და ვაჭრობის საშუალებით ისევე იბრუნებდენ დამპყრობელებისაგან ხარკის ერთ ნაწილს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოტყუებულნი მაინც

მცირე აზიელები რჩებოდენ. მათ საქონელში, ყოველ შემთხვევაში, მათსავე საკუთარ ფულს უხდიდენ, ეს არ არის გამდიდრების ანუ ზედმეტი ღირებულების შექმნის მეთოდი.

[125] სავაჭრო კაპიტალში ფორმა ფ-ს-ფ. შეკვეცილია და უკიდურესი პუნქტები უშუალოდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან: ფ – ფ[1], ფული, რომელიც მეტ ფულზე იცვლება; ეს ფორმა ფულის ბუნებას ეწინააღმდეგება და ამის გამო მისი გაგება საქონლის გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით შეუძლებელია. ამიტომ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ამბობს: „ქრემატისტიკა ორგვარია, ერთი ვაჭრობას ეკუთვნის, მეორე—ეკონომიკას, უკანასკნელი აუცილებელია და ქების ღირსი, პირველი დაფუძნებულია მიმოქცევაზე და სამართლიანად არის განკიცხული (რადგანაც იგი არ არის ბუნებრივი და ურთიერთ მოტყუებაზეა დამყარებული). ამიტომ მევახშეობა ყველას სამართლიანად სძაგს, რადგანაც აქ თვით ფულია შეძენის წყარო და არ იხმარება იმ მიზნით, რისთვისაც იგი შემოღებული იყო. ფული ხომ საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის წარმოიშვა, სარგებელი კი ფულით მეტ ფულს აკეთებს. აქედან ძისი სახელიც (τόκος „სარგებელი“ და „შობილი“), ვინაიდან შობილი მშობელს წააგავს. მაგრამ სარგებელი ფულია ფულისაგან, ისე რომ შეძენის ყველა სხვა დარგებთან შედარებით იგი უაღრესად არაბუნებრივია [35].

[35] Aristoteles: „De Republica“, lib. I, c. 10.

[128] მისმა (სამუშაო ძალის რედ.) მფლობელმა რომ ის გაყიდოს, როგორც საქონელი, იგი მის განკარგულებაში უნდა იყოს, ამრიგად, იგი თავისი შრომის უნარის, თავისი პიროვნების თავისუფალი მესაკუთრე უნდა იყოს [39].

[39] რეალურ ენციკლოპედიებში, რომელიც ძველ კლასიკურ ქვეყნებს ეხება, შეიძლება კაცი წააწყდეს იმ უაზრობას, ვითომც ანტიურ ქვეყანაში კაპიტალი სავსებით განვითარებული იყო, „მას მხოლოდ თავისუფალი მუშა და საკრედიტო დაწესებულებები“ აკლდა. თვით ბ-ნი მ ო მ ზ ე ნ ი ც უშვებს არა ერთსა და ორს quid pro quo-ს თავის „რომის ისტორიაში“.

[128] ასეთი დამოკიდებულება რომ მომავალშიც გაგრძელდეს, ამისთვის საჭიროა, რომ სამუშაო ძალის მესაკუთრემ თავისი საქონელი მუდამ განსაზღვრული ვადით გაყიდოს, რადგანაც თუ იგი მას მთლიანად და ერთხელ და სამუდამოდ გაყიდის, ამით თავის თავს გაყიდის და თავისუფალ მოქალაქიდან გადაიქცევა მონად, საქონლის მფლობელიდან-საქონლად[40]

---

[40] ამიტომ სხვადასხვა კანონმდებლობის მიერ დაწესებულია შრომის ხელშეკრულების მაქსიმუმი. იმ ხალხთა შორის, სადაც შრომა თავისუფალია, კანონმდებლობა განსაზღვრავს წინასწარ გაფრთხილების ვადას ხელშეკრულების შეწყვეტისათვის. სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით მექსიკაში (ამერიკის სამოქალაქო ომამდე,—აგრეთვე იმ ტერიტორიებზე, რომელიც მექსიკას ჩამოაშორეს, და ამას გარდა, არსებითად დუნაის პროვინციებში კუხას გადატრიალებამდე), მონობა არსებობს ფარული ფორმით, ეკრეთწოდებული Peonage-ის (დავალიანებით წარმოშობილი მონობა დღიური მუშებისა, peons—კ.) ფორმით. იმ სესხის მეოხებით, რომელიც შრომით უნდა იქნეს გადახდილი და რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, არა მარტო თვითონ მუშა, არამედ მთელი მისი ოჯახიც ფაქტიურად მეორე პიროვნების და იმის ოჯახის საკუთრებად ხდება. Juarez-მა გააუქმა Peonage-ი, ეგრეთწოდებულმა იმპერატორმა მ ა ქ ს ი მ ლ ი ა ნ ე მ ხელმეორედ შემოიღო იგი დეკრეტით, რომელიც წარმომადგენელთა პალატაში ვაშინგტონში სამართლიანად დაგმობილი იყო, როგორც მონობის ხელახლა შემომღები დეკრეტი მექსიკაში. „მე შემიძლია.. განსაზღვრული ვადით გავასხვისო ჩემი განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი უნარით და მოქმედების შესაძლებლობით სარგებლობა, რადგანაც ყველა ეს ამ ზღვარდების შემდეგ მხოლოდ გარეგნულ შეფარდებაშია ჩემს მთლიანობასა და საყოველთაობასთან. მაგრამ მე თუ გავასხვისე მთელი ჩემი დრო, რომელიც შრომის პროცესში იღებს კონკრეტულ სახეს, გავასხვისე ჩემი საწარმოო მოქმედების მთლიანობა, ამით მე სხვის საკუთრებად გადავაქცევ ამ მოქმედების არსებას, ჩემს საყოველთაო მოქმედებას და სინამდვილეს, ჩემს პიროვნებას“ (Hegel: „Philosophie des Rechts, Berlin, 1840“, გვ. 104, § 67).

■

[131] მათი გაძლიერებული დახარჯვა გაძლიერებულ ანაზღაურებას მოითხოვს[43].

---

[43] „ძველ რომში villicus, როგორც მეურნე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მონების სათავეში იდგა, იღებდა „უფრო ნაკლებს, ვიდრე მონები, რადგანაც იგი მათთან შედარებით უფრო მსუბუქ შრომას ეწეოდა“ (Th. Mommsen, Römische Geschichte, 1856 p. 810)„

■

[146] როგორც ხორბლის გემოთი ვერ გაიგება, თუ ვის მიერ არის იგი მოწეული, ისევ შრომის პროცესს არ ეცნევა, თუ რა პი-

რობებში სწარმოებს იგი,— სწარმოებს მონების ზედამხედველის სუსხიანი მათრახის ქვეშ, თუ კაპიტალისტის გაფაციცებული მეთვალყურეობის ქვეშ, აწარმოებდა მას ცინცინატი თავისი ორიოდე დღიური მიწის დამუშავების გზით, თუ ველური, რომელიც ნადირსა კლავს ქვით.

■

[156] დაბოლოს... ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნედლი მასალისა და შრომის საშუალებათა მიზანშეუწონელ დახარჯვას, რადგანაც გაფლანგული მასალა ან შრომის საშუალება გასაგნობრივებული შრომის ზედმეტად დახარჯულ რაოდენობას წარმოადგენს და, ამრიგად, სათვალავში არ მიიღება და პროდუქტის ღირებულების შექმნაში არ მონაწილეობს[17].

---

[17] ეს ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელიც აძვირებს მონობაზე დამყარებულ წარმოებას, ძველთაგან თქმული მოსწრებული სიტყვის თანახმად, მუშა აქ მარტოოდენ როგორც instrumentum vocale (მ. ტყველების უნარით დაჯილდოებული იარაღი) გახსხვავდება ცხოველისგან—instrumentum semivocale-საგან (ხმის გამომცემი იარაღისგან) და უსულო იარაღისგან—instrumentum mutum-საგან (მუნჯი იარაღისაგან). მაგრამ თვითონ მონაც აგრძნობინებს ცხოველსა და შრომის იარაღს, რომ იგი მათი მსგავსი კი არ არის, არამედ—ადამიანია. ამ სულიერი განწყობილების მისაღწევად, რომ თვითონ მათგან განსხვავდება, იგი მათ ცუდად ეპყრობა და სიამოვნებით ანადგურებს. ამიტომ იმ წარმოების წესის პირობებში ეკონომიურ პრინციპად არის აღიარებული მეტად ტლანქი და მძიმე შრომის იარაღების ხმარება, ვინაიდან ამ სიტლანქისა და სიმძიმის გამო ეს იარაღები უფრო ძნელად გასაფუჭებელია. სამოქალაქო ომის დაწყებამდე მექსიკის ყურესთან მდებარე მონათმფლობელ შტატებში ხმარებაში იყო ძველი ჩინური კონსტრუქციის გუთანი, რომელიც ღორსა და თხუნელასავით სჩიჩქნიდა მიწას, მაგრამ კვალს არ ავლებდა და ბელტს არ აბრუნებდა. შად. J. C. Cairns: „The Slave Power. London, 1862", p. 46 და შემდ. თავის „Sea Bord Slave States"-ში Olmsted-ი მოგვითხრობს სხვათაშორის: მე მაჩვენეს აქ ისეთი იარაღები, რომელსაც ჩვენში არც ერთი ჭკუათმყოფი ადამიანი ხელში არ მისცემდა დაქირავებულ მუშას; მათი სიმძიმე და სიტლანქე, მე ვფიქრობ, 10%-ით მაინც უფრო აძნელებს შრომას იმ იარაღებთან შედარებით, რომელსაც ჩვენში ხმარობენ. მაგრამ მე დამარწმუნეს, რომ მონების მხრივ იარაღებისადმი დაუდევარი და ტლანქი მოპყრობის გამო ხელსაყრელი არ იქნებოდა მათთვის ხელში უფრო მსუბუქი და ნაკლებ ტლანქი იარაღების მიცემა, და რომ ის იარაღები, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ ჩვენს მუშებს და ამით მოგებულიც ვრჩებით, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა ვირგინიის პუოის მინდვრებზე, თუმცა ნიადაგი აქ უფრო რბილია და ნაკლებ ქვიანი, ვიდრე ჩვენში. ასევე ჩემ შეკითხვაზე, თუ ყველა ფერმაზე ცხენების მაგიერ რატომ ჯორები ყავთ, ამის პირველ და იმავე დროს, ცხადია, უფრო დამარწმუნებელ საფუძვლად ის გარემოება დამისახელეს, რომ ცხენი ვერ აიტან-

და იმ მოპყრობას, რომელსაც იგი ყოველთვის განიცდის ხანგების მხრივ. ხანგის ხელში ცხენი მალე უძლურდება ან საბიჩრდება; ჯორი კი იტანს ცემას და უსაჭმლობას ისე, რომ არსებით ზიანს არ განიცდის, არც ცივდება და არც ავად ხდება, როდესაც ცუდად უვლიან ან ბევრს ამუშავებენ. შორს წასვლა არ მგონია,—საკმარისია იმავე ოთახში, სადაც ვწერ, ფანჯარასთან დავდგე, რომ ყოველ ჟამს დავინახო ისეთი მოპყრობა ცხოველებისადმი, რომლის გულისთვის ჩრდილოეთის ფერმერი დაუყოვნებლივ დაითხოვდა თავის მუშას".

■

[173 შენიშვნა 27] შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ, ლ უ კ რ ე ც ი ს თქმისა არ იყოს, „nil posse creari de nihilo" არაფრისაგან არა იქნება რა.

■

[191] კაპიტალს ზედმეტი შრომა არ აღმოუჩენია. ყველგან, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავისუფალმა თუ არა თავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რომ აწარმოოს საარსებო საშუალებანი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრესთვის იქნება ეს მესაკუთრე ათინელი καλὸς κἀγαθός (არისტოკრატი), ეტრუსკელი თეოკრატი (მბრძანებელი ქურუმი), civis romanus (რომის მოქალაქე), ნორმანელი ბარონი, ამერიკელი მონათმფლობელი, ვალაქელი ბოიარინი, თანამედროვე ლენდლორდი (მემამულე) თუ კაპიტალისტი [42]

---

[42] ნ ი ბ უ რ ი თავის „Römische Geschichte"-ში ფრიად გულუბრყვილოდ შენიშნავს. „არ შეიძლება დავუშალოთ, რომ ისეთი ნაწარმოებნი, როგორიც არიან ეტრუსკელთა ნაწარმოებნი, რომელნიც თავიანთი ნანგრევებითაც-კი გაკვირვებას იწვევენ, პატარა (!) სახელმწიფოებში ბატონების და ყმების არსებობას გულისხმობენ". უფრო ღრმა არის ს ი ს მ ო ნ დ ი ს შენიშვნა, რომ „ბრიუსელის მანქანები" დამქირავებლებს და დაქირავებულ მუშებს გულისხმობენ.
მაგრამ ცხადია, რომ, თუ რომელიმე საზოგადოებრივ - ეკონომიურ ფორმაციაში სპარბობს არა საცვლელი ღირებულება, არამედ—სახმარი ღირებულება პროდუქტისა, მაშინ ზედმეტი შრომა მოთხოვნილებათა ცოტად თუ ბევრად ვიწრო წრით განისაზღვრება, მაგრამ თვით წარმოების ბუნებიდან არ გამომდინარეობს ზედმეტი შრომისადმი უსაზღვრო მოთხოვნილება. ამიტომ ძველ დროში გადამეტებული შრომა საშინელ ფორმას იღებდა იქ, სადაც ადგილი ჰქონდა საცვლელი ღირებულების წარმოებას მისი დამოუკიდებელი ფულადი სახით,—ოქროს და ვერცხლის წარმოე-

ბაში. იძულებითი მომაკვდინებელი მუშაობა აქ გადამეტებული შრომის ოფიციალურ ფორმას შეადგენდა. საკმარისია მარტო დიოდორე სიცილიელი წავიკითხოთ[13]. მაგრამ ეს გამონაკლისი

---

[13] „არ შეიძლება არ შეგებრალოს ეს უბედურები (ოქროს მაღაროებში მომუშავეები ეგვიპტესა, ეთიოპიასა და არაბეთს შუა), რომელთაც არც-კი შეუძლიათ სუფთად სუნთქონ თავიანთი სხეული და დაფარონ თავიანთი სიტიტვლე. აქ ადგილი არა აქვს დათმობას და შებრალებას არც ავადმყოფთა, არც დასახიჩრებულთა, არც მოხუცთა და ქალთა სისუსტის მიმართ. ყველამ უნდა იმუშავოს მათრახის შიშის ქვეშ, ვიდრე სიკვდილი ბოლოს არ მოულებს მათ ტანჯვას და გაჭირვებას" (Diodorus Siculus: „Historische Bibliothek", Buch. 3, Kap. 13).

იყო ძველ ქვეყნებში. ხოლო რაწამს ხალხნი, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ მონური შრომის, საბეგარო შრომის და სხვ. შედარებით დაბალ ფორმებში მოძრაობს, ჩაითრევიან მსოფლიო ბაზარში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესია გამეფებული და რომელიც მთავარ მიზნად თავისი პროდუქტების საზღვარგარეთ გაყიდვას ისახავს, მონობის, ბატონყმობის და სხვ. ბარბაროსულ საშინელებას გადამეტებული შრომის საშინელება, ცივილიზაციის ეს ნოყოფი, ემატება. ამიტომ ზანგების შრომამ ამერიკის კავშირის სამხრეთ შტატებში ზომიერი პატრიარქალური ხასიათი შეინარჩუნა, სანამ წარმოება უმთავრესად მიმართული იყო საკუთარ მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილებისაკენ. მაგრამ იმ ზომით, რა ზომითაც ბამბის ექსპორტი ამ შტატების სასიცოცხლო ინტერესად გადაიქცა, ზანგის გადამეტებული შრომა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში უდრიდა მისი სიცოცხლის მოხმარებას შვიდი სამუშაო წლის განმავლობაში, გულქვა ანგარიშზე დამყარებული სისტემის ფაქტორად ხდება. აქ საქმე იმაში აღარ იყო, რომ მისგან მიეღო სასარგებლო პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა. ეხლა საქმე თვით ზედმეტი ღირებულების წარმოებაში იყო. იგივე ითქმის საბეგარო შრომაზე, მაგალითად, დუნაის სამთავროებში.

■

[221] მონათმფლობელი თავის მუშას ყიდულობს ისევე, როგორც ყიდულობს თავის ცხენს. მონასთან ერთად იგი კარგავს კაპიტალს, რომელიც უნდა ანაზღაურებულ იქნეს ახალი ხარჯის გაწევით მონების ბაზარზე. მაგრამ, „რაც უნდა საბედისწეროდ გამანადგურებელი იყოს გეორგიის ბრინჯის მინდვრების და მისისიპის ჭაობების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, ეს განადგურება ადამიანის სიცოცხლისა არც ისე დიდია, რომ იგი ვერ იქნეს ანაზღაურებული ვირ-

გინიის და კენტუკის მონების მეტად სავსე აუზებიდან. ეკონომიური მოსაზრებანი, რომელთაც შეეძლოთ მოეცათ ერთგვარი გარანტია მონისადმი ადამიანური მოპყრობისა, რამდენათაც ეს მოსაზრებანი აიგივებენ ბატონის ინტერესს და მონის შენახვას, მონებით ვაჭრობის შემოღების შემკვეგ, პირიქით, ხდებიან მონის უკიდურესი განადგურების მიზეზად; რადგანაც, თუ-კი შეიძლება მისი ადგილი სხვა მხრიდან მოყვანილმა მონამ დაიჭიროს, მაშინ მონის სიცოცხლის ხანგრძლივობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე მის პროდუქტივობას, სანამ ეს სიცოცხლე გრძელდება. ამიტომ, იმ ქვეყანაში, სადაც მონების შეზიდვა ხდება, მონური მეურნეობის ასეთი სახელმძღვანელო წესი არსებობს: ნამდვილი ეკონომია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანურ პირუტყვს (human cattle) რაც შეიძლება მეტი შრომის მასა ამოსწოვო ნაკლებ დროში. სწორედ ტროპიკული კულტურის ქვეყნებში, სადაც წლიური მოგება ხშირად უდრის პლანტაციების მთელ კაპიტალს, ზანგების სიცოცხლის ყველაზე უფრო შეუბრალებელი მსხვერპლად გაწირვა ხდება. ვესტ ინდიის საუკუნეების განმავლობაში ამ საარაკო სიმდიდრის აკვნის—მიწათმოქმედებამ, აფრიკული რასის მილიონები შთანთქა. ამჟამად კუბაზე, სადაც შემოსავალი მილიონობით ითვლება და პლანტატორები ნამდვილი თავდებია, მონების დიდი ნაწილი არა მარტო სიმშილს და მუდმივ ტანჯვას განიცდის, არამედ პირდაპირ იულიტება ყოველწლიურად ნელი წამებით, გადამეტებული შრომის, უძილობის და დაუსვენებელი მუშაობის გამო“ [106].

---

[106] J. C. Cairns: „The Slave Power. London, 1862“, p. 110, 111.

■

[242 შენიშვნა 152]. კაპიტალის ბუნება იგივე რჩება როგორც მის განვითარებელ ისე განვითარებულ ფორმებში. კანონთა კრებულში, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის დაწყებამდე მონათმფლობელობის გავლენით იყო შემოღებული ახალი მექსიკის ტერიტორიაზე, ნათქვამია: „მუშა, რამდენადაც კაპიტალისტი მის სამუშაო ძალას ყიდულობს, „მისი (კაპიტალისტის) ფულია“ (“The labourer is his [the capitalist's] money). იგივე შეხედულება გავრცელებული იყო რომის პატრიციებს შორის. მათ მიერ მოვალე-პლებეიზე სესხად გაცემული ფული საარსებო საშუალებათა მეშვეობით ამ მოკალის ხორცად და სისხლად იქცეოდა. ამიტომ ეს „ხორცი და სისხლი“, „მათი ფული“ იყო. აქედან წარმოსდგა შეილოკისებური ათი დაფის კანონი! Linguet-ის ჰიპოტეზა, რომ ვითომც კრედიტორი-პატრიციები ტიბრის გაღმა მხარეს დროგამოშვებით ნადიმს მართავდენ მოვალეების მოხარშული ხორცით, ისევე საეჭვო რჩება, როგორც Daumer-ის ჰიპოტეზა ქრისტიანული ზიარების შესახებ.

■

[280] ეს იმიტომ ხდება (შრომის ნაყოფიერების ზრდა კოოპერაციის დროს. რედ.), რომ ადამიანი ბუნებით, თუ პოლიტიკური არა, როგორც ამას ფიქრობდა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოველია [13].

---

[13] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს განმარტება ამ ცნებისა ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ბუნებით მოქალაქეა. ძველი კლასიკური ქვეყნისთვის ეს განმარტება ისევე დამახასიათებელია, როგორც იანკების ქვეყნისათვის ფრანკლინის განმარტება იმავე ცნებისა, რომ ადამიანი ბუნებით იარაღის მკეთებელია.

■

[287] კოლოსალურად მოსჩანს მარტივი კოოპერაციის გავლენა ძველი აზიელების, ეტრუსკების და სხვ. ბუმბერაზ აღმშენებლობაში. „ძველ დროში ამ აზიურ სახელმწიფოებს"... [23].

---

[23] R. Jones: „Textbook of Lectures etc. Hertford, 1852 p. 77, 78) ძველი ასურეთის, ეგვიპტის და სხვ. კოლექციები ლონდონში და ევროპის სხვა სატახტო ქალაქებში შრომის ამ კოოპერატიული პროცესების მოწმედ გვხვდის.

აზიელი და ეგვიპტელი მეფეების ან ენტურსკელი თეოკრატების და სხვ. ეს ძალა თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალისტზე გადავიდა...

■

[288] კოოპერაციის სპორადული გამოყენება დიდი მასშტაბით ანტიკურ ქვეყნებში, საშუალო საუკუნეებში და თანამედროვე კოლონიებში დამყარებულია უშუალო ბატონობის და დამონების ურთიერთობაზე, უმეტესად მონობაზე. კაპიტალისტური ფორმა წინასწარ გულისხმობს თავისუფალ დაქირავებულ მუშას, რომელიც თავის სამუშაო ძალას კაპიტალისტზე ყიდის.

■

[288 შენიშვნა 24] წვრილი გლეხური მეურნეობა და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოება ნაწილობრივად ფეოდალური წარმოების წესის საფუძველს შეადგენს, ნაწილობრივად მისი დაშლის შემდეგ კაპიტალისტურ წარმოებასთან განაგრძობს არსებობას. ამავე დროს ისინი კლასიკური საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მისი აყვავების ხანაში, როდესაც უკვე დაშლილი იყო ალმოსავლეთის პირველადელი სათემო მფლობელობა, ხოლო მონობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ დაეპყრო წარმოება.

■

[292] მანუფაქტურა სინამდვილეში ნაწილობრივი მუშის ვირტუოზობას ქმნის მით, რომ სამრეწველო შრომის ბუნებრივად აღმოცენებული დანაწილება, რომელსაც ის საზოგადოებაში პოულობს, მას სახელოსნოს შიგნით გადააქვს და სისტემატიურად უმაღლეს წერტილამდე ანვითარებს. მეორეს მხრივ, მანუფაქტურის მიერ ნაწილობრივი შრომის ეს გარდაქმნა ადამიანის სასიცოცხლო მოწოდებად შეეფერება წინანდელ საზოგადოებათა მისწრაფებას —გადაეცეიათ ხელობა მემკვიდრეობით მოვლენად, გაექვავებინათ იგი კასტის სახით ანდა ცეხის სახით, როდესაც განსაზღვრული ისტორიული პირობები წარმოშობდენ ინდივიდუუმის ცვალებადობას, რაც ეწინააღმდეგება კასტის არსებას,—ჩამოეყალიბებინათ ხელობა ამქარის სახით. კასტა და ამქარი იმავე ბუნებრივი კანონისაგან წარმოსდგება, რომელიც აწესრიგებს მცენარეთა და ცხოველთა განცალკევებას სახეებად და ქვესახეებად; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე კასტების მემკვიდრეობითი ხასიათი და ამქრების მონოპოლიური თვისება საზოგადოებრივი კანონის სახით დასტურდება [29].

---

[29] „ხელოსნობამაც... განვითარების შესამჩნევ საფეხურს მიაღწია ეგვიპტეში. და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ქვეყანაში ჰქონდათ აკრძალული ხელოსნებს ხელი მოეკიდათ სხვა კლასის მოქალაქეთა საქმეებისთვის; მათ მხოლოდ და მხოლოდ ის ხელობა უნდა ეწარმოებინათ, რომელიც მათ გვარს კანონის ძალით მემკვიდრეობით ჰქონდა მინიჭებული... სხვა ხალხთა შორის ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოსნების ყურადღება მეტად ბევრ საგანზეა მიპყრობილი... ისინი ხან მიწის მუშაობას სცდიან, ხან სავაჭრო საქმეებს კიდებენ ხელს, ხან ერთსა და იმავე დროს ორი ან სამი ხელოსნობით არიან გართული. თავისუფალ სახელმწიფოებში ისინი ჩვეულებრივ სახალხო კრებებზე დარბიან... პირიქით, ეგვიპტეში ყოველი ხელოსანი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში ერევა, ანდა ერთსა და იმავე დროს მრავალ ხელოსნობას ეწევა, მძიმე სასჯელით ისჯება. ამნაირად, არაფერი არ უშლის მას ხელს გულმოდგინედ მისდიოს თავის ხელობას... მათ მრავალი წესი მიუღიათ მემკვიდრეობით თავიანთ წინაპართაგან და მხურვალედ ცდილობენ ახალი გაუმჯობესებანი გამოიგონონ" (Diodorus Siculus: „Historische Bibliothek". Bd. I, Kap. 74).

■

[301] ყველაზე ელემენტალური ფორმის მანქანა რომის იმპერიამ გვიანდერძა წყლის წისქვილის სახით.

■

[309] თუ კაპიტალისტური წარმოების წესზე დამყარებულ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ანარქია და შრომის მანუფაქტურული დანაწილების დესპოტიზმი ერთი მეორის პირობაა, პირიქით, უფრო ძველი საზოგადოებრივი ფორმები, სადაც მრეწველობის ცალკე დარგებად დანაწილება ბუნებრივად ვითარდება, შემდეგ ყალიბდება და, ბოლოს, კანონით მტკიცდება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომის გეგმაშეწონილი და ავტორიტარული ორგანიზაციის სახით წარმოსდგებიან, ხოლო, მეორეს მხრივ, ან სრულიად უარყოფენ სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილებას, ანდა ანვითარებენ მას ძალიან მცირე ფარგლებში, ანდა მხოლოდ სპორადიულად და შემთხვევითად [59].

---

[59] „შეიძლება საერთო წესად ვაღიაროთ, რომ რაც უფრო ნაკლებად განაგებს ავტორიტეტი შრომის დანაწილებას საზოგადოებაში, მით უფრო განვითარებულია შრომის დანაწილება სახელოსნოში და მით უფრო ექვემდებარება იგი ერთი პიროვნების ავტორიტეტს. ამიტომ, შრომის დანაწილების მხრივ, ავტორიტეტი სახელოსნოში და ავტორიტეტი საზოგადოებაში შებრუნებულ შეფარდებაშია ერთი მეორესთან" (Karl Marx· „Misère de la Philosophie· Paris, 1847, p. 130, 131). [შეად. „Das Elend der Phi losophie, 2 Auflage, stuttgart 1892 გვ. 120].

■

[313] განსაკუთრებული ნაწილობრივი შრომა არა მარტო ნაწილდება ცალკე ინდივიდუმებს შორის, არამედ თვით ინდივიდუუმიც იყოფა, ნაწილობრივი შრომის ავტომატიურ მამოძრავებელ იარაღად იქცევა, და, ამნაირად, ხორციელდება მ ე ნ ე ნ ი უ ს ა გ რ ი პ ა ს უმსგავსი იგავი, რომელშიაც ადამიანი გამოყვანილია როგორც მხოლოდ ნაწილაკი მისი საკუთარი სხეულისა (მუშები, როგორც ასოები, ექსპლოატატორები, როგორც სტომაქი) [64].

---

[64] მარჯნის თითოეული ინდივიდუუმი მართლა მთელი ჯგუფის სტომაქს წარმოადგენს. მაგრამ იგი ამ ჯგუფს საზრდოს აწოდებს და არც კი ართმევს რომის პატრიციების მსგავსად.

■

[317] პოლიტიკური ეკონომია, რომელიც ნამდვილ მეცნიერებად პირველად მანუფაქტურულ ხანაში გახდა, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას საერთოდ განიხილავს მხოლოდ შრომის მანუფაქტურული დანაწილების თვალსაზრისით, როგორც საშუალებას, შრომის იმავე რაოდენობით მეტი საქონელი იქნეს დამზადებული

და, ამგვარად, გაიაფდეს საქონელი და დაჩქარდეს კაპიტალის დაგროვება. წინააღმდეგ რაოდენობის და საცვლელი ღირებულების ასეთი ხაზგასმისა, ძველი კლასიკური ქვეყნის მწერლები მხოლოდ და მხოლოდ თვისებას და სახმარ ღირებულებას აქცევდენ ყურადღებას. საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებად დაყოფის გამო საქონელი უკეთ მზადდება; ადამიანის სხვადასხვა მიდრეკილება და ტალანტი შესაფერ სამოქმედო სფეროს ირჩევს, [78].

[78] ასე, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ „ოდისეაში", თავი XIV, ტაეპი 229: „ზოგს ერთი საქმე მოსწონს, ზოგს მეორე" სექსტუს ემპირიკუსის არხილოხი ამბობს: „ერთი ადამიანის გულს ერთი საქმე ახარებს, მეორისას— მეორე".

ხოლო ამ სფეროს შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია სადმე რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა [79]. ამნაირად, შრომის დანა-

[79] „მან ბევრი საქმე იცოდა, მაგრამ სუყველა ცუდად" (ეს ხიტყვები ნათქვამია ერთ სასაცილო ბრიყვ კაცზე, ლექსში, რომელსაც ჰომეროსს მიაწერენ). ათინელი, როგორც საქონლის მწარმოებელი, უპირატესობას გრძნობდა სპარტანელთან შედარებით, რადგანაც ამ უკანასკნელს ომის დროს შეეძლო თავის განკარგულებაში ხალხი კი ყოლოდა, მაგრამ არა ფული. თუკიდიდეს გადმოცემით პერიკლე შემდეგი სიტყვებით ამხნევებდა ათინელებს პელოპონესის ომისთვის: „საკუთარი მოხმარებისთვის მწარმოებელნი (αὐτουργοί) ომში საკუთარ სხეულს უფრო ადვილად გაიმეტებდენ, ვიდრე ფულს" (Thucydides: Geschichte des Peloponnesischen Kriegs, Buch. I, Abschnift 141) მიუხედავად ამისა, ათინელების იდეალს ნივთიერ წარმოებაში ავტარკია (αὐτάρκεια) შეადგენდა [კარჩაკეტილი მეურნეობა, რომელიც მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს], რომელიც ეწინააღმდეგება შრომის დანაწილებას, რადგანაც, „კეთილდღეობა და დამოუკიდებლობა ერთი და იმავე წყაროდან წარმოსდგება". ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ 30 ტირანის დამხობის დროს 5.000 ათინელიც არ მოიპოვებოდა, რომელთაც მიწის საკუთრება არ გააჩნდა.

წილების გამო უმჯობესდება პროდუქტიც და მწარმოებელიც. თუ ანტიკური ქვეყნის მწერლები ხანდახან პროდუქტის რაოდენობის ზრდასაც ეხებიან, ამ შემთხვევაში ისინი გულისხმობენ მხოლოდ სახმარი ღირებულების სიუხვეს. არც ერთი სიტყვით არა აქვთ მათ ნახსენები საცვლელი ღირებულება და საქონლის გაიაფება. სახმარი ღირებულების ამ თვალსაზრისს საესებით მოუცავს როგორც პლატონი [80], რომელიც შრომის დანაწილებას სახავს საზოგადოების

[80] შრომის დანაწილება საზოგადოებაში პლატონს გამოყავს მოთხოვნილებათა მრავალმხრივობისა და ინდივიდუუმის ნიჭის ცალმხრივობიდან. მისი მთავარი თვალსაზრისით მუშა უნდა მიყვებოდეს საქმეს, და არა საქმე მუშას: ეს

უკანასკნელი კი აუცილებელია, როდესაც იგი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ე. ი. როდესაც ესა თუ ის საქმე მისთვის მეორეხარისხოვანია. „ვინაიდან საქმე მწარმოებელს კი არ უნდა ელოდოს, არამედ მწარმოებელი საქმეს ბეჯითად უნდა ასრულებდეს და არა სხვათა შორის". — „ეშმარიტია". — „ამიტომ როდესაც ადამიანი მხოლოდ ერთს საქმეს აკეთებს, რომელიც მის ნიჭს შეეფერება, ამასთანავე თავის დროზე და ისე, რომ სხვა სამუშაო ხელს არ უშლის, მაშინ ყველაფერი უფრო ადვილად, უხვად და კარგად მზადდება" („Respublica", lib. II, c. 12). ამის მსგავს აზრებს გამოსთქვამს თუკიდიდე „პელოპონესის ომის ისტორია", წიგნი 1, კარი 142: „ხელოვნებაა, როგორც ყოველივე სხვა; ამიტომ მისი სხვათა შორის, როგორც მეორეხარისხოვანი საქმის, წარმოება შეუძლებელია. პირიქით, მის გვერდით ყველა სხვა საქმე მეორე ხარისხოვანი უნდა იყოს". საქმემ რომ მწარმოებელს უცადოს, ამბობს პლატონი, მაშინ ხშირად წარმოების კრიტიკული მომენტი გამოგვრჩება და ნაწარმოებიც გაფუჭდება. იმავე პლატონისებურ იდეას ჩვენ ვხვდებით ინგლისის სამუშაკვნოების პატრონთა პროტესტში საფაბრიკო კანონის იმ მუხლის წინააღმდეგ, რომელიც ყველა მუშისთვის ერთს განსაზღვრულ საათს აწესებს საქმლის მისაღებად. მათი საქმე მუშებს ვერ შეეგუება, რადგანაც „არც ერთი ოპერაცია, როგორიცაა გამოხარშვა, გამორეცხვა, გამურკვნა, დაჯანდერა, გაუთოვება და შეღებვა, არ შეიძლება წარმოების დაუზიანებლად შეჩერებულ იქნეს განსაზღვრულ მომენტში... ყველა მუშისთვის ერთი და იმავე სასადილო საათის სავალდებულო დაწესებით შეიძლება გაფუჭდეს ზოგიერთი ძვირფასი საქონელი ამა თუ იმ ოპერაციის დაუთავეულობის გამო". სად არ ამაყოფს თავს პლატონიზმი?

წოდებად დაყოფის საფუძვლად, ისე ქსენოფონი [81], რომელიც

---

[81] ქსენოფონი გვიამბობს, რომ სპარსეთის მეფის სუფრაზე საქმლის მიღება არა მარტო სასახელოა, ამას გარდა ეს საქმელი სხვასთან შედარებით გაცილებით უფრო გემრიელიცაა. „ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან, მსგავსად იმისა, როგორც ყველა სხვა ხელოვნება დიდ ქალაქებში განსაკუთრებით გაუმჯობესებულია, აგრეთვე საქმელიც მეფის სასახლეში სრულიად განსაკუთრებულად მზადდება. პატარა ქალაქებში ერთი და იგივე კაცი ლოგინისაც აკეთებს, კარებსაც, გუთანსაც და მაგიდასაც; ამას გარდა, ხანდახან იგი სახლებსაც აშენებს და ძალიან კმაყოფილია, თუ თავის სარჩენად საკმაო დაკეთას შოულობს, სრულიად შეუძლებელია, რომ იმ კაცმა, რომელიც ამდენ სხვადასხვა საქმეს ეწევა, ყველაფერი კარგად გააკეთოს. მაგრამ დიდ ქალაქებში, სადაც თითოეული ხელოსანი მრავალ მყიდველს პოულობს, ერთი ხელობაც საკმარისია, რომ მან თავი ირჩინოს. ხშირად ერთ ადამიანს მთელი ხელობის ცოდნაც კი არ სჭირდება, მაგალითად, ერთი აკეთებს მხოლოდ მამაკაცის ფეხსაცმელს, მეორე მხოლოდ დედაკაცისას. ზოგან ერთი მხოლოდ ფეხსაცმელებს კერავს, მეორე გამოსკრის ტყავსა; ერთი მხოლოდ გამოსკრის ტანისამოსს, მეორე მხოლოდ აერთებს სხვადასხვა ნაკერებს. აუცილებლად ისეა, რომ ვინც უმარტივეს სამუშაოს ასრულებს, მას უეჭველად საუკეთესოდ ასრულებს. იგივე ითქმის სამზარეულო ხელოვნებაზე" (Xenophon „Cyropaedie", lib, VIII, c 2). აქ მხედველობაში მიღებულია მხოლოდ სახმარი ღირებულების ღირსება, თუმცა უკვე ქსენოფონმა იცის, რომ შრომის დანაწილების მასშტაბი ბაზრის მოცულობაზეა დამოკიდებული.

მისთვის დამახასიათებელი ბურჟუაზიული ინსტიქტით უკვე უახლოვდება შრომის დანაწილების პრინციპს სახელოსნოში. პ ლ ა ტ ო ნ ი ს რესპუბლიკა, რამდენადაც მასში შრომის დანაწილება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პრინციპათ არის აღიარებული, მხოლოდ ეგვიპტის საკასტო წყობილების ათინური იდეალიზაციაა; ეგვიპტე სამრეწველო ქვეყნის ნიმუშათ ჰქონდა დასახული არა მარტო პ ლ ა ტ ო ნ ს, არამედ თანამედროვე მწერლებსაც, მაგალითად, ი ს ო კ რ ა ტ ე ს [82]. და ამ მნიშვნელობას ინარჩუნებს ის რომის

[82] „მან (ბ უ ზ ი რ ი ს მ ა) ყველანი სხვადასხვა კასტებად დაყო... ბრძანება გასცა, რომ ერთი და იგივე ადამიანი მუდამ ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდეს, ვინაიდან იცოდა, რომ ვინც ხელობას იცვლის, არც ერთს საქმეს საფუძვლიანად არ აკეთებს; ხოლო ვინც მუდამ ერთსა და იმავე ხელობაზეა თავის საქმეს საუკეთესოდ ასრულებს. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ეგვიპტელებმა ხელოვნების და ხელოსნობა დარგში თავიანთ მეტოქეებს უფრო მეტად გადააჭარბეს, ვიდრე აჭარბებს ოსტატი გაუწვრთნელ მუშას, და შეკნეს იმდენად სრულქმნილი კანონები მეფის ძალა-უფლების და სახელმწიფოებრივი წესწყობილების დასაცავად, რომ სახელგანთქმული ფილოსოფოსები, რომელნიც ამ საკითხს ეხებიან, ეგვიპტის სახელმწიფოებრივ წესწყობილებას სხვებზე მაღლა აყენებენ“ (Isocrates: „Busiris“, c. 8).

იმპერიის დროინდელი ბერძნებისთვისაც [83].

[83] შეად. Diodorus Siculus.

[358] აქედანვე: ის ეკონომიური პარადოქსი, რომ სამუშაო დროის შემცირების უძლიერესი საშუალება (მანქანა. რედ.) ხდება უტყუარ საშუალებად იმისა, რომ მუშის და მისი ოჯახის სიცოცხლის მთელი დრო კაპიტალის განკარგულებაში მყოფ სამუშაო დროდ გადიქცეს მისი ღირებულების გასაზრდელად. „თითოულ სამუშაო იარაღს“,—ოცნებობდა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი, ძველი დროის უდიდესი მოაზროვნე,—„რომ შეეძლოს სათანადო სამუშაო შეასრულოს სხვისი ბრძანებით ანდა თავისი ნებით, მსგავსად იმისა, როგორც დედალოსის ხელოვნების ქმნილებანი მოძრაობდენ თავისით, ანდა როგორც ჰეფესტოს ზედადგარი თავისი ნებით იწყებდა სამლვთო სამსახურს, ამგვარად, საფეიქრო მაქრ რომ თავისთავად ქსოვდეს,—მაშინ არც ოსტატს დასჭირდებოდა თანაშემწეები და არც ბატონს—მონები“ [155].

[155] F. Biese: „Die Philosophie des Aristoteles, Berlin, 1842, Bd. II S. 408.

ხოლო ანტიპატროსი ციცერონის დროის ბერძენთა მგოსანი, მიესალმებოდა ხორბლის დასაფქვავად წყლის წისქვილის გამოგონებას, ყოველი პროდუქტიული მანქანის ამ ელემენტალურ ფორმას, როგორც მონების განმათავისუფლებელ და ოქროს ეპოქის აღმდგენელ მოვლენას[166].

[166] აქ მომყავს ეს ლექსი, თარგმნილი შტოლბერგის მიერ, რადგანაც იგი, მსგავსად წინანდელი ციტატებისა შრომის დანაწილების შესახებ, ახასიათებს კონტრასტს არსებულს ანტიურ და თანამედროვე შეხედულებას შორის:

„Schonet der mahlenden Hand, o Müllerinnen, und schlafet
Sanft! es verkünde der Hahn euch den Morgen umsonst!
Däo hat die Arbeit der Mädchen den Nymphen befohlen,
Und jetzt hüpfen sie leicht über die Räder dahin.
Dass die erschütterten Achsen mit ihren Speichen sich walzen,
Und im Kreise die Last drehen des wälzenden Steins.
Lasst uns leben das Leben der Väter, und lasst uns der Gaben
Arbeitslos uns freun, welche die Göttin uns schenkt".
[Gedichte aus dem Griechischen übersetzt von Christian" Graf zu Stolberg. Hamburg, 1872).

(„დაასვენეთ თქვენი ხელები, მფქველო ქალებო, და იძინეთ უდარდელად! ამაოდ გაუწყოთ თქვენ განთიადი მამალმა. დეომ ქალიშვილების შრომა ნიმფებს დააკისრა, და ისინი მარდად დახტიან ეხლა თვლებზე, ისე რომ შერხეული ღერძები თავისი მანებითურთ ბრუნავს წრეში და მძიმე დოლაბებს აბრუნებს. მაშ ვიცხოვროთ მამა-პაპათა ცხოვრებით და დავსტკბეთ გაურჯელად ქალ-ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქრით").

„წარმართნი სწორედ წარმართნი". მათ, როგორც ეს აღმოაჩინა ბრძენმა ბასტიამ და მასზე უწინ კიდევ უფრო ბრძენმა მაკაულოხმა, არაფერი გაეგებოდათ არც პოლიტიკური ეკონომიის და არც ქრისტიანობისა... მართალია, ისინი ამართლებდენ ერთთა მონობას, მაგრამ როგორც საშუალებას სხვათა მიერ სრული ადამიანური განვითარების მისაღწევად.

■

[374] მონების მეთვალყურის მათრახის ადგილს აქ ზედამხედველის საჯარიმო წიგნი იქერს.

■

[434] თანამედროვე მრეწველობა არასოდეს არ განიხილავს და არც სთვლის ამა თუ იმ საწარმოო პროცესის არსებულ ფორმას, როგორც საბოლოო ფორმას. ამიტომ მისი ტექნიკური საფუძველი

რევოლუციონურია, მაშინ როდესაც ყველა უწინდელი წარმოების წესის საფუძველი კონსერვატიული იყო [306].

---

[306] „პირიქით, ძველ წარმოების წესთა უცვლელად შენარჩუნება ყველა უწინდელ სამრეწველო კლასთა არსებობის პირველი პირობა იყო". (F. Engels და Karl Marx: „Manifest der Kommunistischen Partei. London 1848", S. 5).

■

[437] რასაკვირველია, სიბრიყვე იქნება—ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მივიჩნიოთ მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ან ძველი რომაული, ან ძველი ბერძნული, ანდა აღმოსავლეთური, რომელნიც—აღვნიშნავთ გაკვრით—ისტორიული განვითარების თანამიმდევრობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

■

[455] სამუშაო დღის გაგრძელება იმ დროს იქით, რომელშიაც მუშა მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის ღირებულების ეკვივალენტს აწარმოებს, და ამ ზედმეტი შრომის მითვისება კაპიტალის მიერ—აი ეს არის აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება. ეს პროცესი შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც წარმოების ისეთი წესების საფუძველზე, რომლებიც ისტორიულად გამოცემულია კაპიტალის დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ფორმალურ მეტამორფოზს, ანუ კაპიტალისტური ექსპლოატაციის წესი მხოლოდ იმით გაირჩევა უწინდელი, მაგალითად, მონათმფლობელური და სხვ. სისტემისგან, რომ ერთ შემთხვევაში ზედმეტი შრომის მითვისება ხდება პირდაპირი იძულებით, მეორე შემთხვევაში კი—სამუშაო ძალის „თავისუფალი" გაყიდვის საშუალებით. ამნაირად, აასოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება გულისხმობს შრომის მხოლოდ ფორმალურ დამორჩილებას კაპიტალისადმი...

[456] ... ამნაირად, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება გულისხმობს სპეციფიურ კაპიტალისტურ წარმოების წესს... ფორმალური დამორჩილების ადგილს იქერს რეალური დამორჩილება კაპიტალისადმი.

■

[457] ვიდრე შრომის ნაყოფიერება განსაზღვრულ საფეხურს არ მიაღწევს, მუშას არ მოეპოვება ასეთი ზედმეტი დრო, ურომლისოდაც არ არსებობს ზედმეტი შრომა და, ამნაირად,—არც კაპიტა-

ლისტი, მაგრამ არ არსებობს აგრეთვე არც მონათმფლობელი, არც ფეოდალური ბარონი, ერთი სიტყვით—არ არსებობს მსხვილ მესაკუთრეთა კლასი.

■

[458] გარეშე ბუნების პირობები ეკონომიური თვალსაზრისით განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: ბუნებრივი სიმდიდრე საარსებო საშუალებით, როგორიცაა ნიადაგის ნაყოფიერება, თევზით მდიდარი წყლები და სხვ., და ბუნებრივი სიმდიდრე შრომის საშუალებებით, როგორც, მაგალითად, ჩანჩქერები, სანავოსნო მდინარეები, ხე-ტყე, ლითონი, ნახშირი და სხვ. კულტურის პირველ საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი სიმდიდრის პირველ ჯგუფს, ხოლო განვითარების მაღალ საფეხურზე—მეორე ჯგუფს. შეადარეთ, მაგალითად, ინგლისი ინდოეთს, ანდა, ანტიურ ქვეყანაში, ათინა და კორინთი შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნებს.

რაც უფრო ნაკლებია ბუნებრივ მოთხოვნილებათა რიცხვი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, და რაც უფრო მეტია ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და უფრო ხელსაყრელია ჰავა,—მით უფრო ნაკლებია სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მწარმოებლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად და აღსადგენად. ამნაირად, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს მისი შრომის გარდამეტი, რომელიც გაიცემა სხვებისთვის, იმ შრომასთან შედარებით, რომელიც მას სჭირდება თავისთვის. უკვე დიოდორე აღნიშნავს ძველ ეგვიპტელების შესახებ: „სრულიად დაუჯერებელია, თუ რა მცირე შრომას და ხარჯებს იწვევს მათთვის მათი ბავშვების აღზრდა. ისინი მათ სულ უბრალო საკმელს უხარშავენ; აძლევენ მათ აგრეთვე საკმელად პაპიროსის ძირის ნაწილს, რამდენ დაც შესაძლებელია მისი ცეცხლზე შეწვა, და—ჭაობის მცენარეების ფესვებსა და ღეროებს, ხან ნედლს, ხან მოხარშულს და ხან შემწკარს. ბავშვების უმრავლესობა ფეხშიშველა და ტანშიშველა დაიარება, რადგანაც ჰავა ძალიან რბილია. ამიტომ ბავშვი, სანამ გაიზრდებოდეს, მშობლებს საერთოდ 20 დრაჰმაზე მეტი (20 მარკაზე ნაკლები. კ.) არ ულირს. ამით აიხსნება უმთავრესად, რომ ეგვიპტის მოსახლეობა ასე მრავალრიცხოვანია, რის გამოც შესაძლებელი გახდა მრავალ დიად ნაგებობათა აღმართვა“ [3]. ნამდვილად, ძველი ეგვიპტის დიად ნა-

[3] Diodorus Siculus: „Bibliotheca historica“, lib. I, c. 80.

გებობათა მიზეზი იმდენად მოსახლეობის სიმრავლე არ იყო რამ-დენადაც ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული მოსა-ხლეობის დიდი ნაწილის გამოყენება ამ საქმეში.

■

[460] მრეწველობის ისტორიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს აუცილებლობა ბუნების ამა თუ იმ ძალაზე საზოგადოებრივი კონტ-როლის დაწესებისა, მისი ყაირათიანად გამოყენებისა, ადამიანის ხელით შექმნილ მოწყობილებათა საშუალებით მისი დიდი მასშტა-ბით მისაკუთრების ან დამორჩილებისა. ამის მაგალითია წყლის გა-წესრიგება ეგვიპტეში [5], ლომბარდიაში...

[5] იმ აუცილებლობამ, რომ უნდა გამოეანგარიშნათ ნილოსის წყალდიდობ-ების პერიოდები, შექმნა ეგვიპტური ასტრონომია და მასთანვე მოგვცა ქურუმთა კასტის, როგორც მიწათმოქმედების ხელმძღვანელის, ბატონობა. „მხის მოქცევა წელიწადის ის დროა, როდესაც იწყება ნილოსის ადიდება; მას ეგვიპტელები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაკვირვებოდნ... წელიწადის ამ პერიოდის განსაზღვრა მათთვის საჭირო იყო, რომ მოეწესრიგებიათ თავიანთი სამიწათ-მოქმედო ღონისძიებანი. ამიტომ მათ უნდა ეძებნათ ცაში მისი დაბრუნების ცხა-დი ნიშანი" (Cuvier: „Discours sur les révolutions du globe. Ed. Hoefer. Paris, 1863", p. 141).

■

[483] მონური შრომის დროს სამუშაო დღის ის ნაწილიც კი, რომლის განმავლობაშიაც მონა მხოლოდ თავის საკუთარ საარსებო საშუალებათა ღირებულებას ანაზღაურებს და, ამნაირად, ფაქტიუ-რად თავისი თავისთვის მუშაობს, გვეელინება როგორც პატრონის-თვის გაწეული შრომა. მთელი მისი შრომა გვეელინება როგორც გა-დაუხდელი შრომა [1]. პირიქით, დაქირავებული შრომის დროს თვით

[1] „Morning Star-ი, სისულელემდე გულუბრყვილო ორგანო ფრიტრედე-რებისა ლონდონში, ამერიკის სამოქალაქო ომის დროს მთელი ადამიანისთვის მისაწდომი ხნეობრივი აღშფოთებით დაჟინებულად აღნიშნავდა, რომ „Confederate States"-ში (სამხრეთ შტატებში) ხანგები სრულიად უსასყიდლოდ მუშა-ობდენ. უკეთესი იქნებოდა, რომ მას შეედარებია ასეთი ხანგის დღიური ხარჯე-ბი თავისუფალი მუშის დღიურ ხარჯებთან, მაგალითად, ლონდონის East End-ში. ზედმეტი შრომა ანუ გადაუხდელი შრომა გვეელინება როგორც გა-დახდილი შრომა. იქ საკუთრების ურთიერთობა მალავს მონის მიერ თავისი თავისთვის გაწეულ შრომას, აქ-კი ფულადი ურთი-ერთობა მალავს დაქირავებული მუშის მუქთ შრომას.

■

[517] რომაელი მონა მიჯაჭვული იყო თავის მესაკუთრეზე, დაქირავებული მუშა-კი უხილავი ძაფებით არის მიბმული მასზე. ხოლო ეს მესაკუთრე ცალკე კაპიტალისტი—კი არ არის, არამედ—კაპიტალისტთა კლასი.

■

[539 შენიშვნა 37.] თვით ჟ. ბ. ს ე ი ც-კი ამბობს: „მდიდრების დაზოგვა ღარიბების ხარჯზე სწარმოებს". რომაელი პროლეტარი თითქმის მთლიანად საზოგადოების ხარჯზე ხცოვრობდა... თითქმის შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოება პროლეტარების ხარჯზე ცხოვრობს, ცხოვრობს იმ ნაწილით, რომელსაც მათ ართმევს შრომის გასამრჯელოდან". (Sismondi: „Etudes etc.", vol. I, P. 24).

■

[542] სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებში ადგილი აქვს არა მარტო მარტივ რეპროდუქციას, არამედ — რეპროდუქციას გაფართოვებული ფარგლებით, თუმცა ეს უკანასკნელი სხვადასხვა მასშტაბით სწარმოების, წარმოება და მოხმარება პროგრესიულად იზრდება და, ამნაირად, მეტი პროდუქტი იქცევა საწარმოო საშუალებად. მაგრამ ეს პროცესი კაპიტალის დაგროვება არ არის და, ამრიგად, იგი არც კაპიტალისტის ფუნქციას წარმოადგენს, ვიდრე მუშას მისი საწარმოო საშუალებანი და, ამიტომ, მისი პროდუქტიც და მისი საარსებო საშუალებანიც ჯერ კიდევ კაპიტალის სახით არ დაპირდაპირებიან.

■

[658] მუშა, თავისუფალი ორნაირად: თვით მუშა უშუალოდ არ ეკუთვნის საწარმოო საშუალებებს, როგორც, მაგალითად, მონა, ყმა და სხვა, მაგრამ არც საწარმოო საშუალებანი ეკუთვნიან მას, როგორც, მაგალითად, გლეხს და სხვ. რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა.

■

[659] მაგრამ მრეწველობის რაინდებმა მხოლოდ იმიტომ შესძლეს მახვილის რაინდების განდევნა, რომ მათ ისარგებლეს გარემოებით, რომელიც მათ მიერ არ იყო შექმნილი. ისინი დაწინაურ-

დენ იმავე უღირსი საშუალებებით, რომლითაც ოდესღაც სარგებლობდა რომის განთავისუფლებული მონა თავის პატრონზე გასაბატონებლად.

[660 შენიშვნა 199] ამრიგად, ამ განთავისუფლებას შედეგად მოჰყვა მისი ფრანველიერით თავისუფალ პროლეტარიად გადაქცევა და ეს უკანასკნელი მაშინვე პოულობდა ახალ ბატონებს ქალაქებში, რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, ძველი რომის დროიდან იყვნენ დარჩენილი...

[670] შემოფარგვლის (inclosures) საერთო შედეგებს იგი (დოქტორი პრეისი. რედ.) ამნაირად ახასიათებს: „საერთოდ ხალხის დაბალი კლასების მდგომარეობა თითქმის ყოველ მხრივ გაუარესდა; წვრილი მიწათმფლობელები და მოიჯარადრეები დღიურად მომუშავეების და მოქირაველების მდგომარეობამდე იქნენ დაქვეითებულნი იმავე დროს, ამ მდგომარეობაშიც უფრო ძნელი შეიქნა საარსებო საშუალების მოპოვება“ [211].

---

[211] იქვე, გვ. 159. ეს ძველ რომს გვაგონებს. „მდიდრებმა ხელში ჩაიგდეს გაუყოფელი მიწების დიდი ნაწილი. იმ დროის გარემოების მიხედვით, რომ მიწებს მათ აღარ ჩამოართმევდენ; ამიტომ ისინი ყიდულობდენ მეზობლად მდებარე ღარიბთა მიწების ნაკვეთებს, ნაწილობრივ მათი ნებაყოფლობით, ნაწილობრივკი ძალით, ისე, რომ განცალკევებული მიწების ნაცვლად ისინი ეხლა მეტად გაფართოებულ მიწებს ამუშავებდენ. ამასთანავე, მიწის დასამუშავებლად და პირუტყვის მოსაშენებლად ისინი მონებს ხმარობდენ, რადგანაც მათთან მომუშავე თავისუფალი ადამიანები ომში იქნებოდენ წაყვანილი. მონათმფლობელობას მათთვის კიდევ ის დიდი სარგებლობა მოჰქონდა, რომ სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლების გამო, მონებს შეეძლოთ თავისუფლად გამრავლება და ბევრი შვილების გაჩენა, ამნაირად, ძლიერნი მთელ სიმდიდრეს დაეპატრონენ და ქვეყანა მონებით აივსო. იტალიელთა რიცხვი-კი, პირიქით, თანდათან მცირდებოდა სიღარიბის, ხარკების და სამხედრო ბეგარის გაძლიერების გამო. ხოლო მშვიდობიანობის დროს მათ სრული უმოქმედობა მოელოდათ, რადგანაც მდიდრებს მისაკუთრებული ჰქონდათ მთელი მიწები და თავისუფალი ადამიანების ნაცვლად მონებს ამუშავებენ თავიანთ მამულებში“ (Appian: „Römische Bürgerkriege“. I. Buch I Kap., 7). ეს ადგილი შეეხება ლ ი ც ი ნ ი უ ს ი ს კანონების წინა ხანას. სამხედრო ბეგარა, რომელმაც ასე დაიჩქარა რომის ჰლებსის განადგურება, კ ა რ ლ ო ს დ ი დ ი ს თ ვ ი ს აც შეიქმნა მთავარ საშუალებად, რომელმაც დაიჩქარა თავისუფალი გერმანელი გლეხების გადაქცევა ფეოდალებისაგან დამოკიდებულად და ყმებად.

[685] ინგლისში ფერმერები თავდაპირველად ყმა-მოურავის სახით გვეელინება, bailiff—მებატონის მამულის გამგე. იგი თავისი მდგომარეობით ძველ რომაულ villicus-ს მოგვაგონებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი მოქმედების სფერო უფრო ვიწროა.

■

[701] ბამბის მრეწველობამ ინგლისში ბავშვთა მონობა შემოიღო და იმავე დროს ხელი შეუწყო შეერთებული შტატების ცოტად თუ ბევრად პატრიარქალური მონათმფლობელური მეურნეობის გადაქცევას ექსპლოატაციის კომერციულ სისტემად. საერთოდ დაქირავებული მუშების ფარული მონობა ევროპაში მოითხოვდა თავის საფუძვლად აშკარა მონობას ახალ ქვეყანაში [247].

---

[247] 1790 წელს ინგლისურ ვესტ-ინდიაში თავისუფალ ადამიანზე 10 მონა მოდიოდა, ფრანგულში—14 და ჰოლანდიურში—23 (Henry Brougham, An Inquiry into the Colonial Policy of the European Powers. Edinburgh. 1803. vol. II, p. 74).

■

[708] მუშის კერძო საკუთრება მის წარმოების საშუალებებზე წვრილ წარმოების საფუძველს შეადგენს, ხოლო წვრილი წარმოება თვით მუშის საზოგადოებრივი წარმოების და თავისუფალი ინდივიდუალობის განვითარების აუცილებელი პირობაა. მართალია, ეს წარმოების წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონყმობის და დამოკიდებულების სხვა გვარი ურთიერთობის დროსაც. მაგრამ იგი ჰყვავის, იჩენს მთელ თავის ენერგიას და იღებს სათანადო კლასიკურ ფორმას მხოლოდ იქ, სადაც მუშა თავისივე შრომის პირობების თავისუფალი კერძო მესაკუთრეა, სადაც გლეხი მესაკუთრეა მის მიერ დამუშავებული მიწისა და ხელოსანი—იმ იარაღებისა, რომელსაც იგი ვირტუოზულად ათამაშებს.

კ. მარქსი.

(ტომი II, ქართული თარგმანი, სახელგამი, 1933 წ.)

[10] მონების ყიდვა-გაყიდვაც მისი ფორმის მიხედვით საქონელთა ყიდვა-გაყიდვას წარმოადგენს. მაგრამ მონობის არსებობის გარეშე ფულს ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. რაკი მონობა არსებობს, — ფული შეიძ ლება დახარჯულ იქნეს მონების საყიდ-

ლად. პირიქით, მყიდველის ხელში ფულის ყოფნა სრულიადაც საკმარისი არაა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახადოს მოხობის არსებობა.

■

[12] კაპიტალისტს არ შეუძლია მუშა გაჰყიდოს როგორც საქონელი, ვინაიდან მუშა მისი მონა არ არის და მან იყიდა მხოლოდ მისი სამუშაო ძალის მოხმარება განსაზღვრული დროის განმავლობაში.

■

[99] ამიტომ, თუ საქონლის მფლობელნი კაპიტალისტები არ არიან, არამედ—დამოუკიდებელი უშუალო მწარმოებლები, ის დრო, რომელსაც ისინი ყიდვასა და გაყიდვას ანდომებენ, მათ სამუშაო დროზეა მონაკლები; ამიტომაა, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ (როგორც ძველად, ისე საშუალო საუკუნეებში) უქმე დღეებზე გადაეტანათ ამგვარი ოპერაციები.

■

[341] წარმოების პროცესი წარიხოცება საქონელში. ის ფაქტი, რომ მის წარმოებაზე სამუშაო ძალაა დახარჯული, ცხადდება ახლა როგორც საქონლის ნივთიერი თვისება,—თვისება საქონლისა ჰქონდეს ღირებულება; ამ ღირებულების სიდიდე გაიზომება დახარჯული შრომის სიდიდით, არაფერ სხვა რამედ არ დაიშლება საქონლური ღირებულება და სხვა არაფრისაგან შესდგება იგი.

■

[341] კაპიტალისტის მიერ წარმოებული საქონელი ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდება დამოუკიდებელი მუშების, ან მუშათა კოოპერაციების, ან მონების მიერ წარმოებულ საქონელთაგან.

■

[392] სინამდვილეში კი მუშის სამუშაო ძალა მისი უნარია (რომელსაც მუდამ განახლება, რეპროდუქცია ეძლევა) და არა მისი კაპიტალი. იგი არის ერთადერთი საქონელი, რომელიც მას შეუძლია მუდამ გაჰყიდოს და უნდა გაჰყიდოს, რათა იცოცხლოს, და რომელიც მოქმედებს როგორც კაპიტალი (ცვალებადი) მხოლოდ მყიდველის, კაპიტალისტის ხელში. როცა ესა თუ ის ადამიანი მუდამ იძულებუ-

ლია ისევ და ისევ მიჰყიდოს მესამე პირს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. თავისთავი, ეს, იმ ეკონომისტების თანახმად, იმას ამტკიცებს, რომ ხსენებული ადამიანი კაპიტალისტია, იმიტომ რომ მას მუდამ აქვს „საქონელი" (თავისთავი) გასაყიდი. ამ აზრით მონაც, თუმცა იგი მუდამ გაიყიდება მესამე პირის მიერ როგორც საქონელი, კაპიტალისტი ხდება, რადგან ამ საქონელის—მუშა-მონის—ბუნება ისეთია, რომ მყიდველი მას არა თუ ყოველდღიურად ამუშავებს ხელახლა, არამედ საარსებო საშუალებებსაც აძლევს, რომელთა მეოხებით ამ მუშა-მონას ისევ და ისევ შეუძლია მუშაობა. (შეად. ამის შესახებ სისმონდი და სეი წერილებში მალთუსის მიმართ).

■

[427] a) თუ ვიგულისხმებთ განვითარებულ კაპატალისტურ წარმოებას, მაშასადამე, დაქირავებული შრომის სისტემის ბატონობას,—ფულადი კაპიტალი, ცხადია, ასრულებს მთავარ როლს, რამდენადაც იგი წარმოადგენს იმ ფორმას, რომელშიაც ავანსად გაიღება ცვალებადი კაპიტალი. იმ ზომით, როგორც დაქირავებული შრომის სისტემა ვითარდება, ყოველი პროდუქტი გარდაიქმნება საქონლად და ამიტომ—ზოგიერთ მნიშვნელოვან გამონაკლისთა გარდა—მან მთლად უნდა განვლოს გარდაქმნა როგორც თავისი მოძრაობის ფაზა. მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა საკმარისი უნდა იყოს საქონელთა ასე ფულად ქცევისათვის, და ამ, მასის უდიდესი ნაწილი მოცემული არის შრომის ხელფასის სახით, იმ ფულის სახით, რომელიც, მრეწველი კაპიტალისტების მიერ ავანსად გაღებული როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა სამუშაო ძალის გასასტუმრებლად, მუშების ხელში უმეტეს წილად მოქმედებს მხოლოდ როგორც მიმოქცევის საშუალება (ყიდვის საშუალება). ეს არის სრული წინააღმდეგობა ნატურალური მეურნეობის მიმართ, რომელსაც უპირატესი ადგილი აქვს დაკავებული ყოველგვარი მებეგრეობის სისტემის (ბატონყმობითურთ) საფუძველზე, და კიდევ უფრო მეტნაკლებ პრიმიტიული თემების საფუძველზე სულერთია, დაკავშირებულია ამ თემებთან მებეგრობისა და მონობის ურთიერთობა თუ არა. მონობის სისტემაში ფულადი კაპიტალი, რომელიც სამუშაო ძალის საყიდლად იხარჯება, ასრულებს ძირითადი კაპიტალის ფულადი ფორმის. როლს; ეს კაპიტალი ანაზღაურდება თანდათანობით, მონის სიცოცხლის აქტიური პერიოდის გასვლის შემდეგ. ამიტომ ათინელებში იმ მოგებას, რომელსაც მონათმფლობელი იღებდა უშუალოდ, თავისი მონის სამრეწველო გამოყენების გზით, ან არაპირდაპირ, სხვა მრე-

წველზე (მაგალითად, მაღაროებში სამუშაოდ) მისი გაქირავების გზით განიხილავდენ მხოლოდ როგორც ავანსად გაღებული ფულადი კაპიტალის სარგებელს (ამორტიზაციითურთ),—სწორედ ისე, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში ზედმეტი ღირებულების ნაწილს, პლიუს ძირითადი კაპიტალის გაცვეთა, მრეწველი კაპიტალისტი ანგარიშობს როგორც სარგებელს და თავისი ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებას; სწორედ ისე, როგორც ეს წესად აქვთ იმ კაპიტალისტებს, რომელნიც ძირითად კაპიტალს (სახლებს, მანქანებს და სხვ.), აქირავებენ. უბრალო საოჯახო მონები, ეწევიან ისინი საჭირო სამსახურს თუ მარტოოდენ ფუფუნების გამოსაფენად არიან, აქ მხედველობაში არ მიიღებიან,—ისინი შეესაბამებიან ჩვენს შინამოსამსახურეთა კლასს.

მაგრამ მონობის სისტემასაც — რამდენადაც იგი გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს მიწათმოქმედებასა, მანუფაქტურასა, ნავოსნობაში და სხვ., როგორც ეს იყო განვითარებულ საბერძნეთის სახელმწიფოებსა და რომში — შენარჩუნებული აქვს ნატურალური მეურნეობის ელემენტები. თვით მონების ბაზარს მუდამ აწვდის მის საქონელს—სამუშაო ძალას—ომი, მეკობრეობა და სხვ. და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ სარგებლობს მიმოქცევის პროცესით, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის მითვისებას პირდაპირ ფიზიკურ იძულების გზით. შეერთებულ შტატებშიც კი, მას შემდეგ რაც შუალედი ტერიტორია დაქირავებული შრომის მქონე ჩრდილოეთის შტატებსა და მიწათმფლობელ სამხრეთის შტატებს შორის მონების მოშენების ტერიტორიად გადაიქცა სამხრეთისთვის, მაშასადამე, სადაც მონათა ბაზარზე გადასროლილი მონა თვით გახდა წლიური რეპროდუქციის ელემენტი, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ხანგრძლივად და ამიტომ რაც კი შეიძლებოდა დიდხანს აფრიკული მონათვაჭრობა განიგრძობდა ბაზრის შესავსებად.

კ. მარქსი.

კაპიტალი.

(ტომი III, ნაწ. I, სახელგამი, ქართული თარგმანი, 1935 წ.).

[7] კაპიტალისტურ წარმოების წესი მონობაზე დამყარებული წარმოების წესისაგან, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ სამუ-

შაო ძალის ღირებულება—და სათანადოდ ფასი—გამოისახება როგორც თვით შრომის ღირებულება—და სათანადოდ ფასი—ანუ როგორც შრომის ხელფასი (წიგნი I, თავი XVIII).

■

[75] ამიტომ ჩემთვის ადვილი გასაგებია ის დიდი შეუსაბამობა, რომელიც არის ჩვენსა და რომაელების ყოველდღიურ ხორბლის მოხმარებას შორის; ამის მიზეზი მოიპოვება მხოლოდ და მხოლოდ დაფქვის ხერხისა და პურის მომზადების უვარგისობაში. ამაშივე ვხედავ მე იმ ღირსშესანიშნავი ფაქტის ახსნასაც, რომელსაც იხსენიებს პლინიუსი, XVIII, c. 20, 2... „ფქვილი რომში იყიდებოდა, ხარისხის მიხედვით, 40, 48 ან 96 ასად მოდიუსი. ეს ფასები, რომლებიც ასე მაღალია იმავე დროს ხორბალზე არსებულ ფასებთან შედარებით, აიხსნება ბავშვური, განუვითარებლობის მდგომარეობაში მყოფი მაშინდელის წისქვილებით და აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი დაფქვის ხარჯებით". (Dureau de la Malle: „Economie politique des Romains". Paris, 1840, I, p. 280, 281).

■

[144] ამგვარად, დამოუკიდებლად ღირებულების კანონის ბატონობისა ფასებსა და ფასების მოძრაობაზე, სრულიად სწორია საქონელთა ღირებულება განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ისტორიულადაც როგორც prius (წინამსწრები) წარმოების ფასებისა. ეს შეეხება ისეთ ეკონომიურ მდგომარეობას, როდესაც საწარმოო საშუალებები მუშას ეკუთვნის, და ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს, ძველსა და ახალს დროშიც, თვით მშრომელი მიწის მესაკუთრე გლეხის და აგრეთვე ხელოსნის მეურნეობაში. ეს ეთანხმება ჩვენ მიერ წინად გამოთქმულ შეხედულებას, რომ პროდუქტის საქონლად განვითარებას საწყისს აძლევს გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა თემებს შორის და არა ერთი და ამავე თემის წევრებს შორის. ეს მართალია არა მარტო ამ პირველყოფილი მდომარეობისთვის, არამედ მართალია შემდგომი მდგომარეობისთვისაც, რომელიც მონობასა და ბატონყმობაზეა დამყარებული, აგრეთვე ხელოსნობის ამჭრული ორგანიზაციისათვის, სანამ საწარმოო საშუალებები, წარმოების თითეულ დარგში მიმაგრებული, ძალიან ძნელად გადასატანია ერთი სფეროდან მეორეში, და ამიტომ წარმოების სხვა-

დასხვა სფეროები განსაზღვრულ ფარგალში ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც უცხო ქვეყნები ან კომუნისტური თემები.

■

[276] სათამასუქო საქმე, რამდენადაც იგი შეიცავდა უბრალო ასიგნობების მიცემას მგზავრებისთვის ერთი ქვეყნის ზარაფის მიერ სხვა ქვეყნის ზარაფების სახელზე, უკვე განვითარებული იყო რომსა და საბერძნეთში,—განვითარდა საკუთრივ საზარაფო საქმიანობიდან.

■

[282] რადგან საკაქრო კაპიტალი მიმოქცევის სფეროშია ჩამაგრებული და მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საქონელთა გაცვლა-გამოცვლის მოსაშუალეობა გასწიოს, ამიტომ—თუ მხედველობაში არ მივიღებთ განუვითარებელ ფორმებს, რომლებიც უშუალო გაცვლითი ვაჭრობიდან გამომდინარეობს—მისი განვითარებისათვის არავითარი სხვა პირობები არაა საჭირო იმათ გარდა, რომლებიც საქონელთა მარტივი მიმოქცევისთვის და ფულის მიმოქცევისთვის არის საჭირო, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უკანასკნელ მ ი ს საარსებო პირობას წარმოადგენს. რანაირი წარმოების წესის საფუძველზეც უნდა იყოს პროდუქტები წარმოებული, რომელნიც საქონლის სახით მიმოქცევაში შედიან,—იქნება ეს ბუნებრივად აღმოცენებული თემის, თუ მონური წარმოების, თუ წვრილგლეხური და წვრილბურჟუაზიული, თუ კაპიტალისტურ წარმოების საფუძველზე,—ეს სრულიად არაფერს არ სცვლის მათს, როგორც საქონლის ხასიათში, და საქონლის სახით მათ უნდა განელონ გაცვლა-გამოცვლის პროცესი და ფორმის ცვლილებანი, რომელნიც ამ პროცესს თან სდევენ. კიდური წევრები, რომელთა შორის ვაჭრული კაპიტალი მოსაშუალეობს, მოცემულია ამ უკანასკნელისთვის, როგორც მოცემულია ფულისთვის და ფულის მოძრაობისთვის. ერთად ერთი ისაა საჭირო, რომ ეს კიდურები საქონლის სახით არსებობდეს,—სულერთია, წარმოადგენს წარმოება მთელი თავისი მოცულობით სასაქონლო წარმოებას, თუ თვითმწარმოებელ მეურნეთ გამოაქვთ ბაზარზე მხოლოდ ის გარდამეტი, რომელიც რჩება მათი წარმოებით მათი უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ...

თუ რა ზომით შედის წარმოება ვაჭრობაში, გაივლის ვაჭრობის ხელშრ, ეს წარმოების წესზეა დამოკიდებული, და ეს ზომა თავის მაქსიმუმს მიაღწევს კაპიტალისტურ წარმოების სრულს განვითარებაში.

■

[283] იგი (სავაჭრო კაპიტალი რედ.) მოსაშუალეობს საქონელთა გაცვლა-გამოცვლას, თუმცა ეს უკანასკნელი წარმოდგენილი არ უნდა გვქონდეს იმ თავითვე მხოლოდ როგორც საქონელთა გაცვლა-გამოცვლა უშუალო მწარმოებლებს შორის მონათმფლობელურ ურთიერთობაში, ბატონყმურ ურთიერთობაში, მოხარკეობის ურთიერთობაში (რამდენადაც პრიმიტიულ თემებს მივიღებთ მხედველობაში) პროდუქტის მიმთვისებელი და, მაშასადამე, გამყიდველი არის მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე ხარკის მიმღები სახელმწიფო.

■

[285 შენიშვნა 47] ბატონი ვ. კისელბახი (W. Kiesselbach: „Der Gang des Welthandels im Mittelalter", 1860) მართლა ჯერ კიდევ იმ ქვეყნის წარმოდგენებით ცხოვრობს, სადაც ვაჭრული კაპიტალი საზოგადოდ "კაპიტალის ფორმა არის. კაპიტალზე თანამედროვე აზით მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს, ისე არა, როგორც ბ-ნ მომსენს, რომელიც თავის რომის ისტორიაში „კაპიტალზე" და კაპიტალის ბატონობაზე ლაპარაკობს. უახლეს ინგლისის ისტორიაში საკუთრივ ვაჭართა წოდება და სავაჭრო ქალაქები აგრეთვე პოლიტიკურად რეაქციონერები არიან და საადგილმამულო და საფინანსო არისტოკრატიასთან კავშირში იმყოფებიან სამრეწველი კაპიტალის წინააღმდეგ. შეადარეთ მაგალითად, ლივერპულის პოლიტიკური როლი მანჩსტერისა და ბირმინგამისას, სამრეწველო კაპიტალის სრული გაბატონება მხოლოდ ხორბლის ბაჟების მოსპობის შემდეგაა ინგლისის ვაჭრული კაპიტალის და საფინანსო კაპიტალის (moneyed interest) მიერ აღებული.

■

[287] ძველ დროის მოვაჭრე ხალხები არსებობდენ როგორც ეპიკურის ღმერთების სამყაროს ინტერმუნდიებში ანუ, უფრო სწორად, როგორც ებრაელები პოლონეთის საზოგადოების სერეტებში. პირველი დამოუკიდებელი, მძლავრად განვითარებული სავაჭრო ქალაქებისა და მოვაჭრე ხალხების ვაჭრობა როგორც წმინდა საშუამავლო ვაჭრობა მწარმოებელ ხალხების ბარბაროსობაზე იყო დამყარებული, რომელთა შორის ისინი შუამავლების როლს ასრულებდენ. კაპიტალისტური საზოგადოების წინასაფეხურებზე ვაჭრობა დაუფლებულია მრეწველობას; თანამედროვე საზოგადოებაში პირიქით.

■

[288] ვიდრე სავაჭრო კაპიტალი განუვითარებელ საზოგადოებათა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას მოსაშუალეობს, სავაჭრო მოგება გვევლინება არა თუ როგორც სხვისი დაკლება და მოტყუება, არამედ მეტწილად მართლაც აქედან წარმოსდგება. გარდა იმისა, რომ სავაჭრო კაპიტალი სარგებლობს სხვადასხვა ქვეყნების წარმოების ფასების სხვაობით (და ამ მხრივ მას გავლენა აქვს საქონელთა ღირებულების გათანასწორებაზე და დამყარებაზე), აღნიშნულ წარმოების წესებს ის ახლავს შედეგად, რომ ზედმეტი პროდუქტის უდიდეს ნაწილს ვაჭრული კაპიტალი მიითვისებს,—ნაწილობრივ როგორც შუამავალი საზოგადოებათა შორის, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ არსებითად სახმარ ღირებულებაზეა მიმართული და რომელთა ეკონომიური ორგანიზაციისთვის საზოგადოდ მიმოქცევაში შემავალი პროდუქტთა ნაწილის გაყიდვას, მაშასადამე, საზოგადოდ პროდუქტთა გაყიდვას მათი ღირებულების მიხედვით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; ნაწილობრივ იმიტომ, რომ აღნიშნულ წარმოების წესთა არსებობის დროს ზედმეტი პროდუქტის მთავარი მფლობელნი, რომლებთანაც ვაჭარს საქმე აქვს,—მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, სახელმწიფო (მაგალ., აღმოსავლეთის დესპოტი)—მომხმარებელ სიმდიდრეს წარმოადგენენ, რომელსაც ხაფანგს უდგამს ვაჭარი, როგორც უკვე ა. სმიტს სისწორით აქვს ალღო აღებული ზემოაღნიშნულ ციტატში ფეოდალური დროის შესახებ. ამგვარად, სავაჭრო კაპიტალი, როდესაც იგი უპირატესად გაბატონებული არის, ძარცვა-გლეჯის სისტემას გამოხატავს,—მისი განვითარება როგორც ძველი, ისე ახალი დროის მოვაჭრე ხალხებში, უშუალოდ დაკავშირებული იყო ხომ ძალადობით ძარცვა-გლეჯასთან, მეკობრეობასთან, მონების მოტაცებასთან, კოლონიების დამონებასთან; ასე იყო კართაგენში, რომში, უფრო გვიან ვენეციელებში, პორტუგალელებში, ჰოლანდელებში და სხვ.

ვაჭრობის და სავაჭრო კაპიტალის განვითარება ყველგან ანვითარებს წარმოებას ისე, რომ იგი საცვლელი ღირებულებისადმი იყოს მიმართული, ადიდებს მის მოცულობას, ამრავალფეროვნებს და კოსმოპოლიტურს ხდის მას, ანვითარებს ფულს მსოფლიო ფულად. აშიტომ ვაჭრობას მეტნაკლებ დამშლელი ზეგავლენა აქვს წარმოების იმ ორგინიზაციებზე, რომლებსაც მოუსწრებს და რომლებიც ყველა თავის ფორმაში უმთავრესად სახმარ ღირებულებისადმია მიმართული. მაგრამ თუ რამდენად გამოიწვევს იგი ძველი წარმოების წესის დაშლას, ეს უპირველესად ამ უკანასკნელის სიმტკიცესა და შინაგან სტრუქტურაზეა დამოკიდებული. და თუ სადამდე მიმყვანია ეს დაშ—

ლის პროცესი, ე. ი. რომელი ახალი წარმოების წესი დგება ძველის ადგილას, ეს დამოკიდებულია არა ვაჭრობაზე, არამედ თვით ძველი წარმოების წესის ხასიათზე. ანტიურ ქვეყანაში ვაჭრობის ზეგავლენა და ვაჭრული კაპიტალის განვითარება შედეგად მოიღებს მუდამ მონურ მეურნეობას; ხან კი, გამოსავალი პუნქტის მიხედვით, შედეგად მოიღებს მხოლოდ გარდაქმნას პატრიარქალურ მონური სისტემისას, რომელიც უშუალო საარსებო საშუალებათა წარმოებისადმია მიმართული, ისეთ მონურ სისტემად, რომელიც ზედმეტი ღირებულების წარმოებისადმი არის მიმართული. პირიქით, თანამედროვე ქვეყანაში მას შედეგად აქვს კაპიტალისტური წარმოების წესი. აქედან გამომდინარეობს, რომ თვით ამ შედეგებს სულ სხვა მიზეზები ედვა საფუძვლად, ვიდრე სავაჭრო კაპიტალის განვითარება.

ასეთია საქმის ბუნება, რომ როგორც კი საქალაქო მრეწველობა განცალკევდება სამიწათმოქმედოსაგან, მისი პროდუქტები იმთავითვე საქონელს წარმოადგენს და, მაშასადამე, მათ გასაყიდად ვაჭრობის შუამავლობა არის საჭირო. ამგვარად, ვაჭრობის დაკავშირება საქალაქო განვითარებასთან და, მეორეს მხრივ, ამ უკანასკნელის განსაზღვრულობა ვაჭრობით თავისთავად გასაგები არის. მაგრამ თუ რამდენად მასთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს სამრეწველო განვითარება, ეს აქ სრულიად სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. ძველს რომში რესპუბლიკის უფრო გვიან პერიოდში განვითარდა უკვე ვაჭრული კაპიტალი უფრო მაღალ დონემდე, ვიდრე ოდესმე წინათ ძველს ქვეყანაში, ისე, რომ სამრეწველო განვითარების არავითარ პროგრესს არ ჰქონია ადგილი, მაშინ როდესაც კორინთში და ევროპისა და მცირე აზიის სხვა ბერძნულ ქალაქებში ვაჭრობის განვითარებას თან ახლდა მრეწველობის მაღალი განვითარება. მეორეს მხრივ, პირდაპირ წინააღმდეგ საქალაქო განვითარების და მისი პირობებისა, ვაჭრული სული და სავაჭრო კაპიტალის განვითარება ხშირად დაუბინადრებელ ხალხებს ახასიათებს.

■

[290 შენიშვნა 50]... წინააღმდეგ წინანდელი შეხედულებისა, რომელიც აზიურ, ანტიურ და საშუალო საუკუნეთა დროინდელი ვაჭრობის მოცულობასა და მნიშვნელობას საკმარისად არ აფასებდა, ახლა მოდადაა გადაქცეული მისი არაჩვეულებრივად გადაჭარბებით შეფასება. საუკეთესო გზა ამ შეხედულებისაგან განსათავისუფლებლად არის განხილვა ინგლისის ექსპორტის და იმპორტისა XVIII საუკუნის დასაწყისში და მისი დაპირისპირება ახლანდელთან. და იგი მაინც შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე რომელიმე წინანდელი მოვაჭრე ხალხის ექსპორტ-იმპორტი. (იხ. Anderson: „History of Commerce").

■

[339] ერთის მხრივ, ყველა სამუშაოში, სადაც მრავალი ინდივიდუუმი თანამშრომლობს, პროცესის საერთო კავშირი და ერთიანობა აუცილებლად წარმოდგენილია მმართველი ნებისყოფის სახით და იმ ფუნქციებით, რომლებიც ნაწილობრივ სამუშაოებს კი არ შეეხება, არამედ სახელოსნოს მთელ მოქმედებას, როგოც ამას ადგილი აქვს ორკესტრის დირიჟორის შემთხვევაში. ეს პროდუქტიული შრომაა, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს ყოველი კომბინიური წარმოების წესის დროს.

მეორეს მხრივ,—სავაჭრო განყოფილების სრულიად მხედველობაში მიუღებლად—უმაღლესი ზედამხედველობის ეს შრომა აუცილებლად წარმოსდგება ყველა წარმოების წესის არსებობისას, რომელიც დამყარებულია ანტაგონიზმზე მუშასა, როგორც უშუალო მწარმოებელსა, და საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს შორის. რაც უფრო დიდია ეს ანტაგონიზმი, მით უფრო დიდი არის ის როლი, რომელსაც ასრულებს ეს უმაღლესი ზედამხედველობა მუშებზე. ამიტომ თავის მაქსიმუმს იგი აღწევს მონობის სისტემაში...

ძველი დროის მწერლებს, რომლებიც უშუალოდ უცქეროდენ მონურ სისტემას, სამეთვალ-ურეო შრომის ორივე მხარე განუყრელად ჰქონდათ შეერთებული თეორიაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პრაქტიკაშიც,—სწორედ ისე, როგორც თანამედროვე ეკონომისტები, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების წესს აბსოლუტურ წარმოების წესად სთვლიან. მეორეს მხრივ, როგორც მე ახლავე ერთ მაგალითზე დავანახვებ მკითხველს, თანამედროვე მონობის სისტემის აპოლიგეტებმა ისევე იციან სამეთვალყურეო შრომის გამოყენება მონობის გამართლების საფუძვლად, როგორც სხვა ეკონომისტებმა—დაქირავებული შრომის სისტემის გასამართლებლად.

Villicus-ი კატონის დროს: „მონათმფლობელი სამამულო მეურნეობის (familia rustica) სათავეში იდგა მოურავი ვილის (villicus-ი), რომელიც აგროვებდა შემოსავალს და აწარმოებდა ხარჯებს, ყიდულობდა და ჰყიდდა, ღებულობდა ბატონისაგან ინსტრუქციებს და მის აოყოფნაში განაგებდა და სასჯელს აწესებდა... მოურავს, რასაკვირველია, უფრო თავისუფალი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ მონებს; მაგონის წიგნები იძლევა რჩევას, ნება დართონ მას დაქორწინდეს, ბავშვები გააჩინოს და საკუთარი სალარო ჰქონდეს, ხოლო კატონი რჩევას იძლევა მას ნებადართული ჰქონდეს შეირთოს გამგდედაკაცი; მარტო მას შეეძლო აგრეთვე ჰქონებოდა იმედი, რომ, თუ კარგად მოიქცევოდა, ბატონისგან თავისუფლებას მიიღებდა. სხვებრ ყველანი ერთ საერთო საოჯახო მეურნეობას შეადგენდენ...

ყოველი მონა, მოურავიც კი თავის თავისუფლებას იღებდა ბატონისაგან განსაზღვრულ ვადებში და მტკიცე განაკვეთების მიხედვით, შემდეგ ეს მას უნდა ემყოფინებია, როგორც შეეძლო... ულუფის რაოდენობა შრომის ხასიათის მიხედვით იყო დაწესებული, რის გამო, მაგალითად, მოურავს, რომელსაც მონებზე უფრო ადვილი სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი, მათზე ნაკლები ეძლეოდა". (Mommsen: „Römische Geschichte". Zweite Auflage. 1856. I, p. 808—810).

არისტოტელი: ὁ γὰρ δεσπότης οὐκ ἐν τῷ κτᾶσθαι τοὺς δούλους, ἀλλ'ἐν τῷ χρῆσθαι δούλοις (იმიტომ რომ ბატონი—კაპიტალისტი—ცხადდება როგორც ასეთი არა მონების შეძენაში—კაპიტალის საკუთრებაში, რომელიც იძლევა ძალას შრომის საყიდლად,—არამედ მონების გამოყენებაში—მუშების—ახლა წარმოების პროცესში დაქირავებული მუშების გამოყენებაში). „Ἔστι δ' αὐτή ἡ ἐπιστήμη οὐδὲν μέγα ἔχουσα οὐδὲ σεμνόν. (მაგრამ ამ მეცნიერებაში დიადი და მაღალი არა არის რა) ἀ γὰρ τὸν δοῦλον ἐπίστασθαι δεῖ ποιεῖν ἐκεῖνον δεῖ ταῦτα ἐπίστασθαι ἐπιτάττειν. (მან უნდა იცოდეს უბრძანოს ის, რისი შესრულებაც მონას უნდა შეეძლოს). Διὸ ὅσοις ἐξουσία μὴ αὐτοὺς κακοπαθεῖν, ἐπίτροπος λαμβάνει ταύτην τὴν τιμὴν, αὐτοὶ δὲ πολιτεύονται ἢ φιλοσοφοῦσιν. (როდესაც თვით ბატონებს არ სჭირდებათ მით თავის გარჯა, ამ პატივს თავის თავზე იღებს ზედამხედველი, ისინი კი სახელმწიფო საქმეებს აწარმოებენ ან ფილოსოფოსობენ). (Arist. „Respubl." ed. Bekker, lib. 1,7).

ბატონად ყოფნა, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში, რომ ხელისუფალთ ბატონობის ფუნქციები აკისრებს, ე. ი. რომ მათ, მა'მასადამე, ეკონომიურ სფეროში იცოდენ სამუშაო ძალის მოხმარება,—ამას ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ამბობს მოურიდებელ სიტყვებით და თან უმატებს, რომ ეს სამეთვალყურეო შრომა დიდი ღირსების არაა, რის გამო ბატონი, როდესაც იგი საკმაოდ შეძლებულია, ზედამხედველს გადასცემს ამ გარჯის „პატივს".

ხელმძღვანელობისა და უმაღლესი ზედამხედველობის შრომა, რამდენადაც იგი არაა განსაკუთრებული, ყოველი კომბინიური საზოგადოებრივი შრომის ბუნებიდან გამომდინარე ფუნქცია, არამედ წარმოსდგება ანტაგონზმიდან საწარმოო საშუალებების მფლობელსა და მარტოოდენ სამუშაო ძალის მფლობელს შორის,—იყიდება ეს სამუშაო ძალა თვით მუშასთან ერთად, როგორც მონობის სისტემაში, თუ თვითონ მუშა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას და, ამიტომ, წარმოების პროცესი იმავე დროს წარმოადგენს კაპიტალის მიერ მისი შრომის მოხმარების პროცესს,—ეს ფუნქცია, რომელიც უშუალო

წარმოებლის დამონავებიდან გამომდინარეობს, საკმაოდ ხშირად გამოუყენებიათ თვით ამ დამოკიდებულების გამართლების საფუძვლად, და ექსპლოატაცია, სხვისი საფასგადაუხდელი შრომის მითვისებაც ასეეე ხშირად დაუსახავთ კაპიტალის მესაკუთრის სათანადო შრომის ხელფასად. მაგრამ ყველაზე უკეთ სჩადის ამას მონობის დამცველი შეერთებულ შტატებში, ერთი ადვოკატი ოკონორი...

და აი, დაქირავებულ მუშასაც მონასავით უნდა ჰყავდეს ბატონი, რომელმაც იგი ამუშავოს და განაგოს... უმაღლესი ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის შრომა, რამდენადაც იგი ანტაგონისტურ ხასიათიდან, შრომაზე კაპიტალის ბატონობიდან გამომდინარეობს და ამიტომ საერთო არის ყველა წარმოების წესისთვის, რომელიც, როგორც კაპიტალისტური წესი, კლასობრივ ანტაგონიზმზეა დამყარებული... შრომის ხელფასი რომელიმე epitropos-ის (მოურავის ძველ საბერძნეთში) ან regisseur-ისა, როგორც მას ფეოდალურ საფრანგეთში უწოდებდენ, სრულიად განცალკევდება მოგებისგან და იღებს დახელოვნებული შრომისთვის ხელფასის ფორმას, როგორც კი სარეწაო ისე საკმაო დიდი ზომის ხდება, რომ შეუძლია იყოლიოს ასეთი სასყიდლიანი მმართველი (manager), თუმცა ამას სრულიადაც არა აქვს შედეგად ის, რომ ჩვენი მრეწველი კაპიტალისტები „სახელმწიფო საქმეებს აწარმოებდენ ან ფილოსოფოსობდენ“.

კ. მარქსი.

კაპიტალი.

(ტომი III, ნაწ. 2, ქართული თარგმანი, 1934 წ. სახელგამი)

[6] მონობის სისტემაში მუშა კაპიტალლირებულებას წარმოადგენს, მას აქვს ნასყიდობის ფასი. და თუ მას ქირით გასცემენ, დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს, ჯერ ერთი, მისი ნასყიდობის ფასის სარგებელი და, გარდა ამისა, აანაზღაუროს კაპიტალის წლიური გაცვეთა.

■

[125] საავაზო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია ვაჭრული კაპიტალის განვითარებასთან და კერძოთ ფულით მოვაჭრე კაპიტალის (ფულადი საავაჭრო კაპიტალის) განვითარებასთან. ძველ რომში, რესპუბლიკის უკანასკნელ დროიდან დაწყებული, როდესაც მანუფაქტურა მისი ანტიურ ქვეყანაში განვითარების საშუალო დო-

ნეზე ბევრად დაბლა იდგა, ვაჭრული კაპიტალი, ფულად—სავაჭრო კაპიტალი და სავახშო კაპიტალი უმაღლეს წერტილამდე იყო—ანტიურ ფორმის ფარგალში განვითარებული.

[125] ყველა იმ ფორმაში, რომელშიაც მონური მეურნეობა (არა პატრიარქალური, არამედ იმ ფორმისა, რომელიც მას აქვს საბერძნეთის და რომის უფრო ნაგვიანევ ეპოქებში) გამდიდრების საშუალებას წარმოადგენს, როდესაც მაშასადამე, ფული საშუალებაა სხვისი შრომის მითვისებისა მონების, მიწის და სხვ. შესყიდვის გზით,—ყველა ასეთ შემთხვევაში ფული (სწორედ იმიტომ, რომ მას ასეთი დაბანდება ეძლევა) გამოიყენება როგორც კაპიტალი, როგორც სარგებლის მომცემი კაპიტალი.

[126] როდესაც რომის პატრიციების მევახშეობამ სრულიად გაანადგურა რომის პლებეები, წვრილი გლეხები,—დასასრული მიეცა ექსპლოატაციის ამ ფორმას და წვრილი საგლეხო მეურნეობის ადგილი სამონათმფლობელო მეურნეობამ დაიკავა.

[127] დაქირავებული შრომის მონა, სრულიად ისე, როგორც ნამდვილი მონა, თავისი მდგომარეობით ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ იგი—ყოველ შემთხვევაში როგორც მწარმოებელი—არ შეიძლება გახდეს მოვალე-მონა; მართალია, იგი შეიძლება ასეთი გახდეს როგორც მომამარებელი.

[127] ამ რიგად, მევახშეობა, ერთის მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანჯიურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიურ და ფეოდალურ საკუთრებას. მეორეს მხრივ,იგი არღვევს და ანადგურებს წვრილ საგლეხო და წვრილბურჟუაზიულ წარმოებას, მოკლედ—ყველა იმ ფორმებს, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა თავის საწარმოო საშუალებათა.

[127] სადაც საწარმოო საშუალებები დაქსაქსულია, იქ მევახშეობა ფულადი ქონების ცენტრალიზაციას ახდენს. მევახშეობა არ

სცელის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და მას საბრალოდ ხდის. იგი სწოვს მას, სისხლიდან სცლის და რეპროდუქციას აიძულებს სულ უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს. აქედან—ხალხის სიძულვილი მევახშის მიმართ, განსაკუთრებით ინტენსიური ანტიურ ქვეყანაში, სადაც მწარმოებლის საკუთრება მისი წარმოების პირობებზე იმავე დროს პოლიტიკურ ურთიერთობათა, მოქალაქეთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ბაზისს შეადგენდა.

ვიდრე მონობაა გაბატონებული ან ვიდრე ზედმეტ პროდუქტს ფეოდალი და მისი ამალა სჭამს და მევახშეს ხელში მონათმფლობელი ან ფეოდალი უვარდება,—წარმოების წესი იგივე რჩება; მხოლოდ იგი უფრო ძნელი ასატანი ხდება მუშისთვის. ვალებით დატვირთული მონათმფლობელი ან ფეოდალური მებატონე მეტს გამოსწოვს მუშას, იმიტომ რომ მასაც მეტს გამოსწოვენ. ანდა იგი, ბოლოს და ბოლოს, თავის ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითონ ხდება მემამულე ან მონათმფლობელი, ისე როგორც რაინდი ძველ რომში. ძველი ექსპლოატატორის ადგილს, რომლის ექსპლოატაციას მეტნაკლებ პატრიაქალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან უმთავრესად პოლიტიკური ძალა-უფლების იარაღს წარმოადგენდა, დგება სასტიკი, ფულხარბი ვიგინდარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება.

■

[129] მევახშე ცხოვრობს—ასე ვთქვათ—წარმოების სვრეტებში, ისე როგორც ეპიკურის ღმერთები ცხოვრობდენ ინტერმუნდიებში (მსოფლიოთშორისო სივრცეში).

[130] იგივე ომები, რომლებითაც რომაელი პატრიციები პლებეებს ანადგურებდენ, აიძულებდენ რა მათ გაეწიათ საომარი ბეგარა, რაც ამ უკანასკნელთ აბრკოლებდა მათი შრომის პირობების რეპროდუქციაში და ამიტომ მათ აღატაკებდა (გაღატაკება, რეპროდუქციის პირობების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა აქ უმთავრეს როლს ასრულებს),—იგივე ომები პატრიციების ბეღლებსა და სარდაფებს ნადავლით ავსებდა სპილენძის—მაშინდელი ფულის—სახით. ნაცვლად იმისა, რომ პლებეებისთვის პირდაპირ მიეცათ მათი საჭირო საქონელი, პური, ცხენები, რქოსანი საქონელი, ისინი მათ სესხად აძლევდენ ამ მათთვის უსარგებლო სპილენძს და ამ თავისი მდგომარეობით სარგებლობდენ იმისთვის, რომ მათგან ვეება სავახშო

სარგებელი გამოეწურათ, რითაც მოვალე—მოხებად აქცევდენ პლებეებს... რომის იმპერიაში, როგორც ცნობილია, ხშირად ხდებოდა, რომ თავისუფალი ადამიანები შიმშილის გამო შვილებს და თავიანთ თავს მონებად მიჰყიდდენ მდიდრებს.

■

[130] მაგრამ მევახშეობის ფართო და მასთან სპეციფიურ ასპარეზს წარმოადგენს ფულის ფუნქცია როგორც გადახდის საშუალებისა. განსაზღვრულ ვადასთან დაკავშირებული ყოველი ფულადი გადასახდელი,—იჯარა, საური, ხარკი და სხვ., აუცილებლად ფულით არის გასასტუმრებელი. ამიტომ მევახშეობა ძველი რომის დროიდან დაწყებული ახალ დრომდე ასე ფართოდ სარგებლობს ხარკის მოიჯარადრეებით, fermiers généraux (მთავარი მოიჯარადრეებით), receveurs généraux (ხარკის მთავარი ამკრეფლებით).

■

[131] საკრედიტო საქმის განვითირება წარმოსდგება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ყალბად არ უნდა გვესმოდეს, არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, რა აზრსაც მასში სდებდენ ანტიური მწერლები, ეკლესიის მამები, ლუთერი ან ძველი სოციალისტები. ეს ნიშნავს მხოლოდ სარგებლის მიმცემი კაპიტალის დაქვემდებარებას კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებისა და მოთხოვნილებებისადმი,—არც მეტს, და არც ნაკლებს.

■

[146] თვით იურიდიული წარმოდგენა სხვას არას ნიშნავს გარდა იმისა, რომ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მიწას ისე მოეპყრას, როგორც ყოველი საქონლის მფლობელი ეპყრობა თავის საქონელს; და ეს წარმოდგენა—იურიდიული წარმოდგენა მიწის თავისუფალი კერძო საკუთრების შესახებ—ჩნდება ძველს დროში მხოლოდ ორგანული საზოგადოებრივი წყობილების დაშლის ხანაში, ხოლო თანამედროვე ქვეყანაში—მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად. აზიაში იგი მხოლოდ ალაგ-ალაგ იქნა ევროპიელების მიერ შეტანილი. თავდაპირველი დაგროვების შესახებ განყოფილებაში (წიგნი I, თავი XXIV) ჩვენ ვნახეთ, რომ წარმოების ეს წესი გულისხმობს, ერთის მხრივ, უშუალო მწარმოებლის განთავისუფლებას იმ მდგომარეობიდან, რომელიც მოასწავებდა მის ყოფნას მიწის უბრალო დანამატად (მებეგრის, ყმის, მონის და სხვ. სახით), მეო-

რეს მხრივ—ხალხის მასის ექსპროპრიაციას მიწისაგან. ამ აზრით მიწის საკუთრების მონოპოლია წარმოადგენს ისტორიულ წინაპირობას და რჩება კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივ საფუძვლად, ისე როგორც ყველა წინანდელ წარმოების წესთა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მასების ექსპლოატაციაზეა დამყარებული.

■

[153] ის გარემოება, რომ კაპიტალიზაცია ქმნილი მიწის რენტა გამოიხატება როგორც მიწის ფასი ანუ მიწის ღირებულება და რომ მიწა, ამიტომ, ყოველ სხვა საქონელსავით იყიდება და გაიყიდება, ზოგიერთი აპოლოგეტებისთვის წარმოადგენს დასაყრდენს მიწის საკუთრების გასამართლებლად, რადგან მყიდველმა მასში, ყოველ სხვა საქონელსავით, ეკვივალენტი გადაიხადა, და მიწის საკუთრების დიდი ნაწილი ამ წესით ხელიდან ხელში გადავიდა. მაგრამ ასეთ მოსაზრებას ძალა ექნებოდა მონობის გასამართლებლადაც, იმიტომ რომ მონათმფლობელისთვის, რომელმაც მონაში ნაღდი ფული გადაიხადა, მონის შრომის გამოსავლიანობა წარმოადგენს იმ კაპიტალის სარგებელს, რომელიც მან მონის სასყიდლად დახარჯა.

■

[163] როგორიც უნდა იყოს რენტის სპეციფიური ფორმა, ყველა მის ტიპს საერთო ის აქვს, რომ რენტის მითვისება არის ის ეკონომიური ფორმა, რომელშიაც რეალიზაციას იღებს მიწის საკუთრება, და რომ მიწის რენტა, თავის მხრივ, გულისხმობს მიწის საკუთრებას, განსაზღვრულ ინდივიდუუმთა საკუთრებას დედამიწის განსაზღვრულ ნაკვეთებზე.—იქნება მესაკუთრედ პირი, რომელიც თემს წარმომადგენლობს, როგორც აზიაში, ეგვიპტეში და სხვა, იქნება ეს მიწის საკუთრება თავდაპირველი საფუძველი განსაზღვრულ პირთა საკუთრებისა უშუალო მწარმოებელთა პიროვნებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს მონობის ან ბატონყმობის სისტემის დროს, იქნება იგი არამწარმოებელთა კერძო საკუთრება ბუნებაზე, საკუთრების უბრალო ტიტული მიწის მიმართ, თუ, დაბოლოს, იქნება იგი ისეთი დამოკიდებულება მიწის მიმართ, რომელიც თითქოს უშუალოდ იგულისხმება პროდუქტების მითვისებით და წარმოებით უშუალო მწარმოებლების მიერ, რომელთა შრომა განკერძოებულია და სოციალურად განუვითარებელია, როგორც ამას ადგილი აქვს კოლონისტებისა და წვრილგლეხ—მიწათმფლობელთა შემთხვევაში.

■

[296] ამიტომ მყიდველს ეჩვენება, რომ მან თავისი პრეტენზია რენტაზე მუქთად როდი მიიღო და მუქთად როდი სარგებლობს კაპიტალის შრომით, რისკით და მესარეწეული უნარით, არამედ ამაში სათანადო ეკვივალენტი გადაიხადა. რენტა მას, როგორც ეს უკვე წინათ იყო აღნიშნული, ისე ეჩვენება, როგორც მხოლოდ სარგებელი კაპიტალისა, რომლითაც მან მიწა და მასთან ერთად, რენტაზე უფლებაც შეისყიდა. სწორედ ასევე ეჩვენება მონათმფლობელს, რომელმაც ზანგი იყიდა, რომ მან შეიძინა საკუთრება ზანგზე არა მონობის ინსტიტუტის, როგორც ასეთის, წყალობით, არამედ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ძალით. მაგრამ თვით ტიტული არ წარმოიშობა გაყიდვის საშუალებით, არამედ მხოლოდ გადაიტანება გაყიდვის აქტით... საზოგადოების უფრო მაღალი ეკონომიური ფორმაციის თვალსაზრისით ცალკე ინდივიდუუმთა კერძო საკუთრება მიწაზე სავსებით ისე უაზროდ მოგვეჩვენება, როგორც კერძო საკუთრება ერთი ადამიანისა მეორე ადამიანზე.

■

[303] მაშასადამე, ასეთი საზოგადოებრივი ფორმების არსებობისას, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს კაპიტალი, რომელიც იმ ფუნქციას ასრულებს, რომ მთელ ზედმეტ შრომას იძულებულყოფს და მთელ ზედმეტ ღირებულებას პირველ რიგში თითონ ითვისებს, მაშასადამე, სადაც კაპიტალს ჯერ კიდევ არ დაუმორჩილებია საზოგადოებრივი შრომა, ანდა მხოლოდ სპორადიულად დაუმორჩილებია,—საერთოდ შეუძლებელია რენტაზეც ლაპარაკი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, რენტაზე როგორც გარდამეტზე საშუალო მოგების მიმართ, ე. ი. იმ პროპორციული წილის მიმართ, რომელიც ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებაში ყოველ ცალკეულ კაპიტალს აქვს.

■

[305] საკუთრივ ნატურალური მეურნეობის პირობებში, მიმოქცევის პროცესში სამიწათმოქმედო პროდუქტი ან სრულიად არ შედის ან შედის მხოლოდ მისი მეტად უმნიშვნელო ნაწილი, და შედარებით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თვით იმ პროდუქტის ნაწილისა, რომელიც მიწის მესაკუთრის შემოსავალს წარმოადგენს, როგორც მაგალითად, ბევრ ძველ რომაულ ლატიფუნდიაში, ასევე კარლ დიდის ვილებში და აგრეთვე (იხ. Vinçard, Histoire du travail) ბევრად თუ ნაკლებად მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე,—ასეთ ნატურალურ მეურნეობაში მსხვილი მამულების პროდუქტი და ზედმეტი პროდუქტი სრულიადაც არ შესდგება მარტო სამიწათმოქ-

მედო შრომის პროდუქტებისაგან. იგი აგრეთვე სამრეწველო შრომის პროდუქტებსაც შეიცავს. შინაური ხელოსნური და მანუფაქტურული შრომა, როგორც დამხმარე წარმოება მიწათმოქმედებაში, რომელიც ბაზისს შეადგენს, წარმოების იმ წესის პირობას წარმოადგენს, რომელზედაც ეს ნატურალური მეურნეობაა დაფუძნებული როგორც ძველ და საშუალო საუკუნეების ევროპაში, ისე—თვით დღემდეც — ინდურ თემში, სადაც მისი ტრადიციული ორგანიზაცია ჯერ დანგრეული არაა. წარმოების კაპიტალისტური წესი ამ კავშირს სრულიად სპობს... და თვით უძველესი დროის იმ სამიწათმოქმედო მეურნეობებში, რომელნიც მეტ ანალოგიას გვიჩვენებენ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასთან,—კართაგენსა და რომში,—თვით მათშიც კი ადგილი აქვს მეტ მსგავსებას პლანტაციების მეურნეობასთან, ვიდრე იმ ფორმასთან, რომელიც მართლა ექსპლოატაციის კაპიტალისტურ წესს შეეფერება [43]. ფორმალური ანალოგია,—რომელიც ამასთან

[43] ა. სმიტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რენტა და მოგება ჯერ კიდევ მის დროში (და ასევე ითქმის ჩვენი დროისთვისაც საპლანტაციო მეურნეობის მიმართ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში) გათიშული არ არიან, ვინაიდან მიწის მესაკუთრე იმავრდოულად კაპიტალისტიცაა, ასე იყო, მაგალითად, კატონი თავის მამულებში. მაგრამ ეს გათიშვა სწორედ წინაპირობაა წარმოების კაპიტალისტური წესისა, რომლის ცნებასაც ამასთანავე ეწინააღმდეგება მონობის ბაზისი.

ყველა არსებით პუნქტებში სავსებით მცდარად ისახება მისთვის, ვინც წარმოების კაპიტალისტური წესი გაიგო და ვინც ყოველ ფულად მეურნეობაში არ აღმოაჩენს, მსგავსად ბ-ნი მომზენისა [44], უკვე

[44] თავის რომის ისტორიაში ბატონი მომზენი სიტყვა კაპიტალისტს იღებს სრულიად არა თანამედროვე ეკონომიის და თანამედროვე საზოგადოების აზრით, არამედ პოპულიარული წარმოდგენის იმ სახით, რომლითაც ჯერ კიდევ ეს წარმოდგენა განაგრძობს არსებობას არა ინგლისსა და ამერიკაში, არამედ კონტინენტზე როგორც წარსულ ურთიერთობათა ძველი ტრადიცია,

წარმოების კაპიტალისტურ წესს,—ეს ფორმალური ანალოგია არ მოიპოვება საზოგადოდ ძველ დროში კონტინენტალურ იტალიაში, არამედ მას ადგილი აქვს მარტოოდენ სიცილიაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებობდა როგორც სამიწათმოქმედო ქვეყანა, რომელიც რომს ხარკს უხდიდა და ამიტომაც მიწათმოქმედებას არსებითად მიზნად ექსპორტი ქონდა. აქ ვხვდებით ჩვენ მოიჯარადრეებს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

■

[310] ასეთ პირობებში (წვრილ მწარმოებლის დამოუკიდებლობის დროს. რედ.) ზედმეტი შრომა ნომინალურ მიწის მესაკუთრისათვის შეიძლება მათგან გამოწოვილ იქნას მხოლოდ გარე ეკონომიური იძულებით, სულერთია, როგორ ფორმასაც უნდა ღებულობდეს ეს იძულება [45]. ეს ფორმა მით განსხვავდება მონური

[45] ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დამპყრობელთა უახლოეს ამოცანას შეადგენდა მუდამ აგრეთვე ადამიანების მითვისებაც. შეად. Linguet, იხ. აგრეთვე Möser.

და პლანტატორული მეურნეობისაგან, რომ მონა აქ სხვისი საწარმოო პირობების საშუალებით მუშაობს და არა დამოუკიდებლად.

■

[316] თუ რამდენად განუხორციელებელია (რენტის პროდუქტებით ფულად რენტად. რედ.). ეს გარდაქმნა შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალის განსაზღვრული განვითარების გარეშე, ამას მოწმობს რომის იმპერატორების დროს უშედეგოდ დარჩენილი ცდები ამ გარდაქმნისა და უკანდაბრუნება ნატურალურ რენტისკენ, მას შემდეგ, რაც სცადეს ყოველ შემთხვევაში ამ რენტის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო გადასახადის სახით არსებობდა, გადაეცვალათ საზოგადოდ ფულად რენტად.

■

[322] ჩვენ აქ არ ვსაუბრობთ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ საკუთრივ მონათმფლობელურ მეურნეობაზე (რომელიც აგრეთვე გაივლის ბთელ რიგ საფეხურებს, დაწყებული პატრიარქალური სისტემიდან, რომელიც უმთავრესად თვითმოხმარებისათვის არის ნავარაუდევი, საკუთრივ პლანტატორულ სისტემამდე, რომელიც მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს) და მემამულის მეურნეობაზე, სადაც მიწის მესაკუთრე დამუშავებას თავის საკუთარ ხარჯზე აწარმოებს, ყველა საწარმოო იარაღებს ფლობს და ექსპლოტაციას უკეთებს არათავისუფალ თუ თავისუფალ, ნატურით თუ ფულით გასასტუმრებელ მოჯამაგირეების შრომას. მიწის მესაკუთრე და საწარმოო იარაღების მესაკუთრე და, მაშასადამე, იმ მუშების უშუალო ექსპლოატატორიც, რომელნიც წარმოების ამ ელემენტებს უნდა მიეთვალონ, აქ ერთმანეთს თანაემთხვევა. ასევე თანაემთხვევა ერთმანეთს რენტა და მოგება; ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმების გათიშვას სრულიად არა აქვს ადგილი. მესაკუთრე მთელი იმ საწარმოო იარაღებისა, რომელთაც მიწა და მონობის თავდაპირველ ფორმაში თვით უშუალო მწარმოებლებიც ეკუთვნიან, პირდაპირ აცლის მუ-

შებს მთელ ზედმეტ შრომას, რომელიც აქ ზედმეტ პროდუქტში გამოიხატება... ყოველ შემთხვევაში ეს ფორმა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მიწის მესაკუთრის შემოსავალი,—რა სახელწოდებაც უნდა მივსცეთ მას,—მის მიერ მითვისებული თავისუფალი ზედმეტი პროდუქტი აქ ის ნორმალური და გაბატონებული ფორმაა, რომელშიც უშუალოდ მთელი გადაუხდელი ზედმეტი შრომის მითვისება ხდება, და მიწის საკუთრება ამ მითვისების საფუძველს შეადგენს.

■

[325] საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების პარცელური საკუთრების ეს ფორმა, როგორც გაბატონებული, ნორმალური ფორმა, შეადგენს, ერთის მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს უძველესი კლასიკური დროის საუკეთესო ხანაში, ხოლო მეორეს მხრივ, ამავე ფორმას ვპოულობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოსდგებიან. ასეთია, მაგალითად, yeomanry (თავისუფალი გლეხობა) ინგლისში, გლეხთა წოდება შეეციაში, ფრანგი და დასავლეთ-გერმანიის გლეხები.

■

[326] მიწის ფასი სხვა არა არის რა, თუ არ კაპიტალიზაციაქმნილი და ამიტომ ანტიციპაციაქმნილი რენტა. თუ მიწათმოქმედება კაპიტალისტურად წარმოებს, ასე რომ მიწის მესაკუთრე მხოლოდ რენტას ღებულობს, ხოლო მოიჯარადრე არაფერს არ იხდის მიწისთვის, გარდა ამ წლიური რენტისა, მაშინ ნათელია, რომ თუმცა კაპიტალი, მიწის საყიდლად დახარჯული თვით მიწის მესაკუთრის მიერ, მისთვის სარგებლის მომცემი კაპიტალდაბანდებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას თვით მიწათმოქმედებაში დახარჯულ კაპიტალთან სრულიად არაფერი საერთო არა აქვს. ეს კაპიტალი არ შეადგენს არც მიწათმოქმედებაში მომქმედი ძირითადი კაპიტალისა და არც საბრუნავი კაპიტალის ელემენტს. პირიქით, იგი აძლევს მხოლოდ მყიდველს ტიტულს წლიური რენტის მისაღებად, მაგრამ სრულიად არავითარი საქმე ამ რენტის წარმოებასთან მას არა აქვს...

ავიღოთ, მაგალითად, მონათმფლობელური მეურნეობა. ფასი, რომელიც აქ მონას ეძლევა, სხვა არაფერია, თუ არ ანტიციპაციაქმნილი და კაპიტალიზაციაქმნილი ზედმეტი ღირებულება ანუ მოგება, რომელიც მისგან უნდა იქნას ამოგებული. მაგრამ მონის საყიდლად დახარჯული კაპიტალი არ ეკუთვნის იმ კაპიტალს, რომლის საშუალებითაც მოგება, ზედმეტი ღირებულება, მიწიდან მიიღება. პირიქით, ეს ის კაპიტალია, რომელიც მონათმფლობელმა გაასხვისა, იგი გა-

მოკლებაა იმ კაპიტალიდან, რომელიც მას თავის განკარგულებაში აქვს ნამდვილ წარმოებაში. მან შესწყვიტა არსებობა მონათმფლობელისათვის, სავსებით ისე, როგორც მიწის საყიდლად დახარჯულმა კაპიტალმა შესწყვიტა მიწათმოქმედებისათვის არსებობა. ეს საუკეთესოდ მტკიცდება იმით, რომ ეს კაპიტალი მონათმფლობელისათვის ან მიწის მესაკუთრისათვის კვლავ არსებობას იწყებს, როგორც კი იგი მონას ან მიწას ხელახლა ყიდის. მაშინ კი იგივე მდგომარეობა იქმნება მყიდველისათვის. ის გარემოება, რომ მან მონა იყიდა, ჯერ კიდევ არ აძლევს მას უბრალოდ მონის ექსპლოატაციის შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობას მას აძლევს შემდგომი კაპიტალი, რომელსაც იგი თვით მონათმფლობელურ მეურნეობაში ათავსებს.

■

[337] ზედმეტი შრომა საზოგადოდ, როგორც შრომა მოთხოვნილებათა განსაზღვრული რაოდენობის ზევით, ყოველთვის იარსებებს. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემაში, ისევე როგორც მონურ სისტემაში და სხვ. მას ანტაგონისტური ფორმა აქვს და იგი შევსებულია საზოგადოების ერთი ნაწილის სრული უსაქმობით... ეს კაპიტალის ერთი ცივილიზატორული მხარეა, რომ იგი იძულებით იწვევს ზედმეტ შრომას იმ წესით და იმ პირობებში, რომელიც უფრო ხელსაყრელია საწარმოო ძალების და საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავითარებლად—უმაღლესი ახალი ფორმის ელემენტების შესაქმნელად, ვიდრე მონობის, ბატონყმობის და სხვ. ადრინდელ ფორმებში იყო.

■

[348] წინანდელ საზოგადოებრივ ფორმებში ეს ეკონომიური მისტიფიკაცია თავს იჩენს უმთავრესად ფულისა და აგრეთვე სარგებლის მომცემი კაპიტალის მიმართ. საქმის ვითარების მიხედვით იგი გამორიცხულია, ჯერ ერთი, იქ, სადაც წარმოება უმთავრესად სახმარი ღირებულებისთვის ხდება, უშუალოდ საკუთარი მოხმარებისთვის; მეორე, იქ, სადაც, როგორც ეს ანტიურ ეპოქასა და საშუალო საუკუნეებში იყო, მონობა და ბატონყმობა საზოგადოებრივი წარმოების ფართო საფუძველს წარმოადგენს: წარმოების პირობების ბატონობა მწარმოებლებზე მიჩქმალულია ბატონობის და დამორჩილების ურთიერთობით, რომელიც გამოდის როგორც საწარმოო პროცესის უშუალო მამოძრავებელი ზამბარაკი. პირველყოფილ თემებში, რომელშიც პრიმიტიული კომუნიზმი ბატონობს, და თვით ანტიურ ქალაქურ -თემებში ეს კომუნა თვითონ თავისი პირობებით

წარმოების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო ამ საფუძვლის რეპროდუქცია მისი საბოლოო მიზანია.

■

[393] ის ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობს კაპიტალისტი, როგორც კაპიტალის გაპიროვნება, უშუალოდ წარმოების პროცესში, ის საზოგადოებრივი ფუნქცია რომლითაც იგი არის მოსილი როგორც წარმოების ხელმძღვანელი და ბატონი, არსებითად განირჩევა იმ ავტორიტეტიდან, რომელიც იზრდება მონათმფლობელურ, ბატონყმურ და სხვ. წარმოების საფუძველზე.

კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე უშუალო მწარმოებელთა მასას პირისპირ უდგას მათი წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი, როგორც მკაცრად მომწესრიგებელი ავტორიტეტი და როგორც სრულ იერარქიად დანაწევრებული შრომის პროცესის საზოგადოებრივი მექანიზმი, და ამ ავტორიტეტით მისი მატარებელნი სარგებლობენ შრომის პირისპირ მხოლოდ როგორც შრომის პირობების გაპიროვნება და არა პოლიტიკური ან თეოკრატიული მპყრობელების სახით, როგორც ეს იყო წარმოების წინანდელი ფორმების დროს.

■

[396] მაგრამ ის გარემოება, რომ 1) რენტა ზღვარდებულია გარდამეტით საშუალო მოგებაზე, რომ 2) მიწის მესაკუთრე წარმოების პროცესის და მთელი საზოგადოებრივი სასიცოცხლო პროცესის ხელმძღვანელიდან და მპყრობელიდან დაქვეითებულია მარტოოდენ მიწის მოიჯარადრედ, მიწის მევახშედ, მარტოოდენ რენტის მიმღებად,—ეს გარემოება კაპიტალისტური წარმოების წესის სპეციფიური ისტორიული პროდუქტია... მიწის საკუთრება რომ ისეთ ფორმას იღებს, რომელიც სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური წესით წარმოების ნებას იძლევა, ამ წარმოების წესის სპეციფიური ხასიათის პროდუქტია. საზოგადოების სხვა ფორმების დროსაც შეიძლება რენტა ეწოდოს მიწის მესაკუთრის შემოსავალს. მაგრამ იგი არსებითად განსხვავებული იქნება იმ რენტიდან, როგორც იგი წარმოების ამ წესში აშკარავდება.

კ. მარქსი.

ზედმეტი ღირებულების თეორიები.

(T. I. Изд. „Прибой", Ленинград, 1923 г.).

[64] იგი [ლენგე. რედ.] იცავს აზიურ დესპოტიზმს მის დაპირისპირებულებაში მისი ცივილიზებული, ევროპული ფორმისადმი; აგრეთვე მონობას—მის დაპირისპირებულებაში დაქირავებული შრომისადმი.

■

[92] მაგრამ წარმოების ყველა იმ წესებისას—განსაკუთრებით კი კაპიტალისტურისას—როდესაც შრომის ნივთიერი პირობები ერთს ან რამდენიმე კლასს ეკუთვნის, ხოლო მუშათა კლასს, დანარჩენებისადმი დაპირისპირებით, მხოლოდ სამუშაო ძალა ეკუთვნის, სრულიად პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი. პროდუქტი ანუ შრომის პროდუქტის ღირებულება მუშას არ ეკუთვნის.

■

[266] ეს შეხედულება ისტორიულად საინტერესოა თავისი მკვეთრი დაპირისპირებით როგორც ანტიკური ძველი დროის შეხედულებისადმი,—სადაც მატერიალური პროდუქტიული შრომა მონობის დაღს ატარებს და სადაც ამ შრომას უცქერიან როგორც პიედესტალს უქმი მოქალაქეებისთვის...

■

[276] ეხლანდელ საზოგადოებაში ეს დაცილება [მწარმოებლისა წარმოების საშუალებებისგან. რ ე დ.] ნორმალურადაა წარმოდგენილი. იქაც, სადაც მას ფაქტიურად ადგილი არა აქვს, მას გულისხმობენ ერთგვარი საფუძვლით, როგორც ეს ზევით იყო ნაჩვენები. ვინაიდან (განსხვავებით, მაგალითად, რომის, ნორვეგიის და შ. შტ. ჩრდილო-დასავლეთის საზოგადოებრივი ურთიერთობიდან) შეერთება აქ შემთხვევითია, ხოლო განცალკევება ნორმალური...

კ. მარქსი.

ზედმეტი ღირებულების თეორიები.

(ტ. II, ნაწ. I, ქართული თარგმანი, სახელგამი 1933 წ.)

[191] მიწის მესაკუთრე, ეს წარმოების მნიშვნელოვანი აგენტი ანტიურ და საშუალო საუკუნოების მსოფლიოში, სამრეწველო სამყაროში უსარგებლო ხორცმეტს წარმოადგენს.

ეს წარმოების კაპიტალისტურ წესის რაობაზე დამყარებული—განსხვავებით ფეოდალურ, ანტიურ და სხვათაგან—დაყვანა წარმოებაში უშუალოდ მონაწილე კლასებისა... კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებამდე მიწის მესაკუთრის გამოკლებით... ეს დაყვანა... წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტურ წესის ადეკვატურ თეორიულ გამოსახულებას, იგი გამოხატავს მის differentia specifica-ს.

ზედმეტი ღირებულების თეორიები.

(Т. II, ч. 2. Изд. „Прибой", Ленинград, 1925 г.)

[47] მეორე ტიპის კოლონიებში—პლანტაციებზე, რომელთაც დასაწყისიდანვე მხედველობაში აქვთ ვაჭრობა, მსოფლიო ბაზრისთვის აწარმოებენ,—კაპიტალისტური წარმოება არსებობს, თუმცა ეხლოლოდ ფორმალურად, ვინაიდან ზანგების მონობა გამორიცხავს თავისუფალ საქირაო შრომას, ესე იგი—კაპიტალისტური წარმოების საფუძველს. მაგრამ ზანგების მონობისას აქ საქმეს კაპიტალისტები წარმართავენ. წარმოების წესი, რომელიც მათ შემოაქვთ, წარმოიშვა არა მონობიდან, მაგრამ მას კი ეგუება. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი და მიწათმფლობელი ერთ პირშია წარმოდგენილი.

■

[130] ეს არის საკვირველი ბურჟუაზიული ფანტაზია „საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელი სტადიების" შესახებ. ამ ადრინდელ სტადიებზე მუშა წარმოადგენს ან მონას, ან გლეხს, რომელიც თავისი საკუთარი შრომით ცხოვრობს და სხვ. პირველ შემთხვევაში იგი, მიწასთან ერთად, მიწათმფლობელს ეკუთვნის, მეორე შემთხვევაში იგი თვით წარმოადგენს მიწის მესაკუთრეს. ორივე შემთხვევაში არ არის კაპიტალისტი, რომელიც მიწათმფლობელსა და სოფლის მუშას შუა იდგეს, რაც წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების მხოლოდ საბოლოო შედეგს—მიწათმოქმედების დაქვემდებარება ამ უკანასკნელისადმი და ამიტომ მონების ან გლეხების გადაქცევა დაქირავებულ მუშებად და კაპიტალისტის გაჩენა მიწათმფლობელსა და მუშას შუა,—რიკარდო მას განიხილავს როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც „საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ სტადიებს" ეკუთვნის.

■

[174] საზოგადოებრივი განვითარების სტადიაზე, როდესაც ადამიანები თავისთვის აწარმოებენ, მართლაც არაა კრიზისები, მაგრამ არაა აგრეთვე კაპიტალისტური წარმოებაც. არც ჩვენ გვსმე-

ხია, რომ ძველებს, თავიანთი მონობაზე დაფუძნებული წარმოებით, ცოდნოდეთ ოდესმე კრიზისები, თუმცა ცალკეულ მწარმოებლებს ძველებშიც შეეძლოთ გაკოტრება.

[103, შენ. 2] იმიტომ არ არსებობენ ხალხები, რომელთაც მიწათმოქმედების პროდუქტები გააქვთ? თითქოს შეუძლებელია, წინააღმდეგ ბუნებისა, რაიმე კაპიტალი დაგროვდეს სოფლის მეურნეობაში, რათა ინგლისში, მაგალითად, მოიწიონ ნესვი, ლეღვი, ყურძენი და სხვ., ყვავილები და სხვ., მოაშენონ შინაური ფრინველი, გარეული ფრინველი და სხვ.? და განა ნედლი მასალა, ინდუსტრიაში ხმარებული, სამიწათმოქმედო კაპიტალით არ იწარმოება? მივუთითებთ, მაგალითად, კაპიტალს, რომელსაც რომაელები ხარჯავდენ მხოლოდ თევზის ხელოვნურ გაშენებაზე.

[104] რიკარდო ხედავდა მის მიერ ციტირებული სმიტის დებულებებიდან, რომლებსაც იგი ცნობდა და მასთან ერთად იმეორებდა, რომ უსაზღვრო „სურვილი" ყოველგვარ სახმარ ღირებულებათა ფლობისა ყოველთვის საზოგადოების ისეთი მდგომარეობის საფუძველზე დაკმაყოფილდება, როდესაც მწარმოებელთა მასა მეტ-ნაკლებად აუცილებელით კმაყოფილდება, როდესაც მწარმოებელთა ეს მნიშვნელოვანი მასა, მაშასადამე, მეტ-ნაკლებ გამორიცხულია სიმდიდრის მოხმარებიდან — რამდენადაც იგი გამოდის აუცილებელ საარსებო სახსართა წრიდან.

ამ უკანასკნელს, თუმცა, ადგილი აქვს კიდევ უფრო მეტი ხარისხით, აგრეთვე მონობაზე დაფუძნებული ანტიკური წარმოების დროსაც. მაგრამ ძველებს არც უფიქრიათ ზედმეტი პროდუქტის კაპიტალად გადაქცევა. ყოველ შემთხვევაში, მათში ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ ხდებოდა. ფართოდ განვითარებული ჩვეულება განძის შეგროვებისა, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, იმას მოწმობს, თუ რამდენი ზედმეტი პროდუქტი ელაგათ მათ მოუხმარებლად. ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი მოიხმარდენ არაპროდუქტული დანახარჯისთვის, მხატვრული ნაწარმოებებისთვის, რელიგიის საქმისთვის, საზოგადოებრივი სამუშაოებისთვის. მათი წარმოება კიდევ უფრო ნაკლებად იყო მიმართული მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარებისკენ — შრომის დანაწილება, მანქანების შემოღება, ბუნების ძალთა და მეცნიერების გამოყენება კერძო წარმოებაში. საერთოდ ისინი არასოდეს არ მიდიოდენ ხელოსნური შრომის იქით. სიმდიდრე, მათ მიერ კერძო მოხმარებისთვის შექმნილი, ამიტომ შედარებით მცირე იყო, და იგი დიდი ჩანს მხოლოდ იმის გამო, რომ თავმოყრილი იყო მცირეოდენ პირთა ხელში, რომლებ-

მაც თუმცა არც იცოდენ რა ექნათ მისთვის. ამიტომ ძველებში ადგილი არ ჰქონდა ჭარბ წარმოებას, სამაგიეროდ ადგილი ჰქონდა მდიდრების მიერ სიმდიდრის ჭარბ მოხმარებას, რაც რომისა და საბერძნეთის ისტორიის უკანასკნელ პერიოდებში უგუნური შფლანგველობის ხასიათს ღებულობს. მათგან მცირეოდენი სავაჭრო ხალხები ცხოვრობდენ ნაწილობრივ ყველა ამ არსებითად ღარიბი ერების ხარჯზე. თანამედროვე ჭარბი წარმოების საფუძველია: ერთის მხრივ, საწარმოო ძალთა უცილობელი განვითარება და ამიტომ მასობრივი წარმოება, რომლის დროსაც მწარმოებელთა მასა აუცილებელ საარსებო საშუალებათა წრითაა შემოფარგლული, მეორეს მხრივ,—კაპიტალისტების მოგებით შეზღუდვა.

Ჯ. მარქსი.

ზედმეტი ღირებულების თეორიები.

(Т. III, пер. С. Салитап. „Прибой". Ленинград, 1924 г.).

[80] .... რასაც კაპიტალისტი მუშას უხდის (და აგრეთვე ნაწილი იმ კაპიტალისა, რომელიც უპირისპირდება მუშას როგორც მუდმივი კაპიტალი), სხვა არა არის რა, თუ არა თვით მუშის პროდუქტის ნაწილი; და სახელდობრ იმ პროდუქტის ნაწილი, რომელიც კიდევ არაა ოქროდ გადასაქცევი, არამედ რომელიც გაყიდულია, უკვე ოქროდაა გადაქცეული, ვინაიდან შრომის ხელფასი ფულით გადაიხდება და არა in naturalibus. მონობის და სხვა დროს, სადაც ყალბი მოჩვენებითობა არაა შექმნილი წინამავალი გადაქცევით პროდუქტისა ფულად,—რამდენადაც იგი შრომის ხელფასშია დაბანდებული,—ცხადია, რომ რასაც მონა მუშაობაში ილებს, სინამდვილეში ისეთ რაიმეს კი არ წარმოადგენს, რასაც მონათმფლობელი მას „სესხად აძლევს", არამედ მხოლოდ მონის რეალიზებული შრომის ნაწილს, რაც მას უკანვე უბრუნდება საარსებო საშუალებათა სახით. ასევეა საქმე კაპიტალისტთან. გვეჩვენება მხოლოდ, რომ იგი „ავანსს აძლევს". რასაც იგი მუშას აძლევს როგორც შრომის ხელფასს, ანდა, უკეთ, უ ხ დ ი ს მას,—ვინაიდან იგი შრომას ანაზღაურებს მხოლოდ მას შემდეგ რაც შესრულებულია,—არის ნაწილი პროდუქტისა, მუშის მიერ წარმოებულის და უკვე ფულად ქცეულის. მუშის პროდუქტის ნაწილს, რომელიც კაპიტალისტმა მიითვისა, რომელიც წ ი ნ ა თ ა რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი, მუშა ღებულობს შრომის ხელფასის სახით—თუ გნებავთ, როგორც ავანსი ახალი პროდუქტისთვის.

[301] აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფუ-ფუნების საგნებად გადაქცევა საგარეო ვაჭრობის მეოხებით..... თავისთავადაც მნიშვნელოვანია:

. . . . . .

მეორე, ამით განისაზღვრება ჩამორჩენილი ერების ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაგალითად, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მონური ქვეყნების (ნ. Cairns) ანდა პოლონეთის და სხვ., რომლებიც დაკავშირებული არიან კაპიტალისტურ წარმოებაზე დამყარებულ მსოფლიო ბაზართან... რამდენად დიდიც არ უნდა იყოს ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც ასეთი ქვეყნები მოიპოვებენ მარტივი სახით, როგორც ბამბას ან პურს თავიანთი მონების ზედმეტი შრომიდან, მათ შეიძლება ამასთანავე მარტივი, არა დიფერენცირებული შრომა შერჩეთ, მაშინ როდესაც საგარეო ვაჭრობა მათ საშუალებას აძლევს [გადააქციონ] ეს მარტივი პროდუქტი რაიმე სახმარ ღირებულებად.

■

[251] შემდეგ ნათელია: თუ პროცენტი პროცენტზე იმავეს ნიშნავს, რასაც დაგროვება, მაშინ ეს შექმნა პროცენტებისა დამოკიდებულია—თუ არა ვიტყვით დაგროვების ხასიათის შესახებ—დაგროვების პროცესის ზომისგან, ინტენსივობისაგან და სხვ., მაშასადამე, წარმოების წესისგან. პროცენტი პროცენტზე სხვა არა არის რა, თუ არ სხვისი საკუთრების მითვისება პროცენტების სახით, როგორც ეს არის რომში ან საეროო მევახშეობის დროს.

■

[286]..... სწორედ ისევე, როგორც ხარჯები, გამოწვეული მონების ზედამხედველითა და მისი მათრახით, მონათმფლობელის წარმოების ხარჯების ანგარიშში შედის.

■

[310] ჯონსი იკვლევს რენტას ყველა მისი გარდაქმნით, სულ მარტივი ფორმიდან, საბატონო ბეგარიდან, ვიდრე ფერმერის თანამედროვე რენტამდე..... ყველა, უფრო ადრინდელ ფორმაში მიწათმფლობელი, და არა კაპიტალისტი, წარმოადგენს სხვისი ზედმეტი შრომის უშუალო მიმთვისებელს. რენტა (როგორც იგი ესმით აგრეთვე ფიზიოკრატებს) ისტორიულად (აგრეთვე აზიურ ხალხებშიც გან-

ვითარების უმაღლეს საფეხურზე) წარმოადგენს ზედმეტი შრომის, უნაცვალგებოდ შესრულებული შრომის საერთო ფორმას. ზედმეტი შრომის მითვისება აქ ხდება არა გაცვლის საშუალებით, როგორც კაპიტალისტთან; მის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ერთი ნაწილის ძალადობითი ბატონობა მეორე ნაწილზე, მაშასადამე,— პირდაპირი მონობა, ბატონყმობა ან პოლიტიკური ურთიერთობა დამოკიდებულებისა..... საბატონო ბეგარის—და ბატონყმობის (ე. ი. მონობის) ფორმების დროს, რომლებიც მეტნაკლებად მას შეეფერებიან... საბატონო ბეგარას (ისევე როგორც მონურ შრომას) საერთო ისა აქვს დაქირავებულ შრომასთან, რენტის თვალსაზრისით, რომ ეს უკანასკნელი შრომით გადაიხდება, არა პროდუქტებით, კიდევ უფრო ნაკლებ—ფულით.

■

[324] ჯონსი არ ლაპარაკობს ორი მთავარი ფორმის შესახებ: ჯერ ერთი, აზიური თემის შესახებ მისი გაერთიანებით მიწათმოქმედებისა და ინდუსტრიისა. მეორე, საქალაქო ამქრების შესახებ, რომელნიც საშუალო საუკუნეებში, ნაწილობრივ აგრეთვე ძველ საუკუნეებშიც არსებობდენ.

■

[326] მაგრამ ვიდრე მონობა ბატონობს, კაპიტალისტური ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ სპორადულად არსებობდეს; იგი შეიძლება ასრულებდეს დაქვემდებარებულ და არა გაბატონებულ როლს.

■

[329] პირველდაწყებით ერთიანობას მუშასა და წარმოების საშუალებებს შორის—აქ ჩვენ განზე ვტოვებთ ურთიერთობას მონობის დროს, როდესაც მუშა თვით ეკუთვნის შრომის ობიექტურ პირობებს,—ორი მთავარი ფორმა აქვს: აზიური თემი (პირველყოფილი კომუნიზმი) და წვრილი გვაროვნული სოფლის მეურნეობა...

■

[339] მეორე: ეს მუდმივობა [შრომისა. რედ.] განასხვავებს კაპიტალისტურ შრომას იმ ფორმისგან, რომელსაც ჯონსი ასურათებს, და არა მონური წარმოებისგან საერთოდ.

■

[380] კაპიტალის მესამე, უფრო ძველი ფორმა, რომელსაც პროცენტები მოაქვს, იმაზეა დაფუძნებული, რომ კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ არაა, ხოლო მოგება მიიღება ჯერ კიდევ პროცენტის ფორმით, კაპიტალისტი მხოლოდ მევახშეს წარმოადგენს. ეს შემდეგს გულისხმობს: 1) მწარმოებელი ჯერ კიდევ დამოუკიდებლად მუშაობს თავისი წარმოების საშუალებებით; წარმოების საშუალებანი ჯერ კიდევ არ მუშაობენ მასთან; მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელთ მონები ეკუთვნიან, რომელნიც, თუმცა, აქაც არ შეადგენენ განსაკუთრებულ ეკონომიურ კატეგორიას, როგორც მუშა-საქონელს, ანდა წარმოადგენენ მარტოოდენ ნივთიერ განსხვავებას. მოლაპარაკე იარაღები დაპირისპირებით არამოლაპარაკე, მგრძნობადი და მუნჯი იარაღებისადმი..... კაპიტალის ამ ფორმას, პროცენტების მომტანს, ჩვენ ვპოულობთ ამიტომ ყველა იმ საზოგადოებრივ ფორმაში, სადაც მიმოქცევაშია საქონელი და ფული, სულერთია, ბატონობს მათში მონური, ბატონყმური თუ თავისუფალი შრომა.

■

[383]..... ეს, ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შრომა, რომელიც შეიძლება აგრეთვე მოსამსახურეზეც იქნეს გადატანილი, არის შრომა, რომელიც ყოველ შემთხვევაში შედის პროდუქტის ღირებულებაში ისევე, როგორც დაქირავებული მუშების შრომა: სწორედ ისევე, როგორც მონობის დროს მონების ზედამხედველის შრომა ისევე უნდა ანაზღაურდეს, როგორც თვით მუშის შრომა.

■

[386] თუ ისინი [საქონელი და ფული. რედ.], ამრიგად, არ არიან დაპირისპირებულნი მისადმი [დაქირავებული შრომისადმი. რედ.] როგორც საქონელი და ფული, და შრომა, მაშასადამე, თვით არ ხდება საქონლად, ეს სავალ არას ნიშნავს, თუ არ წარმოების იმ წესებისადმი დაბრუნებას, რომლებიც კაპიტალისტურ წარმოებას უსწრებდენ, სადაც ისინი საქონლად არ გადაიქცევიან, მაგრამ შრომის მასა ბატონყმური ან მონური შრომის სახით ცხადდება.

■

[401] ძველი ქვეყნის საუკეთესო ეპოქაში მევახშეობა აკრძალული იყო, ესე იგი აკრძალული იყო ყოველნაირი პროცენტი. შემ-

დეგ [იგი ნებადართული იყო] კანონით. იგი ფართოდ ვრცელდება. თეორიულად ყოველთვის [ბატონობდა] ის შეხედულება (როგორც ეს არის ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს თ ა ნ), რომ თავისთავად იგი ცუდია.

[405] აქედან ხალხის სიძულვილი მევახშეობისადმი, ძველი ურთიერთობის დროსაც კი, როდესაც განსაზღვრული საწარმოო ურთიერთობანი—მწარმოებლის საკუთრება თავისი წარმოების საშუალებებზე—წარმოადგენდენ აგრეთვე პოლიტიკურ ურთიერთობათა საფუძველს, მოქალაქეთა დამოუკიდებლობის საფუძველს. ეს წყდება, როდესაც მუშას უკვე აღარა აქვს წარმოების საშუალებანი. ამასთან ერთად წყდება აგრეთვე მევახშეობის ძლიერება. მეორე მხრივ, ვიდრე მონობა ბატონობს ანდა ზედმეტ შრომას ფეოდალები ან მათი მსახურნი ნთქავენ, და ისინი მევახშეობის ძალაუფლებას ექვემდებარებიან, წარმოების წესი იგივე რჩება; იგი მხოლოდ უფრო მკაცრი ხდება. ვალებში ჩავარდნილი მონათმფლობელი ან ფეოდალი მეტს გამოწოვს, ვინაიდან მისგანაც წოვენ; ანდა, ბოლოსდაბოლოს, იგი ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითვე ხდება მიწათმფლობელი და სხვ., როგორც მხედარი და სხვ. ძველ რომში. ძველი ექსპლოატატორის ნაცვლად, რომლის ექსპლოატაცია მეტნაკლებად პოლიტიკური ძალაუფლების იარაღს წარმოადგენდა, ჩნდება მკაცრი, ხარბი მეტიჩარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება.

მევახშე ყველა წინა კაპიტალისტური წარმოების წესის დროს რევოლუციურად მოქმედებს, მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ, არღვევს და სპობს რა საკუთრების ფორმებს, რომელთა მუდმივი რეპროდუქცია ხდებოდა და რომელნიც პოლიტიკურ დაჯგუფებათა საფუძველს შეადგენდენ. იგი ხელს უწყობს აგრეთვე ცენტრალიზაციასაც; მაგრამ—ცენტრალიზაციას წარმოების ძველი წესის საფუძველზე, რის გამო საზოგადოება, მონების, ყმების და სხვ. და მათ ახალ ბატონებს გარდა, უბრალო ხალხად გადაიქცევა. აზიური ფორმების დროს მევახშეობას შეუძლია ხანგრძლივად არსებობა, იგი არაფერს არ იწვევს, გარდა ეკონომიური და პოლიტიკური დაცემისა, მაგრამ რეალურ დაშლას კი არ აწარმოებს. მხოლოდ ისეთ ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტური წარმოების დანარჩენი პირობები არსებობს—თავისუფალი შრომა, მსოფლიო ბაზარი, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაშლა, შრომის განვითარება განსაზღვრულ საფეხურამდის, მეცნიერებათა განვითარება და სხვ.,—მევახშეობა ერთერთ მომენტს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ახალი წესის წარმოშობას.....

წინასიტყვაობა „მე-18 ბრიუმერის“-თვის.

(К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. соч. т. III. ГИЗ. 1921 г.).

დაბოლოს მე ვიმედოვნებ, რომ ჩემი შრომა ხელს შეუწყობს გააქარწყლოს ეხლანდელ პერიოდში და განსაკუთრებით გერმანიაში პოპულიარული—ცნობილი ფრაზა ე. წ. ცეზარიზმის შესახებ. ამ ზერელე ისტორიული ანალოგიის დროს ივიწყებენ მთავარს—სახელდობრ, რომ ძველ რომში კლასსობრივი ბრძოლა წარმოებდა პრივილეგიურ-უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი მწარმოებელი მასსა, მონები, შეადგენდენ მებრძოლთა პასიურ პიედესტალს. ავიწყდებათ სისმონდის მახვილი შენიშვნა: რომის პროლეტარიატი საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა, მაშინ როდესაც თანამედროვე საზოგადოება პროლეტარიატის ხარჯზე ცხოვრობს. ასეთ ძირითად განსხვავებისას მატერიალურ ეკონომიურ პირობებში ანტიურ და თანამედროვე კლასობრივ ბრძოლასა და მათ პოლიტიკურ გამოსახულებაში ორივე ეპოქაში მათ იმაზე მეტი მსგავსება არ აქვთ ვიდრე კენტერბერიის ეპისკოპოსსა და სამეფილის სიმაღლეების მღვდელს შორის.

კ. მარქსი.

სამოქალაქო ომი საფრანგეთში.

(1870—1871)

(ქართული თარგმანი. სახელგამი. 1931 წ.).

[98] თუ გვინდა ტიერის და მისი გასისხლიანებული ქოფაკების ყოფაქცევის ანალოგია ვიპოვოთ, სულლასა და ორივე რომაული ტრიუმვირატის დროს უნდა დავუბრუნდეთ. დღესაც გულგრილად ისეთივე მასიურ ხოცვა-ულეტას ახდენენ; დღესაც ისევე განურჩევლად ეპყრობიან მსხვერპლთა ჰასაკსა და სქესს; დღესაც ისევე სტანჯავენ დატყვევებულთ; დღესაც ისეთივე დევნა ხდება, მაგრამ უკვე მთელი კლასის წინააღმდეგ, დღესაც ისევე ველურად ნადირობენ ბელადებზე, რათა არცერთი მათგანი არ გადარჩეს; დღესაც ისევე ასმენენ პოლიტიკურ და პირად მტრებს; დღესაც ისეთივე გულგრილობას იჩენენ ბრძოლის გარეშე მდგომარე ადამიანების დახოცვაში. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ რომაელებს არ ჰქონიათ მიტრა-

ლეზები, რათა გუნდ-გუნდად მოესპოთ განწირულნი, რომ მათ ხელში „კანონი“ არ სჭერიათ, ხოლო პირზე „ცივილიზაცია“ არ ჰკერებიათ.

კ. მარქსი.

კრიტიკული შენიშვნები ადოლფ ვაგნერის წიგნზე.

(თარგმანი კ. ორაგველიძის წინასიტყვაობით. ჟურნ. „საქ. სოციალისტური მეურნეობის“ გამოცემა 1933 წ.).

[8] კაპიტალი, capitale, სიტყვა κεφάλειον-ის თარგმანი აღნიშნავდა თანხის მოთხოვნას პროცენტისაგან (τόκος) განსხვავებით. საშუალო საუკუნეებში კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი, caput pecuniae, აღნიშნავდენ რაღაც ძირითადს, არსებითს, თავდაპირველს. გერმანიაში ხმარობდენ სიტყვა Hauptgeld.

■

[10] გარდა ამისა, ვაგნერს შეეძლო შემდეგი ეთქვა: მუშათა კლასის ექსპლუატაცია კაპიტალისტთა კლასის მიერ, ერთი სიტყვით, კაპიტალისტური წარმოების ხასიათი, სწორადაა მარქსის მიერ გადმოცემული, მაგრამ მარქსი იმაში ცდება, რომ ამ მეურნეობას გარდამავალად თვლის, მაშინ როცა, არისტოტელი პირიქით, იმაში ცდებოდა, რომ მ ო ნ უ რ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ა დ თვლიდა.

■

[19] რომ გარე ქვეყნის საგნების, რომელნიც ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს წარმოადგენენ გამოყოფას (მითითებას) „დოელათთა“ სახით შესაძლოა ვ უ წ ო დ ო თ აგრეთვე „ამ საგნებისადმი ღირებულების მინიჭება,—ვაგნერს შეეძლო ეს დაესაბუთებია არა მარტო „გერმანული სიტყვახმარების“ საფუძველზე—როგორც რაუ იქცევა—არამედ ლათინიზირებული სიტყვის მეშვეობითაც: dignitas-მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, ღ ი რ ს ე ბ ა, ხ ა რ ი ს ხ ი. და ა. შ., რომელიც,—რაკი დართული ექნება საგრეს, ნიშნავს აგრეთვე „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ც“: dignitas წარმოსდგება dignus-ისაგან, უკანასკნელი კი სიტყვისაგან dic, point, out, show—გამოყოფა, ჩვენება; dignus—მაშასადამე, ნიშნავს pointed out, აქედან აგრეთვე digitus—თითი, რომლითაც უჩვენებენ საგანს; ბერძნულად δείκνυμι, δάκτυλος (თითი); გოთურ ენაზე ga-tecta (dico); გერმანულად—zeigen (ჩვენება); ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მივიდეთ შემდგომ „გამოყენებამდე“, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, δείκνυμι (ან δείκνυω) (გახადო ხილული, გამოაცალინო, უჩვენო) აქვთ საერთო ძირი—δέχω-სთან (შეინარჩუნო, აიღო) δέχομαι].

■

[25] ... სიტყვა მარილს ძველი ხალხები ხმარობდენ თავდაპირველად სუფრის მარილის მიმართ, შემდეგ კი, პლინიუსის დროიდან, შაქარი და მისი სხეულები გამოდიოდენ როგორც მარილის სახესხვაობანი.

■

[25] [გოთურ ენაში არის მხოლოდ ერთი სიტყვა ღირებულების (Wert) და მნიშვნელობისათვის (Würde)—სიტყვა vairths, τιμή, τιμάω, schätzen, ე. ი. შეფასება, ფასის ან ღირებულების განსაზღვრა, ტაქსირება; მეტაფორული აზრით პატივისცემა, დაფასება, გამორჩევა. Τιμή—შ)ფასება აქედან: ღირებულების ან ფასის განსაზღვრა, შეფასება. შემდეგ ღირებულების შეფასება და აგრეთვე თვით ღირებულებაც ან ფასიც (ჰეროდოტის, პლატონის მიხედვით), დემოსთენს აქვს αἱ τιμαὶ ხარჯების მნიშვნელობით. შემდეგ: მაღალი შეფასება, პატივი, პატივისცემა, საპატიო ადგილი, საპატიო თანამდებობა იხ. ბერძნულ-გერმანული ლექსიკონი როსტისა].

[ღირებულება, ფასი (შულცეს ლექსიკონის მიხედვით) გოთურ ენაზე: vairths ზედსართავი, ἄξιος, ἰκανός ძველ ჩრდილო-გერმანულ ენაზე verdhr, ღირსი. verdh, ღირებულება, ფასი; ინგლისურ-საქსონურ ენაზე: veordh, vurdh; ინგლისურ ენაზე: worth—ზედსართავი; როგორც არსებითი სახელი ის აღნიშნავს ღირებულებას და მნიშვნელობას].

[შუა გერმანიის ენაზე: wert, ნათესაობითი—werdes, ზედსართავი (dignus), და აგრეთვე pfennigwert; wert, ნათესაობითი—werdes, ღირებულება, მნიშვნელობა, უსეშანიშნაობა, aestimatio, გარკვეული ღირებულების საქონელი, მაგალითად, pfenwert, peny-worth. werde: mertum, aestimatio, dgnitas, მნიშვნელობის მქონე თვისება (Ziemann, Mittelhdocheutsches Wörterbuch)].

■

[32] დავალიანების მიზეზების შესახებ (პაუპერიზმის მიზეზები: მოსავალთა მერყეობა, სამხედრო სამსახური, მონების კონკურენცია) ძველ რომში, იხ. იერინგი „რომის სამართლის სული", მე-3 გამოც., გვ. 234, ტ. II.

■

[35] პურით მოვაჭრეების შესახებ იხ. Tooke, History of prices; საბერძნეთის შესახებ—Böck, Staatshaushaltung der Athener; 1, §, 15; რომის შესახებ—Jehring, Geist, S. 238.

ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ (ბრუნო ბაუერის ნეკროლოგი)

(ვ. ვ. ადორატსკის და ა. დ. უდალცოვის წიგნში: „Исторический материализм", 1 изд. „Новая Москва", 1924).

[310] რელიგიას, რომელმაც რომის მსოფლიო იმპერია დაიპყრო და 1800 წლის განმავლობაში ბატონობდა ცივილიზებული კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე, უბრალოდ ანგარიშს ვერ გაუსწორებ, გამოაცხადებ რა მას ხელოვნურად შეთითხნილ უაზრობად. მას შეიძლება ბოლო მოუღო თუ შესძლებ მხოლოდ მისი წარმოშობისა და მისი განვითარების ახსნას ისტორიული პირობებით, რომელშიაც იგი წარმოიშვა და ბატონობას მიაღწია. ქრისტიანობის მიმართ უნდა გადაიჭრას საკითხი: როგორ მისცეს უპირატესობა რომის იმპერიის ხალხის მასებმა ამ უაზრობას, რომელსაც თან ჩაგრული მონები ქადაგებდენ, ყველა სხვა რელიგიასთან შედარებით, ასე რომ, დაბოლოს, პატივმოყვარე კონსტანტინემ გაიგო, რომ ამ უაზრობის მაღლება საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რათა რომის სამყაროს თვითმპყრობელის მდგომარეობამდე ამაღლდე.

■

[311] ქრისტიანობის მამა იყო, საკუთრივ, ალექსანდრიელი ებრაელი ფილონი, რომელიც ცხოვრობდა ჯერ კიდევ 40 წელს ერ. დაბ.-ის შემდეგ, თუმცა მაშინ უკვე ღრმა მოხუცებული იყო. ქრისტიანობის, ანუ ვთქვათ, ბიძა კი შეიქმნა რომაელი სტოიკოსი სენეკა. ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი თხზულებანი ფილონისა სდგებოდა ალეგორიულ-რაციონალისტურად გაგებული ებრაული ტრადიციების შეერთებით ბერძნულ და, სახელდობრ, სტოიკურ ფილოსოფიასთან. დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხედულებათა ასეთი შეერიგება უკვე არსებითად შეიცავდა ყველა ქრისტიანულ წარმოდგენას: ადამიანის თანდაყოლილ შეცოდებას; სიტყვა, რომელიც ღმერთს აქვს და თავად—ღმერთია, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის; შეხანიერება არა სამსხვერპლო ცხოველების საშუალებით, არამედ თავისი ღმერთისთვის საკუთარი გულის შეწირვით; დასასრულ, იქ იყო ყველაზე არსებითი ნიშნეულობაც,—სახელდობრ ახალი რელიგიური ფილოსოფია მთელი, აქამდის არსებული საზოგადოებრივი წყობილების გადატრიალებას აწარმოებდა, თავის მოწაფეებს ეძებდა ღარიბებსა, ლატაკებსა, მონებსა და მიუსაფართა შორის, ხოლო

მდიდრები, ძლიერნი, პრივილეგიურნი მას სძაგდა, და ამასთან ერთად ნაბრძანები იყო სიძულვილი ყოველივე ამ ქვეყნიური სიამისადმი და ხორცის მოკვდომა.

მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ ავგუსტოსმა იზრუნა იმისთვის, რომ არა მარტო ღმერთკაცი, არამედ ეგრეთწოდებული უმანკო ჩასახვაც თვით სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ ფორმულებად გამხდარიყო. მან არა თუ ბრძანა ღვთიური პატივი ეცათ მისთვის და კეისრისთვის, არამედ განკარგულება გასცა ყველგან გაევრცელებიათ, რომ იგი, ავგუსტოს კეისარი ღვთიურია, ჩვეულებრივი ადამიანის შვილი არაა, არამედ დედა მისს იგი ღმერთის აპოლონისაგან ჩაესახა. თუმცა ეს აპოლონი არც კი ენათესავებოდა იმას, რომელსაც ჰეინემ ქება შეასხა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ გარდა მხოლოდ უკანასკნელი ბოლო ქვისა, ქრისტიანობა თავისი ძირითადი ნიმნეულობებით უკვე მზად იყო. ქრისტიანობის შენობის ამ უკანასკნელ ქვას წარმოადგენდა მოძღვრება ადამიანად ქცეული სიტყვის განსაზღვრულ პიროვნებად ხორცშესხმის შესახებ და ძისი გამოხსნითი ძსხვერპლის შესახებ ჯვარზე ცოდვილი კაცობრიობის ხსნისათვის.

თუ როგორ იქნა შეტანილი ეს უკანასკნელი ქვა სტოიკურ-ფილონურ თეორიებში, ამის შესახებ ჩვენ ნამდვილად სარწმუნო წყაროები არა გვაქვს. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება დადებითად იქნეს დამტკიცებული, რომ იგი შეტანილი იქნა არა ფილოსოფოსების, ფილონის ან სტოიკოსების მოწაფეების მიერ. რელიგიას აწესებენ ადამიანები, რომელნიც თვით შეიგრძნობენ რელიგიურ მოთხოვნილებას და რომელთაც ესმით მასების რელიგიური მოთხოვნილებანი, ხოლო ამას კი სკოლების ფილოსოფოსები ჩვეულებრივ მოკლებული არიან.

■

[312] თუ კლასიკურმა ბერძნულმა ფილოსოფიამ თავის უკანასკნელ ფორმებში (განსაკუთრებით ეპიკურეს სკოლაში) ათეისტურ მატერიალიზმამდე მიგვიყვანა, ბერძნულმა ვულგარულმა ფილოსოფიამ მიგვიყვანა მოძღვრებამდე ერთი ღმერთის შესახებ და ადამიანის უკვდავი სულის შესახებ. აქამდის მივიდა იუდეობაც, რაციონალისტურად ვულგარიზირებული უცხოელებსა და ნახევრად-ებრაელებთან შერევისა და ურთიერთობის გამო. ოდესღაც წმინდა ეროვნული იუდეური ღმერთი, ღმერთი იეგოვა გადაიქცა ერთ ჰეშმარიტ ღმერთად, ცისა და მიწის შემქნელად.

■

კანონით დაწესებული ცერემონიები თანდათან დავიწყებულ იქნა, და იუდეობამ შეითვისა, პირველად მისთვის სრულიად უცხო,

სულის უკვდავება. აშრიგად, მონოთეისტური ვულგარული ფილოსოფია შეხვდა ვულგარულ რელიგიას, რომელმაც ამ ფილოსოფიას უკვე მზა სახით ერთი ღმერთი მისცა. ასე მომზადდა ნიადაგი, რომელზედაც სწორედ ას ვე ვულგარიზებულ ფილოსოფიურ წარმოდგენებს ებრაელებში შეეძლო ქრისტიანობის წარმოშობა, ხოლო ებრაელების მიერ შექმნილი რელიგია შეიძლებოდა ათვისებულიყო ბერძნებისა და რომაელების მიერ. ქრისტიანობა წარმოიშვა პოპულარიზებულ ფილონურ წარმოდგენათაგან, და არა უშუალოდ თვით ფილონის თხზულებათაგან. ეს იმით დასტურდება, რომ ახალი აღთქმა ამ თხზულებათა უმნიშვნელოვანეს ნაწილს თითქმის სრულიად განზე ტოვებს,—სახელდობრ, ძველი აღთქმის თქმულებათა ალეგორიულ-ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას. ამ მხარეს ბაუერმა საკმაო ყურადღება არ მიაქცია. იმის შესახებ, თუ როგორი იყო ქრისტიანობა თავისი პირველდაწყებითი სახით, შეიძლება წარმოდგენა შემეშავდეს იოანეს ეგრეთწოდებულ გამოცხადებით [აპოკალიპსისი]. ველური, სუმბურული ფანატიზმი, დოგმები მხოლოდ ჩანასახითაა. ეგრეთწოდებული ქრისტიანული მორალიდან მარტოოდენ ხორცის მოკვდომა და, პირიქით, აუარებელი ხილვა და წინასწარმეტყველება. დოგმების და მორალის შექმნა უკვე შემდგომი დროის საქმე იყო, როდესაც სახარება და ეგრეთწოდებული სამოციქულოები დაიწერა. სწორედ მაშინ იქნა უცერემონიოდ გამოყენებული სტოიკური ფილოსოფია და განსაკუთრებით სენეკას თხზულება—ყოველ შემთხვევაში მორალისთვის. ბაუერმა დაამტკიცა, რომ სამოციქულოები თითქმის სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი სენეკასაგან. მართლაც, ეს თვალში ხვდებოდათ მორწმუნეებსაც კი. მაკრამ ისინი ამტკიცებდენ, რომ, პირიქით, სენეკამ გადმოიწერა ახალი აღთქმიდანო—მაშინ ჯერ კიდევ დაუწერელიდან. დოგმატიკა გამომუშავდა, ერთის მხრივ, დაკავშირებით შექმნილ სახარების ლეგენდასთან იესოს შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, ბრძოლაში იუდეელთაგან გამოსულ ქრისტიანებსა და კერპთთაყვანისმცემელთაგან გამოსულ ქრისტიანებს შორის.

■

[314] რომის მიერ დაპყრობამ ყველა დამორჩილებულ ქვეყანაში უშუალოდ და უპირველესად დაარღვია ძველი პოლიტიკური წყობილება, ხოლო შემდეგ, არაპირდაპირ, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების წინანდელი პირობებიც. ჯერ ერთი, აუქმებდა რა ყველა წინანდელ წოდებრივ დანაწილებას, მონობის გარდა, იგი ამყარებდა უბრალო განსხვავებას რომაელ მოქალაქეებსა და არა მოქალაქეებს—ანუ სახელმწიფოს ქვეშევრდომებს შორის. მეორე, და უმთავრესად, დარღვევა ხდებოდა ექსპლოატაციის გამო რომის სახელმწიფოს სახელით.

თუ იმპერიის დროს პროვინციალურ მართველთა მძარცველურ მადას შეძლებისდაგვარად ბოლო მოეღო, სამაგიეროდ მის ადგილზე გაჩნდა თანდათან ძლიერად მომძმედი და თანდათან მეტად დახრახნილი სახარკო მუხრუჭი სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. ასეთი გამოწოვა საშინლად დამრღვევად მოქმედებდა. დასასრულ, მესამე: სასამართლოებში ყველგან რომაელ მოსამართლეებს განაჩენი გამოჰქონდათ რომის სამართლის საფუძველზე, ადგილობრივ წესებს კი აცხადებდენ ძალადაკარგულად, თუ ისინი რომის წესებს არ ეგუებოდნენ. ამ სამ ბერკეტს დიდ მანიველირებელ ძალად უნდა ემოქმედა, განსაკუთრებით თუ ისინი დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა ისეთი ხალხების მიმართ, რომელთა ძლიერი ნაწილი მონად იქნა წაყვანილი. ანდა დაპყრობის წინამავალ, თანმხლებ და ძლიერ ხშირად დაპყრობის შემდეგ განგრძობილ ბრძოლებში გაწყდა. პროვინციების საზოგადოებრივი ურთიერთობანი უფრო და უფრო უახლოვდებოდა იტალიის დედა-ქალაქის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მოსახლეობა უფრო და უფრო იყოფოდა სხვადასხვა ელემენტთა და ეროვნებათაგან შემდგარ სამ კლასად. 1. მდიდრები, რომელთა შორის ბევრი იყო გააზატებული მონა, მსხვილი მიწათმფლობელი—მევახშეები ანდა ერთიც და მეორეც ერთად,—ქრისტიანობის ძიას—სენეკას მსგავსად. 2. უქონები, თავისუფალნი—რომში მათ ჰკვებავდა და ართობდა სახელმწიფო,—პროვინციებში მათ თავისუფლად შეეძლოთ ეცქირათ საკუთარი დაღუპვის პროცესისთვის. 3. დასასრულ, მონების დიდი მასა. სახელმწიფოს, ე. ი. იმპერატორის მიმართ, ორივე პირველი კლასი ისეთივე უუფლებო იყო, როგორც მონები მათი ბატონის მიმართ. ტიბერიდან ნერონამდის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ მდიდარ რომაელებს სიკვდილს მიუსჯიდენ, რათა მათ სიმდიდრეს დაპატრონებოდენ.

მთავრობის მატერიალური დასაყრდენი ჯარი იყო, რომელიც გაცილებით უფრო ემსგავსებოდა ლანდსკნეხტების არმიას, ვიდრე ძველ რომაულ გლეხთა ჯარს, მორალურ დასაყრდენს კი წარმოადგენდა საყოველთაო რწმენა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არაა, რომ არა ესა თუ ის იმპერატორი, არამედ ეს, სამხედრო დიქტატურაზე დაფუძნებული, იმპერია არის გარდაუვალი აუცილებლობა. რა წმინდა მატერიალურ ფაქტებს ეყრდნობოდა ეს რწმენა, ამის განხილვაში აქ ვერ შევალთ.

საყოველთაო უუფლებობას და სასოწარკვეთას იმის გამო, რომ უკეთეს დროთა დადგომა შეუძლებელია, შეეფერებოდა საყოველთაო

აპატია და დემორალიზაცია. მცირეოდენი, ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი პატრიციული სულისა და აზრების მქონე ძველი რომაელები მოიშორეს ანდა დაიხოცენ. უკანასკნელი მათგანი ტაციტი იყო. დანარჩენები მოხარული იყვენ, რომ შეუძლიათ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან შორს დგომა. მათი არსებობა შევსებული იყო სიმდიდრის მოხვეჭით, სიმდიდრისგან დატკბობით, კერძო ჭორებით, კერძო ინტრიგებით.

უქონებო თავისუფალნი რომში, სახელმწიფოს პენსიონერები, რომელნიც სახელმწიფო პენსიით არსებობდენ, პროვინციებში მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვენ. მათ უნდა ემუშავათ და, ამას გარდა, გაეძლოთ კონკურენციისთვის მონების მუშაობასთან. მაგრამ ეს მხოლოდ ქალაქად იყო. მათთან ერთად პროვინციებში კიდევ გლეხები იყვენ, თავისუფალი მიწათმომქმედნი. (ადგილ-ადგილ თემური მეკლობელობითაც კი) ანდა, როგორც გალების ქვეყანაში, გლეხები, კაბალაში მყოფი უფრო მსხვილ მიწათმფლობელებთან. ამ კლასს საზოგადოებრივი გადატრიალება ყველაზე ნაკლებად შეეხო. იგი ყველაზე ხანგრძლივად ეწინააღმდეგებოდა აგრეთვე რელიგიურ გადატრიალებასაც.

დასასრულ, მონები, უუფლებონი და უნებონი, რომელთაც ვერ შეძლეს განთავისუფლება, როგორც უკვე გვიჩვენა სპარტაკის აჯანყებამ.

მაგრამ ამათ გვერდით იყვნენ კიდევ ყოფილი თავისუფალნი ან გაანთავისუფლებულთა შვილები. მათში ჯერ კიდევ უნდა შენარჩუნებულიყო მეტნაწილად ცოცხალი, თუმცა გარეგნულად უძალლონო სიძულვილი მათი ცხოვრების პირობებისადმი.

ამ გარემოებებს შეეფერებოდა იმ დროის იდეოლოგიაც. ფილოსოფოსები ან უბრალო ფულის მშოვნელი სკოლის მასწავლებლები იყვნენ, ანდა მდიდარ მეტიჩარათა ხარჯზე მყოფი მასხარები. თუ რა გამოდიოდა მათგან, როდესაც მათი საქმეები კარგად მიდიოდა,—ამის ნიმუშს სენეკა წარმოადგენს. ეს მოხუცი, სათნოებისა და დათმენის მქადაგებელი, ნერონის სასახლის პირველი ინტრიგანი იყო. ასეთ მდგომარეობაში იგი, რასაკვირველია, ქვემძრომობას გვერდს ვერ აუხვევდა, ცდილობდა მიეღო საჩუქრები, ფული, ნივთები, მიწის ნაკვეთები, სასახლეები; ქადაგებდა სახარების ღარიბ ლაზარეს, ხოლო სინამდვილეში წამოადგენდა ამავე იგავის მდიდარს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნერონმა დააპირა მისთვის ყელში ხელის მოჭერა, მან თხოვა იმპერატორს უკანვე წაეღოთ მისგან ყველა საჩუქარი, ვინაიდან მას მისი ფილოსოფიაც ეყოფოდა. ფილოსოფოსთაგან მხოლოდ იშვიათად, ზოგიერთი, როგორც, მაგ. პერსიუსი

ამათრახებდა, ყოველ შემთხვევაში სატირით, თავის გადაგვარებულ თანამედროვეებს. რაც შეეხება მეორე ჯურის იდეოლოგებს—იურისტებს, ისინი ოცნებობდენ ახალი წესრიგის შესახებ, ვინაიდან ყველა წოდებრივ განსხვავებათა მოსპობა საშუალებას იძლეოდა ყოველმხრივ დამუშავებულ იყო მათთვის საყვარელი კერძო სამართალი. სამაგიეროდ იმპერატორისთვის ისინი ადგენდენ ყველა იმაზე უფრო საძაგელ სახელმწიფო სამართალს, რაცკი ოდესმე არსებულა.

ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურობებთან ერთად რომის იმპერიამ დასაღუპად გასწირა მათი თავისებური რელიგიებიც. ძველი დროის ყველა რელიგია ბუნებრივად აღმოცენებული გვაროვნული რელიგია იყო, ხოლო შემდეგ—ეროვნული რელიგია, აღმოცენებული და შეზრდილი თითოეული სათანადო ხალხის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებთან. რაკი დარღვეული იქნა ეს მათი საფუძველი, ერთად ცხოვრების მემკვიდრეობით გადმოცემული ფორმები, ტრადიციული პოლიტიკური დაწესებულებანი და ეროვნული დამოუკიდებლობა, დაირღვა აგრეთვე ამასთან შეგუებული რელიგიაც. ეროვნულ ღმერთებს შეეძლოთ მოეთმინათ თავიანთ გვერდით სხვა ხალხთა სხვა ეროვნული ღმერთები,—და ეს ძველად საერთო წესი იყო; მაგრამ მათ არ შეეძლოთ უზენაესი ღვთაების მოთმენა. აღმოსავლეთის რელიგიური კულტების რომში გადატანამ მხოლოდ ვნება მოუტანა რომის რელიგიას, ხოლო აღმოსავლეთის რელიგიების დაცემის შეჩერება კი ამას არ შეეძლო. როგორც კი ეროვნულ ღვთაებათ აღარ შეუძლიათ მათი ერის დამოუკიდებლობის დაცვა, ისინი ამის გამო იღუპებიან. ასე ხდებოდა ყველგან (გამონაკლისს წარმოადგენენ გლეხთა რელიგიები—განსაკუთრებით მთაში). რაც რომსა და საბერძნეთში გააკეთა ვულგარულ-ფილოსოფიურმა განათლებამ,—კინაღამ წამომცდა: ვოლტერიანობამ,—პროვინციებში იგივე შეასრულა რომის დაპყრობამ და თავისი თავისუფლებით მოამაყე მამაკაცთა შეცვლამ სასოწარკვეთილი ქვეშევრდომებით და ეგოისტური არამზადებით.

ასეთი იყო მატერიალური და მორალური მდგომარეობა. აწმყო აუტანელია; მომავალი კიდევ უფრო საზარელია. არავითარი გამოსავალი. სასოწარკვეთა და ხსნა სულ მთლად უგვანო გრძნობიერ სიამოვნებაში, ყოველ შემთხვევაში იმათვის, რომელთაც ეს შეეძლოთ,—მაგრამ ესენი უმნიშვნელო უმცირესობა იყო. ამას გარდა კიდევ რჩებოდა ჩლუნგი მორჩილება გარდაუვალისადმი.

მაგრამ ყველა კლასში უნდა არსებულიყო ადამიანთა განსაზღვრული რიცხვი, რომელნიც სასოწარკვეთილნი იყვნენ მატერია-

ლური განთავისუფლების მხრივ და ანაზღაურებას ეძებდენ სულიერ განთავისუფლებაში—ნუგეშს შეგნებაში, რაც მათ სრული სასოწარკვეთისაგან იხსნიდა. ამ ნუგეშის მოცემა არ შეეძლო სტოიკურ ფილოსოფიას, ისევე როგორც ეპიკურეს სკოლას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს იყო ფილოსოფიური სისტემები, ე. ი. ჩვეულებრივი საშუალო შეგნებისთვის არ იყო ნავარაუდევი, ხოლო მეორე იმიტომ, რომ ამ სკოლის მიმდევართა ცხოვრების წესი სახელს უტეხდა მათ მოძღვრებას. ნუგეშის მისაცემად საჭირო იყო არა დაკარგული ფილოსოფიის შეცვლა ახალი ფილოსოფიით, არამედ დაკარგული რელიგიისა—ახალი რელიგიით. ნუგეში რელიგიური ფორმით უნდა გამოსულიყო, ისევე როგორც ყოველივე, რასაც მასების მოცვა შეეძლო. ასე იყო იმ ეპოქაში—და ასევე გრძელდებოდა მე-XVII საუკუნემდის.

არც კი არის საჭირო დაუმატოთ, რომ ამ ადამიანთაგან, რომელნიც გაშმაგებით დასევდიანებული იყვნენ ნუგეშის გამო, რომელთაც თავგადადებით სურდათ ამ ნამდვილ სამყაროს გაქცეოდენ იდეალურ სამყაროში, უმრავლესობა მონებიდან წარმოსდგებოდა.

სწორედ ამ საყოველთაო ეკონომიური, პოლიტიკური, გონებრივი და მორალური დაშლის დროს წარმოსდგა ქრისტიანობა. იგი მკვეთრ წინააღმდეგობაში დადგა ყველა, აქამდის არსებული რელიგიის მიმართ. ყველა ამ დრომდის არსებულ რელიგიაში წესრიგის დაცვა პირველ რიგში იდგა, განსაზღვრული რელიგიისადმი კუთვნილების გამომჟღავნება შეიძლებოდა მხოლოდ მსხვერპლის შეწირვისა და პროცესიებში მონაწილეობით, ხოლო აღმოსავლეთში კიდევ დაწვრილებით დადგენილი რეჟიმის დაცვით საკვების მიღებისა და გაბანვის დროს. მაშინ როდესაც საბერძნეთი და რომი საბოლოო ანგარიშით მოსათმენი იყო, აღმოსავლეთში რელიგიური აკრძალვები მძვინვარებდა, რამაც იქ ბოლოს და ბოლოს დაცემას დიდად შეუწყო ხელი. ორი სხვადასხვა რელიგიის ადამიანებს—ეგვიპტელებს, ირანელებს, იუდეებს, ქალდეელებსა და სხვ.—არ შეუძლიათ ერთად არც სმა, არც ჭამა, არც შეუძლიათ ერთად გააკეთონ არც ერთი სულ უბრალო საქმე, ოდნავ თუ შეუძლიათ ერთმანეთთან ლაპარაკი. ადამიანთა ასეთი ერთიმეორისაგან გამოცალკავების გამო დაიღუპა, უმთავრესად, ძველი აღმოსავლეთი. ქრისტიანობამ არ იცის დანაწილების შემტანი არავითარი წესრიგი, არ იცის კლასიკური ძველი დროის მსხვერპლი და პროცესიებიც კი. უარყოფს რა ყველა ეროვნულ რელიგიას და ყველა მათ დამახასიათებელ წესრიგის დაცვას და მიმართავს რა ყველა ხალხს განურჩევლად, ქრისტიანობა ხდება სულ

პირველ შესაძლებელ მსოფლიო რელიგიად. ებრაულობამაც, თავისი ახალი მსოფლო ღმერთით, !სცადა აგრეთვე მსოფლიო რელიგიად გახდომა. მაგრამ ისრაელის შვილები მაინც მუდამ არისტოკრატიად რჩებოდნენ მორწმუნეთა და წინადაცვეთილთა შორის, და თვით ქრისტიანობაც, ვიდრე ნამდვილ მსოფლიო რელიგიად გახდომას შეძლებდა, ჯერ უნდა განთავისუფლებულიყო წარმოდგენისგან ებრაელთაგან გამოსული ქრისტიანების უპირატესობის შესახებ კერპთთაყვანისმცემლებისაგან გამოსული ქრისტიანების წინაშე. ეს წარმოდგენა ბატონობს ჯერ კიდევ ირანეს ეგრეთწოდებულ გამოცხადებაში. მეორეს მხრივ ისლამმა, იმის გამოისობით, რომ შეინარჩუნა სპეციფიური აღმოსავლური წესრიგის დაცვა, თავისი გავრცელების სფერო შეზღუდა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთი აფრიკით, რომელიც არაბულმა ბედუინებმა დაიპყრეს და ხელახლა დასახლდა. აქ მას შეეძლო გაბატონებულ რელიგიად გახდომა, დასავლეთში კი ეს მას არ შეეძლო.

ფ. ენგელსი.

პირველდაწყებითი ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიიდან.

(Перевод С. Роттер. Петроград. ГИЗ. 1919 г.).

[3]... ქრისტიანობაც დასაწყისში ჩაგრულთა მოძრაობა იყო: იგი წარმოიშვა როგორც რელიგია მონების, გააზატებულების, ღარიბებისა და უუფლებოთა ანდა როგორც რელიგია რომის მიერ დაპყრობილი და დამარცხებული ხალხებისა...

■

[6] ერთერთ საუკეთესო წყაროს პირველი ქრისტიანების შესახებ წარმოადგენს ლუკიანე სამოსატელი, კლასიკური ძველი დროის ვოლტერი, რომელიც ერთგვარად სკეპტიკურად უ ურებდა ყოველგვარ რელიგიურ ცრუწმენას და ამიტომ არავითარი საფუძველი არ ჰქონდა არც წარმართული რელიგიის თვალსაზრისით, არც პოლიტიკის თვალსაზრისით, ქრისტიანებისთვის სხვანაირად ეცქირა, ვიდრე რომელიმე სხვა რელიგიური სექტისათვის.

■

[14] ეს ის დრო იყო, როდესაც თვით რომსა და საბერძნეთშიაც, მაგრამ გაცილებით უფრო მეტად მცირე აზიასა, სირიასა და

ეგვიპტეში, აბსოლუტურად ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ღებულობდენ სხვადასხვა ხალხთა უტლანქეს ცრურწმენათა შერეულს და მას უმატებდენ კეთილმსახურ სიცრუეს და უბრალო მძარცველობას, როდესაც სასწაულები, ხილვის ეგზალტიურობა, ყოველგვარი სულიერი უაზრობა, მომავლის წინასწარმეტყველება, ოქროს გამოგონება, კაბალა და სხვა საიდუმლო ჯადო პირველ როლს ასრულებდა. ასეთი იყო ატმოსფერა, რომელშიც პირველდაწყებითი ქრისტიანობა წარმოიშვა და თანაც ადამიანთა ისეთ კლასში, რომელიც ყველაზე უფრო ხარბად უსმენდა ამ ზეპუნებრივ ფანტაზიებს.

■

[15] ქალდეელი და იუდეელი მათემატიკოსები, რომელნიც, ტაციტის სიტყვებით, მისნობისთვის ორჯერ გააძევეს რომიდან კლავდიოსის და ვიტელიოსის დროს, მხოლოდ ასეთგვარი მკითხაობით იყვნენ გართულნი, როგორც ჩვენ ამას დავინახავთ იოანეს გამოცხადების არსის გამოკვლევისას.

■

[29] მოსახლეობის რა ფენებიდან გამოდიოდენ პირველი ქრისტიანები? უპირატესად „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთაგან", რომელნიც ხალხის სულ დაბალ ფენებს ეკუთვნოდენ, როგორც ეს რევოლუციურ ელემენტს შეეფერება. ხოლო ვისგან შედგებოდა ეს უკანასკნელი? ქალაქად—გაჩანაგებულ თავისუფალ ადამიანთაგან, ადამიანთაგან, რომელნიც ხალხის სხვადასხვა ფენებს ეკუთვნოდენ, მსგავსად სამხრეთის მონათმფლობელი შტატების „mean whites"-ისა ენდა ევროპელი მაწანწალებისა და კოლონიალური და ჩინეთის ნავთსადგურების ავანტიურისტებისა; იტალიის, სიცილიის და აფრიკის ლატიფუნდიებში—მონებისგან, პროვინციების სოფლის ოლქებში—წვრილი გლეხებისგან, რომელნიც, ვალების გამო, თანდათან მონობაში ვარდებოდენ. არ იყო აბსოლუტურად არავითარი საერთო გზა ყველა ამ ელემენტთა განთავისუფლებისკენ. ყველა მათთვის დაკარგული სამოთხე უკან მდებარეობდა; ასეთი სამოთხე იყო დაცემულ თავისუფალთათვის ძველებური ქალაქი (Polis), იმავე დროს სახელმწიფოდ არსებული, რომელშიც მისი წინაპრები—თავისუფალი მოქალაქენი ცხოვრობდნენ; ომში ტყვედ წაყვანილი მონებისთვის—თავისუფლების ხანა დაპყრობისა და ტყვედ წაყვანის წინ; წვრილი გლეხებისთვის—გამქრალი გვაროვნული წყობილება და მიწის საერთო მფლობელობა. ყოველივე ეს დანგრეულ იქნა დამპყრობ-რომაელთა გამთანაბრებე-

ლი რკინის მუშტით. ძველი დროის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯგუფი იყო ტომი და ნათესაურ ტომთა კავშირი. ბარბაროსები გაერთიანდენ გვაროვნულ კავშირებში, იტალიელები და ბერძნები, ქალაქების დამაარსებელნი,--დიდ ქალაქში, რომელიც ერთ ან რამდენიმე ტომს იტევდა. ფილიპემ და ალექსანდრემ ნახევარკუნძულ ელადას პოლიტიკური ერთიანობა მისცეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბერძენი ერი, როგორც მთელი, არ არსებობდა. ერები, როგორც ასეთები, შესაძლებელი გახდა მხოლოდ რომის მსოფლიო ბატონობის დაცემის მეოხებით. ამ უკანასკნელმა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო წვრილ საზოგადოებრივ კავშირებს; სამხედრო ძალამ, რომის სასამართლო ძალაუფლებამ, საგადასახადო აპარატმა სრულიად დაშალა შინაგანი ორგანიზაცია. დამოუკიდებლობის და თავისებური ორგანიზაციის დაკარგვასთან ერთად გაჩნდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებათა ძალადობითი ძარცვა, რომელნიც დამორჩილებულებს ჯერ მათ სიმდიდრეს არ მევდნენ, ხოლო შემდეგ მას სესხად აძლევდენ მათ მევახშური სარგებლით, რათა ამრიგად მათთვის ახალი გადასახდელის გადახდის შესაძლებლობა მიეცათ.

საგადასახადო ტვირთი და მისგან წარმომდგარი ფულის გაჭირვება წმინდა და უპირატესად ნატურალური მეურნეობის ადგილებში უფრო მეტად აგდებდა გლეხებს საეალო მონობაში მევახშეების მიმართ და წარმოშობდა მსხვილ ქონებრივ განსხვავებას, ამდიდრებდა მქონებელთ და სრულ სიღატაკემდის მიჰყავდა ღარიბები; ცალკეულ წვრილ ტომთა და ქალაქთა ყოველგვარი წინააღმდეგობა რომის იმპერიის მიმართ უიმედო იყო. სადღა რჩებოდა გამოსავალი, ხსნა დამონებულთა, ჩაგრულთა და გალატაკებულთათვის, საერთო ყველა ამ სხვადასხვა ჯგუფის ადამიანთათვის უცხო, სრულიად ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესებით? და მაინც ასეთი გამოსავალი, რომელიც ყველა მათ მოიცავდა ერთ დიდ რევოლუციურ მოძრაობაში, ასეთი გამოსავალი უნდა მონახულიყო.

და იგი მოინახა. მაგრამ არა ამ ქვეყნად. იმ დროინდელ პირობებში ეს გამოსავალი შეიძლებოდა მონახულიყო მხოლოდ რელიგიის დარგში. და აი, სხვა ქვეყანა გადაიშალა. სულის არსებობა სხეულის სიკვდილს შემდეგ რომის სამყაროში თანდათან გახდა რწმენის საერთოდ-აღიარებულ წესად. მკვდარ სულთა დაჯილდოვება და დასჯა მიწაზე ჩადენილ შეცოდებათათვის აგრეთვე თანდათანობით საერთოდ იქნა აღიარებული. ჯილდო, რასაკვირველია, საკმაოდ უიმედო იყო. ძველი საზოგადოება მეტად მატერიალისტური იყო,

ამ სიტყვის ტლანქი მნიშვნელობით იმისთვის, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრება აჩრდილთა სამეფოზე გაცილებით უფრო მეტად არ შეეფასებია; ბერძნები საიქაო ცხოვრებას უფრო უბედურებად თვლიდნენ. მაშინ გაჩნდა ქრისტიანობა, იგი სერიოზულად მოეპყრა სასჯელსა და ჯილდოს საიქაოს, შექმნა რაცა და ჯოჯოხეთი, და ამრიგად მოინახა გამოსავალი, რომელსაც მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ასეთი ამქვეყნიური მწუხარებიდან მარადიულ სამოთხეში შეჰყავდა. და მართლაც, მხოლოდ საიქაოს ჯილდოს იმედით შეიძლებოდა ასკეტიზმის ამაღლება, სტოიკურ-ფილონური ხელისუფლება ამ ქვეყანაზე ახალი მსოფლიოს რელიგიის ძირითად ეთიკურ პრინციპამდის, როშელსაც შეეძლო ხალხთა ჩაგრული მასები წარეტაცა.

მაგრამ ეს ზეციური სამოთხე მორწმუნეებს პირდაპირ სიკვდილს შემდეგ არ გადაეხსნებათ. ჩვენ დავინახავთ, რომ ღვთის სამეფო, რომლის მთავარი ქალაქია—ახალი იერუსალიმი, დაპყრობილი და გახსნილი იქნება მხოლოდ მწვავე ბრძოლის შემდეგ ჯოჯოხეთის ძალებთან, თუმცა პირველ ქრისტიანთა წარმოდგენით ეს ბრძოლები ახლო მომავალშია მოსალოდნელი. ჩვენი იოანე დასაწყისშივე ახასიათებს თავის წიგნს როგორც იმის გამოცხადებას, თუ «რა უნდა მოხდეს ა ხ ლ ო მ ო მ ა ვ ა ლ შ ი»; იქვე ამის შემდეგ იგი განადიდებს: «ნეტარ არს მკითხველი და მსმენელი წინასწარმეტყველების სიტყვისა, ვინაიდან დ რ ო ი გ ი მ ო ა ხ ლ ო ე ბ უ ლ ა რ ს»; ქრისტე უბრძანებს მას მისწეროს თემს ფილადელფიაში: «იხილე ესე მომავალი მ ა ლ ე»; უკანასკნელ თავში ანგელოსი ამბობს, რომ მან მიუთითა იოანეს, «რა უნდა მოხდეს მ ა ლ ე», და უბრძანებს მას: «ნუ დაბეჭდავ ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ვინაიდან დრო ი გ ი ა ხ ლ ო ა», ხოლო თვით ქრისტე ორჯერ ამბობს (მ. 12 და 20): «მე მ ა ლ ე მოვალ». შემდგომი გვიჩვენებს, რამდენად მალე ელოდნენ ისინი ამ ამბავს.

[28] იუდეელი ხალხისთვის ცუდი დრო ამ ქვეყნად დადგა მძიმე ბეგარის გამო ასირიელებისა და ბაბილონელების მიმართ, დაწყებული ორივე სახელმწიფოს—ისრაელის და იუდეის—დანგრევით და გათავებული სელევკიდის მონობით, მაშასადამე, ისაიადან დანიელამდის, და ყოველთვის უბედურებისას წინასწარმეტყველნი ჩნდებოდნენ, რომელნიც მხსნელის მოსვლას წინასწარმეტყველებდნენ. უკვე დანიელთან (XII გვ. 1—3) ვპოულობთ მიხეილის, იუდეელთა მფარველ-ანგელოსის, გარდამოსვლის წინასწარმეტყველების შესახებ, რო-

მელიც იხსნის მათ დიდი გაჭირვებისაგან; მრავალი მკვდარი აღსდგება, და იქნება საშინელი სამსჯავრო, და მოძღვარნი, რომელნიც ხალხს კეთილ გზას ასწავლიდენ, მარად იბრწყინებენ როგორც ვარსკვლავნი.

■

[29] ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ აქ ბოიკოტი იხსენიება როგორც ერთერთი საშუალება, გამოყენებული ქრისტიანების მიმართ რომის მსოფლიო სახელმწიფოს მხრივ— ე. ი. ქრისტიანების აზრით, უეჭველად ეშმაკის გამოგონება,—და ეხლა გადავალთ საკითხზე, თუ რომელი რომაელი მეფე, ერთხელ რომ უკვე ბატონობდა, სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი და გაჰქრა, მაგრამ დაბრუნდება როგორც მე 8 მწკრივში და ანტიქრისტეს როლს შეასრულებს.

■

[31] მართლაც, გალბის დროს მთელს რომის სახელმწიფოში უეცრად უწესრიგობა დაიწყო. თვით გალბამ რომზე გაილაშქრა ესპანელი და გალიელი ლეგიონების მეთაურად, რათა ნერონი დაემხო; ეს უკანასკნელი გაიქცა და თავი ერთ გააზატებულს მოაკვლევინა. მაგრამ გალბის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდენ არა მარტო პრეტორიანელები რომში, არამედ სარდლებიც პროვინციებში; ყველგან ტახტის ახალი პრეტენდენტები ჩნდებოდენ და ემზადებოდენ თავიანთ ლეგიონებთან ერთად დედა-ქალაქზე გასალაშქრებლად. სახელმწიფო, თითქოს, შინაგან ომს მოეცვა და მისი დაღუპვა დგებოდა. ამასთან ერთად აღმოსავლეთში ხმა გავრცელდა, რომ ნერონი არ მომკვდარა, მხოლოდ დაჭრილია, თითქოს პართიანელებთან გაიქცა და სამხედრო ძალით მოვა ეფრატიდან, რათა თავისი ახალი სისხლიანი და საშინელი მართველობა დაიწყოსო. აქაია და აზია განსაკუთრებით დაშინდენ ამ ხმებით, და სწორედ დაახლოებით ამ დროს, როდესაც, ალბათ, გამოცხადება დაიწერა, ზედაპირზე ამოცურდა საეჭვო ნერონი, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევრებით კუნძულ პატმოსის და მცირე აზიის ახლო დასახლდა, კუნძულ კიტნოსზე ეგეის ზღვაში (ამჟამად ტერინა), ვიდრე ოტტონის დროს იგი არ მოჰკლეს. არაა გასაკვირი, რომ ქრისტიანებში, რომელთა წინააღმდეგ დაიწყო ნერონმა პირველი დიდი დევნა, შეხედულება გავრცელდა, რომ იგი ისევ მოვა ანტიქრისტეს სახით და რომ მისი დაბრუნება და ამასთან აუცილებლად დაკავშირებული გადაჭრითი ცდა ახალი სექტის სისხლიანი განადგურებისა,—რომ ყოველივე ეს

წინასწარი ნიშანია და პროლოგი ქრისტეს დაბრუნებისა, დიდი ძლევამოსილი ბრძოლაა ჯოჯოხეთის ძალებთან და ათასწლიური სამეფოს ჩქარი მოახლოება, რომლის დაჯერებული ცდა აიძულებდა წამებულებს სიხარულით შეხვედროდენ სიკვდილს.

პირველი ორი საუკუნის ქრისტიანულმა და ქრისტიანობის გავლენის ქვეშ მყოფმა ლიტერატურამ საკმაო დასაბუთება მოგვცა იმისა, რომ რიცხვის 666 საიდუმლოება მაშინ მრავალმა იცოდა. ყოველ შემთხვევაში, ირინეომ, ისევე როგორც III საუკუნის დასასრულის სხვა ადამიანებმა, იცოდა, რომ აპოკალიპსურ მხეცად ნ ე - რ ო ნ ი ს დაბრუნება იგულისხმება.

■

[36] და ამ უძველეს მონაკვეთს ქრისტიანობის შექმნის პროცესის დროიდან ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ჩვენ წმინდა ფორმით გვაძლევს იმას, რაც იუდეობამ—ძლიერი ალექსანდრიული გავლენით—ქრისტიანობაში მოიტანა. ყველაფერი შემდგომდროინდელი დასავლეთის ბერძნულ-რომაულ შერეულ წარმოადგენს. მხოლოდ მონოთეისტური იუდეური რელიგიის მეოხებით შეეძლო ეფრო გვიანი ბერძნული ეულგარული ფილოსოფიის განათლებულ მონოთეიზმს მიეღო რელიგიური ფორმა და მხოლოდ ამგვარად გაეტაცა მასები. მაგრამ რაკი ეს შუამავლობა აღმოჩნდა, მას მსოფლიო რელიგიად გახდომა შეეძლო მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ქვეყანაში, განავითარებდა რა შემდგომ და შეითვისებდა რა ამ ქვეყნის მიერ დაპყრობილ მთელ მასალას.

ფ. ენგელსი

იურიდიული სოციალიზმი

(Пер. с нем А. Гутерман. „Под знаменем марксизма", 1923 г. № 1).

[56] ბატონი მენგერი ფიქრობს, რომ რომის იმპერიის დაცემის დროისთვის უკვე არსებობდა ეკონომიური წანამძღვარები თანამედროვე სოციალიზმისთვის, აკლდა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმულირება. ამიტომ სოციალიზმის ნაცვლად ფეოდალიზმი გაჩნდა, და ისტორიის მატერიალისტური გაგება, ამრიგად, საბოლოოდ შერცხვა!

ის, რაც დაცემის პირას მდგარი რომის იმპერიის იურისტებმა ასეთ დახელოვნებულ სისტემაში მოიყვანეს, იყო არა ფეოდალური,

არამედ რომის სამართალი, სამართალი საზოგადოებისა, რომელიც საქონლის მწარმოებლებისგან შედგებოდა. ვინაიდან, მენგერის აზრით, იურიდიული წარმოდგენები ისტორიის მამოძრავებელ ძალას შეადგენენ, ამიტომ მოთხოვნილება, რომლის ფორმულირებას იგი აქ იძლევა რომის იურისტების მისამართით, დაიყვანება არც მეტად და არც ნაკლებად იმაზე, რომ, არსებული რომის საზოგადოების სამართლის სისტემის ნაცვლად, მათ უნდა მოეცათ მისი მოპირისპირეობა, სახელდობრ: ფანტასტიური საზოგადოებრივი წყობის „ნათელი, მეოცნებეობისაგან თავისუფალი სურათი". აი რაზე დაიყვანება მენგერის სამართლის ფილოსოფია, გამოყენებული რ ო მ ი ს სამართლისადმი! მაგრამ უკვე პირდაპირ უაზრობაა, არაჩვეულებრივი უაზრობა მენგერის მტკიცება, თითქოს ჯერ კიდევ არასოდეს ეკონომიური პირობები ისე ხელშემწყობი არ ყოფილა სოციალიზმისთვის, როგორც რომის ისტორიის იმპერატორების პერიოდში.

სოციალისტები, რომელთა უარყოფა სურს მენგერს, სოციალიზმის საწინდარს თვით წარმოების განვითარებაში ხედავენ...

და აი, შეადარეთ ამას იმპერატორების ეპოქის რომის პირობები, სადაც მანქანური მსხვილი წარმოების შესახებ არც მრეწველობაში და არც სოფლის მეურნეობაში ლაპარაკი არ იყო. რასაკვირველია, ჩვენ იქ ვპოულობთ მიწათმფლობელობის კონცენტრაციას, მაგრამ იურისტი უნდა იყო, რომ ეს გააიგივეო შრომის საზოგადოებრივი ფორმის განვითარებასთან თანამედროვე მსხვილ სარეწაოებში...

რომის სოფლის მეურნეობის განვითარებამ იმპერატორების ეპოქაში გამოიწვია, ერთის მხრივ, საძოვრების მეურნეობის გაფართოება ვეება ფართობზე და ქვეყნის გაუკაცრიელება, მეორეს მხრივ, მამულების დაქუცმაცება კოლონებით დასახლებულ წვრილ საიჯარო ნაკვეთებად. ამ განვითარების შედეგად მეურნეობათა მეტი ნაწილი იმ დამოკიდებულ გლეხთა სულ წვრილ მეურნეობად გადაიქცა, რომელნიც უფრო გვიანი ყმების წინამორბედნი იყვნენ; ამრიგად, უპირატესობა მიიღო წარმოების ისეთმა წესმა, რომელიც ჩანასახში შეიცავდა უკვე საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ წარმოების წესს. და, სხვას ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, უკვე ამის გამო, უპატივცემულესო ბ-ნო მენგერო, რომის იმპერიის შესაცვლელად „საშუალო საუკეუნეების უფლებრივი წყობილება" გაჩნდა. მართალია, ზოგჯერ ცალკეულ პროვინციებში გვხვდება მამულები მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, მაგრამ იყო არა მანქანურ წარმოებაზე დაფუძნებული მეურნეობანი თავისუფალი მუშებით, არამედ ს ა პ ლ ა ნ ტ ა ც ი ო მეურნეობანი მ ო ნ ე ბ ი თ, სხვადასხვა ეროვნების ბარბა-

როსებით, რომელთაც ხშირად ერთმანეთისა არა გაეგებოდათ რა. ამათ უპირისპირდებოდენ თავისუფალი პროლეტარები, მაგრამ ესენი არ იყვენ მშრომელი პროლეტარები, არამედ — ლუმპენ-პროლეტარები. პროლეტართა შრომაზეა ამჟამად საზოგადოება დამყარებული, თანდათან მზარდი ხარისხით. ისინი თანდათან უფრო აუცილებელნი ხდებიან მისი შემდგომი არსებობისათვის. რომის ლუმპენ-პროლეტარები კი პარაზიტები იყვენ, (არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნებელნიც საზოგადოებისთვის, და ამიტომ მათ არავითარი სოციალური წონა არ ჰქონდათ.

ბატონ მენგერს კი წარმოუდგენია, რომ წარმოების წესი და ხალხი არასოდეს ისე მომწიფებული არ ყოფილა სოციალიზმისთვის, როგორც იმპერატორების ეპოქაშიო! აქედგან შეიძლება დანახვა, თუ რა უპირატესობას იძლევა თავისუფლება ეკონომიური „სახეებისაგან“.

მის მტკიცებაზე ეკლესიის მამების შესახებ ჩვენ არ შევჩერდებით, ვინაიდან იგი არას ამბობს, თუ „რით არ ჩამოუვარდება მათი კრიტიკა არსებული საზოგადოებრივი წესრიგისა თანამედროვე ეპოქის საუკეთესო სოციალისტურ თხზულებებს“. ეკლესიის მამებმა ჩვენ მოგვცა ზოგიერთი საინტერესო ცნობა დაცემის ეპოქის რომის საზოგადოების შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელის კრიტიკას, ჩვეულებრივ, ისინი არ აწარმოებდენ, არამედ იმით კმაყოფილდებოდენ, რომ მას ანადგურებდენ სახელდობრ ისეთი მკვეთრი გამოთქმებით, რომ მათთან შედარებით თანამედროვე სოციალისტთა მკვეთრი ენა და თვით ანარქისტთა მწყრალი ყვირილი მეტად რბილად გვეჩვენება. სწორედ ამაში ხომ არ ხედავს ბ-ნი მენგერი მათ „უპირატესობას“?

■

[62] უპირველესად მარქსს აინტერესებს ის ისტორიული გამართლება, რომელიც აქვთ გარკვეული ეპოქისთვის განსაზღვრულ წესებს, მითვისების განსაზღვრულ ხერხებს, განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასებს. ამ კითხვებით უნდა დაინტერესდეს პირველ რიგში ყველა, ვინც ისტორიაში ხედავს თანმიმდევარ, თუმცა ხშირად გადაჯვარედინებულ, განვითარების მსვლელობას, და არა, როგორც ამას XVIII საუკუნე ხედავდა, მარტოოდენ სისულელეთა და სიმხეცეთა უწესრიგო გროვას. მარქსს ესმის ისტორიული გარდაუვალობა, მაშასადამე, არსებობის უფლებაც ანტიკური მონათ-მფლობელებისა, საშუალო

საუკუნეების ფეოდალებისა და სხვ. გარკვეული ისტორიული პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც ისინი კაცობრიობის განვითარების ბერკეტებს წარმოადგენდენ.

[67] იონიელმა ფილოსოფოსმა ანაქსიმანდრემ უკვე მეექვსე საუკუნეში ჩვენს ერამდე ის შეხედულება განავითარა, რომ ადამიანი თევზისგან განვითარდა და, როგორც ცნობილია, სწორედ ეს წარმოადგენს თანამედროვე ევოლუციური ბუნებისმეტყველების შეხედულებას. და ასე, ვინმე რომ გამოვიდეს ასეთი განცხადებით, რომ ჩვენ უკვე ანაქსიმანდრესთან ვპოულობთ დარვინის აზრთა მსვლელობას და თვით გამოთქმის ხერხებსაც და რომ დარვინი მხოლოდ ანაქსიმანდრეს პლაგიატორია, გულმოდგინედ დამფარავი თავისი წყაროსი,—ასეთი ადამიანი დარვინისა და ანაქსიმანდრეს მიმართ ცოდნის იმავე ხარისხს გამოამჟღავნებდა, როგორიც გამოამჟღავნა ფაქტიურად ბატონმა მენგერმა მარქსისა და ტომპსონის მიმართ.

ფ. ენგელსი.

საბინაო საკითხი

(Пер. с немецкого. Петроград. 1919 г.).

[86] ხოლო ეს სამართლიანობა სხვა არა არის რა, თუ არ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა გამოსახვა, გახვეული მაღალფარდოვან იდეოლოგიურ გარსში, ან კონსერვატულის, ანდა რევოლუციური მხრივ. ბერძნებისა და რომაელების სამართლიანობას მონობა სამართლიანად მიაჩნდა...

ფ. ენგელსი.

„ეუფათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

(წინასიტყვაობა ამერიკული გამოცემისათვის (ГИЗ. 1928 г.).

[48] აზიურ და კლასიკურ ძველ ხანაში კლასობრივი ჩაგვრის უპირატესი ფორმა მონობა იყო, ე. ი. არა იმდენად მასების მიწების ექსპროპრიაცია, რამდენადაც მათი პიროვნებების აპროპრიაცია. როდესაც რომის რესპუბლიკის აღსასრულისას თავისუფალი იტალიელი გლეხების „ნადელების“ ექსპროპრიაცია მოხდა, მათ შექმნეს „თეთრ ღატაკთა“ კლასი, როგორც სამხრეთ მონათმფლობელურ შტატებში 1861 წლამდის; და ძველი ქვეყანა დაიშალა მონებსა და „თეთრ ღატაკებს“ შორის, ორ კლასად, რომელთაც ერთნაირად არ შესწევდათ უნარი თავი გაენთავისუფლებიათ.

ლიუდვიგ ფეიერბახი.

(ქართული თარგმანი. სახელგამი. 1923 წ).

[29] პირიქით, მაგალითად რომის რესპუბლიკა ნამდვილი იყო, მაგრამ აგრეთვე ნამდვილი იყო მისი მომდევნო რომის იმპერია.

■

[49] ძველ, ბუნებრივად აღმოცენებულ ტომობრივ და ეროვნულ რელიგიებს პროპაგანდისტული ხასიათი არ ჰქონდათ და წინააღმდეგობის ძალას ჰკარგავდენ, როგორც კი ისპობოდა ამ ტომებისა და ერების დამოუკიდებლობა. ასე მოუვიდათ გერმანელებს, როგორც კი გადაგვარებულ რომის იმპერიას შეეჯახენ და მის მსოფლიო ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც იმ დროს რომის მიერ მიღებულ იქნა, როგორც მისი ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობის შესაფერი რელიგია.

■

[53] განა ძველ დროს მონებს და მათ მფლობელებს შორის ან საშუალო საუკუნეებში ყმებს და მათ ბატონებს შორის რაიმე ლაპარაკი ყოფილა ადამიანების თანასწორ ბედნიერების უფლებაზე? განა ჩაგრულ კლასების მისწრაფება ბედნიერებისადმი ულმობლად და „კანონიერ საფუძველის მიხედვით“ ყოველთვის გაბატონებულ კლასების ბედნიერებას არ შესწირვია?

■

[53] ამგვარად არ შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმი მეტის პატივისცემით ეპყრობოდეს უმრავლესობის თანასწორ უფლებას ბედნიერებაზე, ვიდრე მონობა ან ბატონყმობა ეპყრობოდა.

■

[68] მაგრამ ისტორიის ფილოსოფია ამ მამოძრავებელ ძალებს ისტორიაში როდი ეძებდა, არამედ იქ გარედან, ფილოსოფიურ იდეოლოგიიდან შეჰქონდა. ასე, მაგალითად, იმის მაგივრად, რომ საბერძნეთის ისტორია მის საკუთარ ამბების შინაგან კავშირით აეხსნა, ჰეგელი უბრალოდ აცხადებდა, რომ ეს ისტორია მხოლოდ „მშვენიერი ინდივიდუალობის“ შემუშავებაა, „მხატვრული წარმოების“ განხორციელებაა და სხვ... ამგვარად ის ძველ ბერძნებზე ბევრ მშვენიერ, ღრმა აზროვან შენიშვნას გვაწვდის, მაგრამ ახლა ასეთი ახსნა მაინც უბრალო ფრაზებათ მიგვაჩნია და აღარ გვაკმაყოფილებს.

■

[67] ეკონომიური ურთიერთობა განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სახელმწიფო სამართალს. თავისთავად იგულისხმება, რომ იგივე ითქმის სამოქალაქო სამართალზედაც, რომლის როლი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ კერძო პირებს შორის არსებული ნორმალური ეკონომიური დამოკიდებულება დააკანონოს. მაგრამ ეს დაკანონება შეიძლება სხვადასხვა ფორმაში მოხდეს. მაგალითად ინგლისში, ეროვნული განვითარების თავისებურების მიხედვით, შესაძლებელი გახდა, ძველი ფეოდალური სამართლის ფორმების შენარჩუნება და შიგ ბურჟუაზიული შინაარსის მოთავსება, ისე რომ თვით ფეოდალურ ცნებას ბურჟუაზიული აზრი მიეცა. სხვაგან დასავლეთ ევროპაში საფუძვლად მიიღეს პირველი მსოფლიო სამართალი, რომელიც საქონლის მწარმოებელმა საზოგადოებამ შექმნა, ე. ი. რომაული სამართალი; ამ სამართალს დაწვრილებით აქვს შემუშავებული უბრალო საქონლის მფლობელების უფლებრივი ურთიერთობა: ყიდვა და გაყიდვა, სესხი, ვალი, ხელშეკრულება და სხვა ვალდებულებანი. ზოგიერთ ქვეყანაში წვრილ-ბურჟუაზიული და ნახევრად ფეოდალური საზოგადოების სარგებლობისა და კეთილდღეობის გულისთვის, ან კიდევ უბრალო იურიდიული პრაქტიკის წყალობით, სამართალი დაბლა დასწიეს და ამ საზოგადოებების დონეს შეუფარდეს. ალაგ-ალაგ კიდევ რომაული სამართლის იურიდიული დამახინჯება მოხდა ვითომდა განათლებული, ზნეობრივად გაფაქიზებული იურისტების წყალობით ან მისი გარდაქმნა განსაკუთრებულ კანონთა კრებულში, რომელიც აღნიშნულ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან არის შეგუებული (პრუსიის საერობო სამართალი). ბოლოს დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ იმავე რომაული სამართლის საფუძველზე წარმოიშვა ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის სანიმუშო კანონთა კრებული, ფრანგული Code Civil-ი.

■

[68] ჩაგრული კლასის ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ აუცილებლად პოლიტიკურ ხასიათს იღებს და მჩაგვრელთა პოლიტიკური ბატონობის საწინააღმდეგო ბრძოლად იქცევა. შეგნება, რომ პოლიტიკურ ბრძოლისა და მის ეკონომიურ საფუძველს შორის კავშირი არსებობს, სუსტდება და ხანდახან სრულიადაც ჰქრება. თუმცა თვით მებრძოლთ ეს შეგნება სრულიად არასოდეს ეკარგებათ, მაგრამ ისტორიკოსებს თითქმის ყოველთვის აკლიათ. ძველ ისტორიკოსებიდან, რომელნიც რომის რესპუბლიკაში წარმოებულ ბრძოლას ასწერდენ, მხოლოდ ერთად ერთი აპპიანი ამბობს ნათლად და გარკვევით, რომ ის მიწათმფლობელობისთვის ხდებოდა.

■

[60] ძველი ხალხები დასცა რომის მსოფლიო იმპერიამ, რომლის წარმოშობის ეკონომიურ პირობებს აქ ვერ განვიხილავთ. ძველი ღმერთები ჩამოქვეითდენ; ეს ბედი ვერ აიცილეს თვით რომის ღმერთებმა, რომელნიც რომის ქალაქის ვიწრო ზომაზე იყვნენ გამოჭრილნი. საჭირო გახდა მსოფლიო იმპერიის გვერდით მსოფლიო რელიგიის შექმნა, ამისთვის რომი შეეცადა ყველა ცოტად თუ ბევრად პატივსადებ უცხო ღმერთების თაყვანისცემა შემოეღო. მაგრამ იმპერატორების დეკრეტებით არ შეიძლება ახალი მსოფლიო სარწმუნოების შექმნა. ახალი მსოფლიო სარწმუნოება, ქრისტიანობა, შეუმჩნევლად წარმოიშვა აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ებრაული ღვთისმეტყველებისა და გატლანქებული ბერძნული ღვთის მეტყველებისა და განსაკუთრებით სტოიკური ფილოსოფიის შერევისაგან. დღეს მხოლოდ რთული კვლევა-ძიების შემწეობით შეგვიძლია გავიგოთ როგორი იყო ქრისტიანობის პირვანდელი სახე, იმიტომ, რომ ის იმ ოფიციალურ ფორმაშია გადაცემული, როგორც მას ნიკეის საეკლესიო კრებამ მისცა, როცა სახელმწიფო რელიგიის თანამდებობას შეუფარდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა დაბადებიდან ორას-ორმოცდაათი წლის შემდეგ სახელმწიფო სარწმუნოებათ იქცა, ნათელჰყოფს, თუ რამდენად შეეფერებოდა ის იმ დროის გარემოებას.

ფ. ენგელსი.

ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა.

(ქართული თარგმანი. 1932 წ.)

პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან.

[2] მ ო რ გ ა ნ ი ს უდიდესი დამსახურება იმაშია, რომ მან მთავარ ხაზებში აღმოაჩინა და აღადგინა ჩვენი წერილობითი ისტორიის ეს პრეისტორიული საფუძველი და ჩრდილო ამერიკელი ინდოელების გვაროვნულ კავშირებში იპოვა გასაღები, რომელიც უძველესი ბერძნული, რომაული და გერმანული ისტორიის უმნიშვნელოვანეს, დღემდე გადაუჭრელ ამოცანებს ხსნის... ისტორიულ ნაწილებში, რომელიც საბერძნეთს და რომს შეეხება, მე არ დავკმაყოფილდი მ ო რ გ ა ნ ი ს მიერ მოტანილი საბუთებით, არამედ დავუმატე რაც ხელთ აღმომაჩნდა. ნაწილები კელტებისა და გერმანელების შესახებ არსებითად მე მეკუთვნის; აქ მ ო რ გ ა ნ ი ს განკარგულებაში მხოლოდ სხვის მიერ დამუშავებული წყაროები იყო, ხოლო რამდენადაც საკითხი გერმანიას შეეხება, იგი ტ ა ც ი ტ ს გარდა მხოლოდ ბატონი ფ რ ე ე მ ა ნ ი ს ცუდ ლიბერალურ სიყალბეებს იყენებდა.

[6] ამ დებულებათა დამამტკიცებელ საბუთებს ბ ა ხ ო ფ ე ნ ი ძველი კლასიკური ლიტერატურის მრავალრიცხოვან, უკიდურესი გულმოდგინებით შერჩეულ ადგილებში პოულობს. განვითარება „ჰეტერიზმიდან“ მონოგამიისკენ, ხოლო დედის უფლებიდან მამის უფლებისკენ, განსაკუთრებით ბერძნებში, მისი აზრით ხდება როგორც შედეგი სარწმუნოებრივი წარმოდგენების განვითარებისა, ახალი მსოფლმხედველობის მიერ წარმომადგენელი ახალი ღმერთების შეყვანისა ტრადიციულ ღმერთთა ჯგუფში, რომელიც ძველ მსოფლმხედველობას წარმოადგენა, ისე რომ ეს უკანასკნელი თანდათან იჩრდილება. ამრიგად, ბ ა ხ ო ფ ე ნ ი ს აზრით ისტორიული ცვლილებები მამაკაცის და დედაკაცის საზოგადოებრივ ურთიერთობაში გამოიწვია არა ადამიანის ფაქტიური ცხოვრების პირობების განვითარებამ, არამედ ამ ცხოვრების პირობების სარწმუნოებრივმა ასახვამ იმავე ადამიანების თავში, ამისდა მიხედვით ბ ა ხ ო ფ ე ნ ი ე ს ქ ი ლ ი ს ორესტეიას სახავს როგორც ქვემიმავალი დედის უფლების დრამატიულ ბრძოლას გმირულ ეპოქაში ზეაღმავალი და ძლევამოსილი მამის უფლების წინააღმდეგ. კლიტემნესტრამ თავისი საყვარლის ეგისტოსის გულისთვის მოჰკლა თავისი ქმარი აგამემნონი, რომელიც ის იყო ტროადის ომიდან დაბრუნდა, მაგრამ მისი და აგამემნონის ვაჟი ორესტი შურს იძიებს და ჰკლავს თავის დედას. ამისთვის მას სდევნიან ერინიები, დედის უფლების დამონური დამცველები მიტომ, რომ ამ უფლების ძალით დედის მკვლელობა უმძიმესი, გამოუსყიდავი დანაშაულია. მაგრამ მას იცავს ორი ღმერთი, რომელმაც აქ ახალ, მამათაუფლებრივ წესწყობილებას წარმოადგენენ—აპოლონი, რომელმაც თავისი ორაკულის შემწეობით ორესტს მოუწოდა ამ მოქმედებისკენ და ათინა, რომელიც მსაჯულადაა გამოწვეული; ათინა ორივე მხარეს მოუსმენს. მთელი სადაო საკითხი მოკლეთ იხატება ორესტესა და ერინიებს შორის გამართულს კამათში. ორესტი აღნიშნავს, კლიტემნესტრამ ორმაგი დანაშაული ჩაიდინა: თ ა ვ ი ს ი ქ მ ა რ ი და ამასთანავე ჩ ე მ ი მამა მოკლაო. მაშ რატომ მე მდევნიან ერინიები და არა მას, ბევრად უფრო დამნაშავესო. პასუხი დამაჯერებელია:

„იგი მის მიერ მოკლული მამაკაცის ს ი ს ხ ლ ი თ ნ ა თ ე ს ა ვ ი რ ო დ ი ყ ო ფ ი ლ ა“.

არა სიხლით ნათესავი მამაკაცის მკვლელობა, თუნდაც ეს უკანასკნელი მკვლელის ქმარი იყოს, შეიძლება მიტევებულ იქნას, იგი არ ეხება ერინიებს; მათი ვალდებულებაა შური იძ ონ მკვლელობისთვის, რომელიც სისხლის ნათესავებს შორის ხდება, აქ კი

დედის უფლების პიხედვით ყველაზე მძიმე და ძნელი მისატევებელი დედის მკვლელობაა. ახლა უკვე აპოლონი გამოდის როგორც ორესტის დამცველი; ათინა კენჭს აყრევინებს ათინელ ნაფიც მსაჯულებს—არეოპაგიტებს; ხმები თანასწორად იყოფა გამართლების და დასჯისთვის; მაშინ ათინა როგორც თავმჯდომარე თავის ხმას ორესტის სასარგებლოთ აძლევს და ამართლებს მას. მამის უფლებამ გამარჯვება მოიპოვა დედის უფლებაზე, „ახალი მოდგმის ღმერთებმა“, როგორც მათ ერინიები ეძახიან, დაამარცხეს ეს უკანასკნელნი და ისინი თანხმდებიან ახალ წესწყობილებას ემსახურონ.

ორესტეას ეს ახალი, მაგრამ უცილობლად სწორი ახსნა უმშვენიერეს და საუკეთესო ადგილს წარმოადგენს მთელს წიგნში, მაგრამ იგი აგრეთვე ამტკიცებს, რომ ბახოფენს ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც სწამს ერინიები, აპოლონი და ათინა, რამდენადაც თავის დროზე ესქილს სწამდა; მას სწამს, რომ ბერძნების გმირულ დროში მათ ის სასწაული მოახდინეს, რომ დედის უფლება დაამხეს მამის უფლების შემწეობითო. ცხადია, რომ ასეთი გაგება რელიგიისა როგორც მსოფლიო ისტორიის მამოძრავებელი ბერკეტისა წმინდა წყლის მისტიციზმს წარმოადგენს. ამიტომ ბახოფენის მსხვილტანიანი ტომების შესწავლა მძიმე და ხშირად უმადური შრომაა. მაგრამ ყოველივე ეს როდი ამცირებს მის დამსახურებას როგორც გზის გამკვალავისა; პირველად იგი გაშორდა ფრაზას უცნობი პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ, სადაც უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა უნდა არსებულიყო და დაამტკიცა, რომ ძველი კლასიკური ლიტერატურა ურიცხვ ნაშთს გვიჩვენებს, რომლის მიხედვით ბერძნებში და აზიელებში არა მარტო ერთს მამაკაცს მრავალ დედაკაცთან ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა, არამედ ერთს დედაკაცსაც მრავალ მამაკაცთან, და ეს სრულიადაც არ ბღალავდა ზნეჩვეულებას; რომ ეს ზნეჩვეულება არ გამქრალა, რომ მან კვალი დასტოვა განსაზღვრულ თავის დათმობაში, რომლითაც ქალებს ინდივიდუალური ცოლქმრობის უფლება უნდა გამოესყიდათ; რომ ამიტომ წარმოშობას თავდაპირველად მდედრობითი ხაზით, დედიდან დედაზე ანგარიშობდენ; რომ მდედრობითი ხაზის ეს ერთადერთი მართებულება დიდს ხანს მიღებული იყო ინდივიდუალური ცოლქმრობის ეპოქაში, სადაც მამობა უზრუნველყოფილი ან, ყოველ შემთხვევაში, ცნობილი იყო; და რომ დედების ამ მდგომარეობამ, როგორც მათი შვილების ერთად ერთი უცილობელი მშობლებისა, მათ უფრო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა მიანიჭა, ვიდრე შემდეგ ოდესმე ჰქონიათ. მართალია ბახოფენს ასე

ნათლად არ გამოუთქვამს ეს დებულებანი: ამას ხელს უშლიდა მისი მისტიური მსოფლმხედველობა. მაგრამ მან ისინი დაამტკიცა და ეს გარემოება სრულს რეოლუციას წარმოადგენდა 1861 წელს.

■

1891 წ. მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობიდან.

[13] და ამას სჩადის ადამიანი, რომელიც დედის ძმის და ქალიშვილის ვაჟის ვიწრო ურთიერთობიდან გერმანელებში (Tacitus, Germania, c. 20) იულიოს კეისარის ცნობიდან, რომ ბრიტებს ათ ათი, თორმეტ-თორმეტი ცოლი ჰყავთ ერთადო, და ძველი მწერლების სხვა ცნობებიდან ცოლთა განზოგადოების შესახებ ბარბაროსებს შორის უყოყმანოდ ასკვნის, ყველა ამ ხალხში მრავალქმრიანობა იყო გაბატონებულიო.

■

1891 წ. მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობიდან.

[15] მაგრამ მორგანი ამით როდი დაკმაყოფილდა. ამერიკელი ინდიელების გვარებმა მას დახმარება გაუწია მეორე გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა თავისი კვლევა-ძიების ასპარეზზე. ამ, დედის უფლების მიხედვით მოწყობილ გვარებში მან აღმოაჩინა პირველყოფილი ფორმა, საიდანაც შემდგომი, მამის უფლების მიხედვით მოწყობილი გვარები განვითარდენ, როგორსაც ანტიურ კულტურულ ხალხებში ვხვდებით. ბერძნული და რომაული გვარები, რომელნიც დღემდე ამოცანას წარმოადგენდნენ ისტორიკოსებისათვის ახსნილ იქნენ ინდიური გვარების შემწეობით, და ამით აღმოჩენილ იქნა მთელი პრეისტორიის საფუძველი.

■

[26] ზედა საფეხური. იწყება რკინის გადნობის გამოგონებით და ცივილიზაციაში გადადის ასოებად განწერებული დამწერლობის გამოგონებით და მის გამოყენებით სალიტერატურო მიზნებისათვის. ეს საფეხური, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ აღმოსავლეთის კონტინენტზე განელილ იქნა დამოუკიდებლად, წარმოების წინსვლის მხრით უფრო მდიდარია ვიდრე ყველა წინა საფეხური ერთად. მას ეკუთვნიან გმირული ეპოქის ბერძნები, იტალიელი ტომები ახლო ხანაში რომის დაარსებამდე, ტაციტის გერმანელები და ვიკინგების დროის ნორმანები.

■

[27] ბარბაროსობის ზედა საფეხურის უზენაეს აყვავებას ვხვდებით ჰომეროსის ლექსებში, სახელდობრ ილიადაში, განვითარე-

ბული რკინის იარაღი, სამშენლოს საბერველი, ხელის წისქვილი, კეცი, ზეთის და ღვინის მომზადება, განვითარებული, მხატვრულ ხელოსნობაში გარდამავალი მელითონეობა, ურემი და საომარი ეტლი, გემების აშენება ძელებისა და ფიცრებისაგან, ხუროთმოძღვრების დასაწყისი როგორც ხელოვნებისა გალავნითა და კოშკებით გარშემორტყმული ქალაქები, ჰომიროსის ეპოსი და მთელი მითოლოგია—ასეთია მთავარი მემკვიდრეობა, რომელიც ბერძნებმა ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში გადმოიტანეს. თუ ჩვენ ამას იულიოს კეისრისა და თვით ტაციტის მიერ აწერილ გერმანელებს შევადარებთ, რომელნიც იმავე კულტურული საფეხურის დასაწყისში იდგენ, საიდანაც ჰომიროსის დროს ბერძნები ზედა საფეხურზე ასვლას აპირებდენ, დავინახავთ თუ რა სიმდიდრეს შეიცავს წარმოების განვითარების მხრით ბარბაროსობის ზედა საფეხური.

■

[33]... ბერძნები ჰეტერიზმს უწოდებდენ უცოლოან ინდივიდუალურ ცოლ-ქმრობაში მცხოვრები მამაკაცების კავშირს უქმრო ქალებთან; ამიტომ ჰეტერიზმი ყოველთვის ქორწინების განსაზღვრულ ფორმას გულისხმობს და პროსტიტუციასაც შეიცავს. ყოველ შემთხვევაში როგორც შესაძლებლობას. ეს სიტყვა სხვა აზრით არასოდეს არ ხმარებულა, მეც მას მ ო რ გ ა ნ თ ა ნ ერთად ამ მნიშვნელობას ვაძლევ.

■

[38] არა თუ და-ძმა თავდაპირველად ცოლ-ქმარი იყო, დღესაც მრავალ ხალხში ნება დართულია სქესობრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. ბ ა ნ კ რ ო ფ ტ ი (The Native Races of the Pacific Coast of Northe America, 1875, vol. I), „ჩრდილოეთ ამერიკის წყნარ ოკეანის მცხოვრებნი". ამას ამოწმებს ბერინგის სრუტესთან მცხოვრები კავიატებისა, ალიასკელი კადიაკებისა, ბრიტანეთის ჩრდილო ამერიკის შიგნით მცხოვრები ტინეჰელების შესახებ; ლ ე ტ ო ურ ნ ოს ამავე ფაქტის დამადასტურებელი ცნობები მოჰყავს ჩიპეევი ინდიელებისა, ჩილიელი კუკუსებისა, კარაიბებისა, შიდა ინდოეთის ხარენელების შესახებ; ზედმეტია ძველი ბერძნებისა და რომაელების მოთხრობების გახსენება პარრთებისა, სპარსელებისა, სკვითებისა, ჰუნებისა და სხვ. შესახებ.

■

[41] უცილობელია, რომ ის ტომები, რომელშიც სქესობრივი აღრევა ამ წინსვლის შემწეობით შეიზღუდა, უფრო ჩქარა და ყოველმხრივად უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ისინი, რომელშიც დაძმის ცოლქმრობა ჩვეულებად და მცნებად დარჩა. ხოლო როგორი ძლიერი უნდა ყოფილიყო ამ წინსვლის ზეგავლენა, ამტკიცებს მისგან უშუა-

ლოდ გამომდინარე, მიზანზე შორს მიმავალი დაწესებულება გვა-
რისა, რომელიც თუ ყველასი არა, ბარბაროს ხალხთა უმრავლესო-
ბის საფუძველს წარმოადგენს დედამიწის ზურგზე; გვარიდან საბერ-
ძნეთი და რომი უშუალოთ ცივილიზაციაში გადავიდენ.

■

[43] როცა იულიოს კეისარი ბრიტებზე, რომელნიც მაშინ ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე იმყოფებოდენ, გვიამბობს: „მათ თავიანთი დედაკაცები ათ-ათად ან თორმეტ-თორმეტად ერთად ჰყავთ ცოლებად და უმეტეს ნაწილად ისე, რომ ქმრები ერთმანეთის ძმები არიან ან მამა-შვილებიო",—ეს საუკეთესოდ ჯგუფობრივი ცოლქმრობით აიხსნება. ბარბაროს დედებს 10-12 ვაჟი არ ეყოლებოდათ ისეთ ასაკში, რომ მათ საერთო ცოლები შეერთოთ. მაგრამ ამერიკული ნათესაობის სისტემა, რომელიც პუნალუა ოჯახს შეეფერება, მრავალ ძმას იძლევა, მიტომ რომ მამაკაცის ახლობელი და შორეული ბიძაშვილები მისი ძმები არიან. რაც შეეხება გამოთქმას „მამა-შვილებს", ეს შეიძლება იულიოს კეისრის შეცდომა იყოს; ასეთი შემთხვევა, რომ მამა და ვაჟიშვილი, ან დედა და ქალიშვილი შეიძლება ერთსა და იმავე ცოლქმრულ ჯგუფში მოხვდენ, აბსოლუტურად გამორიცხული არაა ამ სისტემაში, მაგრამ შეუძლებელია მამისა და მისი, ქალიშვილის ან დედისა და მისი ვაჟიშვილის ერთად მოხვედრა. ჯგუფობრივი ცოლქმრობის ესა ან ამგვარი ფორმა ადვილად გვიხსნის აგრეთვე ჰეროდოტეს და სხვა ძველი მწერლების ცნობებს ცოლთა განსაზოგადოების შესახებ ველურ და ბარბაროს ერებში.

■

[50] სწორედ ასევე უცილობელია, რომ შემოწმებული ისტორიის საზღვარზე ჯოგი ყველგან ოჯახის მეთაურის საკუთრებას წარმოადგენდა, ისევე როგორც ბარბაროსული ხელოვნების ნაწარმოები, ლითონის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები და ბოლოს პირუტყვად ქცეული ადამიანები—მონები.

ახლა მონობაც უკვე აღმოჩენილი იყო. ქვედა საფეხურის ბარბაროსობისათვის მონას ღირებულება არ ჰქონდა. ამიტომ ამერიკელი ინდიელები სხვანაირად ექცეოდენ დამარცხებულ მტრებს ვიდრე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხები: მამაკაცებს ან ხოცავდენ ან გამარჯვებულთა ტომში ღებულობდენ როგორც ძმებს; დედაკაცებს ან ირთავდენ ან მათ გადარჩენილ შვილებთან ერთად იშვილებდენ. ამ საფეხურზე ადამიანის სამუშაო ძალა არავითარ მნიშვნელოვან ნამატს არ იძლევა თავის შესანახ ხარჯებთან შედარებით.

მეჯოგეობის, ლითონის დამუშავების, ფეიქრობის და ბოლოს მიწათ-მოქმედების შემოღებასთან ერთად ეს შეიცვალა. გასათხოვარმა ქალმა, რომელიც წინათ ადვილი საშოვნელი იყო, ახლა საცვლელი ღირებულება მიიღო და ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა; ასეთივე ამბავი მოუვიდა. სამუშაო ძალასაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჯოგ-საბოლოოდ ოჯახის საკუთრება გახდა. ოჯახი ისე სწრაფად როდი მრავლდებოდა როგორც პირუტყვი. ჯოგის მოსავლელად მეტი ადამიანი იყო საჭირო; ამისთვის კი დატყვევებული მტრის გამოყენება შეიძლებოდა, ამას გარდა იგი ისევე ადვილად მრავლდებოდა როგორც თვით პირუტყვი.

■

[63] დედის უფლების დამხობა მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა ი ყ ო. მამაკაცმა ოჯახშიც დაიპყრო საჭე, ქალს პატივი აეხადა, მამაკაცის მსახურ- და მისი გულისწადილის მონა გახდა, ბავშვების გაჩენის უბრალო საშუალებად იქცა. დედაკაცის ეს დამამცირებელი მდგომარეობა, როგორც იგი აშკარად სჩანს გმირული და კიდევ უფრო კლასიკურ- დროის ბერძნებში, თანდათან შელამაზდა და მიფუჩეჩდა ფარისეველ-ბის შემწეობით, ნაწილობრივ უფრო რბილ ფორმაშიც ჩამოყალიბდა; მაგრამ არსად იგი არ მოსპობილა. მამაკაცების აბსოლუტურმა გაბა-ტონებამ, უწინარეს ყოვლისა, გარდამავალი ფორმის—პატრიარქა-ლური ოჯახის წარმოშობა გამოიწვია. ის მოვლენა, რასაც ეს ტერმინი უმთავრესად აღნიშნავს, არის არა მრავალ-ცოლიანობა, რის შესახე-ბაც ქვემოდ ვილაპარაკებთ, არამედ „რამდენიმე თავისუფალი და არათავისუფალი პირის ორგანიზაცია ოჯახის მამასახლისის ხე-ლისუფლების ქვეშ. სემიტურ ფორმაში ამ მამასახლისს მრა-ვალი ცოლი ჰყავს, მონებს ცოლები და შვილები ჰყავთ, და მთელი ორგანიზაციის მიზანია ჯოგის მოვლა განსაზღვრულ ტერი-ტორიაზე". არსებითი მნიშვნელობა აქვს არა-თავისუფალ პირთა შემოყვანას და მამასახლისის ხელისუფლებას; ამიტომ ამ ოჯახის ფორ-მის დასრულებული ტიპი რომაული ოჯახია. სიტყვა familia თავდა-პირველად როდი ნიშნავს თანამედროვე ფილისტერის საოცნებო ოჯახს, რომელიც სანტიმენტალობასა და შუღლზეა დამყარებული. რომაელები ამ სიტყვას პირველად ხმარობდენ არა ცოლქმრისა და მათი ბავშვების, არამედ მხოლოდ მონების მიმართ. Familus ნიშნავს შინაურ მონას, ხოლო familia არის მამასახლისის კუთვნილ მონათა კრებული. გ ა ი უ ს ი ს დროს familia, id est patrimonium (ე. ი. მემ-კვიდრეობის ნაწილი) ანდერძით გადადიოდა მემკვიდრეზე. რომაე-

ლებმა ეს ტერმინი მოიგონეს, რათა ის ახალი საზოგადოებრივი ორგანიზმი აღენიშნათ, რომლის მეთაურს, როგორც რომაელს მამასახლისს, დედაკაცი, ბავშვები და მონები ემორჩილებოდენ, ისე რომ მას ყოველი მათგანის მოკვლისა და სიცოცხლის ჩუქების უფლება ჰქონდა. „მაშასადამე ეს სიტყვა უფრო ძველი არაა ვიდრე ლათინური ტომების რკინით შეჯავშნილი ოჯახის სისტემა, რომელიც წარმოიშვა მიწათმოქმედებისა და დაკანონებული მონობის შემოღების და აგრეთვე არიელი იტალების ბერძნებისაგან გამოთიშვის შემდეგ“. მარქსი უმატებს: „თანამედროვე ოჯახი ჩანასახში შეიცავს არა მარტო მონობას (servitus), არამედ ბატონყმობასაც, ვინაიდან მას იმთავითვე დამოკიდებულება აქვს სამიწათმოქმედო შრომასთან. იგი მინიატურულად ყველა იმ წინააღმდეგობათ შეიცავს, რომელნიც ფართოდ ვითარდებიან საზოგადოებასა და მის სახელმწიფოში“.

■

[65] გერმანელებშიც ჰოისლერის მიხედვით (Heussler, Institutionen des deutschen Rechts) ეკონომიურ ერთეულს თავდაპირველად წარმოადგენდა არა ცალკე ოჯახი თანამედროვე აზრით, არამედ „ოჯახური ამხანაგობა“, რომელიც მრავალი თაობისა ან კიდევ მრავალი ცალკე ოჯახისაგან შესდგებოდა და ხშირად არათავისუფალ პირთაც შეიცავდა. რომაელი ოჯახიც ამ ტიპზე დაჰყავთ და ამისდა მიხედვით უკანასკნელ დროს უარჰყოფენ როგორც მამასახლისის აბსოლუტურ ხელისუფლებას, ისე ოჯახის სხვა წევრების უუფლებობას მის მიმართ.

■

[67] მართლაც მამაკაცის მრავალცოლიანობა უეჭველია მონობის პროდუქტი იყო და ცალკე გამონაკლისებით განისაზღვრებოდა.

■

[69] ახალი ოჯახის (მონოგამიური ოჯახის. რედ) ფორმა მთელი თავისი სიმკაცრით ძველ ბერძნებში გვხდება. მაშინ როცა, როგორც მარქსი აღნიშნავს, ქალ-ღმერთების მდგომარეობა მითოლოგიაში უფრო ძველ პერიოდს გვიხატავს, როცა ქალებს უფრო თავისუფალი, პატივსაცემი ადგილი ეჭირათ, გმირულ პერიოდში დედაკაცი უკვე დამცირებულია მამაკაცის ბატონობისა და მხევლების მეტოქეობის წყალობით. გაიხსენეთ ოდისეა, სადაც ტელემაკი თავის დედას აძევებს. დატყვევებული ახალგაზრდა ქალები ჰომიროსის ნაწერებში გამარჯვებულთა ავხორცობის მსხვერპლნი ხდებიან; სარდლები რიგისა და წარჩინების მიხვედით გასაუპატიურებლად ირჩევენ ტყვე ქალებს; როგორც ცნობილია, მთელი ილიადა იმ ბრძოლის გარშემო ტრიალებს, რომელიც

აქილესსა და აგამემნოს შორის სწარმოებდა ერთი ასეთი მხეველის გულისთვის. ყოველი გამოჩენილი გმირის გვერდით ჰომიროსს მოხსენებული ჰყავს ახალგაზრდა ტყვე ქალი, რომელიც მის კარავში ცხოვრობდა და მის ლოგინში წვებოდა. ეს ქალები ოჯახშიც მიჰყავდათ, როგორც მაგ. ესქილის აგამემნონმა კასანდრა წაიყვანა; ასეთი მხეველების ვაჟები პატარა წილს ღებულობდენ ჰამის მემკვიდრეობაში და სავსებით თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებოდენ; ტევკროსი ტელამონის ასეთი უკანონო შვილია, მას უფლება აქვს თავისი მამის სახელი ატაროს. კანონიერი ცოლისაგან მოითხოვენ, რომ ყოველივე ამას შეურიგდეს, ხოლო თვითონ მკაცრი უბიწობა და ერთგულება დაიცვას. თუმცა გმირული პერიოდის ბერძენი ქალი უფრო პატივცემულია ვიდრე ცივილიზაციის პერიოდის ქალი, მაგრამ მამაკაცისთვის იგი მაინც მისი კანონიერი მემკვიდრე შვილების დედას, მის უფროსს დიასახლისს და მისი მხეველების გამგებელს წარმოადგენს, ეს მხეველები მას შეუძლია სურვილისამებრ საყვარლებად აქციოს და აქცევს კიდეც. მონობის არსებობამ მონოგამიის გვერდით, ახალგაზრდა ლაშაზი მაყვლების გაჩენამ, რომელნიც მამაკაცს ეკუთვნიან მთელი თავიანთი ავლადიდებით, იმთავითვე სპეციფიური ნიშანი დაუდო მონოგამიას, იგი მონოგამიაა მხოლოდ ცოლისთვის და არა ქმრისთვის. ეს თავისებურობა მან დღემდე შეინარჩუნა.

შემდგომი დროის ბერძნებს შორის ჩვენ დორიელები უნდა განვასხვავოთ იონიელებისაგან. პირველთ, რომელთა კლასიკური მაგალითი სპარტაა, ზოგიერთი მხრით კიდევ უფრო დრომოქმული ოჯახური ურთიერთობა აქვთ შერჩენილი, ვიდრე თვით ჰომიროსის პოემებში გვხვდება. სპარტაში გაბატონებულია „წყვილადი ცოლქმრობა“, რომელიც სპარტანული მსოფლმხედველობის მიხედვით შეცვლილია სახელმწიფოს მიერ და ჯგუფობრივი ცოლქმრობის ზოგიერთ ნაშთს შეიცავს. უშვილო ცოლქმრები ერთმანეთს ეყრებიან. რადგან მეფე ანაქსანდრიდასის (650 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) პირველი ცოლი უშვილო იყო, მან მეორე ცოლი მოიყვანა და ორი ოჯახი გაიჩინა; იმავე ხანაში მეფე არისტონმა, რომელსაც ორი უშვილო ცოლი ჰყავდა, მესამე მოიყვანა, მაგრამ სამაგიეროთ ერთ-ერთი წინანდელი გაუშვა. მეორე მხრივ შეიძლებოდა რამოდენიმე ძმას ერთი ცოლი ჰყოლოდა, მამაკაცს, რომელსაც თავისი მეგობრის ცოლი მოეწონებოდა, მას ჩაზიარებოდა; არაფერი იყო ურიგო იმაში, რომ ქმარს თავისი ცოლი „ულაყისთვის“ დაეთმო, ბისმარკის ენით რომ ვთქვათ, თუნდაც ეს უკანასკნელი მოქალაქეც არ ყოფილიყო. პლუტარხი ერთს ადგილას აღბობს, ერთმა სპარტანელმა

ქალმა თავის ქმართან გაგზავნა დასტურის მისაღებად შეყვარებული ვაჟი, რომელიც მას სთხოვდა დამნებებიო; როგორც შემანი ამტკიცებს, აქედან ის გამომდინარეობს, რომ ზნეჩვეულება კიდევ უფრო ლაღი ყოფილა. ამიტომ გაუგონარი ამბავი იყო ნაფდვილი ღალატი, ცოლის ორგულობა ქმრის ზურგს უკან. მეორე მხრით სპარტაში, ყველ შემთხვევაში საუკეთესო ეპოქაში, არ არსებობდენ მონები, ყმა ჰელოტები ცალკე ცხოვრობდენ მამულში; ამიტომ სპარტიატებისთვის აგრერიგად ძლიერი არ იყო ცდუნება მათი ცოლების ხელში ჩაგდებისა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში სპარტანელ ქალებს ბევრად უფრო პატივსაცემი ადგილი ეჭირათ ვიდრე სხვა ტომების ბერძენ ქალებს. სპარტანელი ქალები და რჩეული ათინელი ჰეტერები ერთადერთი ბერძენი ქალები იყვნენ, რომელთა შესახებ ძველები მოკრძალებით ლაპარაკობენ და რომელთა ნალაპარაკევის ჩაწერას ისინი შრომის ღირსად სთვლიან.

სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო იონელებს შორის, რომელთათვისაც ათინაა დამახასიათებელი. ახალგაზრდა ქალებს მხოლოდ დართვას, ქსოვას და კერვას, საუკეთესო შემთხვევაში ცოტაოდენ წერაკითხვას ასწავლიდენ. ისინი თითქმის კარჩაკეტილნი ცხოვრობდენ, მხოლოდ სხვა ქალებთან ჰქონდათ მისვლა-მოსვლა. საქალებო განცალკევებულ ნაწილს წარმოადგენდა შენობაში, ზედა სართულში ან შიგნით იყო მოთავსებული, მამაკაცებისათვის, განსაკუთრებით უცხოთათვის, ადვილი არ იყო იქ შესვლა. ქალები გარედ არ გამოდიოდენ თუ არ მხეალის თანხლებით; სახლში მათ პირდაპირ სდარაჯობდენ; არისტოფანი ლაპარაკობს მილოსის ძაღლების შესახებ, რომელნიც ეზოში მკრუხეთა დასაშინებლად ჰყავდათ, ხოლო ახალის ქალაქებში ქალების დასაკავად საჭურისები ეჭირათ, ამ საჭურისებს უკვე ჰეროდოტეს დროს ამზადებდენ გასაყიდათ კუნძულ ქიოსზე; ვაქსმუტის აზრით ეს მარტო ბარბაროსებისათვის როდი ხდებოდა. ევრიპიდე ქალს oikurema-დ საოჯახო ნივთად სთვლის (ეს სიტყვა საშუალო სქესისაა) და ათინელის შეხედულებით იგი ბავშვების გამჩენი და მთავარი შინამოსამსახურე იყო და მეტი არაფერი. მამაკაცი გიმნასტიურ ვარჯიშობითა, საზოგადოებრივი საქმეებით იყო გართული, ხოლო ქალი ამას ყოველივეს მოკლებული იყო; ამას გარდა მამაკაცს ხშირად მხეალები ჰყავდა თავის განკარგულებაში ხოლო ათინის აყვავების დროს ფართოდ გავრცელებული იყო პროსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფოც ხელს უწყობდა. სწორედ ამ პროსტიტუციის ნიადაგზე იყო შესაძლებელი ზოგიერთი ბერძენი ქალის ინდივიდუალობის განვითარება, ეს ქალები თავიანთი ჭკუითა და მხატვრული გემოვნებით ისევე სცილდებოდენ ანტიური დედაკა-

ცობის საზოგადო დონეს, როგორც სპარტანელი ქალები თავიანთი ხასიათით. მაგრამ ათინური ოჯახისთვის სასტიკ განაჩენს წარმოადგენს ის გარემოება რომ დედაკაცი ჰეტერა უნდა გამხდარიყო, რათა ქალად გადაქცეულიყო.

ეს ათინური ოჯახი ჟამთა მსვლელობაში ნიმუშათ იქცა, რომლის მიხედვით არა მარტო დანარჩენი იონიელები, არამედ მეტროპოლიის და ახალშენების მთელი ბერძნობა თანდათან თავის ოჯახურ ურთიერთობას აყალიბებდა. მაგრამ კარჩაკეტილობისა და თვალყურის დევნების მიუხედავათ ბერძენი ქალები მაინც ხშირად პოულობდენ შემთხვევას თავიანთი ქმრები მოეტყუებინათ. ამ უკანასკნელთაც სამარცხვინოდ მიაჩნდათ სიყვარული გამოეჩინათ თავიანთი ცოლების მიმართ და დროს ჰეტერებთან აშიკობასა და ლაციცობაში ატარებდენ; მაგრამ ქალის უპატიოცემლობა შურს იძიებდა მამაკაცზე და პატივს უკარგავდა მასაც; ბოლოს მამაკაცი იქამდე დაქვეითდა, რომ ვაჟების სიყვარულის უკუღმართობა იგემა, მან თავისი ღმერთებიც იმდენად დაამდაბლა, რომ განიმედის მითოსი შექმნა.

ასეთი იყო მონოგამიის წარმოშობა, რამდენათაც ჩვენ შეგვიძლია იგი ძველი დროის უგანათლებულესი და უაღრესად განვითარებული ხალხის ისტორიაში გამოვარკვიოთ. იგი სრულიადაც ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარულის ნაყოფს არ წარმოადგენდა, მას არაფერი ჰქონდა საერთო ამ უკანასკნელთან მიტომ, რომ ცოლქმრობა წინანდებურად ანგარიშზე იყო დამყარებული. იგი იყო პირველი ოჯახური ფორმა, რომელიც ეყრდნობოდა არა ბუნებრივ, არამედ ეკონომიურ პირობებს, სახელდობრ—კერძო საკუთრების გამარჯვებას პირველყოფილი ბუნებრივი ერთობის გრძნობაზე. მამაკაცის ბატონობა ოჯახში და ასეთი ბავშვების გაჩენა რომელნიც უეჭველათ მისი უნდა ყოფილიყვნენ და მისი ქონების მემკვიდრეები უნდა გამხდარიყვნენ, ასეთი იყო ბერძნების მიერ გულახდილათ გამოთქმული მიზნები ერთქორწინებისა. სხვაფრივ ოჯახი ბერძნებისთვის ტვირთს წარმოადგენდა, ერთგვარ ვალდებულებას ღმერთებისა, სახელმწიფოსი და საკუთარი წინაპრების მიმართ, ეს ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ათინაში კანონი მოქალაქეს აიძულებდა არა მარტო ცოლის შერთვას, არამედ ეგრეთწოდებული ქმრული ვალდებულებების მინიმუმის შესრულებასაც.

■

[73] ერთქორწინება დიდი ისტორიული ნაბიჯის წინგადადგმას წარმოადგენს. მაგრამ ამასთანავე იგი მონობასა და კერძო საკუთრებასთან ერთად იწყებს იმ ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელ-

დება და რომელშიც ყოველი პროგრესი ნაწილობრივ რეგრესს შეიცავს...

[74] ფულის გულისთვის სხეულის დანებება თავდაპირველად სარწმუნოებრივი აქტი იყო, ეს აქტი სიყვარულის ქალღმერთის ტაძარში ხდებოდა და ფული ტაძრის სალაროში შედიოდა. ანაიტისის ჰიეროდულები სომხეთში, აფროდიტესი კორინთში, ტაძრებს მიკუთნებული რელიგიური მოცეკვავე ქალები ინდოეთში, ე. წ. ბაიადეერები (ეს სიტყვა პორტუგალური bailadeira-ის შერყვნას წარმოადგენს და მოცეკვავე ქალს ნიშნავს); პირველი მეძავები იყვნენ.

[76] მაგრამ განცალკევებული; ოჯახი ყოველგან და ყოველთვის იმ კლასიკურად ჩამოყალიბებულ ფორმაში არ გამოსულა, რომელიც მას ბერძნებმა მისცეს. რომაელებს შორის, რომელთაც როგორც მსოფლიოს მომავალ დამპყრობთ უფრო ფართო, თუმცა ნაკლებ გამახვილებული თვალი ჰქონდათ ვიდრე ბერძნებს, ქალი უფრო თავისუფალი და პატივცემული იყო ვიდრე პერძნებში. რომაელს ეკონა ცოლის ერთგულება საკმაოთ უზრუნველყოფილია იმით, რომ ჩემ ხელთაა მისი სიკვდილ-სიცოცხლის უფლებაო. რომაელ ქალსაც ასევე შეეძლო ცოლქმრობის გაყრა მოეთხოვა როგორც მამაკაცს. მაგრამ უდიდესი ნაბიჯი ერთქორწინების განვითარებაში გადაიდგა მაშინ, როცა ისტორიაში გერმანელები შემოვიდენ; ეს მიტომ, რომ მათ შორის მათი სიღარიბის გამო მონოგამია იმ დროს, როგორც ეტყობა, საკმაოთ განვითარებული არ იყო წყვილადი ცოლქმრობისაგან. ჩვენ ამას ვასკვნით სამი გარემოებისაგან, რომელთაც ტაციტი იხსენიებს: ერთი რომ მიუხედავად ერთ ქორწინების დიდი პატივისცემისა—„ისინი კმაყოფილდებიან ერთ ცოლს, დედაკაცები უბიწონი არიანო—ამბობს ტაციტი“,—წარჩინებულთ და ტომის მეთაურთ მრავალი ცოლი ყავდათ, მაშასადამე აქაც ისეთივე მდგომარეობა არსებობდა, როგორც ამერიკელებში, სადაც წყვილადი ქორწინება ბატონობდა. და მეორე რომ დედის უფლებიდან მამის უფლებაზე გადასვლა ცოტა ხნის წინად უნდა მომხდარიყო მიტომ, რომ დედის ძმა, ე. ი. უახლოესი ნათესავი მამაკაცი დედის უფლების თვალსაზრისით თითქმის უფრო მახლობლათ ითვლებოდა ვიდრე საკუთარი მამა; ესეც შეეფერება ამერიკელი ინდიელების თვალსაზრისს, რომელთა შორის მარქსმა, როგორც ხშირად თვით იტყოდა, გასაღები აღმოაჩინა ჩვენი საკუთარი საზოგადოების პირველყოფილი მდგომარეობის გასაგებად. და მესამე რომ ქალები გერმანელებს შორის დიდათ პატივცემული იყვნენ და გავლენას ახდენდენ საზოგა-

დოებრივ საქმეებზე, ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მამაკაცის მონოგამიურ ბატონობას. ამ მხრივ გერმანელები ეთანხმებოდენ სპარტანელებს, რომელთა შორის, როგორც ზემოთ დავინახეთ, წყვილადი ცოლქმრობა საესებით დაძლეული არ იყო. მაშასადამე გერმანელებმა ამ მხრივაც სრულიად ახალი ელემენტი შეიტანეს მსოფლიო ისტორიაში. ახალმა მონოგამიამ, რომელიც რომის ნანგრევებზე ხალხთა შერევისაგან განვითარდა, უფრო რბილი ფორმები მისცა მამაკაცის ბატონობას, ხოლო ქალებს გარეგნულად მაინც უფრო საპატიო და თავისუფალი მდგომარეობა შეუქმნა ვიდრე ოდესმე კლასიკურ ეპოქაში ჰქონდათ.

■

[77]...გერმანელები თავიანთი გათარეშების დროს, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთით, შავი ზღვის განაპირა ველებზე მოხეტიალე ნომადებისკენ, ზნეობრივად ძლიერ დაქვეითდენ და ამ უკანასკნელთაგან ცხენოსნობას გარდა, ბილწი არაბუნებრივი თვისებანი გადმოიღეს, რასაც ამიანი ტაიფელერების, ხოლო პროკოფი ჰერულების შესახებ გარკვევით ამოწმებს.

□

[86] მთელს საშუალო საუკუნეებში ქალ-ვაჟთა შეუღლებას მშობლები ახდენდენ მათდა დაუკითხავად, სასიძო და სარძლო წყნარად მორჩილებას აცხადებენ. ცოტაოდენი ცოლქმრული სიყვარული, რომელსაც ძველი ეპოქა იცნობს, სუბიექტურ მიდრეკილობას კი არ წარმოადგენს, არამედ ობიექტურ ვალდებულებას, არა ქორწინების საძირკველს, არამედ მის კორელატს. თანამედროვე სიყვარულის მსგავსი მოვლენა ძველად მხოლოდ ოფიციალური საზოგადოების გარეშე ხდებოდა. მწყემსები, რომელთა სიყვარულის სიხარული და ტანჯვა თეოკრიტმა და მოსხემ გვიმღერა, ლონგოსის დაფნისი და ქლოე მონები არიან, ისინი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ თავისუფალი მოქალაქის სამოქმედო ასპარეზსა, სახელმწიფოში. ამას გარდა კი სამიჯნურო კავშირს ვხდებით მხოლოდ როგორც დაქვეითების გზაზე დამდგარი ძველი საზოგადოების გარხწნის პროდუქტს, მისი მონაწილეები ჰეტერები არიან, მაშასადამე უცხოელი ან მონობისაგან განთავისუფლებული ქალები: ათინაში ისინი დაქვეითების წინა ხანაში გამოდიან, რომში, იმპერიის ეპოქაში. თუ სამიჯნურო კავშირი თავისუფალ მოქალაქე ქალ-ვაჟს შორისაც იბმებოდა, ეს მხოლოდ ცოლქმრული ღალატის გზით ხდებოდა. და კლასიკური დროის მიჯნურობის პოეტი, ძველი ანაკრეონი, სქესობრივ სიყვარულს ჩვენი გაგებით ისეთ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რომ მისთვის სატრფოს სქესსაც კი არ ჰქონდა მნიშვნელობა.

ჩვენი სქესობრივი სიყვარული არსებითად განსხვავდება ბერძენ-რომაელების სქესობრივი ეინისა, ეროსისაგან. ერთი რომ იგი საყვარელი არსების თანაგრძნობას გულისხმობს; ამ მხრივ ქალი მამაკაცის თანასწორია, მაშინ როცა ანტიურ ეროსში ამას ყოველთვის როდი კითხულობდენ. მეორე რომ სქესობრივ სიყვარულს დღეს ისეთი სიმძაფრე და ხანგრძლივობა აქვს, რომ ორივე მხარეს განშორება და შეუყრელობა უდიდეს უბედურებათ ეჩვენება; ერთმანეთის დასაუფლებლათ ქალ-ვაჟი საშიშ თამაშობასაც, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც კი არ ერიდებიან, რაიცა ძველ დროში მხოლოდ ცოლქმრის ღალატის დროს თუ ხდებოდა. და ბოლოს ახალი ზნეობრივი საზომი ჩნდება სქესობრივი ურთიერთობის დასაფასებლად: მარტო იმას კი არ კითხულობენ, ქორწინების ნაკურთხი იყო იგი თუ არაო, არამედ იმასაც, სიყვარულისა და თანაგრძნობიდან გამომდინარეობდა იგი თუ არაო. გასაგებია, რომ ამ ახალ საზომს ფეოდალურ და ბურჟუაზიულ პრაქტიკაში უკეთესი დღე არ ადგია, ვიდრე სხვა ზნეობრივ საზომებს: მას ადვილად გადალახავენ ხოლმე. მაგრამ მისი მდგომარეობა არც სხვებზე ცუდია: მასაც მათსავით მხოლოდ თეორიაში, ქაღალდზე სცნობენ. მეტის მოთხოვნა კი ჯერჯერობით მას არ შეუძლია.

სადაც კლასიკურ ეპოქაში სქესობრივი სიყვარულის პირველმა გამოსახულებამ იჩინა თავი, სწორედ იქიდან დაიწყო საშუალო საუკუნოებში ამ გრძნობის განვითარება: ესაა ცოლქმრის ღალატი.

[96] მორგანმა დაამტკიცა, რომ გვაროვნული კავშირი, რომელსაც ამერიკელი ინდიელების ტომში ცხოველების სახელებით ალნიშნავენ, არსებითად იდენტიურია ბერძნების genea-სა და რომაელების gentes-თანო; ამერიკული ფორმა პირველადია, ხოლო ბერძნულ-რომაული შემდგომი, გამოყვანილია; ბერძნების და რომაელების მთელი უძველესი საზოგადოებრივ ორგანიზაციულ წყობას გვარებად, ფრატრიებად და ტომებად თავისი პარალელი აქვს ამერიკულ ინდიურშიო; გვარი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც საერთოა ყველა ბარბაროსისთვის, სანამ ისინი ცივილიზაციაში შეიდოდენ და თვით შემდეგაც (რამდენადაც სანდო წყაროები მოგვეპოება). ყოველივე ამის დამტკიცებამ ერთი დაკვრით გაანათა რომისა და საბერძნეთის უძველესი ისტორიის უბნელესი ნაწილები და ამავე დროს მოულოდნელად გამოარკვია იმ პირველყოფილი საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითადი ხაზები, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს დაარსებას.

... ლათინური სიტყვა gens, რომელსაც მორგანი ზოგადათ ხმარობს ამ გვაროვნულ კავშირისთვის, ისევე როგორც შესატყვისი ბერძნული genos წარმოსდგება საერთო არიული ძირისა gan-ისაგან (გერმანულში არიული g-ის ადგილას ჩვეულებრივ, k სდგას და ამიტომ Kan-ს ვლებულობთ), რაიცა შექმნას ნიშნავს. Gens, genos სანსკრიტულად dschanas, გოთურად (ზემოაღნიშნული წესის მიხედვით) Kuni, ძველი სკანდინაურად და ანგლოსაქსონურად Kyn, ინგლისურად Kin, საშუალო საუკუნოების ზემოგერმანულად Künne გვარს, წარმოშობას ნიშნავს. ხოლო ლათინური gens, ბერძნული genos სპეციალურად გვაროვნულ კავშირს ეწოდება, რომელიც საერთო წინაპრებისაგან (აქ საერთო მამამთავრისაგან) წარმოსდგება და ერთგვარი საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი დაწესებულებებით განსაკუთრებულ ერთეულშია შეკავშირებული; ამ ერთეულის წარმოშობა და ბუნება დღემდე ბნელი რჩებოდა ჩვენი ისტორიკოსებისათვის.

■

[107] თუ მრავალი რაზმი შეიკრიფებოდა ერთ დიდ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, თითოეული მათგანი თავის საკუთარ ბელადს ემორჩილებოდა; სამხედრო გეგმის მთლიანობას კარგათ თუ ცუდათ ამ ბელადების საბჭო ანხორციელებდა. ასევე აწარმოებდენ ომს ამიან მარცელინის გადმოცემით ალამანები მეოთხე საუკუნეში ზემო რეინზე.

■

[110] სამაგიეროთ მას ჰყავდა ორი მთავარსარდალი თანაბარი უფლებებითა და ძალით (სპარტანელების ორი „მეფისა", რომაელების ორი კონსულის მსგავსად).

■

IV. ბერძნული ^ვარი.

[115] ბერძნები ისევე როგორც პელასგები და სხვა მათი მონათესავე ხალხები უკვე პრეისტორიული ხანიდან იმავე ორგანიული რიგის მიხედვით იყვნენ დაწყობილი როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი. ფრატრია შეიძლებოდა გამოკლებულიყო როგორც მაგ. დორიელებში, ტომების კავშირი ყოველგან განვითარებული არ იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გვარი ერთეულს წარმოადგენდა. იმ დროს, როცა ბერძნები ისტორიაში შედიან, ისინი ცივილიზაციის მიჯნაზე სდგანან; მათსა და ამერიკელ ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, თითქმის ორი დიდი განვითარების პერიოდი სძევს, რომლითაც გმირული დროის ბერძნები ეროკეზებს წინ უსწრებენ. ამიტომ ბერძნების გვარი

ალარ ჰგავს �ოკეზების არქაულ გვარს, ჯგუფობრივი ცოლქმრობის კვალი თითქმის წაშლილია, დედის უფლება ადგილს უთმობს მამის უფლებას; ამრიგად წინმიმავალმა კერძო საკუთრებამ პირველი ეერიში მიიტანა გვაროვნული წესწყობილების წინააღმდეგ, მეორე ეერიში პირველის ბუნებრივი შედეგი იყო: რადგან მამის უფლების შემოღების შემდეგ მდიდარი მემკვიდრე ქალის ქონება მისი გათხოვების გამო მისი ქმრის, მაშასადამე სხვა გვარის ხელში გადავიდოდა, დარღვეულ იქნა ყოველი გვაროვნული უფლების საფუძველი, და ახალგაზრდა ქალს არა მარტო ნება დართეს, არამედ ამ შემთხვევაში მოსთხოვეს თავის გვარშივე გათხოვილიყო, რათა გვარს ქონება არ დაჰკარგოდა.

გროტეს საბერძნეთის ისტორიის მიხედვით სპეციალურად ათინურ გვარს აკავშირებდა:

1. საერთო რელიგიური დღესასწაული და განკერძოებული უფლება მღვდელმსახურებისა იმ ღვთაების პატივსაცემად, რომელიც გვარის მამამთავრად ითვლებოდა და ამიტომ განსაკუთრებულ მეტსახელს ატარებდა;

2. საერთო სასაფლაო (შეად. დემოსთენის ევბულიდები);

3. საურთიერთო მემკვიდრეობის უფლება;

4. საურთიერთო ვალდებულება დაბმარებისა, მფარველობისა და მხარის დაჭერისა გაჭირვებაში;

5. საურთიერთო უფლება და ვალდებულება მეგვარესთან დაქორწინებისა, განსაკუთრებით როცა საკითხი ობლებსა და დედმამის მემკვიდრე ქალს შეეხებოდა;

6. საერთო საკუთრების ქონა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, საკუთარი არხონითა (გამგით) და მოლარით... შემდეგ ფრატრია რამდენიმე გვარს აკავშირებდა, თუმცა ნაკლებ მჭიდროთ; მაგრამ აქაც ამგვარსავე საურთიერთო უფლებებსა და ვალდებულებებს ვხედავთ, განსაკუთრებით საერთო რელიგიურ წესებს და ფრატორიის მკვლელის დევნის უფლებას. ტომში შემავალ ფრატრიებს საერთო, პერიოდული დღესასწაულები ჰქონდათ კეთილშობილთაგან (ევპატრიდთაგან) არჩეული ფილობაზილევსის (ტომის უხუცესის) მეთაურობით.

ამას ამტკიცებს გროტე. ხოლო მარქსი უმატებს: „ბერძნულს გვარში ველური (მაგ. ироკეზი) იცქირება, მაგრამ აშკარად იცქირება". ეს კიდევ უფრო აშკარა გახდება თუ გამოკვლევას განვაგრძობთ.

ბერძნულ გვარს კიდევ შემდეგი თვისებანი აქვს:

7. წარმოშობა მამის უფლების მიხედვით;

8. თანაშეგვარეების დაქორწინების აღკრძალვა გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, როცა ქალი დედმამის მემკვიდრეა. ეს

გამონაკლისი და მისი მცნებად გადაქცევა ამტკიცებს, რომ პირველ-
დელი აღკრძალვა ძალას ინარჩუნებს. ეს გამომდინარეობს აგრეთვე
იქიდანაც, რომ გათხოვილი ქალი უარს ამბობდა თავისი გვარის
რელიგიურ წესებზე, გადადიოდა თავის ქმრის რელიგიურ წესებზე
და მის ფრატრიაში ეწერებოდა. როგორც ეს გარემოება, ისე ცნობი-
ლი ადგილი დიკეარხუსიდან ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივ მიღებუ-
ლი იყო სხვა გვარის წევრთან შეუღლება და ბ ე კ ე რ ი „ხარიკლში"
ამბობს, არავის უფლება არ ჰქონდა თანამ. გვარეს შეუღლებოდაო.

9. უფლება გვარში უცხო პირის აყვანისა; ეს ხდებოდა ისე,
რომ ამ პირს ოჯახი იშვილებდა ხოლმე, მაგრამ ფორმალობის დაც-
ვით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.

10. უფლება უხუცესის არჩევისა და გადაყენებისა. ჩვენ ვიცით
რომ ყოველ გვარს თავისი არხონი ჰყავდა; არსად ნათქვამი არაა,
მისი ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა განსაზღვრულ ოჯა-
ხებშიო; უნდა ვიფიქროთ, რომ ბარბაროსობის დასასრულამდე თანამ-
დებობის მემკვიდრეობით გადაცემა იშვიათი იყო მიტომ, რომ მემ-
კვიდრეობის პრინციპი ძნელი შესათანხმებელია იმ მდგომარეობას-
თან, როცა ბდიდრებსა და ლარიბებს გვარში თანასწორი უფლებები
ჰქონდათ.

არა მარტო გ რ ო ტ ე მ, არამედ ნ ი ბ ურ მ ა, მ ო მ ს ე ნ მ ა და
კლასიკური ხანის სხვა ისტორიკოსებმა ფეხი წაიტეხეს გვარის ახს-
ნაზე. მართალია მრავალი მისი თვისება სწორად აღნიშნეს, მაგრამ
მასში მუდამ მხოლოდ ო ჯ ა ხ თ ა ჯ გ უ ფ ს ხედავდენ და ამიტომ
მათთვის შეუძლებელი იყო გვარის ბუნებისა და წარმოშობის გაგება.
გვაროვნულ წესწყობილებაში არასოდეს ოჯახი ორგანიზაციული
ერთეული არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მიტომ,
რომ დედაკაცი და მამაკაცი აუცილებლად ორ სხვადასხვა გვარს
ეკუთვნოდენ. გვარი სავსებით ფრატრიაში შედიოდა, ფრატრია
ტომში; ოჯახი სანახევროდ ქმრის გვარში შედიოდა, სანახევროდ
კიდევ ცოლისაში. არც სახელმწიფოს საჯარო უფლება სცნობს ოჯახს;
იგი ღღემდე მხოლოდ კერძო უფლებისთვის არსებობს. ამისდა მიუ-
ხედავად მთელი ჩვენი ისტორიოგრაფია დღემდე იმ უაზრო დებუ-
ლებიდან გამოდის, რომელიც განსაკუთრებით XVIII საუკუნეში
ხელუხლებელი გახდა და რომელიც ამაობს, მონოგამიური ინდივი-
დუალური ოჯახი თითქმის ცივილიზაციაზე ხნიერი არის, იგი ცენტ-
რია, რომლის გარშემო საზოგადოების და სახელმწიფოს კრისტალი-
ზაცია მოხდაო.

„ბატონ გ რ ო ტ ე ს უნდა შევნიშნოთ,—განაგრძობს მ ა რ ქ-
ს ი,—რომ თუმცა ბერძნებს თავიანთი გვარები მითოლოგიიდან
გამოჰყავდათ, ეს გვარები უფრო ხნიერი არიან ვიდრე თვით მ ა თ
მ ი ე რ შ ე ქ მ ნ ი ლ ი მითოლოგია თავის ღმერთებითა და ნახევარ
ღმერთებით".

მორგანი ხშირად იმოწმებს გროტეს მიტომ, რომ იგი თვალსაჩინო და სრულიად საიმედო მოწმეა. მორგანი მოგვითხრობს, თითოეული გვარი ათინაში თავისი ჰიპოთეტიური მამამთავრის სახეს ატარებდაო; სოლონამდე საყოველთაოდ, ხოლო სოლონის შემდეგ ანდერძის უქონლობის დროს მიცვალებულის მეგვარეები მემკვიდრეობით ღებულობენ მის ქონებასო; თუ მკვლელობა მოხდებოდა ჯერ მოკლულის ნათესავებს, შემდეგ მეგვარეებს და ბოლოს ფრატორებს უფლება ჰქონდათ და ვალდებულება ეკისრებოდათ, მკვლელზე საჩივარი შეეტანათ სასამართლოშიო; „ყოველივე რაც ჩვენ უძველესი ათინური კანონების შესახებ ვიცით, გვარებად და ფრატრიებად დანაწილებაზეა დაფუძნებული“.

„სკოლაში გამობრძძედილი ფილისტერები“ (მარქსის სიტყვებია) თავს იმტვრევდენ იმის ახსნაზე, თუ როგორ წარმოიშვა გვარი საერთო წინაპრებისაგან. რადგან ისინი ამ უკანასკნელთ წმინდა მითიურ პირებათ სთვლიან, მათ ვერ აუხსნიათ როგორ წარმოიშვა გვარი ერთი მეორის გვერდით ძგომი ოჯახებისაგან, რომელნიც თავდაპირველად სრულიადაც ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ; მაგრამ მეორე მხრით ამის ახსნა საჭირო იყო რათა გვარის წარმოშობა გამორკვეულიყო; და აი აქ სიტყვების კორიანტელს მიმართავენ, რომელიც ვერ სცილდება შემდეგს დეპულებას: მართალია გენეალოგიური ხე ზღაპარია, მაგრამ გვარი სინამდვილეა. ბოლოს გროტე შემდეგს ამბობს, ხოლო მარქსი რკალებში შემდეგს შენიშნავს: „ჩვენ იშვიათათ გვესმის რაიმე ამ გენიალოგიური ხის შესახებ მიტომ, რომ მას განსაზღვრულ, განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევებში ხმარობდენ. მაგრამ უმნიშვნელო გვარებსაც თავიანთი საერთო რელიგიური წესები ჰქონდათ (ეს ახირებულია, ბ. გროტე!) და საერთო ზეადამიანური მამამთავარი ჰყავდათ გენეალოგიური ხითურთ, ისევე როგორც სახელგანთქმულ გვარებს (რა უცნაური ამბავია უმნიშვნელო გვარებისთვის, ბ. გროტე!); ძირითადი გეგმა და იდეალური საფუძველი (არა იდეალური არამედ კარნალური, უბრალოდ ხორციელი!) ყველგან ერთიდაიგივე იყო“.

მორგანის პასუხს ამ საკითხზე მარქსი შემდეგნაირად გადმოსცემს: „გვარი პირველყოფილის ფორმის (ბერძნებმა კი ეს ფორმა განვლეს სხვა მომაკვდავთა მსგავსად) შესატყვისი სისხლის ნათესაობის სისტემა გვარის ყველა წევრის ურთიერთ ნათესაობას აღნიშნავდა. ამ მეტისმეტად მნიშვნელოვან გარემოებას მაშინ პრაქტიკით ბავშობიდანვე ითვისებდენ. მონოგამიური ოჯახის გაჩენის შემდეგ ეს ყოველივე დავიწყებას მიეცა. გვარის სახელწოდებამ შექმნა გენეალოგიური ხე, რომლის გვერდით ინდივიდუალური ოჯახი უმნიშვნელოდ სჩანდა. ამიერიდან თანამეგვარეებს ეს სახელწოდება ახსნ-

ნებდა, საერთო წინაპრებისაგან წარმოსდგებითო; მაგრამ გვარის გენეალოგია ისე შორს მიდიოდა, რომ თანამეგვარეებს აღარ შეეძლოთ თავიანთი ნამდვილი ურთიერთ ნათესაობის დამტკიცება, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა, როცა მათ უახლოესი საერთო წინაპრები ჰყავდათ. გვარის სახელწოდება საერთო წარმოშობის დამტკიცება და საბოლოო დამტკიცება იყო გარდა შვილად აყვანის შემთხვევებისა. პირიქით, გროტეს და ნიბურის მსგავსად მეგვარეებს შორის ყოველი ფაქტიური ნათესაობის უარყოფა და გვარის გადაქცევა გამოგონებულ და შეთხზულ ქმნილებად ღირსია, „იდეალური“, ე. ი. ობობას ქსელის გაბმელი მსწავლულებისა. რადგან თაობათა ურთიერთი კავშირი,-განსაკუთრებით მონოგამიის შემოღების შემდეგ, მიიჩქმალა, ხოლო წარსული სინამდვილე მითოლოგიური ფანტაზიის ქმნილებაში ისახება. ფილისტერებსა და მეამიტ ადამიანებს დასკვნა გამოჰყავთ, ნამდვილი გვარი ფანტასტიურმა გენიალოგიურმა ხემ შეჰქონაო“.

ფრატრია როგორც ამერიკელებში, ისე ბერძნებში წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც რამდენიმე განშტოებას შეიცავდა. ყველანი ერთი ძამამთავრისაგან წარმოსდგებოდენ. ასე მაგ. გროტეს მიხედვით „ჰეკატეოსის ფრატრიის ყველა წევრი ერთსა და იმავე ღმერთს სთვლიდა მამამთავრად მეთექვსმეტე მუხლში“; მაგ. სადამე ამ ფრატრიის გვარები ნამდვილი მოძმე გვარები იყვნენ. ფრატრია ჰომიროსის ეპოსშიც გეხვდება მილიტარული ერთეულის სახით, სახელდობრ იმ ცნობილ ადგილას სადაც ნესტორი აგამემნონს ურჩევს, მეომრები განარიგე ტოჰებად და ფრატრიებად, რათა ფრატრია ფრატრიას მიეშველოს, აოლო ტომი ტომაო.—ფრატრიას უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო საჩივარი აეძრა ფრატორის მკვლელის წინააღმდეგ, მაშასადამე წინა ეპოქაში სისხლის აღების ვალდებულებაც ეკისრებოდა; ამას გარდა მას საერთო საკურთხეველი და დღესასწაულებელი ჰქონდა; და საერთოდ მთელი ბერძნული მითოლოგიის განვითარება არიელების მიერ მოტანილი ბუნების კულტიდან არსებითად გვარებისა და ფრატრიების შემწეობით და მათ ფარგლებში მოხდა. ამას გარდა მას უხუცესი (phratriarches) ჰყავდა და დეკულანჟის მიხედვით კრებას იწვევდა, სავალდებულო გადაწყვეტილებებს ღებულობდა; თავისი სასამართლო და მმართველობა ჰქონდა. თვით შემდეგ წარმოშობილმა სახელმწიფომ, რომელიც გვარს ყურადღებას არ აქცევდა, განსაზღვრული საჯარო ხელისუფლება დაუტოვა ფრატრიას.

მრავალი მონათესავე ფრატრიისაგან ტომი შესდგებოდა. ატიკაში ოთხი ტომი არსებობდა, თითეულში სამ-სამი ფრატრია იყო,

თითოეული ფრატრია თავის მხრით ოცდაათ გვარად იყოფოდა. ჯგუფების ასეთი შემოფარგვლა გულისხმობს შეგნებულს, გეგმაშეწონილ შეკრას ბუნებრივად აღმოცენებულ წესწყობილებაში. როგორ, როდის და რატომ მოხდა ეს, ამის შესახებ საბერძნეთის ისტორია სდუმს; თვით ბერძნებს მხოლოდ გმირულ ეპოქამდე ახსოვდათ თავიანთი ისტორიული წარსული.

ენის კილოკავთა განსხვავება ბერძნებს შორის, რომელნიც შედარებით პატარა ტერიტორიაზე სცხოვრობდენ მჭიდროთ, ნაკლები იყო ვიდრე ამერიკის უზარმაზარ ტყეებში გაფანტულ ინდიელებს შორის; მაგრამ საბერძნეთშიაც მხოლოდ ერთ დიალექტზე მოლაპარაკე ტომები ერთდებოდენ დიდ ერთეულში და თვით პატარა ატიკაში, განსაკუთრებული დიალექტი არსებობდა, რომელიც შემდეგ საყოველთაო პროზაული ენის სახით გაბატონდა.

ჰომიროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვეელინებიან როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც სრულს დამოუკიდობლობას ინარჩუნებენ. ისინი უკვე გალავნით გამაგრებულ ქალაქებში ცხოვრობენ; მოსახლეობა მატულობს ჯოგების გამრავლებასა, ხვნა-თესვის გაფართოებასა და ხელოსნობის წარმოშობასთან ერთად; იზრდება აგრეთვე განსხვავება სიმდიდრის მხრით და ამასთან ერთად არისტოკრატიული ელემენტი ძველი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიის ფარგლებში. საბერძნეთის ხალხები ერთმანეთში დაუსრულებელ ომებს აწარმოებდენ საუკეთესო მიწის ნაკვეთების დასაპყრობად და ნადავლის მისაღებად; ტყვეების დამონება უკვე მიღებული იყო.

ამ ტომებისა და ხალხების წესწყობილება შემდეგნაირი იყო.

1. მუდმივ მომქმედ მთავრობას საბჭო, bulê წარმოადგენდა, რომელიც თავდაპირველად გვარების უხუცესებისაგან შესდგებოდა, ხოლო შემდეგ როცა მათი რიცხვი მეტად გაიზარდა მათში არჩეული წარმომადგენლებისაგან; არჩევანის მოხდენა საბაბს იძლეოდა არისტოკრატიული ელემენტის შესაქმნელად და გასაძლიერებლად; მაგ. დიონისე ამბობს, გმირული ხანის საბჭო წარჩინებულთაგან (kratistoi) შესდგებოდაო. საბჭო სწყვეტდა საბოლოოდ მნიშვნელოვან საქმეებს; მაგალითად ესქილის ცნობის მიხედვით თების საბჭომ მიიღო განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება—ეთეოკლი პატივისცემით დაემარხა, ხოლო პოლინიკეს გვამი ძაღლებისათვის გადაეგდო. სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ეს საბჭო სენატად იქცა.

2. სახალხო კრება (agora). ზემოთ დავინახეთ, რომ ხალხი, როგორც მამაკაცები ისე დედაკაცები გარს ეხვეოდენ საბჭოს კრებას, კამათში მონაწილეობას იღებდენ წესრიგის მიხედვით და

გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენდენ. ჰომიროსის დროის ბერძნებში ეს „გარემოება“, ძველი გერმანული სასამართლოს ტერმინი რომ ვიხმაროთ, სრულ სახალხო კრებად იქცა, როგორც ეს უძველესი დროის გერმანელებშიც მოხდა. მას საბჭო იწვევდა მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად; ყოველ მამაკაცს შეეძლო სიტყვა მოეთხოვა. გადაწყვეტილების მიღება ან ხელის აწევით ხდებოდა (ესქილის „მფარველობის მთხოვნელი“) ან ხმის მიცემით. იგი სუვერენული იყო საბოლოო ინსტანციაში მიტომ, რომ შემანისა არ იყოს („Griechische Altert hümer“), როცა საკითხი ისეთ საქმეს ეხებოდა რომლის გასაკეთებლად ხალხის მონაწილეობა იყო საჭირო, როგორც ჰომიროსიდან სჩანს, ვერავითარი ღონისძიებით ხალხს ვერ აიძულებდენ თავისი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო“. ეს გასაგებია: ამ ეპოქაში, როცა ყოველი მომწიფებული მამაკაცი შეომრად ითვლებოდა, არ არსებობდა ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას დაპირდაპირებოდა. ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატია ჯერ კიდევ აყვავების ხანას განიცდიდა და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა აიხსნას როგორც საბჭოს, ისე ბაზილევსის ძალა და მდგომარეობა.

3. მხედართმთავარი (basileus). მარქსი შენიშნავს: „ევროპიელი მეცნიერები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მეფეების მსახურებად არიან დაბადებულნი, ბაზილევსისაგან თანამედროვე მონარქია ჰქმნიან. ამ შეცდომის წინააღმდეგ იანკი—რესპუბლიკელი მორგანი ილაშქრებს. იგი ირონიულად, მაგრამ სწორად ლაპარაკობს მირონის მწრთოლვარე გლადსტონსა და მის „Juventus Mundi“-ზე: „ბატონი გლადსტონი გმირული ეპოქის ბერძენ სარდლებს მეფეებად და მთავრებად გვისახავს, მხოლოდ ამას გარდა ისინი ჯენტლმენებიც იყვნენო; ოაგრამ ამასთანავე იძულებულია დაუნატოს: საერთოდ პირმშოს მემკვიდრეობის უფლება, რომელსაც ზნეჩვეულებასა ან კანონმდებლობაში ვხედებით, საკმაოდ გარკვეული არ არის“. ბატ. გლადსტონს თვითვე ესმის, რომ ასეთი გაურკვეველი მემკვიდრეობის წესი იმდენსავე ფასობს, რამდენსაც ყოველივე წესის უქონლობა.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ იყო დაყენებული ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი ირაკეზებსა და სხვა ინდიელებს შორის. ყოველი თანაცდებობის პირს ირჩევდენ, უმეტეს შემთხვევაში თვით გვარის ფარგლებში, მისი მემკვიდრე ოვით გვარი იყო. ახალი პირის არჩევის დროს უახლოეს მეგვარე ნათესავს აძლევდენ უპირატესობას, ძმას ან დისწულს, თუ რაიმე საფუძველი არ არსებობდა მის შემოსავლელად. მაშასადამე, თუ ბერძნებში მამის უფლების ბატონობის დროს ბაზილევსის თანამდებობა ჩვეულებრივ

ვაესა ან ერთ-ერთ ვაჟზე გადადიოდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჟებს მეტი შანსი ჰქონდათ მემკვიდრე გავხდებით ხალხის არჩევნების შედეგობითო და არა იმას, თითქო კანონიერი მემკვიდრეობის წესი არსებულიყოს ხალხის არჩევნების გარეშე. როგორც ირიკეზებში, — ისე ბერძნებში ამ მოვლენამ გვარის ფარგლებში თანდათან წარჩინებული ოჯახების ჩამოყალიბება გამოიწვია, ხოლო ბერძნებში, ამას გარდა, მემკვიდრეობითი მონარქიის დაარსებაც. მაშასადამე, ჭკუასთან უფრო ახლოა, რომ ბერძნებში ბაზილევსი ან ხალხს უნდა აერჩია ან კიდევ მის ავტორიტეტიან ორგანოს — საბჭოს ან აგორას — დაემტკიცებია, როგორც ეს რომში ხდებოდა „მეფის“ (zex) დაყენების დროს.

„ილიადაში“ მამაკაცთა მბრძანებელი აგამემნონი გვევლინება არა ბერძენთა უზენაეს მეფედ, არამედ მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდლად ალყაშემორტყმული ქალაქის წინაშე. ამ გარემოებას მიუთითებს პოემის ცნობილ ადგილას ოდისეი, როცა ბერძნებს შორის შუღლმა იჩინა თავი: კარგი არაა მრავალი სარდლის ყოლა, დაე ერთი იყოს მხედართმთავარიო და სხვ. (ამას მოსდევს ლექსი სკიპტრის შესახებ, რომელიც შემდეგაა ჩამატებული). „ოდისეი აქ ლექციას კი არ კითხულობს მმართველობის ფორმის შესახებ, არამედ მორჩილებას მოითხოვს მთავარსარდლის წინაშე ომის დროს. ბერძნები ტროის გალავანთან მხოლოდ ჯარს წარმოადგენდნენ, მათი აგორა კი საკმაოდ დემოკრატიული დაწესებულება იყო. როცა აქილესი ძღვენზე ე. ი. ნადავლის განაწილებაზე ლაპარაკობს, ჯამანაწილებლად არც აგამემნონს ასახელებს, არც სხვა რომელიმე ბაზილევსს, არამედ „აქეელების ვაჟებს“ ე. ი. ხალხს. პრედიკატები: „ძევესისაგან შექმნილი“, „ძევესისაგან ნასაზრდოები“,—არაფერს ამტკიცებს მიტომ, რომ ყ ო ვ ე ლ ი გვარი ღმერთიდან წარმოსდგება, ტომის მეთაურის გვარი „წარჩინებული“ ღმერთიდან, ძევესისაგან. თვით პირადად არა თავისუფალი ადამიანები, მაგ. ღორების მწყემსი ევმეოსი და სხვ. „ღვთაებრივი“ (dioi და theoi) არიან; ეს ასეა ოდისეაში, მაშასადამე, ბევრად უფრო გვიან ვიდრე ილიადა შეითხზა; იმავე „ოდისეაში“ გმირის სახელი ეწოდება ქადაგ მულიოსსაც და უსინათლო მომღერალ დემოდოკოსსაც. ერთი სიტყვით, basileia, რომელსაც ბერძენი მწერლები ჰ ო მ ი რ ო ს ი ს ე. წ. მონარქიისათვის იყენებენ (მიტომ, რომ მის მთავარ თვისებას მთავარსარდლობა წარმოადგენს) და საბჭოსა და სახალხო კრების გვერდით სვამენ, მხოლოდ მილიტარულ დემოკრატიას წარმოადგენს“ (მ ა რ ქ ს ი).

სამხედრო ხელისუფლებას გარდა ბაზილევსს მღვდელმთავრის და მსაჯულთ უხუცესის მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული; ეს უკანასკნელი არ იყო ნათლად გარკვეული, პირველი კი მას მინიჭებული ჰქონდა როგორც ტომის ან ტომთა კავშირის წარმომადგენელს. მოქალაქეობრივი, მმართველობითი ძალაუფლების შესახებ არსად არაა ლაპარაკი; როგორც ეტყობა იგი თანამდებობის ძალით საბჭოს წევრად ითვლებოდა; მაშასადამე ბაზილევსის გერმანულ კონინგად (მეფედ) გადმოთარგმნა ეთიმოლოგიურად სრულიად მართებულია მიტომ, რომ კონიგი (ანუ Kuning) Kuni-სა Künne-საგან წარმოსდგება და გვარის უფროსს, შამასახლისს ნიშნავს. მაგრამ სიტყვა კონიგის დღეანდელს მნიშვნელობას ძველი ბერძნული ბაზილევსი სრულიად არ შეესაბამება. თუკიდიდე ძველ Basileia-ს პირდაპირ patrike-ს უწოდებს, ე. ი. გვარის მიერ წარმოშობილს და ამბობს, მას მტკიცედ გარკვეული, მაშასადამე, შეზღუდული უფლებები ჰქონდაო. ხოლო არისტოტელი ამბობს, გმირული პერიოდის Basileia თავისუფალი ადამიანების მეთაურობას წარმოადგენდა, ბაზილევს კი მთავარსარდალს, მაჯულს და მღვდელმთავარსო; მაშასადამე, მას არ ჰქონია ხელისუფლება შემდეგ დამყარებული გაგებით [1].

[1] ისევე როგორც ბერძნების ბაზილევსს, აკტეკების მთავარსარდალსაც თანამედროვე მეფის მნიშვნელობა მისცეს. მორგანმა პირველმა დაუქვეშდებარა ისტორიულ კრიტიკას ესპანელების ცნობები, რომელნიც თავდაპირველად გადაჭარბებისა და გაუკეთრობის ნაყოფს წარმოადგენდენ, ხოლო შემდეგ აშკარა სიცრუეს; მან დამტკიცა, რომ ძველიკოელები ბარბაროსობის შუა საფეხურზე იდგენ, მაგრამ უფრო მაღლა ვიდრე ახალ იექსიკოელი პუებლო-ინდიელები სდგანან, და მათი წე წყობილება, რამდენადაც დამახ ნჯებელი ცხობებიდან სჩანს, შემდეგნაირი იყო: არ ებობდა ს

ბური ბრძოლა ტომებს შორის უკვე სისტემატიურ ყაჩაღობად და მეკობრეობად იყო გადაგვარებული, იგი რეგულიარული შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და შინაური საქონლის, მონების, განძეულობის ხელში ჩასაგდებად ხდებოდა; ერთი სიტყვით, ამ დროის ბერძნები სიმდიდრეს პატივს სცემდენ და შესხმას უძღვნიდენ როგორც უდიდეს სიკეთეს, ხოლო ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოროტად იყენებდენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებინათ. ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფდა კერძო პირების შიერ ახლად შეძენილ ქონებას გვაროვნული წესწყობილების კომუნისტური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო წინათ ათვალისწინებული კერძო საკუთრების კურთხევას წარმოადგენდა და ამ კურთხევას ყოველი ადამიანური კოლექტივის უზენაეს მიზნად სახავდა, არამედ საკუთრების შეძენას ახალ ფორმებს, მაშასადამე. სიმდიდრის გაძლიერებულ დაგროვებას საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედს აქდობდა; ეს ისეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ამუდმივებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ დაყოფას კლასებად, არამედ შეძლებული კლასების უფლებასაც ებატონა შეუძლებელ კლასებზე და მათი ექსპლოატაცია მოეხდინა.

და ეს დაწესებულებაც გაჩნდა. გამოგონებულ იქნა სახელმწიფო.

V. ათინის სახელმწიფოს წარმოშობა.

ძველს ათინაში, ყოველშემთხვევაში პირველ ხანებში, ყველაზე უკეთ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ სახელმწიფოს განვითარებას, გავითვალისწინოთ თუ როგორ იცვლებოდენ ნაწილობრივ გვაროვნული წესწყობილების ორგანოები, როგორ იხევდენ უკან ნაწილობრივ ახალი ორგანოების წინაშე, რათა ბოლოს ისინი სავსებით ნამდვილ სახელმწიფოებრივ მმართველობას შეეცვალა; როგორ გამოდიოდა თავის თავის დამცველი ნამდვილი „შეიარაღებული ხალხის" ადგილას ამ სახელმწიფოებრივი მმართველობის მოსამსახურე, მაშასადამე, ხალხის წინააღმდეგ გამოსაყენებელი, შეიარაღებული „საჯარო ხელისუფლება". ფორმათა ცვალებადობანი არსებითად მორგანმა გადმოსცა, მათ შემუნელი ეკონომიური შინაარსი უმეტეს ნაწილად მე აღვნიშნე.

გმირულ პერიოდში ათინელთა ოთხი ტომი ატიკაში ჯერ კიდევ გათიშული იყო ტერიტორიალურად; თვით მათ შემადგენელ თორმეტ ფრატრიას, როგორც ეტყობა, ცალცალკე ჰქონდა საცხოვ-

რებელი ადგილი კეკროპსის თორმეტ ქალაქში. გმირული პერიოდის წე-წყობილება გულისხმობდა სახალხო კრების, სახალხო საბჭოს, ბა-ზილევსის არსებობას. რამდენადაც ისტორიული წყაროებიდან სჩანს, ადგილმამული უკვე გაყოფილი იყო და კერძო საკუთრებაში იყო გადასული, როგორც ეს ბარბაროსობის ზედა საფეხურზე შედარებით განვითარებულ საქონლის წარმოებას და საქონლის აღებმიცემობას შეეფერება. ხორბლეულობის მოწევისა და ღვინის დაყენების გარდა განსაკუთრებით ზეთის გამოხდას მისდევდენ; აღებმიცემობა ეგეის ზღვაზე თანდათან წაერთვა ფინიკიელებს და უმეტეს ნაწი-ლად ათინელების ხელში გადავიდა. ადგილმამულის ყიდვა-გაყიდვი-თა, შრომის თანდათანობით დანაწილებით მიწათმოქმედებასა და ხე-ლოსნობასა, ვაჭრობასა და ზღვაოსნობას შორის, გვარების, ფრატრიე-ბის და ტომების წარმომადგენლები ჩქარა ერთმანეთში უნდა შერეუ-ლიყვნენ, ფრატრიის და ტომის ტერიტორიაზე ისეთი მცხოვრებლები გაჩენილიყვნენ, რომელნიც თუმცა თანამშამულეები იყვნენ, მაგრამ ამავე კორპორაციებს როდი ეკუთვნოდენ, მაშასადამე, ახალ საცხოვრე-ბელ ადგილას უცხოელებად ითვლებოდენ. ყოველი ფრატრია და ყოვე-ლი ტომი მშვიდობიან დროს თვით განაგებდა თავის საქმეებს, ისე რომ ათინის სახალხო საბჭოსა ან ბაზილევსს არ ეკითხებოდა. მხო-ლოდ ვინც ფრატრიის ან ტომის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მაგ-რამ მათი წევრი არ იყო, მას, რასაკვირველია, მონაწილეობის მიღე-ბა არ შეეძლო ფრატრიის და ტომის მმართველობაში.

ამრიგად, გვაროვნული წესწყობილების ორგანოების წესიერი მოქმედება ისე აირდაირია, რომ უკვე გმირულ პერიოდში ღონის-ძიების მიღება გახდა საჭირო. შემოღებულ იქმნა ცვლილებები, რო-მელთაც თეზეოსს მიაწერენ. ეს ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ათინაში ცენტრალური მმართველობა დაწესდა, ე. ი. ის საქმეები, რომელთაც მანამდე ტომები სწყვეტდენ დამოუკიდებლად საერთო საქმეებათ გამოცხადდა და ათინაში დაწე-სებულ საერთო საბჭოს გადაეცა. ამით ათინელებმა ისეთი ნაბიჯი გადადგეს წინ, რომლის მსგავსი არც ერთ ადგილობრივ ხალხს არ გა-დაუდგამს ამერიკაში: ერთი მეორის გვერდით მცხოვრები ტომების უბ-რალო კავშირის მაგივრად მოხდა მათი შედეგება ერთ ხალხად, ამ-რიგად წარმოიშვა ათინის საყოველთაო სახალხო სამართალი, რომელიც ტომებისა და გვარების უფლებლივ ჩვეულებებზე მაღლა იდგა; ათი-ნელმა მოქალაქემ გარკვეული უფლებები და ახალი კანონიერი მფარ-ველობა მიიღო იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი უცხო ტომის ადამია-ნად ითვლებოდა, ამით პირველი ნაბიჯი გადადგა გვაროვნულ წეს-

წყობილობის დასამხობად; მიტომ, რომ მას უნდა მოჰყოლოდა ი!ეთი მოქალაქეების დაშვება, რომელნიც მთელს ატიკაში უცხო ტომის ადამიანებად ითვლებოდენ და სავსებით ათინული გვაროვნული წესწყობილების გარეშე იდგენ და რჩებოდენ. მეორე ცვლილება, რომელიც თეზეოსს მიეწერება, იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ხალხი გვარისა, ფრატრიისა და ტომის განურჩევლად, სამ კლასად ნაწილდებოდა: ევპატრიდებად ანუ კეთილ-შობილებად, გეომორებად ანუ მიწათმომქმედებად და დემიურგებად ანუ ხელოსნებად, ხოლო თანამდებობის მიღების უფლება მხოლოდ კეთილშობილთ ეხიჭებოდა. მართალია, ამ დანაწილებას დიდი გავლენა არ მოუხდენია მიტომ, რომ ზემოაღნიშნულ უპირატესობას გარდა იგი არავითარ უფლებრივ სხვადასხვაობას არ აწესებდა კლასებს შორის. მაგრამ იძას მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ ახალი საზოგადოებრივი ელემენტების გამოსვლას აღნიშნავდა, რომელნიც საზოგადოების წიაღში განვითარდენ. იგი აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ჩვეულება, რომლის ძალით გვაროვნულ თანამდებობას მხოლოდ ზოგიერთი ოჯახი ღებულობდა, ამ ოჯახების თითქმის უცილობელ უფლებად იქცა; ამრიგად, ეს ოჯახები, რომელნიც ისედაც ძლიერნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრის წყალობით თანდათან პრივილეგიურ კლასად გადაიქ ენ და ახლად ჩასახულმა სახელმწიფომ თავისი ლოცვა-კურთხევა მისცა ამ ცვლილებას. შემდეგ იგი აღნიშნავდა, რომ შრომის დანაწილება მიწათმომქმედთა და ხელოსანთა შორის უკვე საკმაოდ განვითარებული იყო, რათა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მხრივ მედავებოდა ძველს დანაწილებას გვარებისა და ტომების მიხედვით. ბოლოს იგი აღნიშნავდა გადაულახავი წინააღმდეგობის არსებობას გვაროვნულს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; სახელმწიფოს შექმნის პირველი ცდა იმაში მდგომარეობდა, რომ გვაროვნული კავშირები სწყდებოდა, რომ თითოეული გვარის წევრები სრულუფლებიანებად და არასრუფლებიანებად ნაწილდებოდენ, ხოლო ეს უკანასკნელნი ორ ხელოსან კლასად ითიშებოდენ და ერთი მეორეს უპირდაპირდებოდენ.

ათინის შემდგომი პოლიტიკური ისტორია სოლონამდე მხოლოდ უსრულოდაა ცნობილი. ბაზილევსის თანამდებობა ჩამოქვეითდა; სახელმწიფოს სათავეში თავადაზნაურობიდან არჩეული არხონტები ჩაუდგენ. თავადაზნაურობის ბატონობა თანდათან გაძლიერდა, ბოლოს იგი მეექვსე საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აუტანელი გახდა. ხალხის თავისუფლების დათრგუნვა განსაკუთრებით ფულისა და მევახშეობის შემწეობით ხდებოდა. თავადაზნაურობა

უმთავრესად ათინაში და მის გარშემო ცხოვრობდა, სადაც მას ამ-
დიდრებდა და ფულად თანხებს აძლევდა საზღვაო ვაჭრობა და მე-
კობრეობა, რომელიც ხშირად ამ ვაჭრობასთან იყო შეერთებული.
განვითარების გზაზე შემდგარმა ფულის მეურნეობამ დაშალა სოფ-
ლის თემების ნატურალური მეურნეობა. გვაროვნული წესწყობილება
სრულიად ვერ ურიგდება ფულის მეურნეობას; ატტიკის წვრილი
გლეხების გაპარტახება დაემთხვა იმ ძველი გვაროვნული კავში-
რის შესუსტებას, რომელიც მათ იფარავდა; თამასუქი და ქონების
დაგირავება (ათინელებმა უკვე აღმოაჩინეს ჰიპოთეკა) არც გვარს
უწევდა ანგარიშს, არც ფრატრიას. ძველი გვაროვნული წესწყობილე-
ბა კი არც ფულს იცნობდა, არც სესხს, არც ვალს. ამიტომ
კეთილშობილთა ფულის მეურნეობამ, რომელიც თანდათან უფრო
ფართოვდებოდა შეიმუშავა ახალი საადათო სამართალი, რომელიც კრე-
დიტორს მხარს უჭერდა მოვალის წინააღმდეგ და აკანონებდა წვრი-
ლი გლეხის ექსპლოატაციას ფულის მქონე ადამიანების მიერ. ატტი-
კის თითქმის ყოველ ყანაში ბოძი იდგა წარწერითურთ, მამული ამა
და ამ პირს აქვს დაგირავებული ამა და ამ თანხაშიო. თუ ასეთი
წარწერა არ არსებობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მიწა უმეტეს შემთ-
ხვევაში უკვე გაყიდული იყო ჰიპოთეკის ან პროცენტების გადაუხ-
დელობისათვის და კეთილშობილი მევახშის საკუთრებას წარმოად-
გენდა; გლეხი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თუ მას ნებას დართავ-
დენ მამულზე დარჩენილიყო როგორც მოიჯარადრე და თავისი შრო-
მის შემოსავლის ერთი მეექვსედით ეცხოვრა, ხოლო დანარ-
ჩენი ხუთი მეექვსედი კი ახალი ბატონისთვის უნდა ეძლია საიჯარო
გადასახადის სახით. კიდევ მეტს ვიტყვით: თუ მამულის გა-
ყიდვით მიღებული თანხა ვალს არ ჰფარავდა ან ვალი გირაოთი უზ-
რუნველყოფილი არ იყო, მოვალეს თავისი შვილები უნდა გაეყიდა
უცხოეთში, რათა კრედიტორი დაეკმაყოფილებინა. შვილების გაყიდ-
ვა მამის მიერ—ასეთი იყო მამის უფლებისა და მონოგამიის პირველი
ნაყოფი! ხოლო თუ წურბელი ამით არ კმაყოფილდებოდა, მას შეეძ-
ლო თვით მოვალე გაეყიდა როგორც მონა. ასეთი იყო ცივილიზა-
ციის გახთიადი ათინელი ერისთვის.

წინათ, როცა ხალხის ცხოვრება გვაროვნულს წესწყობილებას
ეყრდნობოდა, ასეთი გადატრიალება შეუძლებელი იყო; ეხლა კი იგი
ისე მოხდა, რომ ხალხს არც კი გაუგია. დაუბრუნდეთ ცოტახნით ჩვენს
ირიკეზებს. მათ შორის შეუძლებელი იყო იმ მდგომარეობის დამყარება,
რომელიც ათინელებს ახლა ასე ვთქვათ თავიანთ უნებურად და თა-
ვიანთი ნებისყოფის წინააღმდეგ მოეხვია თავს. ირიკეზებში წლიდან

წლამდე უცველელი რჩებოდა საცხოვრებელი საშუალებათა წარმოების წესი, საბაბი არ იყო გარეგანი კონფლიქტების შესაქმნელად, არ არსებობდა წინააღმდეგობა მდიდარსა და ღარიბსა, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატაციაქმნილთ შორის. ინოკენტეზები ძლიერ დაშორებულნი იყვნენ ბუნების დამორჩილებას, მაგრამ თავიანთი გარემომცველი ბუნების საზღვრებში ისინი ბატონობდენ თავიანთ საკუთარ წარმოებაზე. მათ არ შეეძლოთ თავიდან აეცილებიათ მოუსავლიანობა თავიანთ ბაღებში, თევზის მარაგის მოჭუყობა თავიანთ ტბებსა და მდინარეებში, გარეული ნადირის და ფრინველის შემცირება თავიანთ ტყეებში, მაგრამ იცოდენ, რა უნდა მიეღოთ თავიანთი საცხოვრებელი საშუალების წარმოების წესისაგან. ღებულობდენ იმას, რაც ცხოვრების შესანარჩუნებლად იყო საჭირო, სულ ერთია უფრო შეჭირვებულად ეწყობოდა ეს ცხოვრება თუ უფრო მდიდრულად. მაგრამ შეუძლებელი იყო ამ წარმოების წესისაგან მიეღო მოულოდნელი საზოგადოებრივი გადატრიალებანი, გვაროვნული კაუშირის დაშლა, გვარის და ტომის წევრების გათიშვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე, მებრძოლ კლასებად, წარმოება ვიწრო ჩარჩოებში მოძრაობდა; მაგრად მწარმოებლები ბატონობდენ თავიანთ საკუთარ პროდუქტებზე. ეს იყო ბარბაროსული წარმოების უზარმაზარი უპირატესობა, რომელიც გაბათილდა ცივილიზაციის დაწყების დღიდან და რომლის ხელახლა მოპოვება უახლოესი თაობის ამოცანას შეადგენს, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ანგარიში გაეწიოს ადამიანის გაბატონებას ბუნებაზე და თავისუფალი ასოციაციის შესაძლებლობას.

სხვანაირი იყო ბერძნების მდგომარეობა. ჯოგებისა და ძვირფასი ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის კერძო საკუთრებაში გადასვლამ აღებმიცემობა გამოიწვია ცალკე პირებს შორის, ხოლო პროდუქტები საქონლად აქ კია. აქ სძევს მთელი შემდგომი გადატრიალების ჩანასახი. რაკი მწარმოებლები თავიანთ პროდუქტს თვითონ კი არ ხმარობდენ, არამედ ხელიდან უშვებდენ და საალებმიცემო საგნად ხდიდენ, ისინი ჰკარგავდენ თავიანთ ბატონობას მის მიმართ. მათ აღარ იცოდენ რა მოუვიდა მას, და შესაძლებელი იყო ისიც, რომ პროდუქტი თავის დროზე გამოყენებული იქნებოდა მწარმოებლის წინააღმდეგ, მის საექსპლოატაციოთ და დასაჩაგრავად. ამიტომ არც ერთს საზოგადოებას არ შეუძლია ხანგრძლივათ ბატონობა შეინარჩუნოს თავის საკუთარ წარმოებაზე და კონტროლი გაუწიოს თავის წარმოების პროცესის საზოგადოებრივ შედეგებს, თუ მან არ მოსპო აღებმიცემობა ცალკე პირებს შორის.

ათინელებმა კი თავიანთ თავზე განიცადეს რა ჩქარა ბატონ-
დება პროდუქტი მწარმოებელზე, როცა ცალკე პირებს შორის აღებ-
მიცემობა მყარდება, ხოლო პროდუქტი საქონლად იქცევა. საქონლის
წარმოებას მოჰყვა მიწის დამუშავება კერძო პირების მიერ მათს
საკუთარ ანგარიშზე, ამას კიდევ კერძო საკუთრების დამყარება, ამას
შემდეგ მოჰყვა ფული, საყოველთაო საქონელი, რომელზედაც ყველა
სხვა საქონელი იცვლებოდა; მაგრამ როცა ადამიანებმა ფული შე-
მოიღეს, იმას როდი ფიქრობდენ, რომ ამით კიდევ ერთი ახალი სა-
ზოგადოებრივი ძალა შექ ნეს, საყოველთაო ძალა, რომლის წინაშე
მთელს საზოგადოებას ქედი უნდა მოეხარა. სწორედ ეს ახალი, მათი
საკუთარი შემქმნელების ცოდნისა და ნებისყოფის დამოუკიდებლად
უცაბედათ აღმოცენებული ძალა იყო, რომელმაც თავისი ახალგაზ-
რდობის მთელი სიტლანქით ათინელებს თავისი ბატონობა აგრძნო-
ბინა.

რა უნდა მოემოქმედნა ამ ხალხს? ძველი გვაროვნული წესწყო-
ბილება უილაჯო აღმოჩნდა ფულის ტრიუმფალური მსვლელობის
წინააღმდეგ; მას აბსოლუტურად უნარი არ შესწევდა თავ-ს ჩარჩო-
ებში ადგილი აღმოეჩინა ისეთი რამეებისთვის, როგორიცაა ფული,
კრედიტორი, მოვალე და ვალების იძულებითი გადახთევინება. გაჩ-
ნდა ახალი საზოგადოებრივი ძალა, და სათნო სურვილებს, ძველი
დროის დაბრუნების ნატვრას არ შეეძლო ფული და მევახშეობა
აღეგავა დედამიწის ზურგიდან. ამას გარდა გვაროვნული წესწყობი-
ლ-ის გალავანი სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი ადგილებიდანაც შე-
ანგრიეს. მეგვარეებს და ფრატორების არეა ერთმანეთში თაობი-
დან თაობაში უფრო და უფრო ძლიერდებოდა მთელი ატტიკის ტე-
რიტორიაზე, განსაკუთრებით თვით ქალაქ ათინაში, იმისდა მიუხე-
დავად, რომ ათინელს შეეძლო თავისი მიწა გაეყიდა უცხო მეგვა-
რეზე. მაგრამ სახლი კი არა. მრეწველობის და მიმოსვლის განვითა-
რებასთან ერთად თანდათან უფრო ყოველმხრივათ განვითარდა შრო-
მის განაწილება სხვადასხვა საწარმოო დარგებს შორის: მიწათმოქმედე-
ბასა, ხელოსნობასა, თვით ხელოსნობის ურიცხვ ქვედარგებსა, ვაჭრო-
ბასა, მეზღვაურობასა და სხვ. შორის; მოსახლეობა თავისი საქმიანობის
მიხედვით საკმაოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფებად დაიყო, თითოეულ ამ
ჯგუფს მრავალი ახალი საერთო ინტერესი ჰქონდა, რომელნიც წი-
ნად არ არსებობდენ გვარსა და ფრატრიაში; მაშასადამე, ახლა ამ
ინტერესების დასაცავად, ახალი თანამდებობანი იყვნენ საჭირო.
მონების რიცხვი მნიშვნელოვანად გაიზარდა და ამ დროს ალბად შე-
საძჩნევად გადააჭარბა თავისუფალი ათინელების რიცხვს; გვაროვ-

ნული წესწყობილება თავდაპირველად არ იცნობდა მონობას, მაშასადამე, მას არც საშუალება ჰქონდა ამ არათავისუფალი ადამიანების მასის დასაურვეგლად. ბოლოს ეაკრობამ მრავალი უცხოელი მოიზიდა ათინაში, ისინი იქ დასახლდენ, რადგან ფულის შეძენა ადვილი იყო; ეს უცხოელებიც უუფლებონი და უმწეონი იყვნენ ძველ წესწყობილებაში; ტრადიციული შემწყნარებლობის მიუხედავათ ისინი ხელისშემშლელ გარეშე ელემენტს წარმოადგენდენ ხალხში.

ერთი სიტყვით, გვაროვნული წესწყობილების დასასრულმა მოაღწია. საზოგადოება აღარ ეტეოდა მის არტახებში; ამ წესწყობილებას აღარ შეეძლო შეეფერხებია ან მოესპო უკიდურესი ბოროტებანი, რომელნიც მის წიაღში წარმოიშვენ. მაგრამ ამასობაში შეუმჩნეველად სახელმწიფო განვითარდა. ახალმა შრომის დანაწილების წყალობით შექმნილმა ჯგუფებმა, ახალი ორგანოები წარმოშვეს თავიანთი ინტერესების დასაცავად; დაწესდა სხვადასხვა ხასიათის თანამდებობა. ამას გარდა ახალგაზრდა სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ძალა სჭიროდა, რომელიც გამოდგებოდა პატარა ომების საწარმოებლად და სავაჭრო გემების დასაცავად; ათინელებს, უწინარეს ყოვლისა, საზღვაო ძალა უნდა შეექმნათ. ამ მიზნით ს ო ლ ო ნ ა მ დ ე, მხოლოდ არ ვიცით კი რა დროს, მოწყობილ იქმნა ნავკრარიები, პატარა ტერიტორიული ოლქები, რიცხვით თორმეტი თითოეულ ტომში; თითოეულ ნავკრარიას თითო სამხედრო გემი უნდა აეშენებია, აღეჭურვა და მეზღვაურებით უზრუნველეყო; ამას გარდა იგი ორ მხედარს იძლეოდა. ამ ცვლილებამ ორი მხრიდან მიიტანა იერიში გვაროვნული წესწყობილების წინააღმდეგ. ერთი მხრით მან შეჰქმნა საჯარო ხელისუფლება, რომელიც განსხვავდებოდა შეიარაღებული ხალხისაგან; მეორე მხრით მან ხალხი საზოგადოებრივი მიზნით პირველად გაჰყო არა ნათესაური ჯგუფებისა, არამედ ბ ი ნ ა დ რ ო ბ ი ს მიხედვით. ქვემოთ დავინახავთ, თუ რას ნიშნავს ეს.

თუ გვაროვნულ წესწყობილებას არ შეეძლო დახმარება გაეწია ექსპლოატაციაქმნილი ხალხისთვის, მხოლოდ ახლა წარმოშობილი სახელმწიფოს იმედილა რჩებოდა. ამ უკანასკნელმაც ხალხს მიაწოდა ეს დახმარება ს ო ლ ო ნ ი ს კანონმდებლობის სახით, ამავე დროს იგი თვით განმტკიცდა ძველი წესწყობილების ხარჯზე. ჩვენთვის სულ ერთია, როგორ გატარდა ს ო ლ ო ნ ი ს რეფორმა, რომელიც 594 წ. განხორციელდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ს ო ლ ო ნ მ ა გახსნა ეგრედწოდებული პოლიტიკური რევოლუციების რიგი, ამასთანავე იგი საკუთრების დარგში შეიჭრა. ყოველი რევოლუცია, რომელიც დღემ-

დე მომხდარა, წარმოადგენდა ერთი რომელიმე გვარის საკუთრების დაცვას სხვაგვარის საკუთრების წინააღმდეგ. მას არ ძალუძს ერთი დაიცვ.ს, თუ სხვა არ დააზიანა. საფრანგეთის დიდ რევოლუციაში განწირულ იქნა ფეოდალური საკუთრება, რათა ბურჟუაზიული საკუთრება გადარჩენილიყო; სოლონის მიერ მოხდენილ რევოლუციაში კრედიტორის საკუთრება დაზარალდა მრავალის საკუთრების სასარგებლოდ. გამოცხადდა ვალების გაბათილება. დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ სოლონი თავის პოეტურ ნაწარმოებებში ამბობს, დავალიანებულმა მამულებში საგირაო ბოძები ავაყრეკინე და უცხოეთში გაყიდული და გაქცეული მოვალეები დავაბრუნებინეო. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთრების უფლების პირდაპირი შებღალვის შემწეობით, და მართლაც ყველა ეგრედწოდებული პოლიტიკური რევოლუცია პირველიდან უკანასკნელამდე განხორციელებულ იქნა ერთი გვარი საკუთრების დასაცავად და გატარებულ იქნა მეორე გვარი საკუთრების კონფისკაციის შემწეობით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამიათას ხუთას წელიწადზე მეტია საკუთრებამ მხოლოდ საკუთრების უფლების დარღვევის წყალობით გასძლო.

ახლა საქმე ის იყო, თავისუფალი ათინელების ხელახლა დამონება შეუძლებელი გამხდარიყი. ეს მოხდა ზოგადი ღონისძიების შემწეობით. მაგ. აღკრძალულ იქნა ისეთი სავალო ხელშეკრულების დადება, რომელშიც მოვალის პიროვნება იქნებოდა დაგირავებული. შემდეგ განსაზღვრულ იქნა ცალკე პირის მიწის-საკუთრების მინიმუმი, რათა თავადაზნაურობის მისწრაფებას, რომელიც იქით იყო მიმართული, რომ გლეხთა ადგილმამულები ჩაეყლაპათ, საზღვარი დასდებოდა. ბოლოს, სახელმწიფოს წესწყობილებაში მოხდა ცვლილებები. მათ შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგია.

საბჭოს წევრების რიცხვი ოთხასით განისაზღვრა, ას-ასით თითო ტომიდან; აქ, მაშასადამე, ტომი დარჩა საფუძვლად. მაგრამ ეს ერთად ერთი მხარე იყო სადაც ძველი წესწყობილების ნაშთი ახალ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმში შევიდა. სხვაფრივ სოლონმა მოქალაქეები ოთხ კლასად დაჰყო ადგილ-მამულის და მისი შემოსავლის მიხედვით; 500,300 და 150 მედიმნი ხორბალი (1 მედიმნი დაახლოვებით 41 ლიტრს უდრის) მინიმალურ შემოსავალს წარმოადგენდა პირველი სამი კლასისთვის; ვინც ნაკლებ შემოსავალს ღებულობდა ან სრულიად უადგილმამულო იყო, იგი მეოთხე კლასში ირიცხებოდა. თანამდებობის პირებს მხოლოდ პირველი სამი კლასიდან ირჩევდენ, უზენაეს ხელისუფალთ მხოლოდ პირველიდან; მეოთხე

კლასს უფლება ჰქონდა მხოლოდ ელაპარაკნა და ხმა მიეცა სახალხო კრებაზე, მაგრამ ყველა მოხელეს აქ ირჩევდენ, აქ უნდა ჩაებარებინათ მათ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში, აქ იქმნებოდა კანონები, აქ კი მეოთხე კლასი უმრავლესობას წარმოადგენდა. არისტოკრატიული პრივილეგიები ნაწილობრივ განახლდა ს მდიდრის პრივილეგიების სახით, მაგრამ ხალხმა გადამწყვეტი ძალა შეინარჩუნა. შემდეგ ოთხი კლასი ახალი სამხედრო ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენდა. პირველი ორი კლასი ცხენოსან ჯარს იძლეოდა; მესამეს მძიმედ შეჭურვილ ქვეითა ჯარში უნდა ემსახურა; მეოთხე კიდევ მსუბუქ, შეუჯავშნავ ქვეითა ჯარს ადგენდა ან ფლოტში მაახურობდა და ამ შემთხვევაში ალბად ჯამაგირსაც ღებულობდა.

აქ, მაშასადამე, სრულიად ახალი ელემენტი შედის წე' წყობილებაში: ესაა კერძო მფლობელობა. სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებანი და ვალდებულებანი ისაზღვრებიან მათი მიწის საკუთრების სიერცის მიხედვით და რამდენათაც ქონებრივი ურთიერთობანი გავლენას პოულობენ, იმდენად ძველი სისხლის ნათესაობის სისტემა იჩრდილება; გვაროვნულმა წესწყობილებამ ახალი დამარცხება განიცადა.

მაგრამ პოლიტიკური უფლებების გაზომვა ქონების მიხედვით ისეთი ღონისძიება როდია, ურომლისოდაც სახელმწიფოს არსებობა არ შეეძლოს. რა დიდი როლიც არ უნდა ეთამაშოს მას სახელმწიფოებრივი წესწყობილების ისტორიაში, მრავალ სახელმწიფოს, მათ შორის ყველაზე განვითარებულთ, იგი როდის სჭირდებია. ათინაშიც მან მხოლოდ მეორე ხარისხოვანი როლი შეასრულა; ა რ ი ს ტ ი დ ი ს დროიდან თითოეულ მოქალაქისთვის გზა ხ.ნილი იყო ყველა თანამდებობისაკენ.

მახლობელი ოთხმოცი წლის განმავლობაში ათინის საზოგადოება ნელნელა დაადგა იმ გეზს, რომლითაც იგი შემდგომს საუკუნეებში განვითარდა. ლაგამი აეღო ს ო ლ ო ნ ი ს წინადროინდელ გალაღებულ მევახშეებს, შეიზღუდა მიწათმფლობელობის უსაზღვრო კონცენტრაცია. ვაჭრობის და მონური შრომის შემწეობით თანდათან უფრო ფართოდ განვითარდა ხელოსნობა და მხატვრული ხელოსნობა და ისინი შემოსავლის მთავარ დარგად იქცენ. ხალხი განათლდა. იმის მაგივრად, რომ წინანდებურად საკუთარი თანამოქალაქეების ექსპლოატაცია ეწარმოებინათ, უმთავრესად მონებსა და ათინის გარეშე მცხოვრებ მყიდველებს უშვებოდენ ექსპლოატაციას. მოძრავი ქონება, ფულადი სიმდიდრე, მონების და გემების რიცხვი თანდათან გაიზარდა, მაგრამ ეს ქონება აღარ წარმოადგენდა უბრა-

ლო საშუალებას ადგილმამულის შესაძენად, როგორც ეს წინანდელ ჩამორჩენილ ხანაში იყო, არამედ თვითმიზნად იქცა, ამით ერთი მხრით ძველ არისტოკრატიულ ძალას ძლევამოსილი მოქიშპე გაუჩნდა გამდიდრებული ვაკრებისა და მრეწველების კლასის სახით, ხოლო მეორე მხრით ძველ გვაროვნულ წესწყობილებას უკანასკნელი ნიადაგი გამოეცალა. გვარები, ფრატრიები და ტომები, რომელთა წევრები ახლა მთელს ატტიკაში იყვნენ გაფანტული და ერთმანეთში აირიენენ, სრულიად გამოუსადეგი გახდენ პოლიტიკური კორპორაციის შესადგენად; მრავალი ათინელი მოქალაქე არავითარ გვარს არ ეკუთვნოდა, ისინი ჩამოსახლებული იყვნენ, მათ მართალია მოქალაქის უფლება ენიჭებოდათ მაგრამ ძველ გვაროვნულ კავშირებში როდი ღებულობდენ; მათ გვერდით გამრავლდა იმ უცხოელების რიცხვი, რომელნიც ამა თუ იმ ათინელის მოქალაქის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდენ.

ამავე დროს პარტიული ბრძოლა თავის გზით მიდიოდა; არისტოკრატია შეეცადა ხელახლა დაეპყრო თავისი წინანდელი პრივილეგიები და ერთი წუთით უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბოლოს კლისთენის რევოლუციამ (509 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) იგი საბოლოოთ დაამხო; ამასთანავე გაჰქრა გვაროვნული წესწყობილების უკანასკნელი ნაშთიც.

კ ლ ი ს თ ე ნ ი ს ახალი კანონმდებლობა სრულიად უყურადღებოთ სტოვებდა ოთხ ძველ, გვარებსა და ფრატრიებზე დაფუძნებულ ტომს. მათ ადგილას სრულიად ახალი ორგანიზაცია გაჩნდა, რომელიც ნაკრარიების მსგავსად მოქალაქეებს ბინადრობის მიხედვით ანაწილებდა. ამიერიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა არა გვაროვნული კავშირის წევრობას, არამედ ბინადრობას; ნაწილდებოდა არა ხალხი, არამედ ტერიტორია, მცხოვრებლები პოლიტიკურად მხოლოდ ტერიტორიის კუთვნილებად ცხადდებოდენ.

მთელი ატტიკა ას რაიონად ანუ თემად გაიყო, თითოეულ მათგანი თვითმართველობას წარმოადგენდა. ყოველი თემის მოქალაქეები (თემოტები) თავიანთ მამასახლისსა (თემარხს) და მოლარეს აირჩევდენ, აგრეთვე ოცდაათ მსაჯულს პატარა საჩივრების გასარჩევად. ამას გარდა მათ ტაძარი ჰქონდათ მფარველი ღმერთითა და გმირითურთ, რომლის მოგვს თვითვე ირჩევდენ. უზენაესი ხელისუფლების მატარებელი თემში, თემოტების ყრილობა იყო. როგორც მ ო რ გ ა ნ ი სამართლიანად შენიშნავს იგი ამერიკის თვითმართველი ქალაქების პროტოტიპს წარმოადგენს. ათინის ახლად ფეხადგულმა სახელმწიფომ, უწინარეს ყოვლისა, ის ერთეული შექმნა, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს.

ათი ასეთი ერთეული ანუ თემი ერთს ტომს შეადგენდა, რომელმაც ძველი გვაროვნული ტომის წინააღმდეგ ტერიტორიალური ტომის სახელწოდება მიიღო. იგი წარმოადგენდა არა მარტო თვით მმართველ პოლიტიკურ, არამედ სამხედრო კორპორაციასაც. იგი არჩევდა ფილარხს ანუ ტომის მამასახლისს, რომელიც აგრეთვე ცხენოსან ჯარს მეთაურობდა, ტაქსიარხს, რომელიც ქვეითა ჯარის უფროსად ითვლებოდა, და სტრატეგს, რომელიც მთელი ტომის ტერიტორიაზე გამოყვანილი ჯარის მთავარსარდლათ ითვლებოდა. შემდეგ იგი ხუთს სამხედრო გემს იძლეოდა თავიანთი მეზღვაურებითა და მეთაურებითურთ და მფარველად ამა თუ იმ ატტიკელ გმირს ღებულობდა, რომლის სახელსაც იგი თვით ირქმევდა. ბოლოს იგი ორმოცდაათ წევრს ირჩევდა ათინის საბჭოში.

ყველაფერ ამის დაგვირგვინებას ათინის სახელმწიფო წარმოადგენდა; მას მართავდა საბჭო, რომელიც ათი ტომის მიერ არჩეული ხუთასი წევრისაგან შესდგებოდა, და სახალხო კრება, სადაც ყოველ მოქალაქეს შეეძლო მისულიყო და ხმა მიეცა; ამას გარდა არხონტი და სხვა მოხელეები ადმინისტრაციის და სასამართლოს სხვადასხვა დარგებს განაგებდენ. ათინაში არ არსებობდა უზენაესი მოხელე, რომელსაც ხელში აღმასრულებელი ძალა სჭეროდეს.

ამ ახალი წესწყობილებისა და იმ გარემოების წყალობით, რომ მოქალაქეთა რიცხვში მიღებულ იქნენ მფარველობის მაძიებელნი, ნაწილობრივ შემოხიზნული უცხოელები, ხოლო ნაწილობრივ განთავისუფლებული მონები, საზოგადოებრივი ასპარეზიდან განიდევნა გვაროვნების ორგანოები; ისინი კერძო კავშირებად და სარწმუნოებრივ ამხანაგობებად იქცენ. მაგრამ მათ დიდხანს შეინარჩუნეს ძველი გვაროვნული ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებული ზნეობრივი გავლენა და ტრადიციული მსოფლმხედველობა და აზროვნება და მხოლოდ ნელნელა მოკვდენ. ამ გარემოებამ თავი იჩინა ერთ-ერთი ქვემოთ აღნიშნული სახელმწიფოებრივი ორგანოს დაწესებაზე.

ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს არსებითს ნიშანს წარმოადგენს საჯარო ხელისუფლება, რომელიც გამოთიშულია ხალხის მასისაგან. ათინას მაშინ სახალხო ჯარი ჰყავდა და უშუალოდ ხალხის მიერ შექმნილი ფლოტი ჰქონდა; მათი შემწეობით იგი თავს იცავდა გარეშე მტრისაგან და ლაგამს სდებდა მონებს, რომელნიც მაშინ უკვე მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდენ. მოქალაქეების მიმართ საჯარო ხელისუფლება თავდაპირველად პოლიციის სახით არსებობდა; ამით აიხსნება, რომ XVIII საუკუნის გულუბრყვილო ფრანგები განათლებულ ერებს პოლიციურ ერებს (nations policées) უწო-

დებდენ. ამრიგად, ათინელებმა თავიანთ სახელმწიფოსთან ერთად ნამდვილი პოლიციაც დაარსეს, ნამდვილი ჟანდარმერია ცხენოსანი და ქვეითი მეისრეებისა ანუ ლანდიეგერებისა, როგორც სამხრეთ გერმანიასა და შვეიცარიაში იტყვიან ხოლმე. მაგრამ ეს ჟანდარმერია მ ო ნ ე ბ ი ს გ ა ნ შესდგებოდა. თავისუფალ ათინელს პოლიციაში სამსახური ისე დამამცირებლად მიაჩნდა, რომ ერჩია იგი შეიარაღებულ მონას დაეპირა, ვიდრე თვით ჩაედინა ასეთი სამარცხვინო საქციელი. აქ კიდევ სჩანდა ძველი გვაროვნული აზროვნების გავლენა. სახელმწიფოს არ შეეძლო უპოლიციოთ არსებობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და იმდენი მორალური ავტორიტეტი არ ჰქონია, რომ პატივსადებად გადაექცია ხელობა, რომელიც ძველი გვაროვნების წევრებს ყოველთვის უპატიურად ეჩვენებოდა.

თუ როგორ შეესაბამებოდა ათინელების ახალ საზოგადოებრივ მდგომარეობას ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო, —ეს სიმდიდრის, ვაჭრობის და მრეწველობის სწრაფი აყვავებიდან სჩანს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი კლასობრივ წინააღმდეგობაზე იყვნენ დაყრდნობილი, მაგრამ ეს იყო უკვე არა თავადაზნაურობის და მდაბიო ხალხის წინააღმდეგობა, არამედ მონებისა და თავისუფალი მოქალაქეებისა, მფარველობის მაძიებლებისა (შემოხიზნულებისა) და მკვიდრი მოქალაქეებისა. უდიდესი აყვავების დროს მთელი ათინის თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვი, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, დაახლოებით 90,000 სულს უდრიდა; ამას გარდა ქალაქში 365,000 მონა ცხოვრობდა და 45,000 შემოხიზნული, უცხოელი ან განთავისუფლებული მონა. ამრიგად, თითოეულ ჰასაკში შესულ მამაკაცს მოქალაქეზე 18 მონა და ორი შემოხიზნული მაინც მოდიოდა. მონების სიმრავლე იმით აიხსნება, რომ ბევრი მათგანი დიდ მანუფაქტურებში მუშაობდა ზედამხედველის კონტროლის ქვეშ. ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებასთან ერთად კი დაიწყო სიმდიდრის დაგროვება და თავმოყრა რამდენიმე კაცის ხელში და თავისუფალი მოქალაქეების მასის გაღატაკება; ამ უკანასკნელთ მხოლოდ ერთი არჩევანი დარჩათ, ისინი ან მონის შრომას უნდა შეეჯიბრებოდენ ხელოსნობის დარგში, რაიცა სამარცხვინოდ, დამამცირებლად ითვლებოდა და ნაკლების წარმატების იმედსაც იძლეოდა, ან გაბოგანოებულიყვნენ, ისინი არსებულ პირობებში აუცილებლად უკანასკნელ გზას ირჩევდენ და, რადგან მათი რიცხვი მუდამ იზრდებოდა, მთელი ათინის სახელმწიფო დაამხეს. ათინა დემოკრატიამ კი არ დაღუპა, როგორც ამას ევროპიელი კუდქიცინა,

მეფეების მოლაქუცე მწიგნობრეპი ამტკიცებენ, არამედ მონობამ, რომელიც სამარცხეინოდ ხდიდა თავისუფალი მოქალაქის შრომას.

ათინელების სახელმწიფოს წარმოშობა სახელმწიფოს შექმნის განსაკუთრებულად ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს საზოგადოდ, ერთი მიტომ, რომ შეურყვნელად მოხდა, გარეგანი ან შინაგანი ძალდატანების დაუხმარებლად (პიზისტრატის ხანმოკლე უზურპაციას კვალი როდი დაუტოვებია); მეორე მიტომ, რომ იგი მეტად მაღალი ფორმაციის სახელმწიფოს წარმოადგენდა, დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც უშუალოდ გამოვიდა გვაროვნული საზოგადოებიდან; ბოლოს კიდეე მიტომ, რომ ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ მის არსებითს დეტალებს.

VI. გვარი და სახელმწიფო რომში.

[142] გადმოცემა რომის დაარსების შესახებ გვიამბობს, პირველად იქ ერთ ტომად გაერთიანებული ლათინური გვარები დასახლდენ, შემდეგ საბელების ტომი, ხოლო ბოლოს სხვადასხვა ელემენტისაგან შემდგარი ტომი, გადმოცემით ყველა ამ ტომებში ასი-ასი გვარი ითვლებოდაო. ამ მოთხრობიდან პირველ შეხედვიდანვე სჩანს, რომ აქ პირველყოფილი სახე მხოლოდ გვარს ქონდა შენარჩუნებული, იგი კი ზოგიერთ შემთხვევაში სამშობლოში დარჩენილი დედა-გვარის ყლორტს წარმოადგენდა. ტომებს ზედვე ქონდა დაჭდობილი ხელოვნური შედგენის ნიშანი, მაგრამ მისი ელემენტები, უმეტეს ნაწილად, მონათესავენი იყვნენ და ისინი ძველი, აღმოცენებული და არა გაკეთებული ტომის მიხედვით იყვნენ შეერთებულნი; ამასთანავე შესაძლებელია რომ თითოეული ამ სამი ტომის ბირთვი ნამდვილი, ძველი ტომი ყოფილიყო. საშუალო რგოლი, ფრატრია ათი გვარისგან შესდგებოდა და მას კურია ერქვა; მათი რიცხვი, მაშასადამე, ოცდაათს უდრიდა.

ცნობილია, რომ რომაული გვარი ისეთივე მოვლენა იყო როგორც ბერძნული. თუ ბერძნული გვარი ამ საზოგადოებრივი ერთეულის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს რომლის პირველადი ფორმა ამერიკელმა წითელკანიანებმა მოგვცეს, იგივე ითქმის რომაული გვარის შესახებაც. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია აქ ორიოდე სიტყვით დავკმაყოფილდეთ.

რომაული გვარი ყოველ შემთხვევაში ქალაქის უძველეს ხანაში, შემდეგნაირად იყო მოწყობილი.

1. თანამეგვარეებს საურთიერთო მემკვიდრეობის უფლება ჰქონდათ; ქონება გვარში რჩებოდა. რადგან რომაულ გვარში, ისევე რო-

გორც ბერძნულში უკვე მამის უფლება იყო გაბატონებული, მდედრობითი ხაზის მემკვიდრეები გამორიცხული იყვნენ. თორმეტი ტაბულის კანონის ძალით, რომელიც უძველეს დაწერილ რომაულ უფლებას წარმოადგენს უახლოესი მემკვიდრეები ღვიძლი შვილები იყვნენ; უშვილოთ გადასულთა მემკვიდრეებად აგნატები (მ ა მ რ ო ბ ი თ ი ხ ა ზ ი ს ნათესავები) ითვლებოდენ; ვისაც არც აგნატები ჰყავდა, იმის მემკვიდრეებათ მეგვარეები ითვლებოდენ. ყოველ შემთხვევაში ქონება გვარშივე რჩებოდა. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ გვარის ზნეჩვეულებაში ნელნელა ახალი უ ფ ლ ებ რ ი ვ ი ურთიერთობა იჭრება, რომელიც სიმდიდრის ზრდითა და მონოგამიითაა გამოწვეული: თანამეგვარეების პირვანდელი თანასწორი მემკვიდრეობის უფლება თავდაპირველად,— ალბათ ადრევე, როგორც ზემოდ აღ ნ ი შ ნ ე თ,—პრაქტიკულათ აგნატების უფლებით შემოიფარგლა, ბოლოს შვილებით და მათი მამრობითი ხაზის მემკვიდრეებით; თორმეტ ტაბულაში ეს, რასაკვირველია, პირუკულმაა წარმოდგენილი.

2. გვარს საერთო სასაფლაო ჰქონდა. კლავდიების პატრიციულმა გვარმა რეგილიდან რომში გადასახლების დროს მიწის ნაჭერს გარდა ქალაქში საერთო სამარხი ადგილი მიიღო. ა ვ გ უ ს ტ ი ს დროსაც კი ტევტობურგის ტყეში მოკლული ვარუსის თავი რომში მოიტანეს და gentilicius tumulus-ში დაასაფლავეს; მაშასადამე, გვარს (Quinctilia) თავისი საკუთარი სასაფლაო ჰქონდა.

3. გვარს საერთო რელიგიური დღესასწაულები ჰქონდა. ისინი ცნობილი არიან sacra gentiliciia-ს სახელით.

4. აღკრძალული იყო თანამეგვარეების დაქორწინება. როგორც ეტყობა ეს არასოდეს დაწერილ კანონათ არ გადაქცეულა რომში, მაგრამ ჩვეულებად დარჩა, მრავალი რომაელი ცოლქმრის სახელი და გვარი გვაქვს დარჩენილი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ცოლი და ქმარი ერთსა და იმავე გვარს არ ატარებდენ, მემკვიდრეობის უფლებაც ამასვე ამტკიცებს. ქალი თავის აგნატურ უფლებებს ჰკარგავს, როცა თხოვდება, იგი თავის გვარიდან გამოდის, არც მას, არც მის შვილებს არ შეუძლიათ მისი მამისა ან მამის ძმებისაგან მიიღონ მემკვიდრეობა მიტომ, რომ ამ შემთხვევაში გვარს დაეკარგებოდა ქონების ნაწილი. ამას კი აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ქალს არ შეუძლია თანამეგვარის შერთვა.

5. გვარს საერთო ადგილ-მამული ჰქონდა. იგი გაჩნდა უძველეს დროს, როცა სატომო მიწების გაყოფა დაიწყო. ლათინურ ტომებში მიწა ნაწილობრივ ტომის ხელშია, ნაწილობრივ გვარის, ნაწილობრივ ოჯახური მეურნეობის; ძნელი საფიქრებელია, რომ ეს უკა-

ნასკნელი ინდივიდუალური ოჯახი ყოფილიყო. მიწის პირველი გაყოფა კერძო პირებს შორის რომულს უნდა მოეხდინოს; თითოეულს თითო ჰეგტარი (ორი იუგერა) შეხვდაო. მაგრამ შემდეგაც გვარს კიდევ ეპირა ადგილ-მამული; ამას გარდა არსებობდა სახელმწიფო მიწები რომლის გარშემო რესპულიკის მთელი შინაგანი ისტორია ტრიალებდა.

6. მეგვარეები ვალდებული იყვნენ ერთმანეთისთვის მფარველობა და დახმარება გაეწიათ; ამის შესახებ დაწერილ ისტორიაში მხოლოდ ნაშთიღაა დარჩენილი; რომის სახელმწიფო იმთავითვე ისეთი სიძლიერით გამოვიდა, რომ სამართლიანობის დაცვა მის ხელში აღმოჩნდა. როცა აპიუს კლავდიუსი დაატუსაღეს, მთელმა მისმა გვარმა სამგლოვიარო ტანისამოსი ჩაიცვა, თვით ისეთებმაც კი ვინც მისი პირადი მტრები იყვნენ. მეორე პუნიური ომის დროს გვარები შეკავშირდენ თავიანთი დატყვევებული მეგვარეების გამოსახსნელად; სენატმა მათ ეს აუკრძალა.

7. გვარს უფლება ჰქონდა საერთო საგვაროვნო სახელი ეტარებინა, ეს უფლება მან იმპერიის ეპოქამდე შეინარჩუნა. განთავისუფლებულ მონას ნება ჰქონდა თავისი ყოფილი ბატონის გვარი მიეღო, მაგრამ ეს მას არ ანიჭებდა საგვაროვნო უფლებებს.

8. გვარს უფლება ჰქონდა უცხოელები ეშვილა. ეს ხდებოდა ოჯახის შემწეობით (ისევე როგორც ინდიელებში), ოჯახის შვილობილი გვარის შვილობილად ითვლებოდა.

9. არსად მოხსენებული არაა უფლება მამასახლისის არჩევის და გადაყენებისა. მაგრამ რადგან რომის არსებობის პირველ ხანაში ყველა თანამდებობის პირს მეფიდან დაწყებული ან ირჩევდენ, ან ნიშნავდენ, რადგან თვით ქურუმებს კურიები ირჩევდენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გვარის მამასახლისის (principes) არჩევაც ხდებოდა, თუმცა შესაძლებელია, რომ წესად იყო გადაქცეული არჩევა და იმავე ოჯახიდან გვარში.

ასეთი იყო რომაული გვარის უფლებამოსილობა. იმ გარემოების გამოკლებით, რომ აქ დასრულებულია გადასვლა მამის უფლებისაკენ, აქ ეროკეზთა გვარის უფლებათა და ვალდებულებათა განმეორებას ვხედავთ: რომაულ გვარშიც „ნათლად ეროკეზი იცქირება“.

თუ როგორი არევდარეეაა გაბატონებული დღემდე თვით ჩვენს ცნობილს ისტორიკოსებში რომაული საგვაროვნო წესწყობილების შესახებ, ამას ერთი მაგალითით დავასურათებთ. მომზენის გამოკვლევაში რომაული სახელების შესახებ რესპუბლიკის და ავგუსტის ეპოქაში („Römische Forschungen“ „რომაული გამოკვლევანი“ ბერლი-

ნი, 1864, I ტომი) ნათქვამია: „გარდა მამრობითი სქესის ყველა თანამეგვარისა, მონების გამოკლებით, რასაკვირველია, მაგრამ შემოხიზნულებისა და მფარველობის მაძიებლების ჩათვლით გვაროვნული სახელწოდება ქალებსაც აქვთ მიკუთვნებული... ტომი (მ ო მ ზ ე ნ ი ამ სიტყვით სთარგმნის gens-ს) შესდგება საერთო (ნამდვილად თუ მხოლოდ წარმოდგენაში არსებული) წინაპრებისაგან წარმომდგარი, საერთო დღესასწაულებითა, სასაფლაოთი და მემკვიდრეობით შეკავშირებული კოლექტივისაგან, რომელშიც ყველა პირადათ თავისუფალი ინდივიდუმი, მაშასადამე, ქალებიც ითვლებიან და უნდა ჩაითვალონ. სიძნელეს შეიცავს მხოლოდ გათხოვილი ქალების გვარის სახელწოდების გამორკვევა. იგი, რასაკვირველია, გამოსარკვევი არ იყო, როცა ქალი თანამეკვარეზე თხოვდებოდა; და დამტკიცებულია, რომ ქალისთვის უფრო ძნელი იყო გვარის გარეთ ვიდრე გვარში გათხოვება, გვარის გარეთ გათხოვების უფლება, gentis enuptio, მეექვსე საუკუნეშიც კი მას პირადი პრივილეგიის სახით ეძლეოდა... მაგრამ სადაც ასეთი გარეთ გათხოვება ხდებოდა, ქალი უძველეს ხანაში მამაკაცის ტომში უნდა გადასულიყო. უცილობელია, რომ ქალი ძველებური რელიგიური დაქორწინების დროს სავსებით ქმრის უფლებრივ და საკრალურ კრებულში შედიოდა, ხოლო თავის კრებულიდან გამოდიოდა. ვინ არ იცის, რომ გათხოვილი ქალი პასიური და აქტიური მემკვიდრეობის უფლებას ჰკარგავდა თანამეგვარეების მიმართ, პირიქით მემკვიდრეობითი კავშირში შედიოდა თავის ქმარსა, თავის ბავშვებსა და მათ მეგვარეებთან ერთად. ხოლო თუ იგი თავისი ქმრის ოჯახში შედიოდა, როგორ შეიძლებოდა ის გვარის გარეშე დარჩენილიყო“. (გვ. 9—11).

ამრიგად, მ ო მ ზ ე ნ ი ამტკიცებს, რომაელ ქალებს, რომელნიც ამა თუ იმ გვარს ეკუთვნოდენ, თავდაპირველად მხოლოდ თავის გვარშივე შეეძლოთ გათხოვება, მაშასადამე, რომაული გვარი ენდოგამიური იყო და არა ეგზოგამიურიო. ეს შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა ერების გამოცდილებას, უმთავრესად ლ ი ვ ი-უ ს ი ს ერთადერთ საკამათო ადგილზეა დაფუძნებული (წიგნი XXXIX, გვ. 19): სენატმა ქალაქის დაარსებიდან 568 წელს (ე. ი. 186 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გადასწყვიტაო uti Feceniae Hispalae datio, deminutio, gentis enuptio, tutoris optio item esset quasi ei vir testamento dedisset; utique ei ingenuo nubere liceret, neu quid ei qui eam duxisset, ob id fraudi ignominiaev eesset (ფეცენია ჰისპალას უფლება აქვს თავისი ქონება მოიხმაროს, იგი დახარჯოს, გვარის გარეშე გათხოვდეს, მეურვე აირჩიოს, ისე თითქო ეს უფლე-

ბა მისთვის მის (განსვენებულ) ქმარს ანდერძით მიენიჭებიოს; მას შეუძლია თავისუფალი მოქალაქე შეირთოს, ხოლო მის შემრთველს ეს არ უნდა ჩაეთვალოს ცუდ ან სამარცხვინო საქციელად).

უეჭველია, რომ აქ ფეცენიას, განთავისუფლებულ მხევალს, უფლება ეძლევა გვარის გარეშე გათხოვდეს. უეჭველია ისიც, რომ ქმარს უფლება ჰქონია თავისი ცოლისთვის ეანდერძებია, ჩვეი სიკვდილის შემდეგ გვარის გარეშე შეგიძლია გათხოვდეო. მაგრამ რომელი გვარის გარეშე.

თუ ქალი თავის გვარშივე უნდა გათხოვილიყო, როგორც მომზენი ფიქრობს, იგი გათხოვების შემდეგაც ამ გვარში რჩებოდა. მაგრამ ერთი რომ სწორეთ ეს გვარის ენდოგამიურობაა დასამტკიცებელი. მეორე რომ, თუ ქალი თავის გვარში უნდა გათხოვილიყო, მამაკაციც თავის გვარშივე უნდა დაქორწინებულიყო, უამისოდ იგი ცოლს ვერ შეირთავდა. შემდეგ გამოდის, რომ ქმარს შეეძლო თავისი ცოლისთვის ეანდერძებია უფლება, რომელიც თვით მას თავისთვის არ ჰქონებია; ეს იურიდიული უაზრობაა. მომზენი ამას გრძნობს და ამიტომ შემდეგს გულისხმობს: „გვარის გარეშე გათხოვებისათვის უფლებრივად საჭირო იყო არა მარტო ხელისუფალთა ნებართვა, არამედ ყველა თანამეგვარის ნებართვაც" (გვ. 10, შენიშვნა). ერთი რომ ეს მეტისმეტად თამამი მოსაზრებაა, მეორე რომ ეწინააღმდეგება ამ ადგილის ნათლად გარკვეულ შინაარს; სენატი ამ უფლებას ქმრის მაგივრად იძლევა. აშკარად იძლევა არა იმაზე მეტსა და იმაზე ნაკლებს რასაც მას ქმარი მისცემდა; მაგრამ რასაც სენატი ქალს აძლევს, აბსოლუტური, სხვა განსაზღვრებისაგან დამოკიდებული უფლებაა; ისე რომ თუ ქალი მას გამოიყენებს, ამ გარემოებამ მის ახალ ქმარს ზიანი არ უნდა მიაყენოს. სენატი იმდროინდელ და მომავალ კონსულებსაც და პრეტორებსაც კი ავალებს, იზრუნეთ, რომ ქალს უმართებულოდ არ მოეპყრათ ამისთვისო. ამრიგად, მომზენის მოსაზრება სრულიად მიუღებელია.

ან შესაძლებელია შემდეგი: ქალი სხვა გვარის ქმარს ითხოვდა, თვით კი საკუთარ გვარში რჩებოდა. მაშინ ზემოთმოყვანილი ადგილის მიხედვით ქმარს უფლება ჰქონია ცოლისთვის ნება დაერთო მისივე საკუთარი გვარის გარეშე გათხოვილიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფლება ჰქონდა ისეთი გვარის საქმეებში ჩარეულიყო, რომელსაც თვით არ ეკუთვნოდა. ეს ისეთი უაზრობაა, რომ ლაპარაკიც კი არ ღირს ამის შესახებ.

მაშასადამე, რჩება მოსაზრება, რომ ქალი პირველად სხვა გვარის მამაკაცზე გათხოვილა და გათხოვების შემწეობით ქმრის გვარ-

ში გადასულა, რასაც მ ო მ ზ ე ნ ი მართლაც შესაძლებლად ხდის ასეთი შემთხვევებისათვის. მაშინ მთელი საქმის ვითარება დაუყონებლივ გასაგები ხდება. ქალს, რომელიც დაქორწინების გამო თავის ძველ გვარს ეთიშება და ქმრის ახალ გვაროვნულ კავშირში შედის, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ოკანასკნელში. იგი თანამეგვარე ხდება, მაგრამ არა სისხლის ნათესავი; მისი მიღება ახალ გვარში ისე ხდება, რომ მას შეუძლია ხელმეორეთ დაქორწინდეს იმ გვარის ფარგლებში, რომელშიც ესაა გათხოვების შემწეობით შევიდა; ამას გარდა, იგი გვარის საქორწინო კავშირში შედის და თუ ქმარი გარდაიცვალა, მის ქონებას ღებულობს მემკვიდრეობით როგორც მეგვარის ქონებას. ბუნებრივია, რომ ეს ქონება გვარში უნდა დარჩეს, მაშასადამე, ქალი ვალდებულია მეორედ თავისი პირველი ქმრის მეგვარეზე გათხოვდეს და არა სხვაზე. ხოლო თუ გამონაკლისი უნდა გაკეთდეს, ვის უნდა ეკითხებოდეს ეს როგორც კომპეტენტურ პირს თუ არ იმას, ვინც მას ქონება უანდერძა, ე. ი. მის პირველ ქმარს? იმ წუთში, როცა ქმარი ცოლს თავის ქონების ნაწილს უტოვებდა ანდერძით და ამავე დროს ნებას რთავდა იგი გათხოვების შემწეობით სხვა გვარში გადაეტანა, ქონება ჯერ კიდევ მისი იყო, მაშასადამე, იგი მხოლოდ თავის საკუთრებას განაგებდა. რაც შეეხება თვით ცოლს და მის დამოკიდებულებას თავისი ქმრის გვარისადმი, უნდა ითქვას, რომ იგი ახალ გვარში ქმარმა შეიყვანა თავისუფალი ნებისყოფის აქტის, დაქორწინების შემწეობით; მაშასადამე ისიც ბუნებრივია, რომ სწორედ მან უნდა დართოს ნება ამ გვარიდან გავიდეს მეორე დაქორწინების შემწეობით. მოკლედ რომ ვთქვათ, საქმის ვითარება მარტივი და ადვილი გასაგებია თუ უკუვაგდებთ ახირებულ წარმოდგენას ენდოგამიური რომაული გვარის შესახებ და მ ო რ გ ა ნ თ ა ნ ერთად ვაღიარეთ, რომ იგი თავდაპირველად ეგზოგამიური იყო.

რჩება კიდევ ერთი ჰიპოთეზი, რომელსაც ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს: ლ ი ვ ი უ ს ი ს "ზემოთმოყვანილი ადგილი ამბობს, „განთავისუფლებულ მხეელებს (libertae) უფლება არ ჰქონდათ განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად e gente enubere (გვარის გარეშე გათხოვილიყვნენ) ან სხვა რაიმე აქტი ჩაედინათ, რომელიც შეკავშირებული იყო capitis deminutio minima-თან, რასაც გამოიწვევდა liberta-ს გასვლა გვაროვნული კავშირიდან" (ლ ა ნ გ ე, „Römische Altertümer", ბერლინი 1856, I, გვ. 195). თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ეს ციტატი სრულიად არაფერს არ ამტკიცებს თავისუფალი რომაელი ქალის მდგომარეობის შესახებ და არ შეიძლება ითქვას, იგი ვალდებული იყო თავის გვარშივე გათხოვილიყოო.

გამოთქმა enuptio gentis მხოლოდ ამ ადგილას გვხდება და სხვაგან არსად მთელს რომაულ ლიტერატურაში; სიტყვა enubere — გარეთ გათხოვება — მხოლოდ სამჯერ გვხვდება, აგრეთვე ლ ი ვ ი უ ს ი ს თხუზულებაში და არა გვართან დამოკიდებულებაში. ის ფანტაზია, რომ რომაელ ქალებს მხოლოდ საკუთარ გვარში შეეძლო გათხოვება.. ამ ადგილის წყალობით შეიქმნა. მაგრამ მისი დაცვა აბსოლუტურად შეუძლებელია. მიტომ რომ ან ეს ადგილი განთავისუფლებული მხევლების უფლებრივ შეზღუდვას ეხება და მაშინ არაფერს ამტკიცებს საკუთებით თავისუფალი ქალების (ingenuae) შესახებ; ან მას თავისუფალი ქალებისთვისაც აქვს ძალა, და მაშინ იგი ამტკიცებს, რომ ქალი ჩვეულებრივ თავისი გვარის გარეშე თხოვდებოდა, მაგრამ ქორწინების წყალობით ქმრის გვარში გადადიოდა; მაშასადამე, იგი მ ო მ ხ ე ნ ი ს წინააღმდეგ იძლევა მოწმობას და მ ო რ გ ა ნ ი ს სასარგებლოდ.

თითქმის სამასმა წელმა განვლო რომის დაარსებიდან, გვაროვნული კავშირები კი ისე ძლიერი იყვნენ, რომ ერთმა პატრიციულმა გვარმა, სახელდობრ ფაბიებმა, სენატის ნებართვით, მაგრამ საკუთარი ძალებით ომი დაიწყო მეზობელი ქალაქის ვეის წინააღმდეგ. 306 ფაბიელი გავიდა სალაშქროდ, მაგრამ ყველანი მტრის საფარს წააწყდენ და დაიხოცენო; ერთადერთი ბავშვიღა გადარჩა, მან განაგრძო ფაბიების გვარიო.

ათი გვარი, როგორც უკვე ვთქვით, ერთს ფრატრიას შეადგენდა, რომელსაც აქ კურია ეთქვა, მას უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უფლებამოსილობა ჰქონდა ვიდრე ბერძნულ ფრატრიას. ყოველ კურიას თავისი რელიგიური წესები, წმინდა ადგილები და საკურთხევლები ჰქონდა და თავისი ქურუმები ჰყავდა; ეს უკანასკნელნი რომაულ ქურუმთა კოლეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ათი კურია ერთ ტომს შეადგენდა, რომელსაც სხვა ლათინური ტომების მსგავსად თავდაპირველად არჩეული უფროსები, სახელდობრ მეედართმთავარი და ქურუმთუხუცესი ჰყავდა. სამი ტომი ერთად რომაელ ხალხს, populus romanus ს შეადგენდა.

მაშასადამე, რომაელი ხალხის წევრად მხოლოდ ის ითვლებოდა, ვინც რომელიმე გვარის და მისი შემწეობით აგრეთვე რომელიმე კურიის და ტომის წევრი იყო. ამ ხალხის პირველს კონსტიტუციას შემდეგი სახე ჰქონდა. საზოგადო საქმეებს თავდაპირველად სენატი განაკებდა, რომელიც, როგორც ნ ი ბ ი ო რ მ ა სწორად აღნიშნა, სამასი გვარის უხუცესისაგან შესდგებოდა; როგორც გვარების უხუცესებს მათ მამები, patres, ერქვათ, ხოლო მათს კრებულს სენატი

(უხუცესთა საბჭო, სიტყვა senex მოხუცებულისაგან). იმ გარემოების წყალობით, რომ ჩვეულებად იქცა უხუცესის არჩევა ყოველთვის ერთი და იმავე ოჯახიდან მოეხდინათ, აქაც გვარის წარჩინებულთა პირველი ჩანასახი შეიქმნა; ეს ოჯახები თავიანთ თავს პატრიციებს უწოდებდენ და უფლებას ითვისებდენ მხოლოდ ისინი მსხდარიყვნენ სენატში და მხოლოდ მათ დაეჭირათ სხვა ოფიციალური თანამდებობანი. ჟამთა მსვლელობაში ხალხი შეურიგდა ამ პრეტენზიას, იგი ურყევ უფლებად იქცა, და ლეგენდაც კი შეიქმნა, პირველ სენატორებსა და მათ შთამომავლობას პატრიციელობა თავისი პრივილეგიებით რომულუსმა მიანიჭაო. ათინის ბულეს მსგავსად სენატი მრავალ საქმეს საბოლოოდ სწყვეტდა, ხოლო უფრო მნიშვნელოვან საკითხებს, განსაკუთრებით ახალ კანონებს, ამზადებდა. ამ უკანასკნელთ სახალხო კრება ღებულობდა, ე. ი. comitia curiata (კურიების კრება). ხალხის ყრილობა კურიებათ იყო დაჯგუფებული, თითოეული კურია ალბათ გვარებად; საკითხის გადაწყვეტის დროს თითოეულ კურიას ოცდაათიდან თითო ხმა ჰქონდა. კურიების კრება ღებულობდა ან უარჰყოფდა კანონებს, ირჩევდა უმაღლეს მოხელეებს rex-ის (ე. წ. მეფის) გამოუკლებლად, აცხადებდა ომს (სენატი კი ზავს ჰკრავდა) და როგორც უზენაესი სამსჯავრო, მონაწილეთა აპელაციის მიხედვით, სწყვეტდა ყველა იმ საქმეს, სადაც რომაელ მოქალაქეს სიკვდილის სასჯელი მოელოდა,—ბოლოს, სენატისა და სახალხო კრების გვერდით rex იდგა, რომელიც სავსებით ბერძნულ ბაზილევსს ჰგავდა და სრულიადაც იმ თითქმის აბსოლუტურ მეფეს არ წარმოადგენდა, როგორც მას მ ო მ ზ ე ნ ი გვიხატავს [1]. იგი მხოლოდ მხედართ-

---

[1] ლათინური rex იგივე კელტურ-ირლანდიური righ (ტომის უფროსი) და გოთური reiks-ია; ისევე, როგორც გერმანული Fürst (ინგლისური first, დანიური förste, უპირველესი) გვარის ან ტომის უფროსს წარმოადგენდა; ეს სრანს იქიდან, რომ გოთებს უკვე მეოთხე საუკუნეში განსაკუთრებული სიტყვა ჰქონდათ შემდგომი დროის კოლეგისა მთელი ხალხის მთავარს სარდლისთვის: ეს იყო thiudans, არტაქსერქსს და ეროდს ულფილასის ბიბლიის თარგმანში არასოდეს reiks არ ჰქვია, არამედ thiubans ხოლო იმპერატორ ტიბერიუსის სამფლობელოს reiki კი არ ეწოდება, არამედ thiudinassus. გოთური thiudansis ან, როგორც ჩვენ უმართებულოდ ვამბობთ, მეფე ტიუდარეიქსსა, ტეოდორიხსა, ე. ი. დიტრიხში ეს ორი სახელწოდება შეერთებულია.

მთავარი, ქურუმთუხუცესი და სამსჯავროს თავმჯდომარე იყო ზოგიერთი საქმის გარჩევის დროს. მას სრულიადაც არ ჰქონია სამოქალაქო უფლებამოსილობა ანუ ძალაუფლება მოქალაქეების სიცოცხლესა, თავისუფლებასა და საკუთრებაზე, რამდენადაც ეს მთავარ

სარდლის დისციპლინურ ხელისუფლებისა და მსაჯულთუხუცესის განაჩენის აღმასრულებელი ხელისუფლებიდან არ გამომდინარეობდა. მეფის თანამდებობა მეძკვიდრეობით როდი გადადიოდა; პირიქით მას ალბად წინამორბედის წინადადებით კურიების ერთი კრება ირჩევდა, ხოლო მეორე კრება ზეიმით თანამდებობაზე ამტკიცებდა. როგორც ტარკვინიუს ამაყის ბედიდან სჩანს, მისი გადაყენებაც შეიძლებოდა.

როგორც გმირული დროის ბერძნები, ისე ე. წ. მეფეების დროის რომაელებიც სამხედრო დემოკრატიას წარმოადგენდენ, რომელიც გვარებსა, ფრატრიებსა და ტომებზე იყო დაყრდნობილი და მათგან განვითარდა. თუმცა კურიები და ტომები ნაწილობრივ ხელოვნურად იყვნენ შედგენილი მაგრამ ისინი საზოგადოების ნამდვილი, ბუნებრივად აღმოცენებული პროტოტიპების მიხედვით იყვნენ ჩამოყალიბებული, ამ საზოგადოებამ ისინი წარმოშვა და მათი გარემო შექმნა. მართალია ბუნებრივად აღმოცენებულმა პატრიციულმა არისტოკრატიამ უკვე ნიადაგი მოიპოვა, მართალია მეფეებმა თანდათან გააფართოვეს თავიანთი უფლებამოსილობა, მაგრამ ამას არ შეუცვლია წესწყობილობის პირველყოფილი ძირითადი ხასიათი, ლაპარაკი კი მხოლოდ ამის შესახებაა.

ამავე დროს როგორც თვით ქალაქ რომის, ისე მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა გამრავლდა ნაწილობრივ ჩამოსახლებით, ნაწილობით დაპყრობილი უმთავრესად ლათინური მოსახლეობის შემატებით. ყველა ეს ახალი ქვეშევრდომები (კლიენტების საკითხს აქ არ ვეხებით) ძველი გვარების და ტომების გარეშე იდგენ, მაშასადამე populus romanus-ის საკუთრივ რომაელი ხალხის ნაწილს როდი წარმოადგენდენ. ისინი პირადად თავისუფალი ადამიანები იყვნენ, შეეძლოთ მიწის საკუთრება შეეძინათ, გადასახადი უნდა გამოეღოთ და სამხედრო სამსახურში გასულიყვნენ. მაგრამ მით უფლება არ ჰქონდათ რაიმე თანამდებობა შეესრულებიათ ან მონაწილეობა მიეღოთ კურიების კრებასა თუ დაპყრობილი სახელმწიფო მიწების დაყოფაში. ისინი სახელმწიფოებრივ უფლებაყრილ პლებსს წარმოადგენდენ. თავისი მრავალრიცხოვანობით, თავისი მილიტარული გაწვრთნით და შეიარაღებით პლებსი სახიფათო ძალას წარმოადგენდა ძველი პოპულუსის წინააღმდეგ, რომელსაც გარედან ახალი ელემენტები არ ემატებოდა, ამას ზედ ერთოდა ის, რომ, როგორც ეტყობა, მიწა თანაბრათ იყო განაწილებული პოპულუსსა და პლებს შორის, სავაპრო და სამრეწველო სიმდიდრე კი უმთავრესად პლებსის ხელში დაგროვდა, თუმცა ეს სიმდიდრე ნაკლებ იყო განვითარებული.

რომის თავისთავად მეტის მეტად ბნელი ლეგენდური პირველყოფილი ისტორია კიდევ უფრო ბნელი გახდა შემდეგი დროის იურიდიულად განსწავლული მკვლევარების რაციონალისტურ-პრაგმატიული ახსნა-განმარტებისა და ცნობების წყალობით; ამიტომ შეუძლებელია რაიმე გარკვეული ითქვას იმ რევოლუციის დროსა, მსვლელობასა და საბაბზე, რომელმაც ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოლო მოუღო. უცილობელია მხოლოდ, რომ მისი მიზეზი პლებსის და პოპულუსის ბრძოლა იყო.

ახალმა კანონმდებლობამ, რომელიც სექს სერვიუს ტულიუსს მიეწერება და ბერძნულ ნიმუშს, სახელდობრ სოლონის კანონმდებლობას ეყრდნობოდა, ახალი სახალხო კრება შექმნა—სადაც პოპულუსის და პლებსის წევრები განურჩევლად იღებდენ მონაწილეობას თუ კი ისინი სამხედრო სამსახურს ასრულებდენ. მთელი მამაკაცური მოსახლეობა, რომელიც სამხედრო სამსახურით იყო დაბეგრილი, ექვს კლასად ნაწილდებოდა შემლების მიხედვით, ხუთი კლასისთვის ქონების მინიმუმი შემდეგი იყო: I. 100 000 ასსი; II. 75 000, III. 50 000, IV. 25 000, V. 11 000 ასსი; დიურო დელამალის ანგარიშით ეს დაახლოებით 14 000, 10 500, 7 000, 3 600 და 1570 მარკას უდრიდა. მეექვსე კლასი, პროლეტარიატი, ნაკლებ შეძლებული მცხოვრებლებისაგან შესდგებოდა, ისინი თავისუფალი იყვნენ სამსახურისა და გადასახადებისაგან. ახალ ცენტურიულ სახალხო კრებაში (comitia centuriata) მოქალაქეები სამხედრო წყობის მიხედვით გამოდიოდენ, ცენტურიებად ანუ ასეულებად დარაზმული, თითოეულ ასეულს თითო ხმა ჰქონდა, პირველი კლასი 80 ცენტურიას ადგენდა, მეორე 22, მესამე 20, მეოთხე 22, მეხუთე 30, თავაზიანობის დასაცავად მეექვსეც ადგენდა ერთს. ამას ზედ ერთოდენ მდიდრების მიერ შედგენილი ცხენოსანი ასეულები, რიცხვით 18; მაშასადამე ასეულთა რიცხვი 193 უდრიდა, უმრავლესობისთვის 97 ხმა იყო საჭირო. ცხენოსნებსა და პირველ კლასს ერთად 98 ხმა ჰქონდა, მაშასადამე უმრავლესობა, თუ ისინი შეთანხმდებოდენ, სხვა ცენტურიებს არც კი შეეკითხებოდენ, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იყო.

ამ ახალმა ცენტურიულმა კრებამ მიიღო ყველა პოლიტიკური უფლება, რომელიც წინანდელ კურიალურ კრებას ჰქონდა (ზოგიერთი ნომინალური უფლების გამოკლებით); კურიები და მათი შემადგენელი გვარები, ისევე როგორც ათინაში, აქაც უბრალო რელიგიურ ამხანაგობებად იქცენ და ამ სახით კარგა ხანს ღაფავდენ სულს, კურიების კრება კი ჩქარა დავიწყებას მიეცა. რათა სახელმწიფოს

მართვა-გაშგეობიდან ძველი სამი გვაროვნული ტომიც გაეძევებიათ, შემოღებულ იქნა ოთხი ტერიტორიული ტომი, თითოეული მათგანი ქალაქის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდა და განსაზღვრული პოლიტიკური უფლებებით იყო აღჭურვილი.

ამგვარად რომშიც, ეგრეთწოდებული მეფობის მოსპობამდე, დაინგრა ძველი, პირად სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესწყობილება და შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც ტერიტორიულ დანაწილებასა და კონებრივ სხვადასხვაობაზე იყო დაფუძნებული. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მატარებელი აქ სამხედრო სამსახურით დაბეგრილი მოქალაქეები იყვნენ, მათ პირისპირ იდგენ არა მარტო მონები, არამედ სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლებული და იარაღაყრილი ე. წ. პროლეტარები.

ეს ახალი წესწყობილება შემდეგაც ამ მიმართულებით განვითარდა, როცა უკანასკნელი მეფე ტ ა რ კ ვ ი ნ ი უ ს ა მ ა ყ ი განდევნილ იქნა ნამდვილი სამეფო ხელისუფლების მითვისებისთვის და მეფე შეცვლილ იქმნა ორი მხედართმთავრით (კონსულით), რომელთაც თანაბარი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული (ისევე როგორც ეროკეზებში). ამ წესწყობილების ფარგლებში მოძრაობს რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია, პატრიციების და პლებეების ბრძოლა თანამდებობის და სახელმწიფო მიწების გასანაწილებლად, პატრიციული არისტოკრატიის გათქვეფა მიწათმფლობელების და ფულის მფლობელების ახალ კლასში რომელმაც თანდათან სჩანთქა, სამხედრო სამსახურის მიერ გაპარტახებული გლეხკაცობის მიწის საკუთრება და რომელიც ამ გზით წარმოშობილ უზარმაზარ ძამულებს მონების შემწეობით ამუშავებდა, იტალიას უკაცურად ხდიდა და ამით კარს უღებდა არა მარტო იმპერიას, არამედ მის მემკვიდრეებს, გერმანელ ბარბაროსებსაც.

■

[160] უცილობელია, რომ ხალხთა გადასახლების ეპოქამდე გერმანელები გვარებად იყვნენ დაწყობილი. ტერიტორია დუნაისა, რეინსა, ვისლასა და ჩრდილოეთის ზღვას შორის მათ ალბათ ორიოდე საუკუნის წინათ დაიჭირეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე; კიმბრები და ტევტონები ჯერ კიდევ დახეტიალობდენ, სვევები კი მხოლოდ ი უ ლ ი ო ს კ ე ი ს ა რ ი ს დროს დაბინავდენ გარკვეულ მიწაწყალზე. მათ შესახებ ი უ ლ ი ო ს კ ე ი ს ა რ ი პირადაპირ ამბობს, ისინი გვარებად და მონათესავე ჯგუფებად (gentibus cognationibusgue) დასახლდენო, gens Julia-ს

წევრის რომაელის პირში კი ამ სიტყვას (gentibus) გარკვეული მნიშვნელობა აქვს და მისი ყალბად გაგება შეუძლებელია, იგივე ითქმის დანარჩენ გერმანელებზეც; როგორც ეტყობა დაპყრობილი რომაული პროვინციების დასახელებაც გვარების მიხედვით მომხდარა.

■

[160] ლინგვისტური ძეგლებიდან არ სჩანს ჰქონდათ თუ არა გერმანულ ტომებს საერთო სიტყვა გვარის ცნების გამოსახატავად და თუ ჰქონდათ, რომელი. ეთიმოლოგიურად ბერძნულ genos-ს ლათინური gens, გოთური Kuni, საშუალო საუკუნეების ზემოგერმანული Künne შეეფერება და იმავე აზრით იხმარება. დედის უფლების ეპოქას ანიშნებს ის გარემოება, რომ ქალის გამომბატველი სიტყვა იმავე პირიდან წარმოსდგება: ბერძნულად gyne, სლავურად—zena, გოთურად qvino, ძველ სკანდინავურად Kona, Kuna.

■

[161] როგორც მექსიკელებსა და ბერძნებში, ისე გერმანელებშიც სამხედრო წყობა როგორც ცხენოსანთა ესკადრონისა, ისე ქვეითი რაზმებისა, გვაროვნული კორპორაციების ძიხედვათ იყო დანაწილებული; როცა ტაციტი ამბობს, ლაშქარი ოჯახებისა და ნათესაობის მიხედვით იწყობოდაო, ეს გამოურკვეული გამოთქმა იმით აიხსნება, რომ მის დროში რომაული გვარი დიდი ხანია ალარ წარმოადგენდა ცოცხალ გაერთიანებას.

■

[162 შენიშვნა 1] დედის უფლების დროიდან წარმოშობილ განსაკუთრებით ვიწრო კავშირს ბიძას და დისწულს შორის, რომელიც მრავალ ხალხში გვხვდება, ბერძნები მაოლოდ გმირული ეპოქის მითოლოგიიდან იცნობენ. დ ი ო დ ო რ ი ს ძიხედვით (IV, 34) მელეაგერი ჰკლავს თეოტიუსის ვაჟებს, თავის დედის ალთეას ძმებს. ალთეა ამას ისეთ უპატივებელ დანაშაულად სთვლის, რომ მკვლელს, ე. ი. თავის საკუთარ შვილს სწყევლის და სიკვდილს უსურვებს. „როგორც ამბობენ, ღვერთებმა ყურად იღეს მისი თხოვნა და მელეაგერის სიცოცხლეს ბოლო მოუღესო". იმავე დიოდორის გადმოცემით (IV, 44) არგონავტები ჰერაკლეს მეთაურობით თრაკიის სანაპიროებზე გადმოსხდებიან და აღმოაჩენენ, რომ ფინეოსი თავისი მეორე ცოლის ზეგავლენით სტანჯავს თავის ორ ვაჟს, რომელნიც მას გაყრილი ცოლის, ბორეადელი კლეოპატრასაგან ჰყავს. მაგრამ არგონავტელებს შორის ბორეადელებიც იმყოფებიან, კლეოპატრას ძმები, მაშასადამე ჩაგრულთა ბიძები. ისინი ზოცავენ დარაჯებს და თავიანთ დისწულებს ანთავისუფლებენ.

■

[164] მომაკედავი დედის უფლების ნაშთს წარმოადგენს აგრეთვე გერმანელების პატივისცემა მდედრობითი სქესისამდი, რაიკა რომაელებისთვის თითქმის გაუგებარი იყო. ხელშეკრულებათა დადების დროს გერმანელებს ყველაზე საიმედო მძევლად კეთილშობილი ოჯახის ქალიშვილი მიაჩნდათ; ის აზრი, რომ შეიძლება ჩვენი ცოლები და ქალიშვილები ტყვეობაში ან მონობაში ჩავარდენო, შემაძრწუნებლად ეჩვენებოდა გერმანელებს და ყველაზე მეტად აღვივებდა მათს ვაჟკაცობას ბრძოლის ველზე; ისინი რაღაც წმინდასა და წინასწარმეტყველურს ხედავდენ ქალში, მის რჩევას ყურს უგდებდენ თვით უმნიშვნელოვანეს საქმეებში; ველედა, ბრუქტერების ქურუში ქალი ლიპპეს კუთხიდან, იმ ამბოხების შთამაგონებელი იყო, რომელშიც ბატავიელთა ბელადი ციილისი სათავეში ჩაუდგა გერმანელებსა და ბელგებს და რომაელების ბატონობა შეარყია მთელს გალლიაში. ოჯახში ქალის ბატონობა, როგორც სჩანს, უცილობელი იყო; ესეცაა, რომ მთელს მუშაობას დედაკაცები, მოხუცები და ბავშვები ასრულებდენ, მამაკაცები კი მხოლოდ ნადირობდენ, ლოთობდენ და დროს უქმად ატარებდენ. ასე ლაპარაკობს ტაციტი; მაგრამ რადგან იგი არ ამბობს ვინ ამუშავებდა მიწას, მეორე მხრით კი გარკვევით აცხადებს, მონები გადასახადს იხდიდენ, შრომის ბეგარა კი მათ არ ჰქონიათ დაკისრებულიო, ალბათ ჰასაკში შესული მამაკაცების მასსა იძულებული იყო ის მცირედი მუშაობა შეესრულებია, რომელსაც მიწათმოქმედება მოითხოვდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელებში არსებობდა წყვილადი ცოლქმრობა, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა მონოგამიას. მკაცრი მონოგამია ჯერ კიდევ არ ყოფილა დამყარებული მიტომ, რომ კეთილშობილთ ნება ჰქონდათ რამდენიმე ცოლი ჰყოლოდათ. საერთოდ ქალიშვილების უბიწოებას მკაცრად მოითხოვდენ (წინააღმდეგ კელტებისა); ტაციტი აგრეთვე განსაკუთრებულად გულთბილად ლაპარაკობს ქორწინების გაუთიშველობაზე გერმანელებში. გაყრის საბაბად მხოლოდ დედაკაცის ღალატი ითვლებოდაო. მაგრამ ტაციტის ცნობები ნაწილობრივ ნაკლულოვანია, ამას გარდა აშკარად სჩანს, რომ მისი სურვილია გარყვნილ რომაელებს სათნოების სარკეში ჩაახედოს. ერთი რამ უცილობელია: თუნდ გერმანელები თავიანთ ტყეებში ასეთი არაჩვეულებრივად უებრო რაინდები ყოფილიყვნენ, ყოველ შემთხვევაში საკმაო აღმოჩნდა მცირეოდენი ურთიერთობა გარეშე ქვეყანასთან, რათა ისინი დანარჩენი საშუალო ევროპიელი ადამიანების დონეზე ჩამოქვეითებულიყვნენ; გერმანული ზნეობრივი სიფაქიზის უკანასკნელი კვალი კიდევ უფრო

ჩქარა გაჰქრა რომაული მსოფლიოს საზღვრებში, ვიდრე გერმანული ენა. ამის დასადატურებლად საკმაოა გ რ ი გ ო ლ ტ ურ ე ლ ი წავიკითხოთ. თავისთავად იგულისხმება, რომ გერმანიის ულრან ტყეებში გრძნეული სიამოვნება ისე გაფაქიზებული ვერ იქნებოდა, როგორც რომში იყო; გერძანელების უპირატესობა რომაელების წინაშე ამ მხრივ იმდენად თვალსაჩინოა, რომ საჭირო არაა მათ მივაწეროთ თავშეკავება ხორციელ საქმეებში,—რომელიც არსად და არასოდეს არ არსებულა მთელს ხალხში.

■

[169] მაგრამ მაშინ, როცა რომის უშუალო მეზობელ ტომებში მეტალურგიის და საფეიქრო წარმოების დამოუკიდებელი განვითარება შეფერხდა რომაული სამრეწველო პროდუქტების ადვილად შეზიდვის გამო, უეჭველია მეტალურგია და ფეიქრობა განვითარდა ჩრდილო აღმოსავლეთში, ბალტიის ზღვის ნაპირას. შლეზვიგის ჭაობებში აღმოჩენილი საჭურველი, გრძელი რკინის მახვილი, ვერცხლის მუზარადი და სხვ. რომელთა გვერდით მეორე საუკუნის დასასრულის რომაული ფული აღმოჩნდა, და ხალხთა გადასახლების წყალობით გავრცელებული გერმანული ლითონის ნივთები, განსაკუთრებულს ტიპს წარმოადგენს და კარგადაც არის დამუშავებული, თვით იქაც კი, სადაც თავდაპირველად რომაულ ნიმუშებს ეყრდნობა. რაკი გერმანელები განათლებული რომის იმპერიაში გადასახლდენ, ამ შინაურ მრეწველობას ყოველგან ბოლო მოეღო, გარდა ინგლისისა.

■

[169] გერმანელების წესწყობილებაც ბარბაროსობის ზედა საფეხურს შეეფერება... მამასახლისები (principes) ნათლად განირჩევ-ან მხედართმთავრებისაგან (duces), ისევე როგორც ირიკეზებში. პირველნი ნაწილობრივ უკვე თანამეტომეების საპატიო ძღვენით ცხოვრობენ, ეს ძღვენი შინაური საქონლისა, ხორბლისა და სხვ. შესდგება; მამასახლისებს, ისევე როგორც ამერიკაში, უმეტეს ნაწილად ერთი და იმავე ოჯახიდან ირჩევენ; მამის უფლებაზე გადასვლა, ისევე როგორც საბერძნეთსა და რომში, ხელს უწყობს არჩევნების გადაქცევას მემკვიდრეობად და კეთილშობილი ოჯახის წარმოებას ყოველ გვარში.

■

[170] ტომთა კავშირები იულიოს კეისრის დროიდან შეიქმნა; ზოგიერთს ასეთს კავშირს უკვე მეფე ჰყავდა; მთავარსარდალი უკვე ტირანიისკენ მიიღტვოდა, ისევე როგორც ბერძნებსა და რომაელებში, და ხანდახან მიზანსაც აღწევდა. ასეთი ბედნიერი უზურპატორები შეუზღუდველი მბრძანებლები რჩებოდნენ; მაგრამ ისინი უკვე გვაროვნული წესწყობილების ბორკილების დამსხვრევას იწყებდენ. მაშინ როცა წინათ განთავისუფლებულ მონებს დაქვემდებარებული ადგილი ეჭირათ მიტომ, რომ ისინი გვარის გარეშე იდგენ, ახალი მეფეების მფარველობის ქვეშ ზოგიერთი მათგანი წარმატებას,—სიმდიდრეს და პატივისცემას აღწევდა. იგივე ამბავი გრძელდებოდა რომის იმპერიის დაპყრობის შემდეგაც, ეს დაპყრობა მოახდინეს გერმანელმა მხედართმთავრებმა, რომელნიც დიდი ქვეყნების მეფეებად იქცენ. ფრანკებს შორის მეფის მონები და განთავისუფლებულნი ჯერ სასახლეებში, ხოლო შემდეგ სახელმწიფოში დიდ როლს ასრულებდენ; ახალი თავადაზნაურობა უმეტეს ნაწილად მათგან წარმოსდგება.

■

[172] აქ უნდა ვეძებოთ ლანდსკნეხტობის ჩანასახი, რომელიც გერმანელების სამარცხვინო ლაქას და შეჩვენებას წარმოადგენს. რომის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ამ მეფის მოლაშქრეებმა არათავისუფალ პირებსა და რომაელ კარისკაცებთან ერთად თავადაზნაურობას მეორე მთავარი შემადგენელი ელემენტი მიაწოდეს.

ამრიგად შეკავშირებულმა გერმანელმა ტომებმა საერთოდ ისეთივე წესწყობილება შეჰქმნეს, როგორიც გმირული ეპოქის ბერძნებმა და ეგრეთწოდებული მეფის დროის რომაელებმა განავითარეს: სახალხო კრება, გვარის მამასახლისების საბჭო, მხედარმთავარი, რომელიც ნამდვილი სამეფო ხელისუფლებისკენ მიისწრაფოდა. ეს იყო ყველაზე განვითარებული წესწყობილება, რომელიც შესაძლებელი იყო გვაროვნობის ნიადაგზე; იგი ბარბაროსობის ზედა საფეხურის სანიმუშო წესწყობილებას წარმოადგენდა. თუ საზოგადოება გადაადიჯებდა იმ საზღვრებს, რომელშიც ეს წესწყობილება დამაკმაყოფილებელი იყო, გვაროვნობას ბოლო ეღებოდა; იგი იშლებოდა და მის ადგილს სახელმწიფო იკავებდა.

■

[173] ტაციტის მოწმობით გერმანელები მეტად მრავალრიცხოვანი ხალხი იყო. დაახლოებულს წარმოდგენას გერმანელი ხალ-

ხების რიცხვის შესახებ იულიოს კეისარის ცნებებიდან ვღებულობთ; იგი ამბობს, რეინის მარცხენა ნაპირას გადმოსული უზიპეტების და ტენქტერების რიცხვი 180000 სულს უდრიდა დედაკაცებისა და ბავშვების ჩათვლითო[1].

[1] აქ ჩვენ მიერ მიღებული რიცხვი დასტურდება დიოდორის ნაწერების ერთი ადგილით გალლიის კულტების შესახებ: „გალლიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს სხვადასხვა რაოდენობის. უფრო მრავალრიცხოვანნი მათ შორის დაახლოებით 200 000 სულს აღწევენ, ნაკლებ მრავალრიცხოვანნი 50 000 სულს“ (დიოდორ სიცილიელი, V, 25).

[173] ხოლო რომაელების დიდი გერმანია (Germania Magna) ვისლამდე დაახლოებით 500 000 კვადრატულ კილომეტს შეიცავდა. რაკი თითოეული ხალხის რიცხვი 100 000 უდრიდა, დიდი გერმანიის მცხოვრებთა რიცხი დაახლოებით 5 მილიონი უნდა ყოფილიყო; ბარბაროსულ ხალხთა ჯგუფისათვის ეს მნიშვნელოვანი რიცხვია, ჩვენი დღევანდელი პირობებისთვის კი (10 სული ერთ კვადრატულ კილომეტრზე ანუ 550 ერთ გეოგრაფიულ კვადრატულ მილზე) მეტად მცირე. მაგრამ ამით არ ამოიწურება იმდროინდელ გერმანელთა რიცხვი. ჩვენ ვიცით, რომ კარპატების გასწვრივ დუნაის შესართავამდე გოთური ტომის გერმანელი ხალხები ცხოვრობდენ, ბასტარნები, პეუკინები და სხვები, ისინი იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ პლინიუსი მათგან გერმანელების მეხუთე მთავარ ტომს ადგენს; უკვე 180 წელში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისინი მაკედონიის მეფის პერსეოსის ჯარებში იბრძოდენ როგორც დაქირავებული მეომრები, ხოლო ავგუსტის მეფობის პირველ წლებში ადრიანოპოლის მხარეს მიაღწიეს.

[174] გერმანიაში საბოლოოდ დასახლების შემდეგ ამ ხალხების რიცხვი დიდი სისწრაფით უნდა გაზრდილიყო; ამის დასამტკიცებლად მარტო ზემოაღნიშნული სამრეწველო პროგრესი იკმარებდა. შლეზვიგის ჭაობებში მოპოვებული ნივთები, იქვე აღმოჩენილი რომაული ფულების მიხედვით, მესამე საუკუნეს ეკუთვნის. მაშასადამე ამ ეპოქაში ბალტიის ზღვის პირას უკვე ლითონის მრეწველობა და ფეიქრობა იყო განვითარებული, რომის იმპერიასთან აღებმიცემობა და მისვლა-მოსვლა იყო გაჩაღებული და მდიდრები ერთგვარი კომფორტით ცხოვრობდენ; ყოველივე ეს მჭიდრო მოსახლეობის მაჩვენებელია.

ამავე დროს იწყება გერმანელების საერთო შეტევა რეინის, რომის მოსაზღვრე სანგრების და დუნაის მთელს ხაზზე, ერთი სიტყვით ჩრდილოეთის ზღვიდან დაწყებული შავ ზღვამდე. ეს პირდაპირ ამტკიცებს, რომ ხალხის რიცხვს თანდათან უმატნია და იგი ზღუდეების გარღვევას ლამობს. სამასი წელიწადი გაგრძელდა ბრძოლა, რომლის დროს გოთური ხალხების მთავარი ტომი (სკანდინაველი გოთების და ბურგუნდების გამოკლებით) სამხრეთ აღმოსავლეთისკენ გაემართა და დიდი შეტევითი ხაზის მარცხენა ფრთა შექმნა, ამ ხაზის ცენტრს ზემოგერმანელები (ჰერმინონები) შეადგენდენ ზემო დუნაიზე, ხოლო მარჯვენა ფრთას ისკევინები, ახლა ფრანკებად წოდებულნი რეინზე; ინგვონებს ბრიტანეთის დაპყრობა ხვდა წილად, მეხუთე საუკუნის დასასრულს არაქათგამოლეული, სისხლდაცლილი და უმწეო რომის იმპერია სრულიად კარებგაღებული იყო გერმანელებისათვის.

ჩვენ ზემოთ ანტიური ბერძნული და რომაული ცივილიზაციის აკვანთან ვიდექით; ახლა მის კუბოსთან ვდგევართ. რომის მსოფლიო იმპერია საუკუნეების განმავლობაში აშალაშინებდა ხმელთა შუა ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებს. მხოლოდ ბერძნულმა ენამ შესძლო წინაღმდეგობის გაწევა. სხვა ეროვნული ენები იძულებული გახდა შერყვნილი ლათინურისთვის დაეთმო ადგილი; ეროვნული სხვადასხვაობა აღარ არსებობდა, აღარ იყვნენ გალლები, იბერიელები, ლიგურელები, აფრიკელები, ყველანი რომაელები გახდენ, რომაულმა მმართველობამ და რომაულმა სამართალმა ყველგან დაშალა ძველი გვაროვნული კავშირები და ამით წაშალა ადგილობრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის უკანასკნელი კვალი. ახლად გამოცხობილი რომაელობა ვერ ანაზღაურებდა ამ დანაკლისს: იგი გამოჰხატავდა არა ეროვნებას, არამედ ეროვნების უქონლობას, ახალი ერების ელემენტები ყველგან იყო გაბნეული; სხვადასხვა პროვინციების ლათინური დიალექტები თანდათან გაითიშა; ჯერ კიდევ არსებობდა და საგრძნობელი იყო ბუნებრივი საზღვრები, რომელმაც იტალია, გალლია, ესპანია, აფრიკა წინათ დამოუკიდებელ პროვინციებად აქცია. მაგრამ არსად იყო ძალა, რომელსაც შეეძლო ეს ელემენტები ახალ ეროვნებად შეედუღებია; არსად სჩანდა განვითარების უნარის, წინაალმდეგობის ძალის, მით უმეტეს შემოქმედებითი ნიჭის ნიშანწყალი, უზარმაზარი ტერიტორიის ურიცხვი მოსახლეობის მასას მხოლოდ ერთი ძალა აკავშირებდა, რომაული სახელმწიფო, იგი კი ჟამთა მსვლელობაში უბოროტეს მტრად და მჩაგვრელად იქცა. პროვინციებმა გაანადგურეს რომი; თვით რომი პროვინციულ ქალაქად იქცა სხვა ქალაქებივით; მართალია მას უპირატესობანი ჰქონდა, მაგრამ

აღარ ბრძანებლობდა, მსოფლიო იმპერიის ცენტრს აღარ წარმოადგენდა, არც იმპერატორების და მათი მოადგილეების სატახტო ქალაქი იყო, ისინი უკვე კონსტანტინეპოლსა, ტრირსა, მილანოში ცხოვრობდენ. რომის სახელმწიფო უზარმაზარ, რთულ მანქანად იქცა, მისი დანიშნულება ქვეშევრდომთა სისხლის გამოწოვა იყო, გადასახადებმა, სახელმწიფო ბეგარამ, ყოველგვარმა გამოსაღებმა თანდათან გააღატაკეს მოსახლეობის მასა; ტვირთი აუტანელი გახდა ადგილობრივი მმართველობისა, ხარკთამკრეფლებისა, ჯარისკაცების ძალმომრეობის წყალობით. აი სად მივიდა რომის სახელმწიფო თავისი მსოფლიო ბატონობითურთ: იგი თავისი არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესიერებას ვამყარებ, ხოლო გარედან ბარბაროსებს ვიგერიებო. მაგრამ მისი წესიერება უარესი იყო ვიდრე უსაშინელესი უწესობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც იგი ვითომდა მოქალაქეებს იცავდა, ეს უკანასკნელი თავიანთ მხსნელებად სთვლიდენ.

არა ნაკლებ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა საზოგადოება. უკვე რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში რომაელთა ბატონობა დაპყრობილი პროვინციების ულმობელ ექსპლოატაციად იქცა; იმპერიამ ეს ექსპლოატაცია კი არ მოსპო, არამედ პირიქით მოაწესრიგა. რამდენადაც უფრო დაბლა ეცემოდა სახელმწიფო, მით უფრო იზრდებოდა გადასახადები და ბეგარა, მით უფრო ურცხვად სძარცვავდენ და ყლეფდენ ხალხს მოხელეები. ვაჭრობა და მრეწველობა ხალხთა მბრძანებელ რომაელებს არ ჰყვარებიათ; მხოლოდ მევახშეობაში გადააჭარბეს მათ ყოველივეს, რაც ამ დარგში წინათ ან შემდეგ მოხდარა. ვაჭრობა, რომელიც მათ პროვინციებში დახვდა, განადგურდა მოხელეების ძალმომრეობის წყალობით; მხოლოდ ცოტა რამ გადარჩა, ისიც იმპერიის აღმოსავლეთ, ბერძნულ ნაწილში, რომელიც ჩვენი მიმოხილვის ფარგლების გარეშე სძევს. საყოველთაო გაღატაკება, აღებმიცემობის, ხელოსნობის, ხელოვნების დაქვითება, მოსახლეობის შემცირება, ქალაქების განადგურება, მიწათმოქმედების დაბალ საფეხურზე დაბრუნება—აი რა მოჰყვა საბოლოოდ რომის მსოფლიო ბატონობას.

მიწათმოქმედებამ, რომელიც ძველს მსოფლიოში გადამწყვეტი წარმოების დარგი იყო, იმპერიის ბოლო დროს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. იტალიაში რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან თითქმის მთელი ტერიტორია დაფარული იყო უზარმაზარი მამულებით (ლატიფუნდიებით), რომელსაც ორნაირად იყენებდენ: ან როგორც საძოვარს, სადაც მოსახლეობის ადგილს ცხვრის ფარა და

საქონლის ჯოგი იპერდა, რომლის მოელა ორიოდე მონას მოითხოვდა; ან როგორც ვილლებს, სადაც მონათა მასსების შემწეობით მსხვილი მასშტაბით მებაღეობას აწარმოებდენ, ნაწილობრივ თვით მფლობელის მოთხოვნილების დასამტკიცებლად, ნაწილობრივ ქალაქის ბაზრებზე პროდუქტის გასატანად. დიდი საძოვრები გადარჩა და კიდევ გაფართოვდა; ვილლები და მათი მებაღეობა კი დაეცა პატრონების გალატაკებასა და ქალაქების დაქვეითებასთან ერთად. მონათა შრომაზე დაფუძნებული ლატიფუნდიების მეურნეობა შემოსავალს აღარ იძლეოდა; იმ დროს კი იგი მსხვილი მიწათმოქმედების ერთადერთი შესაძლებელი ფორმა იყო. წვრილი მეურნეობა ხელახლა ერთადერთ შემოსავლიან ფორმად იქცა. ამიტომ ერთი ვილლა მეორის მიყოლებით პატარა ნაკვეთებად და მოიჯარადრეებს გადაეცა სამკვიდროთ, ისინი განსაზღვრულ თანხას იხდიდენ, ან ეს ნაკვეთები partiari-ებმა მიიღეს, რომელნიც უფრო მოურავები იყვნენ ვიდრე მოიჯარადრეები და თავისი შრომისათვის წლიური შემოსავლიდან მხოლოდ მეექვსედ ან მეცხრედ ნაწილს ღებულობდენ. უფრო ხშირად კი ეს ნაკვეთები კოლონებს ეძლეოდა, ისინი განსაზღვრულ წლიურ გადასახადს იხდიდენ, მიწაზე იყვნენ მიმაგრებული და მათი მიწის ნაკვეთთან ერთად ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენდენ; მართალია ისინი მონები არ იყვნენ, მაგრამ არც თავისუფლად ითვლებოდენ: მათ არ შეეძლოთ თავისუფალ მოქალაქეს შეუღლებოდენ, მათი ურთიერთ შორის დაქორწინება ითვლებოდა არა სრულუფლებიან დაქორწინებად, არამედ უბრალო თანაცხოვრებად (contubernium). ისინი საშუალო საუკუნეების ყმების წინამორბედნი იყვნენ.

ანტიურმა მონობამ თავისი თავი ამოსწურა, არც მსხვილი მეურნეობა სოფლად, არც მანუფაქტურა ქალაქში აღარ ანაზღაურებდა დახარჯულ შრომასა და თანხებს, მათი ნაწარმოები აღარ საღდებოდა. წვრილ მეურნეობასა და წვრილ ხელოსნობას კი, რამაც იმპერიის აყვავების ხანის გიგანტური წარმოება შესცვალა, ადგილი არ ჰქონდა მრავალრიცხოვანი მონებისთვის. მონები მხოლოდ მდიდრებს ჰყავდათ, ისინი მათ ან შინამოსამსახურეებად იყენებდენ, ან კომფორტის საგნების წარმოებისთვის. მაგრამ მომაკვდავი მონობა მაინც საკმაო იყო, რომ ყოველი მწარმოებელი შრომა თავისუფალ რომაელს (ახლა კი თითქმის ყველა რომაელ მოქალაქედ ითვლებოდა) მონურ, დამამცირებელ შრომად ჩვენებოდა. ამით აიხსნება ერთი მხრით ზედმეტი, მძიმე ტვირთად ქცეული მონების განთავისუფლება, მეორე მხრით ალაგ-ალაგ კოლონების, ალაგ-ალაგ გაბოგანებული თავისუფა-

ლი მოქალაქეების (ამერიკის ყოფილი მონური შტატების poor whites მსგავსად) რიცხვის ზრდა. ქრისტიანობას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ანტიური მონობის ამ ხანგრძლივ სულთმობრძაობაში. იგი მთელი საუკუნეების განმავლობაში შეგუებული იყო მონობის არსებობასთან რომის იმპერიაში, შემდეგაც არასოდეს ქრისტიანებისთვის ხელი არ შეუშლია მონების ვაჭრობა გაეჩაღებია, არც გერმანელებისათვის ჩრდილოეთში, არც ვენეციელებისთვის ხმელთა შუა ზღვაში, არც ზანგების ყიდვა-გაყიდვისთვის ამერიკაში. მონობა სარგებლობას აღარ იძლეოდა, ამიტომ მოისპო იგი, მაგრამ მომაკვდავმა მონობამ თავისი გესლიანი ისარი დასტოვა, ეს იყო აზრი, რომ თავისუფალი ადამიანი ხიზღით უნდა ეპყრობოდეს მწარმოებელ შრომასო. აქ რომის მსოფლიო გამოუსავალ ჩიხში მოექცა, მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა, თავისუფალი ადამიანების შრომა ზნეობრივად უარყოფილი იყო. პირველს ამიერიდან აღარ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი ფორმა დარჩენილიყო, მეორეს ჯერ არ შეეძლო ასეთი ფორმა გამხდარიყო. აქ, მხოლოდ ყოველმხრივ რევოლუციას შეეძლო საქმის შველა.

პროვინციების მდგომარეობა უკეთესი როდი იყო. ყველაზე მეტი ცნობა გალლიიდან გვაქვს. კოლონებს გარდა აქ თავისუფალი წვრილი გლეხობაც არსებობდა. იგი ხშირად ძლიერი ადამიანის მფარველობას, პატრონობას ეძებდა, რათა თავისი თავი უზრუნველეყო მოხელეებისა, მსაჯულებისა და მევახშეების ძალმომრეობისაგან; ამას სჩადიოდა არა მარტო განცალკევებული გლეხის ოჯახები, არამედ მთელი ფენები, ისე რომ მეოთხე საუკუნეში იმპერატორები რამდენჯერმე იძულებული გახდენ აეკრძალათ მფარველობის ძიება. მაგრამ რას უშველიდა ეს მფარველობის მაძიებელს. პატრონი მას პირობას უდგენდა, მე გადმომეცი შენი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება, სამაგიეროთ მისი სარგებლობის უფლებას დაგმკვიდრებ სიკვდილამდეო, ეს იყო ოინი, რომელიც წმინდა ეკლესიამ შეამჩნია და მეცხრე და მეათე საუკუნეში ღვთის სასუფეველისა და თავისი საკუთარი მიწათმფლობელობის გასაძლიერებლად უხვად გამოიყენა. დაახლოებით 475 წელს ეპისკოპოზი სალვანუს მარსელელი აღშფოთებას გამოსთქვამდა ასეთი ქურდობის წინააღმდეგ და ამბობდა, რომაელი მოხელეების და დიდი მემამულეების ძალმომრეობა ისეთი აუტანელი გახდა, რომ მრავალი „რომაელი“ ბარბაროსების მიერ დაპერილ პროვინციაში გარბის და მას ისე არაფრისა ეშინიან, როგორც იმისა,

რომ ხელახლა რომაელების ბატონობის ქვეშ არ მოვხვდეო. იმ დროს მშობლები სილარიბის გამო თავიანთ შვილებს რომ მონებად ყიდდენ, ამას ამტკიცებს ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ გამოქვეყნებული კანონი. იმის სანაზღაურად, რომ რომაელები მათივე საკუთარი სახელმწიფოსკენ გაანთავისუფლეს, გერმანელმა ბარბაროსებმა მათ მთელი ადგილ-მამულის ორი მესამედი წაართვეს და ერთმანეთში დაინაწილეს.

■

[180] რამდენათაც უფრო დიდი ხნის წინათ იყო დასახლებული გვარი თავის სოფელში და რამდენადაც უფრო გათქვეფილნი იყვნენ ერთმანეთში გერმანელები და რომაელები, მით უფრო იჩრდილებოდა თემის ნათესაური ხასიათი ტერიტორიული მომენტის მიერ; გვარი გაჰქრა სამარკო კავშირში, მაგრამ ამ უკანასკნელში მაინც ხშირად სჩანს, რომ წევრები შორეული ნათესავებისაგან წარმოსდგებიან.

■

[180] თუ სისხლის კავშირი გვარში ჩქარა გაქრა ეს იმის შედეგი იყო, რომ დაპყრობის გამო ამ კავშირის ორგანოები გადაგვარდა ტომსა და მთლიან ერშიც. ჩვენ ვიცით, რომ ბატონობა დაპყრობილ ხალხზე არ ეგუება გვაროვნულ წესწყობილებას. აქ ამას უფრო დიდი მასშტაბით ვხედავთ. გერმანელ ხალხებს, რომელნიც რომაული პროვინციების ბატონები ვახდენ, ეს დაპყრობილი პროვინციები ორგანიზაციულად უნდა მოეწესრიგებიათ. მაგრამ შეუძლებელი იყო როგორც რომაელთა მასსების მიღება გვაროვნულ ორგანოებში, ისე მათზე გაბატონობა ამ უკანასკნელთა შემწეობით. იმ ადგილობრივი რომაული თვითმართველობის ორგანოების სათავეში, რომელიც თავდაპირველად, უმეტეს ნაწილად შენარჩუნებულ იქნა, რომის სახელმწიფოს შემკვლელი ძალა უნდა ჩამდგარიყო, ეს კი შეიძლებოდა ბოლოდ სხვა სახელმწიფო ყოფილიყო. ამ ვარად, გვაროვნული წესწყობილების ორგანოები სახელმწიფოებრივ ორგანოებად უნდა გადაქცეულიყო, და ეს რაც შეიძლება ჩქარა უნდა მომხდარიყო მდგომარეობის კარნახით, დაპყრობილი ხალხის უახლოესი წარმომადგენელი მხედართმთავარი იყო. დაპყრობილი ტერიტორიის უზურნველყოფა შიგნით და გარეთ მისი ხელისუფლების გაძლიერებას მოითხოვდა. დაჰკრა ჟამმა, როცა მხედართმთავრობა მეფობად უნდა გადაქცეულიყო: ეს ცვლილებაც მოხდა.

ავიღოთ ფრანკების სამეფო. აქ ძლევამოსილ სალიელებს სრულ საკუთრებად ხელში ჩაუვარდათ არა მარტო ფართო რომაული სახელმწიფო დომენები, არამედ აგრეთვე დიდი მიწის ნაკვეთები, რომელიც დაყოფილი არ იყო დიდს და პატარა ოლქებსა თუ მარკებს შორის. ობრალო მთავარსარდლიდან ნამდვილ მეფედ გადაქცეულმა ფრანკების მეფემ უწინარეს ყოვლისა საუფლისწულო ქონებად აქცია ეს სახალხო საკუთრება, ხალხს მოჰპარა იგი და თავის ამალას აჩუქა და დაუმკვიდრა. ეს ამალა, რომელიც თავდაპირველად მისი პირადი სამხედრო ამალა იყო, და ჯარის მეორე ხარისხოვანი მეთაურები მან გააძლიერა არა მარტო რომაელების, ე. ი. გარომაელებული გალლების შემწეობით, რომელნიც მას სჭიროდა მათი წერაკითხვის ცოდნისა, განათლებისა, ადგილობრივი სალაპარაკო რომანული ენის და ლათინური სამწერლობო ენის ცოდნის გამო, არამედ მონების, ყმების და განთავისუფლებულ მონების შემწეობითაც, რომელნიც მისი კარის კაცები იყვნენ და რომელთაგანც იგი თავის ფავორიტებს ირჩევდა. ყველა მათ თავდაპირველად საჩუქრად მიეცათ სახალხო მიწის ნაკვეთები, შემდეგ ბენეფიციების სახით დაემკვიდრათ მეფის სიკეთილამდე; ამ გზით ხალხის ხარჯზე საფუძველი ჩაეყარა ახალს თავად-აზნაურობას.

■

[182] ფრანკების ხალხის მასსა, თავისუფალი მიწათმფლობელი გლეხკაცობა, ისევე დასუსტდა და დაბეჩავდა სამოქალაქო და განსაკუთრებით კარლოს დიდის დროის დაპყრობითი ომების წყალობით, როგორც რომაელი გლეხები რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში.

■

[183] და არა მარტო გარეგანი უილაჯობა, შინაგანი საზოგადოებრივი წესწყობილებაც ან, უკეთ ვთქვათ, უწესრიგობაც თითქმის ისეთივე იყო. თავისუფალი ფრანკი გლეხები თითქმის ისეთივე მდგომარეობაში ჩავარდნენ, როგორც მათი წინამორბედნი, რომაელი კოლონები...

როგორც წინათ გალლიელი გლეხები, ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი ადგილ-მამულის საკუთრების უფლება თავიანთი პატრონისთვის გადაეცათ და ამ საკუთრებას უკან ღებულობდენ როგორც სხვადასხვა ცვალებადი ფორმის ვალდებულებით დატვირთულ ქონებას, ბეგარის სახისა იქნებოდა ეს ვალდებულება თუ გადასახა-

დის; რაკი გლეხი ერთხელ ამგვარად დამოკიდებული ხდებოდა, იგი პირად თავისუფლებასაც ჰკარგავდა; ორიოდე თაობის შემდეგ იგი უკვე ყმა იყო.

[183] გავრცელდა საბატონო ბეგარა, რომლის პროტოტიპს წარმოადგენდა ერთი მხრით რომაული ანგარიები ე. ი. სახელმწიფო ბეგარა, ხოლო მეორე მხრით გერმანელი მარკის წევრების სამუშაოდ გაყვანა ხიდეების და გზების გასაკეთებლად ან სხვა საერთო მიზნებისათვის. როგორც ეტყობა მოსახლეობის მასსამ ოთხასი წლის შემდეგ უკან დაიხია პირვანდელი მდგომარეობისაკენ.

ეს გარემოება ორ რამეს ამტკიცებს; ერთი რომ საზოგადოების დაყოფა და საკუთრების განაწილება დაქვეითების გზაზე დამდგარ რომის იმპერიაში სავსებით შეეფერებოდა წარმოების საფეხურს, რომელზედაც იმ დროს მიწათმოქმედება დამრეწველობა იმყოფებოდა, მაშასადამე ისინი აუცილებელი იყვნენ; მეორე რომ ეს წარმოების საფეხური შემდგომი ოთხასი წლის განმავლობაში არსებითად არც დაქვეითებულა, არც ამაღლებულა, მაშასადამე იგი იმავე აუცილებლობით იმავე საკუთრების განაწილებასა და იმავე მოსახლეობის კლასებს ჰქმნიდა. რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში ქალაქმა დაჰკარგა თავისი წინანდელი ბატონობა სოფელზე, ხოლო გერმანელების ბატონობის პირველ საუკუნეებში იგი აღარ მოუპოვებია. ეს გულისხმობს როგორც მიწათმოქმედების ისე მრეწველობის განვითარების დაბალს საფეხურს. ასეთი საერთო მდგომარეობა აუცილებლად მსხვილ მებატონეებსა და დამოკიდებულ წვრილ გლეხკაცობას ჰქმნის. რა ძნელი იყო ასეთ საზოგადოებაზე ერთი მხრით რომაული ლატიფუნდიების დაშენა მონებითურთ, ხოლო მეორე მხრით ახალი მსხვილი კულტურისა ს. ბეგარო შრომითურთ, ამტკიცებს კარლოს დიდის უზარმაზარი, მაგრამ თითქმის უკვალოდ გამქრალი ცდები, რომელიც მან საიმპერატორო ვილლებზე მოახდინა.

[184] მაგრამ ამ ოთხასი წლის განმავლობაში საზოგადოება მაინც წინ წავიდა. თუ ამ პერიოდის დასასრულში იმავე კლასებს ვპოულობთ, რომელნიც დასაწყისში გავიცანით, ადამიანები, რომელნიც ამ კლასებს ჰქმნიდენ, სხვანაირი გახდენ. გაჰქრა ანტიური მონობა. გაჰქრენ გაბოგანებული თავისუფალი მოქალაქეები, რომელნიც შრომას, როგორც მონობის შესაფერ ფუნქციას, ზიზღით უცქერო-

დენ. რომაელ კოლონებსა და ახალ ყმებს შუა თავისუფალი ფრანკი გლეხი იდგა. ქვემიმავალი რომაელების „უსარგებლო მოგონება და ამაო ბრძოლა“ მკვდარი და დასამარებული იყო. მეცხრე საუკუნის საზოგადოების კლასები წარმოიშვენ არა ქვემიმავალი ცივილიზაციის ჭაობში, არამედ ახალის მშობიარობის ტკივილებში. ახალი თაობა, როგორც ბატონები ისე მსახურები, ვაჟკაცების თაობა იყო თავის რომაელ წინამორბედთან შედარებით. ძლიერი მიწათმფლობელებისა და დამორჩილებული გლეხების ურთიერთობა, რომელმაც ანტიური ქვეყანა ჩიხში მოაქცია და მისი დამხობა გამოიწვია, ახლა ახალი განვითარების გამოსავალ წერტილად იქცა. და გარდა ამისა, რა რიგ უნაყოფოდაც არ უნდა გვეჩვენოს ეს ოთხასი წელიწადი, მან ერთი დიდი ნაყოფი მაინც დაგვიტოვა: თანამედროვე ერები, დასავლეთი ევროპის კაცობრიობის გარდაქმნა და დანაწილება შომავალი ისტორიისთვის. გერმანელებმა მართლაც ხელახლა გამოაცოცხლეს ევროპა, და ამიტომ სახელმწიფოების დაშლა გერმანულ პერიოდში დასრულდა არა მათი დაპყრობით ნორმანებისა და სარკინოზების მიერ, არამედ ბენეფიციების და კომენდაციების (მფარველობის) განვითარებით ფეოდალიზმისკენ და ხალხის ისეთი გამრავლებით რომ ორასი წლის შემდეგ ძლიერმა სისხლის გამოშვებამ ჯვაროსანთა ომის დროს დიდი ზიანი ვეღარ მოიტანა.

მაგრამ რა იყო ის საიდუმლო ჯადოქრული წამალი, რომლითაც გერმანელებმა მომაკვდავ ევროპის ახალი ცხოველმყოფელი ძალა ჩაბერეს? განა ეს მართლაც გერმანელთა ტომის თან დაყოლილი სასწაულ-მოქმედი ნიჭი იყო, როგორც ამას ჩვენი შოვინისტური ისტორიოგრაფია გვარწმუნებს? სრულიადაც არა. გერმანელები განსაკუთრებით იმ დროს მაღალ ნიჭიერ არიელ ტომს წარმოადგენდენ, ისინი ყოველმხრივი ცოცხალი განვითარების გზას ადგენ. მაგრამ ევროპის გაახალგაზრდება გამოიწვია არა მათმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წესწყობილებამ.

მათი პირადი ღირსებები და ვაჟკაცობა, მათი თავისუფლების სიყვარული და დემოკრატიული ინსტინქტი რომლის წყალობით ისინი ყველა საზოგადობრივ საქმეს პირად საქმეთ სთვლიდენ, ერთი სიტყვით ყველა ის თვისებანი, რომელნიც რომაელებმა დაჰკარგეს ან რომელნიც საჭირო იყვნენ რათა რომაული მსოფლიოს ნალეკზე ახალი სახელმწიფოები და ახალი ერები აღმოცენებულიყვნენ, რას წარმოადგენდენ ისინი თუ არა ზედასაფეხურის ბარბაროსების დამახასიათებელ ნიშნებს, მისი გვაროვნული წესწყობილების ნაყოფს?

თუ მათ მონოგამიის ანტიური ფორმა გარდაქმნეს, ოჯახში მამაკაცების ბატონობა შეარბილეს, ქალს უფრო მაღალი მდგომარეობა მიანიჭეს, ვიდრე კლასიკურ მსოფლიოში ჰქონდა, რამ მისცა მათ ამის შესაძლებლობა თუ არ მათმა ბარბაროსობამ, თუ არ მათმა გვაროვნულმა ზნეჩვეულებებმა, მათმა ცხოველმა ტრადიციებმა დედის უფლების ეპოქიდან?

თუ მათ ყოველშემთხვევაში სამ უმნიშვნელოვანეს ქვეყანაში, გერმანიასა, ჩრდილო საფრანგეთსა და ინგლისში, ნამდვილი გვაროვნული წესწყობილების ნაწილი მარკის სახით გადაარჩინეს და ფეოდალურ სახელმწიფოში გადაიტანეს და ამით დაჩაგრულ კლასს, გლეხკაცობას, თვით საშუალო საუკუნოების უმკაცრესი ბატონყმობის ფარგლებში ტერიტორიული შეკავშირების და წინააღმდეგობის საშუალება მისცეს, რომლის მსგავსი არც ანტიურ მონებს ჰქონდათ, არც თანამედროვე პროლეტარებს აქვთ, რით აიხსნება ეს თუ არ მათი ბარბაროსობით მათი ბარბაროსული დასახლების წესით გვაროვნების მიხედვით?

და, ბოლოს, ვის უნდა ეუმადლოდეთ ჩვენ, რომ ანტიურმა მონობამ თანდათან ადგილი დაუთმო პირადი დამოკიდებულების უფრო რბილ ფორმას, გერმანულ ბატონყმობას, რომელმაც, როგორც პირველად ფ უ რ ი ე მ აღნიშნა, დაჩაგრულთ საშუალება მისცა ნელნელა განთავისუფლებულიყვნენ რ ო გ ო რ ც კ ლ ა ს ი (fournit aux cultivateurs des moyens d'affranchissement collectif et progressif). ამ მხრივ ეს ფორმა ბევრად მაღლა სდგას მონობაზე, რომლის დროს შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური განთავისუფლება გარდამავალი საფეხურის გაუვლელად (ძველი ეპოქა არ იცნობს მონობის მოსპობას ძლევამოსილი ამბოხების გზით), მაშინ როცა საშუალო საუკუნეების ყმები თანდათან განთავისუფლდენ როგორც კლასი. ვის ვუმადლოდეთ ჩვენ ყოველივე ამას თუ არა ბარბაროს გერმანელებს, რომელთაც თავიანთი ბარბაროსობის წყალობით ვერ განავითარეს მონობა, ვერც ანტიური მონობა შეჰქმნეს, ვერც აღმოსავლეთური საოჯახო მონობა?

ყოველივე, რაც გერმანელებმა რომაელთა მსოფლიოს ცხოველმყოფელი და გამახალისებელი მისცეს, ბარბაროსობა იყო და მეტი არაფერი. მართლაც მხოლოდ ბარბაროსებს შესწევთ ნიჭი ცივილიზაციის დასასრულისკენ მიმავალი ქვეყნიერება გაახალგაზრდონ. და ამ პროცესისთვის სწორედ ხელსაყრელი იყო ბარბაროსობის

უმაღლესი საფეხური, რომელზედაც გერმანელები ავიდენ ხალხთა გადასახლების წინ. ამით ყოველივე იხსნება.

■

[188] ჩვენ გვაროვნული წესწყობილების დაშლა განვიხილეთ სამ დიდ, სახელდობრ ბერძნების, რომაელების, და გერმანელების მაგალითზე.

■

[192] წარმოების აწევამ ყველა დარგში, მეჯოგეობასა, მიწათმოქმედებასა, შინახელოსნობაში ადამიანის სამუშაო ძალას შესაძლებლობა მისცა მეტი პროდუქტი ეწარმოებინა ვიდრე მისი არსებობისთვის იყო საჭირო. ამავე დროს მან გაადიდა დღიური შრომის რაოდენობა, რომელიც გვარის, საოჯახო კოლექტივის ან ცალკე ოჯახის წევრს უნდა დაეხარჯა. ასასურველი გახდა ახალი სამუშაო ძალების გამოყენება. მათ ომი იძლეოდა: სამხედრო ტყვეები მონებათ აქციეს. შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ შრომის პროდუქტივობის გაძლიერებასა, მაშასადამე, სიმდიდრის ზრდასთან და წარმოების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, საერთოდ მოცემულ ისტორიულ პირობებში, გარდაუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება. პირველი დიდი საზოგადოებრივი შრომის დანაწილებიდან წარმოსდგა საზოგადოების პირველი დიდი გათიშვა ორ კლასად: ბატონებად და მონებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატაციაქმნილებად.

■

[194] წარმოების თანდათანმა გაძლიერებამ და მასთან ერთად შრომის პროდუქტივობის აწევამ ღირებულება შემატა ადამიანის სამუშაო ძალას; მონობა, რომელიც წინა საფეხურზე (ბარბაროსობის მაღალი საფეხური რედ.) ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იყო და შემთხვევითს მოვლენას წარმოადგენდა, ახლა საზოგადოებრივი სისტემის არსებითი ნაწილი გახდა; მონები აღარ წარმოადგენენ უბრალო დამხმარეებს, მათ მთელ რაზმებად ერეკებოდენ ყანაში და სახელოსნოში სამუშაოდ. რაკი წარმოება ორ დიდ მთავარ დარგად, მიწათმოქმედებათ და ხელოსნობად გაიყო,— შეიქმნა წარმოება პირდაპირ აღებმიცემობისათვის. საქონლის წარმოება; ამასთან ერთად გაჩაღდა ვაჭრობა, არა მარტო შიგნით და ტომის საზღვრებზე არამედ ზღვის გაღმა ქვეყნებთანაც. მაგრამ ყოველივე ეს მეტად განუ-

ვითარებელი იყო; ძვირფასი ლითონები თანდათან მთავარი და საზოგადო საქონელ-ფული გახდა. მაგრამ ფული მოუპრელი იყო, იგი აღებმიცემობის დროს ნამდვილი წონის მიხედვით იცვლებოდა.

ახალ შრომის დანაწილებასთან ერთად ხდება საზოგადოების ახალი კლასობრივი გათიშვა, თავისუფალთა და მონათა განსხვავების გვერდით ჩნდება განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

■

[196] ამრიგად, გვაროვნული წესწყობილების ორგანოები თანდათან ნიადაგს ჰკარგავენ ხალხსა, გვარსა, ფრატრიასა, ტომში, და მთელი გვაროვნული წესწყობილება თავის თავის წინააღმდეგობათ იქცევა; ტომების ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმეებს თავისუფლად აწესრიგებდა, იქცევა მეზობლების ძარცვა-გლეჯის და ჩაგვრის ორგანიზაციად. ამისდა მიხედვით მისი ორგანოები, რომელიც ხალხის ნებისყოფის იარაღს წარმოადგენდა ბატონობის და ჩაგვრის დამოუკიდებელ იარაღებად იქცევა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ სიმდიდრის წყურვილს თანამეგვარეები მდიდრებათ და ღარიბებად არ გაეთიშა, თუ „საკუთრების სხვადასხვაობას ერთი და იმავე გვარის ფარგლებში ინტერესთა ერთობა თანამეგვარეების ანტაგონიზმათ არ ექცია“ (მარქსი) და თუ მონობის გაფართოებასთან ერთად ის აზრი არ შემუშავებულიყო, რომ საცხოვრებელი მასალის შრომით მოპოება მონის შესაფერი საქმეა, იგი უფრო სამარცხვინოა ვიდრე ყაჩაღობაო.

■

[197] ცივილიზაცია ამაგრებს და აძლიერებს ყველა ამ მიღწეულ შრომის დანაწილებას, განსაკუთრებით ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის გამძაფრებით (ამასთანავე შეიძლება მოხდეს, რომ ეკონომიურად ქალაქი გაბატონდეს სოფელზე როგორც ეს ანტიურ ეპოქაში იყო, ან პირიქით, სოფელი ქალაქზე საშუალო საუკუნეების მსგავსად), და უმატებს მესამე, ცივილიზაციის დამახასიათებელ, გადამწყვეტი მნიშვნელობის შრომის დანაწილებას: იგი ჰქმნის კლასს, რომელიც მისდევს არა წარმოებას, არამედ პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლას,—ესაა ვაჭართა კლასი.

■

[199] არც ერთს მემდგომი დროის კანონმდებლობას მევალე ისე შეუბრალებლად და დაუნდობლად მევახშე კრედიტორის ფეხთქვეშ არ დაუნარცხებია, როგორც ეს ძველი ათინისა და ძველი რომის კანონმდებლობამ ჩაიდინა,—ორივე ეს კანონმდებლობა კი სპონტანურად წარმოიშვა, როგორც საადათო სამართალი, მხოლოდ ეკონომიური ძალდატანების კარნახით.

ბოლოს საქონელსა და მონებში გამოსახული სიმდიდრისა, ფულადი სიმდიდრის გვერდით გამოვიდა ადგილმამულში გამოსახული სიმდიდრეც. ცალკე პირის საკუთრების უფლება გვარის ან ტომის მიერ გადმოცემულ მიწის ნაკერზე იმდენად გამტკიცდა რომ ეს ნაკერი უკვე მის სამკვიდრო საკუთრებად იქცა.

■

[200] ადგილმამული ახლა იქცა საქონლად, რომელიც შეიძლებოდა გაყიდულიყო და დაგირავებულიყო. როგორც კი მიწის საკუთრება გაჩნდა, ჰიპოტეკაც გამოგონებულ იქმნა (გაიხსენეთ ათინა). როგორც ჰეტერიზმი და პროსტიტუცია მონოგამიას მოსდევს კვალდაკვალ, ისე ჰიპოთეკა მიწის საკუთრებას მოსდევს..... ამრიგად, ვაჭრობია გაფართოებასა, ფულის, მეეახშეობის, მიწის კერძო საკუთრების და ჰიპოტეკის შემოღებასთან ერთად სწრაფად ხდებოდა სიმდიდრის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მცირერიცხოვანი კლასის ხელში, ამასთანავე მასსები უფრო და უფრო ღატაკდებოდენ, ხოლო ღატაკთა მასსა იზრდებოდა. ახალი შეძლებული არისტოკრატია რამდენადაც იგი იმ ავითვე ძველ სისხლის თავადაზნაურობასთან არ იყო შეკავშირებული საბოლოოდ ავიწროებდა და ჩრდილავდა ამ უკანასკნელს, (ათინაში, რომში, გერმანელებს შორის). ამ თავისუფალი მოქალაქეების კლასებად დანაწილების გვერდით, რაიცა სიმდიდრის მიხედვით ხდებოდა, განსაკუთრებით საბერძნეთში არა ჩვეულებრივად მატულობდა მონების რიცხვი[1], მათი იძულებითი შრომა წარმოადგენდა საძირკველს, რომელზედაც მთელი საზოგადოების ზედნაშენი იყო ამართული.

---

[1] ათინისათვის რიცხვი იხ. ზემოთ, 5 თ ა ვ შ ი. კორინთში მონების რიცხვი ქალაქის აყვავების ხანაში 460 000 უდრიდა, ეგინაში 470 000 და ორივე შემთხვევაში ათჯერ სჭარბობდა თავისუფალი მოქალაქეების მოსახლეობას.

■

[201] ამას ზედ დაერთო ახალი, გვაროვნული კავშირისთვის უცხო მოსახლეობის მასსა, რომელიც, როგორც მაგ. რომში მოხდა, შეიძლებოდა ძალად გადაქცეულიყო, მაგრამ ამასთანავე იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ ადვილად ვერ გაითქვიფებოდა სისხლით დანათესავებულ გვარებსა და ტომებში. ამ მასსას გვაროვნული კავშირები უპირდაპირდებოდენ როგორც კარჩაკეტილი, პრივილეგიებით აღჭურვილი კორპორაციები; პირველყო-

ფილი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატია იქცა საზიზღარ არისტოკრატიად, რომელიც სიძულვილს იწვევდა.—გვაროვნული წესწყობილება ისეთი საზოგადოებიდან წარმოსდგა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობებს არ იცნობდა და მხოლოდ უკონფლიქტო საზოგადოებისათვის იყო გამოსადეგი. მას არავითარი იძულების საშუალება არ გააჩნდა გარდა საზოგადოებრივი აზრისა. აქ კი წარმოიშვა საზოგადოება, რომელიც ეკონომიური ცხოვრების პირობების ზეგავლენით იძულებული იყო გათიშულიყო თავისუფალ მოქალაქეებად და მონებად, ექსპლოატატორ მდიდრებად და ექსპლოატირებულ ლატაკებად—რომელსაც არა თუ არ შეეძლო ეს წინააღმდეგობანი ხელახლა შეერიგებია, არამედ მათ უფრო და უფრო ამწვავებდა. ასეთი საზოგადოების არსებობა შეიძლებოდა ან მხოლოდ ამ კლასების განუწყვეტელ ურთიერთ ბრძოლაში, ან კიდევ ისეთი მესამე ძალის ბატონობის ქვეშ, რომელიც ერთი შეხედვით მოქიშპე კლასებზე მაღლა იდგა, მათს აშკარა შუღლს აცხრობდა, ხოლო კლასობრივ ბრძოლას საუკეთესო შემთხვევაში ეკონომიურ სარბიელზე, ეგრეთწოდებულ კანონიერ ფორმაში სთვლიდა დასაშვებად გვაროვნულმა წესწყობილებამ თავისი დრო მოსჭამა. იგი მოსპო შრომის დანაწილებამ და მისმა შედეგებმა, საზოგადოების კლასებად გათიშვამ. მისი ადგილი სახელმწიფომ დაიჭირა.

[202] ჩვენ ზემოდ ცალ-ცალკე განვიხილეთ სამი ძირითადი ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ყალიბდება, როცა იგი გვაროვნული წესწყობილების ნანგრევებზე აღიმართება. ათინა ყველაზე წმინდა, კლასიკურ ფორმას წარმოადგენს: აქ სახელმწიფო პირდაპირ და უმთავრესად იმ კლასობრივი წინააღმდეგობისაგან წარმოსდგა, რომელიც თვით გვაროვნულ საზოგადოებაში განვითარდა. რომში გვაროვნული საზოგადოება კარჩაკეტილ არისტოკრატიას წარმოადგენს, მრავალრიცხოვანი, უუფლებო, მაგრამ ვალდებულებებით დატვირთული პლებსით გარშემორტყმულს; პლებსის გამარჯვება ძირს უთხრის ძველს გვაროვნულს წესწყობილებას და მის ნანგრევებზე სახელმწიფოს აშენებს, რომელშიც გვაროვნული არისტოკრატია და პლებსი ჩქარა სავსებით ქრებიან. ბოლოს რომის იმპერიის გერმანელ დამპყრობელებში სახელმწიფო პირდაპირ იმ დიდი უცხო ტერიტორიების დაპყრობიდან გამომდინარეობს, რომელთა შესანარჩუნებლათ გვაროვნულ წესწყობილებას სათანადო ძალღონე არ ჰქონდა. მაგრამ რადგან ამ დაპყრობასთან დაკავშირებული არაა არც

სერიოზული ბძროლა ძველი მოსახლეობის წინააღმდეგ, არც შრომის დანაწილების წინსვლა, რადგან დამპყრობელებისა და დაპყრობილების ეკონომიური განვითარების საფეხური თითქმის ერთნაირია, მაშასადამე, საზოგადოების ეკონომიური საფუძველი ძველი რჩება, ამიტომ გვაროვნულ წესწყობილებას შეუძლია მრავალი საუკუნე გასძლოს შეცვლილ ტერიტორიულ ფორმაში სამარკო წესწყობილების სახით; ხოლო თავადაზნაურობის და პატრიციების გვარებში, თვით გლეხების გვარებში, როგორც დიტმარშენში გვხვდება, მას შეუძლია ერთი ხნის განმავლობაში ხელახალი გაახალგაზრდება განიცადოს ოდნავი შესუსტებული ფორმით [1].

[1] პირველი ისტორიკოსი, რომელსაც დაახლოებული წარმოდგენა ქონდა გვარის დედაარსზე, ნიბური იყო, და როგორც ამ წარმოდგენას, ისე მასთან დაკავშირებულ შეცდომებს იგი იმ გარემოებას უნდა უმადლოდეს, რომ გაცნობილი იყო დიტმარშენის საგვარეულო თემებთან.

[204] ძველი გვაროვნული ორგანიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფოს უწინარეს ყოვლისა ის ახასიათებს, რომ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ტერიტორიის მიხედვით არიან დანაწილებულნი. ძველი, სისხლის ნათესაობით შექმნილი და დაკავშირებული გვაროვნული კოლექტივები, როგორც დავინახეთ, არადამაკმაყოფილებელი გახდა, უმთავრესად მიტომ, რომ მისი წევრები აღარ ცხოვრობდენ ერთს განსაზღვრულ ადგილას. ტერიტორია დარჩა მაგრამ ადამიანები მოძრავი გახდენ. მაშასადამე, ტერიტორიალური დანაწილება გამოსავალ წერტილად იქცა, მოქალაქეებს კი თავიანთი საზოგადოებრივი უფლებანი და მოვალეობანი იქ უნდა შეესრულებიათ, სადაც ისინი დასახლდებოდენ გვარისა და ტომის დამოუკიდებლად. სახელმწიფოს ქვეშევრდომების ეს ორგანიზაცია ტერიტორიის მიხედვით ყველა სახელმწიფოს ახასიათებს საერთოდ. ამიტომ იგი ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება; მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რა მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლა იყო საჭირო, რომ მას ათინასა და რომში ძველი გვაროვნული ორგანიზაციის ადგილი დაეჭირა.

მეორეა ისეთი საჯარო ხელისუფლების დამყარება, რომელიც განსხვავდება თვით ხალხის მიერ ორგანიზაციულად მოწყობილი შეიარაღებული ძალისგან. ეს განცალკეებული, საჯარო ხელისუფლება საჭიროა მიტომ, რომ მოსახლეობის დამოუკიდებელი შეიარაღებული ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა კლასებათ დაყოფის

შემდეგ. მონებიც მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ; 90 000 ათინელი მოქალაქე მხოლოდ პრივილეგიურ კლასს წარმოადგენს 365 000 მონის წინააღმდეგ. ათინის დემოკრატიის სახალხო ჯარი არისტოკრატიული საჯარო ხელისუფლება იყო მონების მიმართ და იგი მორჩილებაში ჰყავდა; მაგრამ მოქალაქეთა დასამორჩილებლადაც ჟანდარმერია იყო საჭირო.

■

[206] სახელმწიფო წარმოიშვა კლასობრივ წინააღმდეგობათა ლაგამის ამოდების მოთხოვნილებიდან; მაგრამ რადგან ამასთანავე იგი კლასების შეტაკებებში წარმოიშვა, ჩვეულებრივ იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მისი შემწეობით აგრეთვე პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება და ამრიგად ახალ საშუალებას იძენს დაჩაგრული კლასების მოსადრეკად და საექსპლოატაციოდ. ასე მაგ. ანტიური სახელმწიფო უწინარეს ყოვლისა მონათმფლობელთა სახელმწიფო იყო. მის მიზანს მონების მოდრეკა წარმოადგენდა. ფეოდალური სახელმწიფო თავადაზნაურობის ორგანო იყო ყმა და მებეგრე გლეხების დასამორჩილებლად, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფო იარაღს წარმოადგენს, რომლის შემწეობით კაპიტალი დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას ახდენს.

■

[207] ამას გარდა ისტორიული სახელმწიფოების უმრავლესობაში მოქალაქეებისადმი მინიჭებულ უფლებებს ქონების მიხედვით ზომავენ და ამით პირდაპირ ამბობენ, სახელმწიფო მფლობელი კლასების ორგანიზაციაა არამფლობელი კლასების წინააღმდეგ დასაცავად. ათინას და რომს შეძლებული კლასები მართავდენ. საშუალო საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოში პოლიტიკური ხელისუფლების დანაწილება მიწის საკუთრების მიხედვით ხდებოდა. თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოებში საარჩევნო ცენზია შემოღებული.

■

[211] ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ წარმოების საკმაოდ ადრინდელი განვითარების საფეხურზე ადამიანის სამუშაო ძალას შეუძლია ბევრად უფრო მეტი პროდუქტი მოგვცეს, ვიდრე მწარმოებლის შესანახადაა საჭირო, და რომ ამ განვითარების საფეხურზე საერთოდ შრომის დანაწილება და გაცვლა გამოცვლა მყარდება. ამის შემდეგ

ბევრ ხანს არ გაუვლია და აღმოჩენილ იქნა დიდი „ქეშმარიტება“, რომ ადამიანიც შეიძლება საქონელი გახდესო; რომ ადამიანის ძალა შეიძლება გაცვლა-გამოცვლის და გამოყენების საგანი გახდეს, თუ ადამიანს მონად ვაქცევთო. ვერც კი მოასწრეს ადამიანებმა გაცვლა-გამოცვლა დაეწყოთ, რომ თვით გახდენ გაცვლა-გამოცვლის საგანი. აქტიური ბოღვაწე პასიურ ობიექტად იქცა, სულ ერთია სურდათ ეს ადამიანებს თუ არა.

მონობასთან ერთად, რომელიც ცივილიზაციის ხანაში საესებით აყვავდა, საზოგადოებაში პირველად დამყარდა დიდი გათიშვა ექსპლოატატორ და ექსპლოატაციაქმნილ კლასებად. ეს გათიშვა გრძელდებოდა მთელი ცივილიზაციური პერიოდის განმავლობაში. მონობა პირველი, ანტიური მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ფორმაა ექსპლოატაციისა; მას საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა მოსდევს, ახალს ეპოქაში დაქირავებული შრომა. ეს მონობის სამი დიდი ფორმაა; ისინი ახასიათებენ ცივილიზაციის სამ დიდ ეპოქას; მონობა მუდამ ცივილიზაციას მიჰყვება თან, ახდილი თუ ნიღაბჩამოფარებული სახით.

საქონლის წარმოების საფეხური, რომლითაც ცივილიზაცია იწყება—ეკონომიურად ხასიათდება: 1) ლითონის ფულის და მასთან ერთად ფულადი კაპიტალისა, სარგებელის და მევახშეობის გაჩენით; 2) ვაჭრების გაჩენით, ისინი შუამავალი კლასის როლს ასრულებენ მწარმოებლებს შორის; 3) კერძო საკუთრებისა და ჰიპოთეკის დამყარებით და 4) მონური შრომით როგორც გაბატონებული წარმოების ფორმით. ცივილიზაციის შესაფერი და მასთან ერთად საბოლოოდ გაბატონებული ოჯახის ფორმა არის მონოგამია, მამაკაცის ბატონობა დედაკაცზე, და ინდივიდუალური ოჯახი როგორც საზოგადოების სამეურნეო ერთეული. ცივილიზაციური საზოგადოების კვინტესენციას წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც ყველა სანიმუშო პერიოდში გამოუკლებლივ გაბატონებული კლასის სახელმწიფო იყო და ყოველ შემთხვევაში არსებითად დაჩაგრული, ექსპლოატაციაქმნილი კლასის მოსადრეკ მანქანად რჩება. ცივილიზაციისთვის აგრეთვე დამახასიათებელია: ერთი მხრით ქალაქის და სოფლის წინააღმდეგობის ჩამოყალიბება, ეს წინააღმდეგობა მთელი საზოგადოებრივი შრომის დანაწილების საფუძველს წარმოადგენს; მეორე მხრით ანდერძის შემოღება, რომლის შემწეობით მესაკუთრე თავის საკუთრებას განაგებს სიკვდილის შემდეგაც. ანდერძი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ძველ გვაროვნულ წესწყობილებას და ათინაში უცნობი

იყო სოლონამდე, რომში იგი ადრე შემოიღეს, მაგრამ არ ვიცით, როდის[1]; გერმანელებში იგი ხუცებმა შემოიღეს, რათა ძველმა გერ-

[1] ლ ა ს ა ლ ი ს „შეძენილი უფლების სისტემის“ მეორე ნაწილი უმთავრესად იმ დებულების გარშემო ტრიალებს, რომ რომაული ანდერძი ისევე ძველი მოვლენაა, როგორც თვით რომი, რომის ისტორიაში არ არსებულა „ისეთი დრო, როცა ანდერძი არ ს

[75] კლასობრივი ანტაგონიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ამდენ ხანამდე არსებულ საზოგადოებებს, იწვევდა სახელმწიფოს აუცილებლობას, ე. ი. ექსპლოატატორების კლასის ორგანიზაციას წარმოების საერთო პირობების დასაცავად, მაშასადამე გაყოფილი კლასის იძულებითი დაკავება დამორჩილების იმ საფეხურზე, როდესაც მოითხოვდა წარმოების მოცემული წესი (მონობის, ბატონყმური მდგომარეობის ან დაქირავებული მუშების არსებობის პირობებში). სახელმწიფო მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი იყო, იგი აერთიანებდა მას ერთ ხილულ ორგანიზაციაში, მაგრამ იგი ამ როლს ასრულებდა იმდენად, რამდენადაც იგი იყო სახელმწიფო იმ კლასისა, რომელიც თვითონ არის წარმომადგენელი მთელი თანამედროვე საზოგადოებისა: უძველეს დროში—სახელმწიფო მოქალაქე—მონათმფლობელებისა, საშუალო საუკუნეებში—ფეოდალური თავადაზნაურობისა, ჩვენს დროში—ბურჟუაზიისა. დაბოლოს როდესაც იგი გადაიქცევა ნამდვილ წარმომადგენლად მთელი საზოგადოებისა, იგი ზედმეტი გახდება.

■

[85]... დაპყრობამ გერმანელები მიიყვანა რომაულ ოლქში, სადაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მიწა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა (და ამავე დროს რომაულს, განუსაზღვრელს) და სადაც დამპყრობელებს თავისი სიმცირის გამო არაერთარ შემთხვევაში არ შეეძლოთ სავსებით მოესპოთ ასე ღრმათ განმტკიცებული მფლობელობის ფორმა.

■

[92] წინანდელი საუკუნეების ბატონყმური სამართალი, რომელიც შეიცავდა ძველი მონობის ჯერკიდევ მრავალ ნიშნებს, აძლევდენ მემამულეს უფლებებს, რომლებმაც თავიანთი ღირებულება დაჰკარგეს.

ფ. ენგელსი.

გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში.

(Москва 1906).

[47] წინანდელი სათემო მიწა წაერთვა მას (გლეხს. რედ.) ნაწილობრივ წინანდელი ფეოდალური ბატონებისაგან, ნაწილობრივ

განმანათლებელ—ბიუროკრატიული კანონმდებლობის მიერ, რომელიც რომის სამართალზე იყო დამყარებული.

Ф. ЕНГЕЛЬС.

რუსეთის შესახებ.

Изд. «Пролетарий». (Харьков. 1924).

ბოლოსიტყვაობა.

[84] ერთი სიტყვით, რუსეთის თემში იგივე პროცესი დაიწყო, რომელმაც, ფულადი მეურნეობის შეჭრასთან ერთად ათინაში, მცირე ხნის წინ სოლონამდე გამოიწვია ათინის გვაროვნული წყობილების დაშლა. მართალია, სოლონს შეეძლო რევოლუციური თავდასხმის გზით მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა კერძო საკუთრების უფლებაზე გაეთავისუფლებია მონებად ქცეული მოვალეები, უბრალოდ მათი ვალების არანამდვილად გამოცხადებით. მაგრამ მას არ შეეძლო სიცოცხლე დაებრუნებია ძველ—ათინური გვარისთვის. სწორედ ასევე არავითარ ძალას მსოფლიოში არ ძალუძს აღადგინოს რუსეთის თემი, რაკი მისი დაშლის პროცესი განსაზღვრულ საფეხურს მიაღწევს.

Ф. ЕНГЕЛЬС.

ანტი-დიურინგი.

(ქარ. თარგ. სახელგამი. 1933. Ф.)

[4] ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით დაბადებიდანვე დიალექტიკოსები იყვნენ, და ყველაზე უნიველსალური თავის მქონე ადამიანმა მათ შორ[illegible] არისტოტელმა, უკვე დიალექტიკური აზროვნების არსებითი ფორმებიც გამოიკვლია.

■

[4] ამრიგათ, პირველათ ჩვენ ვხედავთ საერთო სურათს, რომელშიდაც კერძოობითი ასე თუ ისე წაშლილია ჩვენ უფრო მეტად ყურადღებას ვაქცევთ მოძრაობის მცველობას, გადასვლებს და შერწყმულობას, ვიდრე მას თუ რა მოძრაობს, გადადის და ირწყმება. ეს პირველყოფილი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე უკვე ძველმა ბერძნულმა ფილოსოფიამ შეიმუშავა და თავდაპირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოსთქვა: ყოველივე

არის და არც არის, იმიტომ, რომ ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, მუდმივ იქნება და ისპობაო... მაგრამ... ეს შეხედულება... მაინც საკმაო არაა... ცალკე მხარეების ასახსნელად... ეს უწინარეს ყოვლისა ბუნების მეცნიერებისა და ისტორიული კვლევა-ძიების ამოცანას წარმოადგენს; ამ დარგებს ადვილად გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა კლასიკური დროის საბერძნეთში, იმიტომ რომ იქ ჯერ კიდევ მასალა უნდა დაგროვილიყო... ამიტომ ზედმიწევნითი ბუნების კვლევაძიების პირველი ხერხები თავდაპირველად ალექსანდრიის პერიოდის ბერძნებმა განავითარეს.

■

[86] ჯერ კიდევ იონიელი ფილოსოფოსების გამოსავალი წერტილი იყო წარმოდგენა მატერიის გაფანტულ მდგომარეობაზე.

■

[50] ბატონ დიურინგს, ის უბედურება ეწვია, რომ მისთვის გაუგებარი დარჩა, როგორ იქცა ესპირველყოფილი ურია სმიტის ასირიული ალმოჩენების შემწეობით პირველყოფილ სემიტად; ისე რომ მთელი ბიბლიური ისტორია ქვეყნის შექმნისა და წარღვნის შესახებ იმ ძველი წარმართული რელიგიური ლეგენდების წრის ნაწილი ყოფილა, რომელიც საერთოა ებრაელებისა და ბაბილონელებისა, ქალდეელებისა და ასირიელებისათვის.

■

[78] უძველეს, ბუნებრივად წარმოშობილ თემებში თანასწორუფლებიანობის შესახებ, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ თემის წევრების მიმართ შეიძლებოდა ლაპარაკი; დედაკაცები, მონები, უცხოელები, თავისთავად ცხადია, გამორიცხული იყვნენ ამ თანასწორობიდან, ბერძნებსა და რომაელებს შორის ადამიანთა უთანასწორობანი ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდენ, ვიდრე რაიმე თანასწორობა. ძველებს აუცილებლად გიჟურად ეჩვენებოდათ ის აზრი, რომ ბერძნებსა და ბარბაროსებს, თავისუფლებსა და მონებს, მოქალაქეებსა და შემოხიზნულთ, რომის მოქალაქეებსა და რომის ქვეშევრდომთ (ფართო გამოთქმა რომ ვიხმაროთ) შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ თანასწორ პოლიტიკურ უფლებებზეო. რომის იმპერიაში ყველა ეს განსხვავებანი თანდათან გაჰქრენ, თავისუფლებისა და მონების განსხვავების გამოკლებით; ამასთანავე წარმოიშვა, ყოველ შემთხვევაში თავისუფალთათვის, კერძო პირთა ის თანასწორობა, რომლის ნიადაგზე განვითარდა რომის სამართალი, ყველაზე სრულ-

ყოფილი ფორმა კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი უფლებისა, რომელსაც ჩვენ საზოგადოდ ვიცნობთ. მაგრამ სანამ თავისუფლების და მონების წინააღმდეგობა არსებობდა, შეუძლებელი იყო ლაპარაკი უფლებრივ დასკვნებზე ზოგადი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი თანასწორობიდან; ჩვენ ეს ცოტა ხნის წინათ დავინახეთ ჩრდილო-ამერიკის კავშირის მონათმფლობელ შტატებში.

ქრისტიანობა იცნობდა მხოლოდ ერთს თანასწორობას ყველა ადამიანისა, პირველშობილი ცოდვის თანასწორობას, რაიც სავსებით შეეფერებოდა მის ხასიათს როგორც მონების და ჩაგრულების რელიგიისა. ამას გარდა იგი დიდი—დიდი შეიძლება იცნობდა რჩეულთა თანასწორობას, რომელსაც მხოლოდ ქრისტიანობის პირველ ხალხებში აღნიშნავდენ ხაზგასმით. ქონების განზოგადოების ნიშნები, რომელსაც აგრეთვე ახალი რელიგიის დასაწყისში ვხვდებით, უფრო დევნილთა ერთად ცხოვრების საჭიროებით აიხსნება, ვიდრე ნამდვილი თანასწორობის წარმოდგენებით. ჩქარა სასულიერო და საერო პირების წინააღმდეგობის დამყარებამ ბოლო მოუღო ამ ქრისტიანული თანასწორობის ჩანასახსაც.

■

[80] მაგრამ რადგან ეს ხდებოდა არა მსოფლიო იმპერიაში, როგორც რომის იმპერია იყო, არამედ ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისტემაში, რომელნიც დაახლოებით ბურჟუაზიული განვითარების ერთს დონეზე იდგენ და ერთმანეთს ისე ეპყრობოდენ როგორც თანაბარი თანაბარს, ადვილად გასაგებია, რომ ამ მოთხოვნამ ზოგადი, ცალკე სახელმწიფოს საზღვრების გადამლახავი ხასიათი მიიღო, რომ თავისუფლება და თანასწორობა ა დ ა მ ი ა ნ უ რ უ ფ ლ ე ბ ა თ იქნენ გამოცხადებული.

■

[98] და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც ეგრედწოდებულმა წინააღმდეგობის დიალექტიკამ ფილოსოფიაში შეასრულა ძველი ბერძნებიდან დაწყებული დღემდე...

■

[110] ანტიური ფილოსოფია პირველყოფილი, ბუნებრივად აღმოცენებული მატერიალიზმი იყო. როგორც ასეთს მას უნარი არ შესწევდა გამოერკვია აზროვნების დამოკიდებულება მატერიასთან. ამ საკითხის გამორკვევის აუცილებლობამ გამოიწვია მოძღვრება სხეულისა-

გან გამოთიშულ სულზე, შემდეგ ამ სულის უკვდავების დადასტურება, ბოლოს, მონოთეიზმი. მაშასადამე, ძველი მატერიალიზმი უარყოფილ იქნა იდეალიზმის მიერ, მაგრამ ფილოსოფიის შემდგომს განვითარებამი იდეალიზმიც უძლური აღმოჩნდა და იგი თანამედროვე მატერიალიზმმა უარყო. ეს უარყოფის უარყოფა წარმოადგენს არა ძველის უბრალო ხელახლა აღდგენას, არამედ მის ურყევ საფუძვლებს უმატებს როგორც ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ორი ათასი წლის განვითარების მთელ იდეურ შინაარსს, ისე ოვით ამ ორი ათასი წლის ისტორიას.

■

[117] როგორც მსხვილი, ისე წვრილი მიწათმფლობელობა იმ ისტორიული წინაპირობების მიხედვით, საიდანაც ისინი განვითარდენ მეტად განსხვავებულ განაწილების ფორმებს ხდიან შესაძლებლად. მაგრამ აშკარაა, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა მუდამ სხვანაირ განაწილებას იწვევს, ვიდრე წვრილი; მსხვილი მიწათმოქმედება გულისხმობს ან ჰქმნის კლასთა წინააღმდეგობას მიწათმფლობელებსა და მონებსა, მიწათმფლობელებსა და მებეგრე გლეხებსა, კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის, მაშინ როცა წვრილი მიწათმოქმედების დროს სრულიადაც აუცილებელი არაა კლასობრივი განსხვავება სამიწათმოქმედო წარმოებაში ჩაბმულ ინდივიდებს შორის და, პირიქით, მისი გაჩენა პარცელური მეურნეობის დაქვეითების დასაწყისს მოწმობს.

■

[128] ყველა ვერ გამოიყენებს მონის შრომას. მის გამოსაყენებლად ორი რამაა საჭირო: ერთი, შრომის იარაღი და მასალა მისი შრომისთვის, მეორე — სახსარი მის შეჭირვებულად შესანახად. მაშასადამე, სანამ მონობა შესაძლებელი გახდებოდეს, საჭიროა ერთგვარი საფეხურის მიღწევა წარმოებაში და ერთგვარი უთანასწორობის დამყარება განაწილებაში. ხოლო, რათა მონური შრომა გაბატონებული წარმოების წესი გახდეს მთელს საზოგადოებაში, საჭიროა, რომ წარმოება, ვაჭრობა და სიმდიდრის დაგროვება ბევრად უფრო მაღალ დონეზე ავიდეს. ძველ ბუნებრივად აღმოცენებულ საზოგადოებებში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა იყო გაბატონებული, მონობა ან სულ არ არსებობს ან მეორე ხარისხოვან როლს ასრულებს. იგივე ითქმის პირველყოფილ გლეხურ ქალაქ რომზე; როცა, პირიქით, რომი მსოფლიო ქალაქი გახდა, ხოლო იტალიის ად-

გილმამული საოცრად მდიდარი მესაკუთრეების მცირე რიცხოვანი კლასის ხელში დაგროვდა, გლეხთა მოსახლეობა მონათა მოსახლეობამ განდევნა. თუ სპარსელთა ომების დროს მონების რიცხვი კორინთში 400.000 ავიდა, ხოლო ეგინაში 470.000, ისე რომ თითო თავისუფალ მოქალაქეზე ათი მონა მოდიოდა, ამ სთვის სხვა რაიმე იყო საჭირო გარდა „ძალმომრეობისა", სახელდობრ მაღალგანვითარებული მხატვრული და ხელოსნური მრეწველობა და ფართო ვაჭრობა. მონობა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ენად ძალმომრეობას არ ეყრდნობოდა, რამდენადაც ინგლისის ბამბის მრეწველობას; იმ კუთხეებში, სადაც ბამბა არ მოდიოდა. ან სადაც მოსაზღვრე შტატების მსგავსად მონების მოშენებას აწარმოებდენ ბამბის მომყვანი შტატებისთვის, იგი თავისთავად მოისპო, ძალმომრეობის გამოუყენებლად, უბრალოდ, იმიტომ, რომ იგი ხარჯებს არ ფარავდა.

[142] და აქ ყველა კოლტუროსანი ერის ისტორიის დასაწყისში ჩვენ ვპოულობთ არა „მსხვილი მიწის მებატონეს... არამედ ტომსა და სოფლის თემს სათემო მიწათმფლობელობით. ინდოეთიდან ირლანდიამდე მიწის დამუშავება დიდი მასშტაბით თავდაპირველად ასეთი ტომისა და სოფლის თემების შემწეობით ხდებოდა, ისე რომ ხან მთელი თემი ერთად მუშაობდა, ხან კიდევ (ალკე ოჯახები ამუშავებდენ თემის მიერ მიზომილ მიწის ნაკვეთებს, მაგრამ ტყე და საძოვარი სათემო მფლობელობაში რჩებოდა... ყველა მისი (დიურინგის რედ.) თხზულება მოწმობს ავტორის სრულ უცოდინარობას მიურერის მიერ დაწერილი ეპოქის შეჭვნელი გამოკვლევისა პირველყოფილ გერმანულ სამარკო წესწყობილებაზე.... და აგრეთვე.. ზრდის პროცესში მყოფი ლიტერატურისა, რომელიც იკვლევს პირველყოფილ სათემო მიწათმფლობელობას...

ბატონი დიურინგის მტკიცება, რომ დიდი მასშტაბით მიწის საკუთრების დასამუშავებლად მიწათმფლობელები და ყმები იყენენ საჭიროო, წმინდად მის „თავისუფალ შემოქმედებასა და ფანტაზიას" წარმოადგენს. მთელ აღმოსავლეთში, სადაც მიწის მესაკუთრე ან თემია ან სახელმწიფო, ენას აკლია თვით სიტყვა მემამულე... აღმოსავლეთში პირველად თურქებმა შემოიღეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთგვარი მიწათმფლობელური ფეოდალიზმი. უკიდეგმირეული პერიოდის საბერძნეთი ისტორიაში წოდებრივად დანაწილე-

ბული შედის, რაიცა თავის მხრივ ხანგრძლივი, გამოუკელეველი პრეის ტორიის ნაყოფს წარმოადგენს; მაგრამ იქაც მიწას უმთავრესად დამოუკიდებელი გლეხები ამუშავებენ; კეთილშობილთა და ტაძის მთავართა დიდი მამულები გამონაკლისს წარმოადგენენ და ამას გარდა ჩქარაც ჰქრებიან. იტალია უმთავრესად გლეხებმა დაამუშავეს; როცა რომის რესპუბლიკის უკანასკნელ ხანაში მსხვილმა მამულებმა, ლატიფუნდიებმა, წვრილი გლეხები გააძევეს და მონებით შესცვალეს, ამავე დროს მათ მიწათმოქმედება მესაქონლეობით შესცვალეს და, როგორც უკვე პლინიუსმა აღნიშნა, იტალია დაღუპეს (latifundia Italiam perdidere). საშუალო საუკუნოებში მთელს ევროპაში (განსაკუთრებით უდაბური მიწების დამუშავების დროს) გლეხური კულტურა ბატონობს, ამ შემთხვევაში კი ზემოთ აღნიშნული საკითხისათვის სულერთია იხდიდენ თუ არა გადასახადს და რამდენს იხდიდენ ამა თუ იმ ფეოდალური მეპატონის სასარგებლოდ. ფრიზელი, ქვემო საქსონელი ფლამანდიელი და ქვემო რეინელი კოლონისტები, რომელნიც ამუშავებდენ სლავიანებისათვის წართმეულ მიწებს ელბის აღმოსავლეთით, მეტად მცირე გადასახადს იხდიდენ როგორც თავისუფალი გლეხები და არავითარი ბეგარით არ იყვნენ დატვირთული.

ჩრდილოეთ ამერიკაში მიწის უდიდესი ნაწილი თავისუფალი გლეხების შრომით იქნა დამუშავებული, მაშინ როცა სამხრეთი შტატების დიდმა მემამულეებმა თავიანთი მონებითა და ყაჩაღური მეურნეობით იძულებულ გამოფიტეს ნიადაგი, რომ ზედ არაფერი იზრდებოდა გარდა ნაძვისა.... ერთი სიტყვით, თუ ტროპიკულ კოლონიებს გამოვაკლებთ, სადაც ჰავა ევროპიელს სამიწათმოქმედო შრომას უკრძალავს, მსხვილი მემამულე, რომელიც თავისი მონებისა ან ყმების შემწეობით ბუნებას იცვამდებარებს და ნიადაგს ამუშავებს, წმინდა ფანტაზია აღმოჩნდება. პირიქით, სადაც იგი ძველ დროს სარბიელზე გამოდის, როგორც მაგ., იტალიაში, უდაბურ ადგილებს კი არ ამუშავებს, არამედ გლეხების მიერ დამუშავებულ სახნავ-სათეს მიწებს საძოვრად აქცევს, ხალხისგან აცარიელებს და ანგრევს მთელს კუთხეებს... ჩვენ აქ საქმე გვაქვს ბატონი დიურინგის მტკიცებასთან, რომ დიდი ტერიტორიების დამუშავება „არასოდეს და არსად" არ მომხდარა სხვანაირად თუ არ მსხვილი მემამულეებისა და ყმების შემწეობითო... ამიტომ ჩვენ აქ არც იმის გამორკვევას შევუდგებით, რამდენად მონებით (როგორც საბერძნეთის აყვავების ხანაში) ან ყმებით (როგორც საშუალო საუკუნეების საბეგრე მამულებში) ამუშავებდენ სხვა და სხვა დროს უკვე კულტურის ქვეშ მყოფ მიწებს...

მაშასადამე, ბატონობის და დამონების ურთიერთობა ხელახლა ასახ-ხნელი რჩება.

იგი ორი გზით წარმოიშვა.

როგორც ადამიანები თავდაპირველად ცხოველთა სამეფოდან (ამ ცნების ვიწრო გაგებით) გამოდიან, ისტორიაშიც ისე შედიან: ჯერ კიდევ ნახევრად ცხოველები, ველურები, ისინი ჯერ კიდევ უილაჯონი არიან ბუნების ძალების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ არ იცნობდენ თავიანთ საკუთარ ძალებს; ამიტომ ისინი ისევე ღარიბები იყვნენ როგორც ცხოველები და მათზე ბევრად მეტს როდი აწარმოებდენ. გაბატონებულია ერთგვარი თანასწორობა ცხოვრების პირობებში, ხოლო ოჯახის მეთაურობისთვის აგრეთვე ერთგვარი თანასწორობა საზოგადოებრივ მდგომარეობაში, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი კლასების უქონლობა, რაიცა შემდეგ კულტუროსანი ხალხების ბუნებრივად აღმოცენებულ, მიწათმომქმედ თემებში გრძელდება. თითოეულ ასეთ თემში იმთავითვე, ზოგიერთი საერთო ინტერესი არსებობს, რომელთა დაცვა ცალკე პირებს უნდა დაეკისროს, თუნდაც მთელი საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ: შულლის დაცხრობა, რეპრესიული ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ ცალკე პირმა არ გადააჭარბოს თავისი უფლებანი, წყლის აუზებზე მეთვალყურეობა, განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, ბოლოს, რელიგიური ფუნქციები. ასეთი თანამდებობის პირები ყოველ ეპოქაში გვხვდებიან პირველყოფილ თემებში, ასე, მაგალითად, უძველეს გერმანულ სამარკო თემში, ხოლო დღეს ინდოეთში. ისინი, რასაკვირველია, ერთგვარად უფლებამოსილნი არიან და სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენენ. საწარმოო ძალები თანდათან იზრდებიან; ხშირი მოსახლეობა აქ ჰქმნის საერთო ინტერესებს, იქ ერთი მეორის საწინააღმდეგოს ცალკე თემებს შორის, რომელთა დაჯგუფება დიდ ერთეულებად თავის მხრით ახალ შრომის დანაწილებას იწვევს, ორგანოების შექმნას საერთო ინტერესების დასაცავად და გამთიშავი ინტერესების დასათურგნავად. ეს ორგანოები, რომელთაც, როგორც მთელი ჯგუფის ზოგადი ინტერესების წარმომადგენელთ, თითოეული განცალკევებული თემის მიმართ განსაკუთრებული, ხოლო გარკვეულ პირობებში თვით მტრული მდგომარეობა უჭირავთ, ჩქარა კიდევ უფრო დამოუკიდებელი ხდებიან, ნაწილობრივ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემის გამო, რაიცა თითქმის აუცილებლად წესდება იმ ყოფაცხოვრებაში, სადაც ყოველივე ბუნებრივი ძალდაუტანებლობით მიმდინარეობს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ხშირდება კონფლიქტები სხვა ჯგუ-

ფებთან, რაიცა აძლიერებს ამ ორგანოების აუცილებლობას. ჩვენთვის აქ საჭირო არაა იმის დაწვრილებით განხილვა, როგორ გაძლიერდა საზოგადოებრივი ფუნქციების დამოუკიდებლობა საზოგადოების მიმართ იმდენად, რომ გაბატონდა საზოგადოებაზე, როგორ გადაიქცა მოსამსახურე თანდათან ხელშემწყობ პირობებში ბატონად, და გარემოების მიხედვით ხან აღმოსავლეთ დესპოტად ან სატრაპად მოგვევლინა, ხან ბერძნული ტომის მთავრად, ხან კელტების კლანის შეკვად და სხვ., რამდენად იყენებდა იგი ამ ცვლილებებში ძალმომრეობას და როგორ შედუღდენ ცალკე პირები, რომელთაც ბატონობას მიაღწიეს, გაბატონებულ კლასებად. აქ მხოლოდ იმ ფაქტის დადგენაა საჭირო, რომ პოლიტიკურ ბატონობას ყოველგან საზოგადოებრივი მოხელის მოქმედება ედო საფუძვლად; პოლიტიკური ბატონობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ხანგრძლივად მტკიცე, როცა ამ თავის საზოგადოებრივ ვალდებულებას ასრულებდა. თითოეულმა იმ მრავალი დესპოტიიდან, რომელნიც იშობოდენ და ემხობოდენ სპარსეთსა და ინდოეთში, ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მინდვრების მორწყვის მთავარი მომწესრიგებელი იყო, მოურწყავად იქ შეუძლებელია მიწათმოქმედება. ეს გარემოება მხოლოდ განათლებულმა ინგლისელებმა ვერ შეამჩნიეს ინდოეთში; მათი მფლობელობის დროს სარწყავი არხები და შლიუზები განადგურდა და, ბოლოს, შიმშილმა, რომელიც რეგულიარულად მეორდება ინდოეთში, გამოააშკარავა, რომ მათ უყურადღებოდ დასტოვეს ერთადერთი ფუნქცია, რომელიც მათ ბატონობას ინდოეთში, ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც გაამართლებდა, როგორც მათი წინამორბედების ბატონობას ამართლებდა.

ამ კლასთა ორგანიზაციის გვერდით მეორეც ხდებოდა. ბუნებრივად აღმოცენებული დანაწილება შრომისა მიწათმოქმედ ოჯახში კეთილდღეობის განსაზღვრულ საფეხურზე ნებას იძლეოდა მისთვის ერთი ან რამდენიმე უცხო სამუშაო ძალა მიემატებიათ. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ხდებოდა, სადაც სათემო მიწათმფლობელობა დაიშალა ან სადაც ყოველ შემთხვევაში, მიწის ძველებურმა დამუშავებამ ადგილი დაუთმო ცალკე ნაკრების დამუშავებას სათანადო ოჯახების მიერ. წარმოება იმდენად განვითარებული იყო, რომ ადამიანის სამუშაო ძალას ახლა მეტის შექმნა შეეძლო, ვიდრე მისი უბრალო არსებობისთვის იყო საჭირო; გაჩნდა სახსარი მეტი სამუშაო ძალის შესანახავად და ასამოქმედებლად; სამუშაო ძალამ ღირებულება შეიძინა. მაგრამ არც საკუთარი თემი, არც კავშირი, რომელსაც თემი ეკუთვნოდა, არ იძლეოდა თავისუფალ, ზედმეტ სამუშაო

ძალებს. პირიქით, ამ ძალას ომი აწვდიდა, ომი კი ისეთივე ძველი ამბავი იყო, როგორც რამდენიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ერთდროული თანაარ ებობა. მანამდე არ იცოდენ, როგორ მოეხმარათ საშხედრო ტყვეები. მათ ხოცდენ, წინათ კიდეც სჭამდენ. „ეკონომიური მდგომარეობის“ ამ მიღწეულ საფეხურზე კი ტყვეებმა ღირებულება მოიპოვეს; მათ სიცოცხლეს უნარჩუნებდენ და მათ შრომას იყენებდენ. ამრიგად, იმის მაგივრად, რომ ძალმომრეობას ეკონომიურ მდგომარეობაზე ებატონა, პირიქით, მას ემსახურებოდა. აღმოჩენილ იქნა მ ო ნ ო ბ ა. იგი ჩქარა წარმოების გაბატონებული ფორმა გახდა ყველა ხალხში, რომელთაც ზრდაში წააცილეს ძველ სათემო წესწყობილებას, მაგრამ ბოლოს მათი დაშლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გადაიქცა. პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის და ამით ნიადაგი მოუმზადა ანტიური ქვეყნის აყვავებას ბერძნობის სახით. თუ მონობა არ ყოფილიყო, არც საბერძნეთის სახელმწიფო, ხელოვნება და მეცნიერება იქნებოდა; თუ მონობა არ ყოფილიყო, არც რომის იმპერია იქნებოდა. ხოლო ბერძნებისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საძირკვლის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვითარების წინამძღვარს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, სადაც მონობა ისევე აუცილებელი იყო, როგორადაც საყოველთაოდ აღიარებული. ამ გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: თუ ანტიური მონობა არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა. მეტად ადვილი საქმეა მაღალფარდოვანი ფრაზებით თავდასხმა მონობასა და სხვა ამგვარ მოვლენებზე და მაღალი ზნეობრივი გულისწყრომის გადანთხევა ასეთ სამარცხვინო საგნებზე სამწუხაროდ ამით მხოლოდ ის გამოითქმის, რაც ყველამ იცის, სახელდობრ, რომ ეს ანტიური დაწესებულებანი აღარ შეეფერებიან ჩვენს თანამედროვე პირობებს და ამ პირობების მიერ გამოწვეულ გრძნობებს. მაგრამ ჩვენ სრულიად ვერაფერს ვეტყობილობთ იმის შესახებ, როგორ წარმოსდგენ ეს დაწესებულებანი, რად არსებობდენ ისინი და რა როლი შეასრულეს ისტორიაში. ხოლო რაკი ამ საგანზე შევჩერდით, თუნდ ეს წინააღმდეგობად და მწვალებლობად გვეჩვენოს უნდა ვთქვათ, რომ მონობის შემოღება იმ დროინდელ პირობებში დიდი პროგრესი იყო. ფაქტია ის ამბავი, რომ ველურობა მხეცობიდან გამოვიდა და ამიტომ ბარბაროსული, თითქმის მხეცური საშუალებანი იყო საჭირო, რათა მას ბარბაროსობისთვის დაეღწია თა-

ვი. სადაც ძველი თემი გადარჩა, იგი ათასი წლების განმავლობაში უტლანქსი საბელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის საფუძველს წარმოადგენს ინდოეთიდან რუსეთამდე. მხოლოდ იქ, სადაც იგი დაიშალა, ხალხები წინ წავიდენ დამოუკიდებლად და მათი უახლოესი ნაბიჯი ეკონომიური პროცესის გზაზე მდგომარეობდა წარმოების გაძლიერებასა და განვითარებაში მონური შრომის შემწეობით. ეს გასაგებია: სანამ ადამიანის შრომა იმდენად ნაკლებ პროდუქტიული იყო, რომ მცირეოდენ ნაჭარბს იძლეოდა ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო საარსებო საშუალებებზე ზევით, საწარმოო ძალების გაძლიერება, აღებმიცემობის გაფართოვება, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება, ხელოვნებისა და მეცნიერების დაფუძნება მხოლოდ გაძლიერებული შრომის დანაწილებით იყო შესაძლებელი, რ ს საძირკველსაც წარმოადგენდა დიდი შრომის დანაწილეა უბრალო ფიზიკური შრომით დატვირთულ მასებსა და მცირერიცხოვან პოიკილეგიურთ შორის, რომელნიც შრომას, ეკონომიას, სახელმწიფო საქმეებს ხელმძღვანელობდენ, ხოლო შემდეგ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში იღწოდენ. ამ შრომის დანაწილების უმარტივესი, ბუნებრივად აღმოცენებული ფორმა სწორედ მონობა იყო. ძველი, კერძოდ ბერძნული მსოფლიოს ისტორიულ პირობებში წინსვლა კლასობრივ წინააღმდეგობებზე დაფუძნებული საზოგადოებისაკენ შეიძლებოდა მხოლოდ მონობის ფორმით მომხდარიყო. თვით მონებისთვისაც ეს პროცესი იყო: სამხედრო ტყვეები, რომელთაგანაც მოსების მასა იკრიფებოდა, ახლა სიცოცხლეს მაინც ინარჩუნებდენ, მაშინ როცა წინათ მათ ხოცავდენ, ხოლო კიდევ უფრო ადრე მათ სჭამდენ.

ამ შემთხვევის გამო დავუმატოთ, რომ ყველა დღემდე არსებული ისტორიული წინააღმდეგობანი ექსპლოატატორ და ექსპლოატაციაქმნილ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის აიხსნებიან ადამიანის შრომის იმავე შედარებით განუვითარებელი ნაყოფიერებით. სანამ რეალურად მშრომელი მოსახლეობა იმდენად დატვირთული იყო აუცილებელი შრომით, რომ დრო არ რჩებოდა საზოგადო საქმეებისთვის — შრომის ხელმძღვანელობისა, სახელმწიფო საქმეებისა, მართლმსაჯულებისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისთვის და სხვ. უნდა არსებულ ყო განსაკუთრებული კლასი, რომელიც განთავისუფლებული იყო ნამდვილი შრომისაგან და ამ საქმეებს უძღვებოდა; ამავე დროს ეს კლასი არასოდეს ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა მშრომელი მასები უფრო და უფრო მეტი შრომით დაეტვირთა თავის სასარგებლოდ. მხოლოდ მსხვილი ინდუსტრიის მიერ მიღწეული გაძლიერება საწარ-

მოო ძალების ნებას მოგვცემს გამოუკლებლივ საზოგადოების ყველა წევრზე გავანაწილოთ შრომა და ამით თითოეულის სამუშაო დრო ისე შევამოკლოთ, რომ ყველას თავისუფალი დრო დარჩეს, რათა მონაწილეობა მიიღოს საზოგადო საქმეებში, როგორც თეორიულში, ისე პრაქტიკულში. მაშასადამე, მხოლოდ დღეს გახდა ყოველი გაბატონებული და ექსპლოატატორი კლასი არა მარტო ზედმეტი, არამედ საზოგადოებრივი განვითარების შემფერხებელიც, და მხოლოდ დღეს მოისპობა იგი შეუბრალებლად, სულერთია, რა „უშუალო ძალაც" უნდა იყოს მის ხელთ.

მაშასადამე, თუ ბატონი დიურინგი ბერძნობაზე ცხვირ აწეული ლაპარაკობს, იმიტომ, რომ იგი მონობას ეკრძნობოდა, მას იმავე უფლებით შეუძლია ბერძნებს უსაყვედუროს, რატომ ორთქლის მანქანები და ელექტრონის ტელეგრაფი არ გქონდათო. ხოლო, როცა იგი ამტკიცებს, თანამედროვე შრომის დამონება მხოლოდ მონობის ოდნავ შეცვლილ და შერბილებულ მეჩვიდრეობას წარმოადგენს და ვერ აიხსნება თავის თავითო (ე. ი. თ.ნამედროვე საზოგადოების ეკონომიური კანონებითო), ეს ან მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ როგორც დაქირავებული შრომა, ისე მონობა დაჩაგვრისა და კლასობრივი ბატონობის ფორმებია, რაც ყოველმა ბალღმა იცის, ან კიდევ იგი ყალბია, იმიტომ რომ ჩვენ შეგვეძლო იმავე უფლებით გვეთქვა, დაქირავებული შრომა შეიძლება აიხსნას მხოლოდ როგორც იმ კაცი-ჭამიობის შერბილებული ფორმა, რომელიც, როგორც ახლა ცნობილია, დამარცხებული მტრის გამოყენების პირველყოფილ სახეს წარმოადგენს.

[151] იმ მეტად შორეული დროიდან, როცა მონების დაპერა და მონების ექსპლოატაცია როგორც საქმიანობის დარგები გაითიშენ, მონური შრომის ექსპლოატატორებს მონები უნდა ეყიდათ, ე. ი. ადამიანებზე ბატონობა შეეძინათ საგნებზე ბატონობის შემწეობით, ეს საგნები იყო მონის ფასი, მისი სარჩო და შრომის საშუალებანი.

[152] ბატონი დიურინგის მიხედვით კაპიტალი იქნებოდა არა მარტო ამ კორინთელი ან ათინელი მოქალაქეების მოძრავი და უძრავი სიმდიდრე, რომელნიც მონებით აწყობოებდენ მეურნეობას,

არამედ იმპერიის დროის რომაელი მსხვილი მემამულეების და საშუალო საუკუნეების ფეოდალური ბარონების სიმდიდრეც, რამდენადაც იგი ამათუიმ სახით წარმოებას ემსახურებოდა.

■

[189] რადგან პოლიტიკური ეკონომია, როგორც იგი ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა, არსებითად წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების პერიოდის ეკონომიური ურთიერთობათა მეცნიერულ განხილვას, ამ მეცნიერების ცალკე დებულებები და თეორემები მხოლოდ იმდენად შეიძლება, მაგალითად, ძველი ბერძნული საზოგადოების მწერლების ნაწერებში შეგვხვდეს, რამდენადაც ზოგიერთი მოვლენა, საქონლის წარმოება, ვაჭრობა, ფული, სარგებლის მომტანი კაპიტალი და სხვ. საერთოა ორივე საზოგადოებისთვის. როცა ბერძნები შემთხვევით ექსკურსიებს აკეთებენ ამ დარგში, ისინი იმავე გენიოსობას და ორიგინალობას იჩენენ, როგორც ყველა სხვა დარგში გამოიჩინეს. ამიტომ მათი შეხედულებანი ისტორიულად თანამედროვე მეცნიერების თეორიულ გამოსავალ წერტილს წარმოადგენს....

არისტოტელეს დებულება, რომ „ყოველი ქონების გამოყენება ორნაირია, ერთი ნივთის თვისებადია როგორც ასეთისა. მეორე კი არა, როგორც, მაგალითად, სანდალის გამოყენება ფეხზე ჩასაცმელად და მისი გაცვლა ალებმიცემობაში, ორივე სანდალის გამოყენების წესს წარმოადგენს, იმიტომ რომ ისიც, ვინც სანდალს იმაში სცვლის, რაც მას აკლია, ფული იქნება ეს თუ საკვები, სანდალს იყენებს როგორც სანდალს, მაგრამ იყენებს არა მისი ბუნებრივი მოხმარების წესის მიხედვით, იმიტომ რომ იგი სრულიადაც გასაცვლელად არაა დანიშნული“,—ეს დებულება ბატონი დიურინგის აზრით გამოთქმულია „არა მარტო ტრივიალურად და სკოლურად“.....

„პლატონის ნაწერებში სახელმწიფოს შესახებ შეეცადენ ალმოეჩინათ..... თანამედროვე იდეა სახალხო საერთაშორისო შრომის დანაწილების შესახებ“. ეს, ალბათ, ეხება „კაპიტალის“ XII თავს, 5, მესამე გამოცემის 369 გვერდს, სადაც, პირიქით, დამტკიცებულია, რომ კლასიკური ძველი დროის შეხედულება შრომის დანაწილებაზე „მძაფრად ეწინააღმდეგება“ თანამედროვე შეხედულებას.—ბატონი დიურინგი ათვალისწუნების გამოსახატავად მხრებს იჩეჩავს პლატონის მიერ შრომის დანაწილების თავის დროისთვის გენიალურად გადმოცემის გამო, ეს შრომის დანაწილება, პლატონის აზრით, ქალაქის (რომელსაც ბერძნები აიგივეებდენ სოფელთან) ბუნებრივ სა-

ძირკველს წარმოადგენდა; ეს იმიტომ ხდება, რომ პლატონმა არ მოიხსენა (მაგრამ სამაგიეროდ მოიხსენა ბერძენმა ქსენოფონმა, ბატონო დიურინგ!) „საზღვარი, რომელსაც ბაზრის ესათუის მოცულობა ჰქმნის პროფესიების შემდგომი განშტოებისათვის...

■

[228. შენიშვნა 1]... გაკვრით აღვნიშნავთ, რომ დაქირავებულიშრომა, რომელშიც ჩანასახისებურად უკვე მთელი კაპიტალისტური წარმოების წესია მოქცეული, მეტად დიდი ხნის მოვლენაა; განცალკევებულად და აქა-იქ მას მთელი საუკუნეების მანძილზე ვხვდებით ძონობის გვერდით. მაგრამ ეს ჩანასახი კაპიტალისტური წარმოების წესად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გაშლილიყო, რაც ამის ისტორიული წინამძღვრები შეიქმნა.

■

[269] ფანტასტიური ფორმები, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდენ, ახლა საზოგადოებრივ ატრიბუტებს იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლები ხდებიან [1]. განვითარების შემდგომ საფეხურზე მრავალი

---

[1] ეს უფრო გვიან ჩამოყალიბებული ორმაგი ხასიათი ღმერთებისა ვერ შეამჩნია შედარებითი მითოლოგიამ, რომელიც მათ ცალმხრივად ახასიათებს როგორც ბუნებრივი ძალების ანარეკლთ, და ამან შემდეგ დიდი არევდარევა გამოიწვია მითოლოგიებში. ასე, მაგალითად, ზოგიერთ გერმანულ ტომში ოშის ღმერთს ძველ ნორმანურად ტირი ჰქვია, ძველ ხვმოგერმანულად ციო, მაშასადამე, იგი შეესაბამება ბერძნულ ძეუსს, ლათინურ იუპიტერს, მაშასადამე, შეესაბამება ბერძნულ არესს, ლათინურ მარსს.

ღმერთის ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ატრიბუტი გადაიტანება ერთ ყოვლის შემძლე ღმერთზე, რომელიც თავის მხრით თვით აბსტრაქტული ადამიანის გამონაკრთომია. ასე წარმოსდგა მონოთეიზმი, რომელიც ისტორიულად ნაგვიანევი ბერძნული ვულგარული ფილოსოფიის უკანასკნელი პროდუქტი იყო და რომელმაც ებრაელების განკერძოებულ ეროვნულ ღმერთში იეჰოვაში თავისი განხორციელება იპოვა.

■

[273] მას (დიურინგს. რედ.) სურს მოსპოს ორივე ბერკეტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ცოტაოდენ შესაძლებლობას მაინც იძლევა შეზღუდული ნაციონალური თვალსაზრისის გადასალა-

ხავად: ძველი ენების ცოდნა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ყველა ერის კლასიკურად განათლებულ ადამიანებს საერთო ჰორიზონტს უხსნის თვალწინ და ახალი ენების ცოდნა.....

მოსამზადებელ სამუშაოთაგან „ანტი-დიურინგისათვის".

[346] პირველყოფილ თემებში თანასწორობა არ არსებობდა, ან და იგი არსებობდა თემის სრულუფლებიან წევრისათვის მნიშვნელოვანი შეზღუდვებით და არ გამორიცხავდა მონობას. ასევე შეიძლება ითქვას ანტიური დემოკრატიის შესახებ. ყველა ადამიანების თანასწორობა, ბერძნების, რომაელების და ბარბაროსობის, თავისუფალთა და მონების, სახელმწიფოში დაბადებულთა და უცხოელების, მოქალაქეებისა და კლიენტების და ა. შ. ანტიურ გონებას მიაჩნდა არა თუ სიგიჟეთ, არამედ ბოროტებათაც და ამ თვალსაზრისით თანმიმდევრობა იყო, რომ ქრისტიანობაში ყველა ადამიანთა პირვანდელი თანასწორობა დევნას იწვევდა. ქრისტიანობაში პირველათ იქნა გამოხატული ადამიანთა უარყოფითი თანასწორობა ღმერთის წინაშე როგორც ცოდვილების, უფრო მკაცრად ერთისა და მეორის თანასწორობა გამოსყიდული ღვთის ბავშვების ქრისტეს სათნოებითა და სისხლით. როგორც ერთი ისე მეორე გაგება გამომდინარეობდა ქრისტიანობის როლიდან როგორც მონების, განდევნილების, განცალკევებულების, დევნილების და დაჩაგრულების რელიგიიდან. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ეს მომენტი უკანა რიგზე დადგა, უფრო მნიშვნელოვანი გახდა უპირველეს ყოვლისა წინააღმდეგობა მორწმუნეთა და ჯერპთაყვანისმცემელთა, მართლმორწმუნეთა და ერეტიკოსებს შორის.

[349] ძალით დაპყრობა, რომელიც გერმანელებმა მოახდინეს, და რომელიც დაფუძნებული იყო სახელმწიფოთა დაპყრობილ მიწებზე, სადაც გაბატონებული იყო სოფელი და არა ქალაქი (როგორც ძველ ქვეყანაში), სწორედ ამისთვის უკავშირდებოდა — მონობის გადაქცევას ნაკლებად დამამძიმებელ ბატონყმობას და გლეხობის დამოკიდებულების სხვა ფორმებს (ძველ ქვეყანაში ლატიფუნდიებს სათეს მიწად და პირუტყვის საძოვრებად აქცევდენ.

[360] მაგრამ სახელმწიფო და ძალდატანება წარმოადგენს სწორედ იმას, რაც აქამდე არსებულ ყველა საზოგადოებრივ ფორმების საერთოა, და თუ მე მაგალითად ვხსნი აღმოსავლეთ დესპოტიებს, ანტიურ რესპუბლიკებს, მაკედონიის მონარქიებს, რომის იმპერიას, საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმს იმით, რომ ყველა ისინი ძალდატანებაზე იყვნენ დაფუძნებული ამით მე კიდეე არაფერს არ ვხსნი. ამგვარად სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ფორმები ახსნილ უნდა იქნან არა ძალდატანებით, რომელიც ხომ ცნობილია ყოველთვის ერთი და იგივე რჩება, არამედ იმით თუ რის მიმართ არის გამოყენებული ძალდატანება, რა წარმოადგენს ძარცვის ობიექტს — პროდუქტებს და ითითეული ეპოქის საწარმოო ძალებს და თვით მათგანვე გამომდინარე განაწილებიდან. და მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ აღმოსავლეთის დესპოტიზმი დაფუძნებული იყო სათემო მიწათმფლობელობაზე, ანტიური რესპუბლიკები — ქალაქებზე, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდენ, რომის იმპერია — ლატიფუნდიებზე, ფეოდალიზმი — სოფლის ქალაქზე ბატონობაზე, რომელთათვის არსებობდა ეკონომიური საფუძველი და ა. შ.

ფ. ენგელსი.

შესავალი მარქსის „ძლასთა ბრძოლისათვის საფრანგეთში".

(К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. Соч., т. III. ГИЗ. 1921)

[23] თითქმის 1600 წლის წინად რომის სახელმწიფოში თავის საქმიანობას ანვითარებდა საშიში პარტია გადატრიალებისა. მან ძირი გამოუთხარა რელიგიას და სახელმწიფოს ყველა საფუძველს; იგი უარყოფდა სწორედ, რომ იმპერატორის ნება წარმოადგენს უმაღლეს კანონს: მას სამშობლო არა ჰქონდა; იგი ინტერნაციონალური იყო. თავის გავლენას იგი ავრცელებდა იმპერიის ყველა მიწაზე, გალიიდან აზიამდის, და თვით იმპერიის საზღვრებს იქითაც. იგი დიდხანს იყო გართული მიწისქვეშა, საიდუმლო მუშაობით, ვიდრე საკმაოდ ძლიერად არ იგრძნო თავი, რათა სრულიად აშკარად გამოსულიყო. ამ გადატრიალების პარტიას, ქრისტიანების სახელით ცნობილს, ჯარშიც მრავალი მომხრე ჰყავდა. მთელი ლეგიონები მთლად ქრისტიანები იყვნენ. როდესაც ისინი მიავლინეს გაბატონებული წარმართული ეკლესიის დღეობაზე მისთვის პატივსაცემად, გადატრიალების პარტიის ჯარისკაცები ისეთ თავხედობამდისაც კი მიდიოდენ,

რომ პროტესტის ნიშნად თავიანთ ჩაჩქანს განსაკუთრებულ ნიშანს: ჯვარს ამაგრებდენ. თვით უფროსების მკაცრი ყაზარმული დასჯაც არას ქრიდა. იმპერატორ დიოკლეტიანეს არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა, თუ მის ჯარში როგორ ეცემა წესრიგი, მორჩილება და დისციპლინა. მან ენერგიულად მიჰყო ხელი საქმეს, დრო ჯერ კიდევ არ იყო წასული. მან კანონი გამოსცა სოციალისტების წინააღმდეგ... მე მინდოდა მეთქვა—ქრისტიანების წინააღმდეგ. გადატრიალების მომხრეთა კრებები აკრძალეს, მათი კრების ადგილები დახურეს ან სრულიად დაანგრიეს; ქრისტიანული ნიშნები—ჯვარი და სხვ.—აიკრძალა, როგორც წითელი ცხვირსახოცები საქსონიაში. ქრისტიანებს უფლება წაართვეს სახელმწიფო თანამდებობანი დაეჭირათ..... მაგრამ ეს განსაკუთრებული კანონიც უშედეგოდ დარჩა. ქრისტიანები დაცინვით ხვედენ კედლებიდან განკარგულებებს და, როგორც შეიძლება ვიკარაუდოთ, ნიკომიდიაში სასახლე გადაწვეს, რომელშიც იმპერატორი იყო. მაშინ მან შური იძია ქრისტიანების მკაცრი დევნით 303 წელს ჩვენა წელთაღრიცხვამდის. და ეს დევნა იმდენად ნამდვილი იყო, რომ 17 წლის შემდეგ არმიის დიდი უმრავლესობა ქრისტიანებისგან შედგებოდა, და უახლოესმა თვითმპყრობელმა მთელი იმპერიისა კონსტანტინემ, შემდეგ დიდად წოდებულმა, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ფ. ენგელსი.

ბუნების დიალექტიკა.

(Архив, кн. II, 1925)

დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება.

[4] ორი ფილოსოფიური მიმართულება: მეტაფიზიკური უცვლელი კატეგორიებით, დიალექტიკური (არისტოტელე და განსაკუთრებით ჰეგელი) – დენადით.

■

[30] ბ უ ნ ე ბ ი ს დ ა ს უ ლ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. ბერძნებისთვის თავისთავად ნათელი იყო, რომ ბუნება არ შეიძლება უგონებო იყოს, მაგრამ ამჟამადაც ყველაზე უფრო სულელი ემპირიკოსები ამტკიცებენ თავიანთი მსჯელობებით (რამდენად მცდარი უნდა იყოს ეს უკა-

ნასკნელნი), რომ ისინი წინასწარ არიან დარწმუნებულნი, რომ ბუნება არ შეიძლება უგონებო იყოს, ხოლო ხელოვნება—ბუნების საწინაამდეგო.

■

[36] ისტორიიდან. თანამედროვე ბუნებისმეტყველება,—ერთადერთი, რომლის შესახებაც შეიძლება ლაპარაკი,—წინააღმდეგ ბერძნების გენიალური ინტუიციისა და არაბების სპორადული, შემთხვევითი გამოკვლევებისა, იმ დიადი ეპოქიდან იწყება.... რომელმაც.... აღადგინა ბერძნული სიძველე და მასთან ერთად ხელოვნების უუმაღლესი განვითარება ახალ დროში.....

■

[58] პირიქით, დიალექტიკური აზრი, სწორედ იმიტომ, რომ იგი გულისხმობს თვით ცნებათა ბუნების გამოკვლევას,—მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, და მასაც მხოლოდ განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე (ბუდისტები და ბერძნები) და თავის სრულ განვითარებას აღწევს გაცილებით უფრო გვიან თანამედროვე ფილოსოფიის სახით; და მიუხედავად ამისა, კოლოსალური შედეგები ქონდათ უკვე ბერძნებს, რომლებმაც ბევრში წინასწარ განჭვრიტეს მეცნიერული გამოკვლევები.

■

[68] საჭიროა ბუნებისმეტყველების ცალკეულ დარგთა თანმიმდევარი განვითარების შესწავლა.... შემდგომ, მიწათმოქმედების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და განსაზღვრულ ქვეყნებში (წყლის აწევა მოსარწყავად ეგვიპტეში)... განვითარდა მექანიკა... მთელი ძველი დროის განმავლობაში საკუთრივ სამეცნიერო სწავლება ამ სამი მეცნიერებით იფარგლება, თანაც ზუსტი და სისტემატური გამოკვლევის სახით—პირველად მხოლოდ კლასიკური (პერიოდის) მომდევნო პერიოდში (ალექსანდრიელები, არქიმედი etc.)...

■

[70] განსხვავება მსოფლიოს მდგომარეობაში ძველი დროის ბოლოსა, დაახლოებით 300 წელსა და საშუალო საუკუნეების—1453 წელს შორის:

1) ნაცვლად ვიწრო კულტურული ზოლისა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების გასწვრივ, რომელიც სპორადულად შეპრილი იყო

შიგნითაც, ესპანეთის, საფრანგეთის და ინგლისის ატლანტის სანაპიროებამდის და ამიტომ ადვილად შეიძლებოდა ჩრდილოეთიდან გერმანელებსა და სლავიანებს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არაბებს გაენადგურებია და წაელეკა,—ამჟამად კარჩაკეტილი კულტურული სფერო.....

2) ნაცვლად დაპირისპირებისა ბერძნებსა resp. რომაელებსა და ბარბაროსებს შორის, ამჟამად არის ექვსი კულტურული ხალხი კულტურული ენით, თუ არ ჩავთვლით სკანდინაველ და სხვ., რომლებმაც უზრუველჰყვეს გაცილებით უფრო მეტი მრავალმხრიეობა და განათლება, ვიდრე დაცემის და სიკვდილის გზაზე მდგარმა ბერძნულმა და ლათინურმა ენამ ძველი დროის ბოლოს.

3) სამრეწველო წარმოების და ვაჭრობის უჩვეულოდ მაღალი განვითარება, შექმნილი საშუალო საუკუნეების ბიურგერობის მიერ; ერთის მხრივ წარმოება უფრო სრულქმნილი, მრავალმხრივი და მასობრივი გახდა, ხოლო მეორეს მხრივ—სავაჭრო ურთიერთობა გაცილებით უფრო გაძლიერდა; ნაოსნობა... გაცილებით უფრო გამბედავი გახდა.... აუარებელი გამოგონება შიგნით და აღმოსავლეთის გამოგონებათა იმპორტი.... აურაცხელი მეცნიერული ფაქტები, რომელთა შესახებ ძველ დროს წარმოდგენაც კი არა ჰქონდა...

■

[72] გაცილებით უფრო მეტი გავრცელება საყოველთაო სწავლებისა.... კონსტანტინეპოლის აღმავლობისა და რომის დაცემასთან ერთად ბოლო ელება ძველს დროს; კონსტანტინეპოლის დაცემასთან ერთად გაუთიშავად არის დაკავშირებული საშუალო საუკუნეების დასასრული. ახალი დრო იწყება ბერძნებისადმი დაბრუნებით.—უარყოფის უარყოფა!

■

გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა თ ა ი ს ტ ო რ ი ი ს თ ვ ი ს. ქრ. დაბ.-დის სა ხ ა ნ ძ რ ო წ ე ლ ა, წყლის საათი დაახლ. 200 წ. ქრ. დაბ.-დის, ქვაფენილი (რომი), პერგამენტი დაახლოებით 160 წელს.

■

[86] მ ო ნ ო ბ ა, სადაც იგი წარმოების გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, შრომას მონურ საქმიანობად ხდის, ე. ი. თავისუფალ ადამიანთა შეურაცმყოფელად. ამის გამო იხურება გამღსაეალი წარ-

მოების ასეთი წესიდან, მაშინ როდესაც, მეორეს მხრივ, წარმოების განვითარებისთვის მონობა ზღუდეებს ქმნის და საჭიროა მისი გაუქმება. ამ წინააღმდეგობისგან იღუპება მონობაზე დამყარებული ყოველი წარმოება და მასზე დაფუძნებული საზოგადოება. მისი გადაჭრა მოცემულია უმრავლეს შემთხვევაში დაღუპვის გზაზე მდგარი საზოგადოების ძალადობით დაპყრობით სხვების, უფრო ძლიერების მიერ (საბერძნეთი ჯერ მაკედონიამ დაიპყრო, ხოლო შემდეგ რომმა). ვიდრე ეს უკანასკნელნი თვითვე ემყარებიან მონობას, მარტოოდენ ცენტრის გადანაცვლება ხდება, და ეს პროცესი უმაღლეს საფეხურზე მეორდება, ვიდრე დაბოლოს (რომი) არ დაიპყრო ხალხმა, რომელმაც მონობის ნაცვლად წარმოების ახალი წესი შემოიღო. ანდა მონობა უქმდება იძულებით ან ნებაყოფლობით, და ამ შემთხვევაში წარმოების წინანდელი წესი იღუპება; მსხვილი კულტურის ადგილს იჭერს სქვატერების პარცელარული მეურნეობა, როგორც ეს ამერიკაშია. შემდეგ, საბერძნეთიც მონობამ დაღუპა, რომლის გამო ჯერ კიდევ არისტოტელემ თქვა: მონებთან ურთიერთობა მოქალაქეთა დემორალიზაციას იხდენს,—თუ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ისინი მოქალაქეებს სამუშაოს ართმევენ. სხვა საქმეა საოჯახო მონობა აღმოსავლეთში; აქ იგი პირდაპირ წარმოების საფუძვლებს არ ქმნის, არამედ წარმოადგენს არაპირდაპირ ოჯახის შემადგენელ ნაწილს, და იგი შეუმჩნეველად ოჯახში გადადის (ჰარამხანის მონა-ქალები).

■

შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში.

[98].... და ამრიგად წარმოიშვა დროის განმავლობაში ის იდეალისტური სოფლმხედველობა, რომელმაც ანტიკური ქვეყნის დაცემის დროიდან გონება მოიცვა.

■

[102].... და მით შეუძლებელი გახდება უაზრო და ბუნების საწინააღმდეგო წარმოდგენა წინააღმდეგობის შესახებ სულსა და მატერიასა, ადამიანსა და ბუნებასა, სულსა და სხეულს შორის,—როგორც იგი წარმოიშვა ევროპაში კლასიკური ძველი დროის დაცემის დროიდან და თავისი უმაღლესი განვითარება ქრისტიანობაში ჰპოვა.

■

[102] და როდესაც შემდეგ კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, მან არ იცოდა, რომ ამით ახალი სიცოცხლისთვის გამოაფხიზლა ევროპაში დიდი ხნის წინად გაჭრალი მონობა და საფუძველი დაუდვა ზანგებით ვაჭრობას.

■

ბუნებისმეტყველება სულების სამყაროში.

[112].. მაგრამ მოყვანილია აგრეთვე მთელი რიგი თითქოს სარწმუნო ისტორია სულების შესახებ წარსული დროიდან. ბერძნული ორაკულის პითიები, საშუალო საუკუნეების გრძნებულები „მედიუმები“ იყვნენ, და იამბლიხუსი De divinatione-ში უკვე მთლად ზუსტად აგვიწერს „თანამედროვე სპირიტიზმის უსაოცრეს შოელენებს“.

■

ძველი წინასიტყვაობა „ანტი-დიურინგისათვის“
დიალექტიკის შესახებ.

[124] .... აზროვნების კანონების თეორია სრულიადაც არაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი „მარადული ჭეშმარიტება“, როგორც ამას უკავშირებს სიტყვა „ლოგიკა“-ს ფილისტერული აზრი. თვით ფორმალური ლოგიკა, დაწყებული არისტოტელეთი ვიდრე დღემდის, წარმოადგენდა გაცხოველებული კამათის ასპარეზს. რაც შეეხება დიალექტიკას, აქამდის იგი მეტ-ნაკლებ ზუსტად გამოკვლეულია მხოლოდ ორი მოაზროვნის: არისტოტელეს და ჰეგელის მიერ.

■

[126] მას შემდეგ რაც ფიზიკამ და ქიმიამ ისევ თითქმის მარტოოდენ მოლეკულასა და ატომს მიჰყვეს ხელი, ძველბერძნული ატომისტური ფილოსოფია აუცილებლად ისევ წინა რიგზე უნდა დამდგარიყო. მაგრამ რა ზერელედ განიხილავენ მას თვით საუკეთესონიც კი მათ შორის! ასე, მაგალითად, კეკულე გვიამბობს («Ziele und Leistungen der Chemie»), თითქოს ატომისტურ ფილოსოფიას დასაბამი მისცა არა ლევკიპმა, არამედ დემოკრიტმა, და ამტკიცებს, რომ დალტონმა პირველმა აღიარა თვისობრივად სხვადასხვა ელემენტარულ ატომთა არსებობა და პირველმა მიაწერა მათ სხვადასხვა ელემენტთათვის დამახასიათებელი სხვადასხვანაირი წონა; მაშინ როდესაც დიოგენ ლაერტელთან (X, 1. § 43, 44 და 61) შეიძლება ამო-

ვიკითხოთ, რომ უკვე ეპიკურე მიაწერდა ატომებს არა მარტო სხვადასხვა ოდენობას, არამედ აგრეთვე სხვადასხვა წონასაც, ე. ი. თავისებურად უკვე იცნობდა ატომურ წონასა და ატომურ მოცულობას.

■

[128] ამ ფორმებიდან სახელდობრ ორია ისეთი, რომლებიც თანამედროვე ბუნებისმეტყველებისთვის შეიძლება განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდენ.

პირველია—ბერძნული ფილოსოფია. დიალექტიკური აზროვნება აქ ჯერ კიდევ პირველყოფილი უბრალოებით გამოდის... ვინაიდან ბერძნები ჯერ კიდევ არ მისულან ბუნების დანაწევრებამდის, ანალიზამდის, ამიტომ ბუნებას ისინი ჯერ კიდევ განიხილავენ როგორც მთელს, საერთოდ და მთლიანად. ბუნების მოვლენათა საყოველთაო კავშირი ცალკე ნაწილებში არაა დამტკიცებული: ბერძნებისთვის იგი უშუალო ჭვრეტის შედეგია. ეს არის ბერძნული ფილოსოფიის ნაკლი, რის გამო შემდეგში მას სხვა სახის სოფლმხედველობისთვის უნდა დაეთმო ადგილი. მაგრამ ამაშივეა მისი უპირატესობა ყველა მის შემდგომდროინდელ მეტაფიზიკურ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირებით. თუ მეტაფიზიკა დეტალებში მართალია ბერძნების მიმართ, ბერძნებიც მეტაფიზიკის მიმართ მთლიანად მართალნი არიან. ეს არის ერთერთი საფუძველი, რის გამოც ჩვენ იძულებული ვართ ფილოსოფიაში, ისევე როგორც მრავალ სხვა სფეროში, მუდმივ დავუბრუნდეთ იმ პატარა ხალხის მიღწევებს, რომლის უნივერსალურმა ნიჭმა და საქმიანობამ მას უზრუნველუყო ისეთი ადგილი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომლის მოითხოვნა არცერთ სხვა ხალხს არ შეუძლია. მეორე საფუძველს კი ის წარმოადგენს, რომ ბერძნული ფილოსოფიის მრავალფეროვან ფორმებში სოფლმხედველობის თითქმის ყველა შემდგომი ტიპია მოცემული ჩანასახში, წარმოშობაში. ამიტომ თეორიული ბუნებისმეტყველება, თუ მას სურს თავისი თანამედროვე ზოგადი თეორიების წარმოშობის და განვითარების ისტორიას გაეცნოს, ბერძნებს უნდა დაუბრუნდეს; და ეს შეხედულება თანდათან გზას იკაფავს. თანდათან იშვიათად გვხვდება ისეთი ბუნების მკვლევარი, რომელიც, საქმე აქვს რა ბერძნული ფილოსოფიის ნარჩენებთან, მაგალითად, ატომისტიკასთან, როგორც მარადულ ჭეშმარიტებასთან, ბეკონისებურად ქედმაღლურად დაცქერიან ბერძნებს, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ემპირიული ბუნებისმეტყველება არ გააჩნდათ. სასურველია

ვხოლოდ, რომ ეს შეხედულება წინ წავიდეს და გადაიქცეს ბერძნული ფილოსოფიის ნამდვილ გაგებათ.

■

„ბუნების დიალექტიკის“ ძველი შესავალი. 1880 წ.

[153]... ძველების გენიალურ ნატურ-ფილოსოფიურ ინტუიციისადმი დაპირისპირებით... ბიზანტიის დაღუპვის დროს გადარჩენილი ხელნაწერებიდან, რომის ნანგრევებიდან ამოთხრილი ანტიკური ქანდაკებებიდან გაოცებული დასავლეთის წინაშე წარსდგა ახალი ქვეყანა—საბერძნეთის ძველი დრო; მისი ნათელი სახეების წინაშე გაჰქრენ საშუალო საუკუნეების აჩრდილები; იტალიაში გაუგონარ აყვავებას მიაღწია ხელოვნებამ, რომელიც თითქოს კლასიკური ძველი ხანის ანარეკლის სახით გაჩნდა და რომელსაც შემდეგში არასოდეს არ მიუღწევია ასეთ სიმაღლემდის.

■

[156] ძველ დროს ჰყავდა ევკლიდე და ჰქონდა პტოლომეს მზის სისტემა.....

■

[158] თუმცა XVIII საუკ.-ის პირველი ნახევრის ბუნებისმეტყველება დიდად მაღლა იდგა ბერძნულ ძველ დროსთან შედარებით ცოდნითა და თვით მასალის შერჩევითაც, მაგრამ იგი დიდად ჩამორჩებოდა მას ამ მასალის იდეალური დაძლევით, საყოველთაო სოფლმხედველობის მხრივ. ბერძენი ფილოსოფოსებისთვის სამყარო წარმოადგენდა როგორც ქაოსიდან წარმომდგარს, რაღაც განვითარებულს, რაღაც შექმნილს. ჩვენს მიერ განხილული ჰერიოდის ბუნებისმეტყველისთვის იგი იყო რაღაც გაქვავებული, უცვლელი.....

■

[166] და აი ჩვენ ისევ დავუბრუნდით ბერძნული ფილოსოფიის დიად ფუძემდებელთა კონცეპციებს იმის შესახებ, რომ მთელი ბუნება..... მარადულ წარმოშობასა და მოსპობაში იმყოფება..... მარტოოდენ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ის, რაც ბერძნებისთვის გენიალური ინტუიცია იყო, ჩვენთვის მკაცრი მეცნიერული, ცდისეული გაკვლევის შედეგს წარმოადგენს და ამიტომ მას გაცილებით უფრო გარკვეული და ნათელი ფორმა აქვს...

■

[178] აზროვნების ფორმების, გონების განსაზღვრებათა გამოკვლევა, პირიქით, მეტად მადლიერ და აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს, და იგი, არისტოტელეს შემდეგ, სისტემატურად მხოლოდ ჰეგელმა შეასრულა.

[184] Hegel. Gesch. der Philosophie. Griechische Philosophie (Naturanschauung der Alten). Bd. I.

<თალესი> პირველ ფილოსოფოსთა შესახებ არისტოტელე ამბობს (მეტაფიზიკა, I, 3), რომ ისინი ამტკიცებენ: „ის, რისგანაც არის ყოველი არსებული და რომლისგანაც, როგორც პირველისგან, წარმოიშვა, და რასაც როგორც უკანასკნელს უბრუნდება, და რაც როგორც სუბსტანცია (οὐσία) მუდამ იმადვე რჩება და იცვლება მხოლოდ განსაზღვრებებში (πάθεσι) — ეს არის სტიქია (στοιχεῖον) და პრინციპი (ἀρχή) ყოველივე არსებულისა. ამიტომ ისინი იმ შეხედულების არიან, რომ არც ერთი ნივთი არ რჩება, (οὔτε γίγνεσθαι οὔτ' ἐν), არც გარდაივლის, ვინაიდან ერთიდაიგივე რუნება შეინარჩუნება მუდამ“ (გვ. 198). ამრიგად, აქ ჩვენს წინაშე მთლიანად არის პირველდაწყებითი სტიქიური მატერიალიზმი, რომელიც თავისი წარმოშობისას ბუნებრივად სთვლის თავისთავად ნაგულისხმევად ბუნების მოვლენათა უსასრულო მრავალფერობის ერთიანობას და მას ეძებს განსაზღვრულ სხეულში, განსაკუთრებულ რაიმეში, როგორც, მაგ., თალესი— წყალში.

ციცერონი თალესის შესახებ ამბობს: „მილეთელი.... ამტკიცებდა, რომ წყალი ნივთთა დასაბამია, ხოლო ღმერთი — გონება, რომელმაც ყოველივე წყლისგან შექმნა“ (De Natura Deorum I, 10). ჰეგელი სწორად შენიშნავს, რომ ეს არის—ციცერონის დანართი, და უმატებს: „მაგრამ საკითხი იმის შესახებ, სწამდა თუ არა თალესს, ამას გარდა, ღმერთი, ჩვენ აქ არ გვეხება; აქ საქმე არ შეეხება დაშვებას, რწმენას, ხალხურ რელიგიას.... და თუნდაც იგი ლაპარაკობდეს ღმერთს, როგორც ყველა ნივთთა შემქმნელს შესახებ წყლისაგან, მაინც ჩვენ ამით მეტი არაფერი გვეცოდინებოდა ამ არსის შესახებ..... ეს არის ცალიერი სიტყვა ყოველგვარი აზრის გარეშე“ (გვ. 209) (დაახლოებით 600—605 წ.).

უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები ამავე დროს ბუნების მკვლევარებიც იყვნენ: თალესი, გეომეტრი, მან განსაზღვრა წლის ხანგრძლივობა 365 დღით, იწინასწარმეტყველა, როგორც ამბობენ, ერთი მზის დაბნელება. ანაქსიმანდრემ გააკეთა მზის საათი,

ხმელეთის და ზღვის თავისებური რუქა და სხვადასხვა ასტრონომიული იარაღები. პითაგორე მათემატიკოსი იყო.

მილეთელ ანაქსიმანდრეს შეხედულებით, თანახმად პლუტარქისა (Quaest. convival, VIII, 8), „ადამიანი თევზისგან წარმოიშვა, წყლიდან ხმელეთზე ამოვიდა", (213). მისთვის ἀρχὴ καὶ στοιχεῖν τὸ ἄπειρον, თანაც იგი ამას არ განსაზღვრავს (διορίζων) არც როგორც ჰაერს, არც როგორც წყალს ან სხვა რაიმეს (Diog. Laert, II, § 1). ჰეგელი სწორად თარგმნის (გვ. 215) ამ უსასრულოს სიტყვებით: „განუსაზღვრელი მატერია" (დაახლ. 580 წ.).

მილეთელი ანაქსიმენი ჰაერს ღებულობს როგორც პრინციპს და ძირითად ელემენტს, რომელიც უსასრულოა (Cicero, Natura Deorum, I, 10 და შ.). „მისგან გამოდის ყოველივე, მასში ბრუნდება უკანვე ყოველივე" (პლუტარქე De placitis philos., I, 3). თანაც ჰაერი ἀήρ-πνεῦμα „როგორც ჩვენი სული ჰაერია, ასევე მთელი სამყარო სულს (πνεῦμα) და ჰაერს უჭირავს. სული და ჰაერი ტოლმნიშვნელოვანია" (პლუტარქე). სული და ჰაერი განიხილება როგორც საყოველთაო გარემო (დაახლ. 555 წ.).

უკვე არისტოტელე ამბობს, რომ ეს უძველესი ფილოსოფოსები პირველ არსს რაიმე სახის მატერიაში ეძებენ: ჰაერში ან წყალში (და, შესაძლებელია, ანაქსიმანდრე რაიმე შუალედში მათ შორის), შემდეგ ჰერაკლიტე —ცეცხლში, მაგრამ არც ერთი მათგანი—დედამიწაში მისი რთული შემადგენლობის გამო (διὰ τὴν μεγαλομέρειον). (მეტაფიზიკა, I, 8, გვ. 217).

ყველა მათგანის შესახებ არისტოტელე სამართლიანად შენიშნავს, რომ ისინი აუხსნელად სტოვებენ მოძრაობის წარმოშობასო (გვ. 218 და შემდ.).

პითაგორე სამოსიდან (დაახლ. 540 წ.): რიცხვი მისთვის ძირითადი პრინციპია; „რიცხვი არის ყველა ნივთთა არსი, და საერთოდ სამყაროს ორგანიზაცია თავის გახსაზღვრებებში არის რიცხვთა და მათ ურთიერთობათა ჰარმონიული სისტემა" (არისტოტელე, მეტაფიზიკა, I, 5 passim). ჰეგელი სამართლიანად აქცევს ყურადღებას „ასეთი აზრის გამბედაობას, რომელიც ამრიგად ერთბაშად სპობს ყოველივეს, რაც კი წარმოდგენას არსებულად ან არსებითად (ეშმარიტად) ეჩვენება და გრძნობიერ არსს აუქმებს", და არსს, თუნდაც ძლიერ შეზღუდულ და ცალმხრივ ლოგიკურ კატეგორიაში ეძებს. როგორც რიცხვი ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს, ასევე ექვემდებარება მათ სამყაროც; ამით პირველადაა გა-

მოთქმული აზრი სამყაროს კანონზომიერების შესახებ. პითაგორეს მიაწერენ მუსიკალური ჰარმონიის დაყვანას მათემატიკურ ურთიერთობამდის. სწორედ ასევე: „პითაგორელებმა შუაში ცეცხლი მოათავსეს, ხოლო დედამიწა ჩათვალეს ვარსკვლავად, რომელიც ამ ცენტრალური სხეულის გარშემო წრისებურად მოძრაობს“ (არისტოტელე, მეტაფიზიკა I, 5). მაგრამ ეს ცეცხლი მზე არ იყო; ყოველ შემთხვევაში, აქ პირველი წინა-გრძნობაა, რომ დედამიწა მოძრაობს.

პლანეტათა სისტემის შესახებ ჰიგელი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „. მათემატიკამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო აეხსნა ჰარმონია, რომლითაც განისაზღვრება მანძილი მზიდან. ჩვენ ზუსტად ვიცით ემპირიული რიცხვები; მაგრამ ყველა მათ შემთხვევითობის სახე აქვთ, და არა აუცილებლობის. ჩვენ ვიცით, მანძილის დაახლოებითი სისწორე და ამის გამო მარსსა და იუპიტერს შორის პლანეტათა არსებობა იგულისხმეს, იქ, სადაც შემდეგში ვენერა, ვესტა, პალადა და სხვ. აღმოაჩინეს; მაგრამ ასტრონომიამ ვერ ჰპოვა აქ თანმიმდევრული გონივრული მწკრივი. პირიქით, იგი, სიძულვილით ეპყრობა ამ მწკრივის სისწორით გამოსახვის აზრს; მაგრამ თავისთავად ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელიც არაა დასაეიწყებელი“ (გვ. 267).

მიუხედავად გულუბრყვილო-მატერიალისტური სოფლმხედველობისა მთლიანად, უკვე უძველეს ბერძნებთან ვპოულობთ შემდგომ დროინდელ უთანხმოებათა დასაბამს. თალესთან უკვე სული რაღაც განსაკუთრებულია, სხეულისგან განსხვავებული (მაგნიტი იგი სულს მიაწერს), ანაქსიმენთან იგი—ჰაერია (როგორც დაბადებაში), პითაგორელებთან იგი უკვე უცვდავია და სხეულიდან სხეულში გადადის; სხეული მათთვის წმინდა შემთხვევითია. პითაგორელებთანაც აგრეთვე სული „ეთერის ნამსხვრევია“ (ἀπόσπασμα αἰθέρος) (Diog. Laert., VIII, 26—28), სადაც ცივი ეთერი—ჰაერია, ხოლო მკვრივი—ზღვა და სინოტივე არის.

არისტოტელე სამართლიანად უსაყვედურებს პითაგორელებს აგრეთვე შემდეგს: თავიანთი რიცხვებით „ინი არ ამბობენ, თუ როგორ იქნება მოძრაობა და, მოძრაობისა და ცვლილების გარეშე, როგორ ხდება წარმოშობა და დაღუპვა ან ციურ ნივთთა მდგომარეობა და საქმიანობა“ (მეტაფიზიკა, I, 8).

ამბობენ, რომ პითაგორემ აღმოაჩინა დილის და საღამოის ვარსკვლავთა იდენტიკობა, რომ მთვარე თავის სინათლეს მზისაგან ღებულობს და, დასასრულ, პითაგორეს თეორემა. «ამბობენ, რომ როდესაც პითაგორემ ეს თეორემა აღმოაჩინა, მან მოიტანა ჰეკატომბა.

და აღსანიშნავია, ამის გამო მან ისე დიდად გაიხარა, რომ დიდი ზეიმი მოაწყო, რომელზედაც მოწვეული იყვნენ მდიდრები და მთელი ხალხი; იგი ამად ღირდა. მხიარულება, სულის სიხარული (შემეცნება)—ხარების ხარჯზე» (გვ. 279).

ელეელები.

ლევკიპე და დემოკრიტე. ლევკიპე და მისი ამხანაგი დემოკრიტე ელემენტებად თვლიან სავსეს და ცალიერს და თან ამტკიცებენ, რომ პირველი არის ყოფიერება, ხოლო მეორე—არაყოფიერება. სავსე და მკვრივი (ე. ი. ატომები) არის ყოფიერება, ხოლო ცალიერი და შეთხელებული—არაყოფიერება... ერთიც და მეორეც, მასალის სახით, ყოველივე არსებულის მიზეზს წარმოადგენს. იმათ მსგავსად, რომელნიც ფიქრობენ, რომ ერთიანი არის სუბსტანციონალური არსი, და ყოველივე დანარჩენი მის თვისებათაგან გამოჰყავთ, ისინიც აგრეთვე ამტიცებენ, რომ მათი (ე. ი. ატომების) განსხვავება მიზეზია ყოველივე დანარჩენისა. ისინი ამტკიცებენ, რომ არის სამგვარი განსხვავება: ფორმით, რიგით და მდგომარეობით... A განსხვავდება N-ისაგან ფორმით, AN NA-საგან—რიგით, Z N-ისაგან—მდგომარეობით Aristot. Metaph., 1. I, c. 4).

[ლევკიპემ] პირველმა იგულისხმა, რომ ატომები ელემენტებია... ის ამბობს, რომ მათგან უსაზღვრო სამყარონი წარმოიშობიან და ისევ იმადვე იშლებიან. წარმოიშობიან კი სამყარონი შემდეგნაირად: უსაზღვროსგან მოწყვეტის გამო მრავალნაირი ფორმის აურაცხელი სხეული დიდ სივრცეში მოძრაობს. ერთად შეერთებით ისინი ქმნიან ერთ გრიგალს, რომელშიც, შეჯახებისა და მრავალნაირი ბრუნვის გამო, მსგავსი სხეულები ერთად გამოცალკევდებიან. იმისთვის, რომ თავიანთი სიმრავლის გამო მათ არ შეუძლიათ წონასწორობით ბრუნვა, ყველაზე უფრო თხელი სიცალიერის საზღვრებს გარეთ მიემართება, როგორც გაცრის დროს. დანარჩენი კი ერთად რჩება და, გადაეჭდობიან რა, უერთდებიან ერთიმეორეს და ქმნიან პირველ ბურთისებურ სისტემას (Diog. Laert., 1. IX, c. 6).

შემდეგ ეპიკურეს შესახებ.—ატომები განუწყვეტლივ მოძრაობენ (ქვევით ის ამბობს, რომ ისინი თანაბარი სიჩქარით მოძრაობენ), ვინაიდან სიცალიერე ერთნაირად იტევს როგორც ყველაზე უმსუბუქესს მათგან, ისევე უმძიმესს. და ატომებს არავითარი სხვა თვისობრივი გარჩევა არა აქვთ, გარდა

ფორმის, ოდენობის და სიმძიმისა... მაგრამ არა ყოველი ოდენობა არის მათი დამახასიათებელი... ჯერ კიდევ არავის არ უხილავს ატომები გრძნობიერად (Diog Laert., 1. X. § 43, 44). და აუცილებლობით ატომებს ერთნაირი სიჩქარე აქვთ, როდესაც ისინი მოძრაობენ სიცალიერეში და თავიანთ გზაზე არავითარ დაბრკოლებას არ ხვდებიან, ვინაიდან მძიმე ატომები უფრო სწრაფად არ მოძრაობენ, ვიდრე მცირენი და მსუბუქნი, როდესაც მათ არაფერი უშლის ხელს, და მცირენი — არა უფრო სწრაფად, ვიდრე დიდები, ვიხაიდან ყველა მათ სათანადო გასასვლელი აქვს, რამდენადაც მათ არაფერი არ უფერხებს გზას" (loc. cit., § 61). „ამრიგად, ცხადია, რომ ერთიანი არის განსაზღვრული ბუნება ყოველგვარ ნივთში და რომ არც ერთი ნივთისთვის ეს ერთიანი მისი ბუნება არ აღმოჩნდება" (Aristot., Metaph., 1. IX, c. 2).

■

[202] არისტარქე სამოსელი უკვე 270 წ. ქრ. დაბ-დის აყენებდა კოპერნიკის თეორიას დედა-მიწის და მზის შესახებ (Mädler, p. 44; Wolf, p. 35—37).

უკვე დემოკრიტემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ირმის ნახტომი (Млечный путь) ჩვენ გვიგზავნის ურიცხვ მცირე ვარსკვლავთა გაერთიანებულ შუქს (Wolf, p. 313).

■

[202] ემპირიკოსების სიძულვილი ბერძნებისადმი თავისებურ გაშუქებას ღებულობს, როდესაც კითხულობ, მაგ., თ. ტომსონის On Electricity-ს, სადაც დევის და თვით ფარადეის მსგავსი ადამიანები ბნელში დაეხეტებიან (ელექტროული ნაპერწკლები და სხვ.) და ისეთ ცდებს აწარმოებენ, რომლებიც საესებით არისტოტელეს და პლინიუსის მონათხრობთ მოგვაგონებს ფიზიკური და ქიმიური ფაქტების შესახებ. სწორედ ამ ახალ მეცნიერებაში ემპირიკოსები მთლიანად იმეორებენ ძველების ბრმა ცეცებით ძებნას. ხოლო სადაც გენიალური ფარადეი სწორ კვალს აგნებს, იქ ფილისტერი ტომსონი პროტესტს აცხადებს მის წინააღმდეგ. (p. 397).

■

სითბო.

[287] უთუოდ, ათეული ათასი წლები გავიდა ცეცხლის ხახუნით მოპოვების აღმოჩენის დროიდან, ვიდრე ჰერან ალექსანდრიელმა (დაახლ. 120 წ.) გამოიგონა მანქანა, რომელიც მბრუნავ მოძრაობაში მოჰყავდა მისგან გამოსულ წყლის ორთქლს.

■

Страницы из черновой рукописи „Людвиг Фейербах".
(ГИЗ. 1928 г.).

[79] მატერიალისტური სოფლმხედველობა ნიშნავს ბუნების უბრალოდ გაგებას ისე, როგორც იგი არის, ყოველგვარი უცხო დანამატის გარეშე და ამიტომ ბერძენ ფილოსოფოსებს იგი დასაწყისში თავისთავად ნაგულისხმევად მიაჩნდათ. მაგრამ ძველ ბერძნებსა და ჩვენს შორის მდებარეობს არსებითად იდეალისტური სოფლმხედველობის ორიათას წელზე მეტი და ასეთ შემთხვევაში უკან დაბრუნება იმისაკენ, რაც ნაგულისხმევი იყო უფრო ძნელია ვიდრე ეს პირველშეხედვით ჩანს, ვინაიდან საქმე ეხება არა უარყოფას მარტივად ამ ორი ათასი წლის თეორეტიულ შინაარსისას, არამედ მის კრიტიკას, გარდამავალ იდეალისტურ ფორმიდან სასარგებლო რეზულტატების ამოღებას, რომელიც მიღწეული იქნა ამ შემცდარ, მაგრამ იმ დროინდელ ეპოქისათვის ისტორიულად აუცილებელ ფორმიდან. თუ რა ძნელია ეს, ამას გვიჩვენებენ ის მრავალრიცხოვანი ბუნებისმეტყველნი, რომლებიც თავიანთ კვრძო მეცნიერების ფარგლებში შეუბრალებელი მატერიალისტები არიან, მის გარეთ კი არა თუ იდეალისტები, არამედ კეთილწმინდანი და მართლმორწმუნე ქრისტიანებიც.

კ. მარქსი.

О французском материализме XVIII века.
„Л. Фейербах". (Изд. 1918 г.).
დამატება I.

[79] მის (ბეკონის რედ.) ავტორიტეტებს ხშირად წარმოადგენენ ანაკსაგორი თავის გომეომერიებით და დემოკრიტი თავისი ატომებით.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

მიმოწერა
მარქსი—პ. ვ. ანენკოვისადმი.

1846 წლ. 28 დეკემბერი.
(თხზ. V).

[290] რაც შეეხება მონობას, არაა საჭირო ვილაპარაკო მისი ცუდი მხარეების შესახებ. ერთადერთი, რაც უნდა აიხსნას, ეს არის— მონობის კარგი მხარე. საქმე შეეხება არა არაპირდაპირ მონობას,

პროლეტარის მონობას; საქმე ეხება პირდაპირ მონობას, შავკანიანთა მონობას სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდ. ამერიკის სამხრეთ ოლქებში.

პირდაპირი მონობა ჩვენი თანამედროვე ინდუსტრიალიზმის საფუძველს წარმოადგენს იმავე ზომით, როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. მონობის გარეშე — არაა ბამბა, ბამბის გარეშე — არაა თანამედროვე ინდუსტრია. მონობამ ფასი მისცა კოლონიებს, კოლონიებმა მსოფლიო ვაჭრობა გამოიწვია, ხოლო მსოფლიო ვაჭრობა მსხვილი მანქანური ინდუსტრიის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ ზანგებით ვაჭრობის დაწესებამდის კოლონიები ძველ ქვეყანას მეტად მცირე პროდუქტებს აძლევდა და სუსტ გავლენას ახდენდა მსოფლიოს საერთო მდგომარეობაზე. ამრიგად, მონობა მეტად მნიშვნელოვან ეკონომიურ კატეგორიას წარმოადგენს. მონობის გარეშე ჩრდ. ამერიკა, ყველაზე უფრო პროგრესული ქვეყანა, პატრიარქალურ ქვეყნად გადაიქცეოდა. ამოშალეთ ხალხთა რუქიდან ჩრდ. ამერიკა — და თქვენ მიიღებთ ანარქიას, თანამედროვე ვაჭრობის და თანამედროვე ცივილიზაციის სრულ დაცემას. ხოლო მონობის გაუქმება ნიშნავს ამერიკის ამოშლას ხალხთა რუქიდან. და ვინაიდან მონობა ეკონომიური კატეგორიაა, სწორედ ამიტომ იგი ქვეყნის დასაწყისიდან ყველა ხალხში გვხვდება. თანამედროვე ხალხებმა შესძლეს მხოლოდ თავიანთთან მონობის შენიღბება და მისი აშკარა-იმპორტი ახალ ქვეყანაში.

ენგელსი — მარქსისადმი.

1851 წლ. 17 მარტი.

(Соч., XXI).

[173] სასოწარკვეთის გამო მე ხელი მოვკიდე ციცერონის წერილებს და მათი საშუალებით ვსწავლობ règne de Louis-Philippe-ს და დირექტორიის კორუპციას. მეტისმეტად მხიარული „chronique scandaleuse"-ია [სკანდალური ქრონიკა]. ეს ციცერონი მართლაც დაუფასებელია; პროფესორი კრუგი და სებასტიან ზეილერი ერთ პიროვნებაში. ამ ვაკბატონზე უფრო საზიზღარ გაქნილს ვერ იპოვი დოყლაპიების წრეში თვით ქვეყნის შექმნიდან. მე საფუძვლიან კონსპექტს შევადგენ ჩემთვის ამ სიმპატიური წიგნიდან.

მარქსი — ენგელსისადმი.

1851 წლ. 14 აგვისტო.

(Соч., XXI).

[250] ორიოდე დღის შემდეგ მე შენ ორ ტომს გამოგიგზავნი რომის შესახებ. სახელდობრ: «Economique politique des romains»

par Dureau de la Malle [დიურო დე-ლა მალის «რომაელთა პოლიტიკურ ეკონომიას»]. მე ეს, მეტად საფუძვლიანი წიგნი, პარიზიდან გამოვიწერე. იქ შენთვის მრავალი რამ გამოირკვევა ომის წარმოების რომაული წესის ეკონომიური საფუძვლების შესახებაც, საფუძვლების, რომელიც სხვას არას წარმოადგენდა, თუ არ კ ა დ ა ს ტ რ ს.

ენგელსი—მარქსისადმი.

1851 წლ. 3 დეკემბერი

(Соч., XXI).

[303]..... შესაძლებელია თუ არა რომის იმპერიის პერიოდის პრეტორიანული რეჟიმი, რომლის წინამძღვრებს წარმოადგენდა სრული სამხედრო წესით განწყობილი ფართო საიელმწიფო, უკაცრიელი იტალია და თანამედროვე პროლეტარიატის არარსებობა,— შესაძლებელია თუ არა ასეთი რეჟიმი გეოგრაფიულად კონცენტრირებულ, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი...

ენგელსი—მარქსისადმი.

1853 წლ. 6 ივნისი.

(«Письма» под ред. Адоратского, изд. 3, 1928).

[74] სამხრეთ არაბეთის ქალაქები, ჯერ კიდევ აყვავებულნი რომაელების დროს, VII საუკუნეში ნამსხვრევებით და ნანგრევებით დაფარულ უდაბნოებს წარმოადგენდენ.

მარქსი—ენგელსისადმი.

1853 წლ. 14 ივნისი.

(Соч. XXI).

[499] კ ე რ ი მ, ამერიკელმა ეკონომისტმა, გამოაქვეყნა ახალი წიგნი: «Slavery at home and abroad» [მონობა ჩვენში და უცხოეთში]. «Slavery»-ს ქვეშ იგი გულისხმობს დამონების ყველა სახეს, woges slavery [დაქირავებული შრომის მონობას] და სხვ..... ერთადერთი უცილებლობად საინტერესო მის წიგნში არის შედარება წინანდელი ინგლისური მონობისა იამაიკაზე etc. ზანგების მონობასთან U[nited] St[ates]-ში (შეერთებულ შტატებში), რაც ამტკიცებს, რომ ზანგების ძირითადი ბირთვი იამაიკაში და სხვ. ყოველთვის შედგებოდა ახლად მოყვანილი ველურებისგან, ვინაიდან ინგლისელების მოპყრობის გამო მათდამი ზანგების მოსახლეობა არა თუ ერთ დონე-

ზე არ რჩებოდა, არამედ ჩამოყვანილი ზანგების $^2/_3$-იც კი ილუპებოდა. მაშინ როდესაც ზანგეების ეხლანდელი თაობა შეერთებულ შტატებში უკვე ადგილობრივი წარმოშობისაა, იგი მეტ ნაკლებად იანკიზირებულია, ლაპარაკობს ინგლისურად და ამიტომ ემანსიპაციის უნარიანი ხდება.

მარქსი—ენგელსისადმი.

1854 წლ. 27 ივლისი.

(Соч., XXII).

[48] «გამოთქმიდან: «senatus populusque Romanus» [სენატი და ხალხი რომისა] ამ საერთოდ ჭკუამახვილ კრიტიკოსს [ტიერის რედ.] შეეძლო დასკვნა გამოეტანა, რომ რომში არასოდეს არ ყოფილა სხვა ანტაგონიზმი, გარდა ანტაგონიზმისა sehatus-სა და populus-ს შორის, რაც მთლად მისი შესაფერი იქნებოდა.

მარქსი—ენგელსისადმი.

1855 წლ. 8 მარტი.

(Соч., XXII).

[89] რამდენიმე ხნის წინად მე ისევ გავიარე რომის (ძველი) ისტორია ავგუსტოსის ეპოქამდის. შინაგანი ისტორია შეიძლება plainly [მთლიანად] დაიყვანო წვრილი მიწათმფლობელობის ბრძოლაზე მსხვილთან, რა თქმა უნდა, იმ მოდიფიკაციების შეტანით, რომლებიც დაპირობებულია მონობის არსებობით. დავალიანება, რაც ასე დიდ როლს ასრულებს რომის ისტორიის თვით დასაწყისიდან, წარმოადგენს წვრილი მიწის საკუთრების მარტოოდენ ბუნებრივ შედეგს.

მარქსი—ენგელსისადმი.

1857 წლ. 11 ივლისი.

(Соч., XXII).

[211] იქითა კვირას ზოგ რაიმეს გამოგიგზავნი სამხედრო საქმის შესახებ ძველს დროში.

მარქსი—ენგელსისადმი.

1857 წლ. 16 ივლისი.

(Соч., XXII).

[218] თანდართული შენიშვნები ბევრი არ ღირს..... მათთვის გამოყენებულია: ერში და გრუბერი, Ehcyclopedie universelle; ბაუ-

ლი, „კლასიკურ სიძველეთა რეალური ენციკლოპედია“ (1844—1852 წლ.).

ენგელსი—მარქსისადმი.

1857 წლ. 25 აგვისტო.

(Соч., XXII).

[222] «Army» («არმია») წინ მიდის. არმია ძველად მხადაა, საშუალო საუკუნეები მოკლე იქნება, ხოლო შემდეგ—ახალი დრო. მარტო ძველ ნაწილს ექვსი-შვიდი გვერდი უპირავს.

მარქსი—ენგელსისადმი.

1857 წლ. 25 სექტემბერი.

(Соч., XXII).

[240] საერთოდ, არმია მნიშვნელოვანია ეკონომიური განვითარებისთვის. ასე, მაგალითად, ძველ ხალხებში საქირაო ფასი სრულად განვითარდა უპირველესად არმიაში. სწორედ ასევე რომაელებთან peculium castrense [ჯარისკაცების კერძო საკუთრება ბანაკში] პირველ უფლებრივ ფორმას წარმოადგენს, რომელშიც აღიარებულია მოძრავი საკუთრება ისეთი პირებისთვის, რომელნიც ოჯახის მამის მდგომარეობაში არ იმყოფებოდენ. სწორედ ასევეა მოწყობილი ამ-ქრული წყობილება fabri-ს [ჯარის ხელოსანთა] კორპორაციაში. აქ-ვე აქვს პირველად ადგილი მანქანების გამოყენებასაც მსხვილი მას-შტაბით. და თვით ლითონების განსაკუთრებული ღირებულება და მათი ფულად ხმარება დამყარებული იყო, როგორც ჩანს, პირველ-დაწყებითად,—მას შემდეგ რაც გრიმის ქვის საუკუნემ განელო,—მათ სამხედრო მნიშვნელობაზე. არმიაში კი შრომის დანაწილება პირველად ტარდება ერთი პროფესიის შიგნით. ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ფორმაციების მთელი ისტორია გამოსახულია აქ შეკუმშულად საოცარი სიცხადით...

ერთადერთი პუნქტები, ჩემის აზრით შენს გადმოცემაში გამოტოვებული, შემდეგია: 1) დაქირავებული ჯარის პირველად and at once [და ერთბა'ად] გაჩენა კართაგენელებში (ჩვენი უახლოესი მიზნებისთვის მე გადავხედავ კართაგენელების შესახებ ერთი ბერლინელის თხზულებას, რაც ჩემთვის მხოლოდ ამასწინად გახდა ცნობილი)...

ერში და გრუბერი კარგები არიან მხოლოდ უკანასკნელ ტომებში, სადაც ბევრი სამეცნიერო ხასიათის მასალაა..... პაულის ძველი დროის რეალური ენციკლოპედია—სოლიდური შრომაა.

ენგელსი—მარქსისადმი.

1858 წლ. 7 იანვარი.
(Соч., XXII).

[288] ჩემს ამონაწერებში რიუსტოვიდან კეისრის ბანაკის შესახებ თითქმის არაფერი არაა, ამიტომ მე თვით რიუსტოვი შეუკვეთე ჩემთვის, მაგრამ წიგნის გამყიდველისგან სრულიად სხვა წიგნი მივიღე.

ენგელსი—მარქსისადმი.

1858 წლ. 14 იანვარი.
(Соч. XXII).

[289] „კატაპულტისთვის" მე სრულიად არა მაქვს მასალა,—იგი უნდა ჰქონდეს ერშს და გრუბერს.

მარქსი—ენგელსისადმი.

1858 წლ. 14 იანვარი.
(Соч., XXII).

[290] ორშაბათს მე ისევ მივდივარ მუზეუმში და მაშინ შენთვის მოვძებნი ცნობებს საუკეთესო წყაროებიდან კატაპულტების შესახებ....

მარქსი—ენგელსისადმი.

1858 წლ. 1 თებერვალი.
(Соч. XXII).

[291] „კატაპულტა" შენთვის უკვე მზად მაქვს (მცირეოდენი). ასევე—„Castrum"-ის („ბანაკის") უდიდესი ნაწილი. (მაგრამ კიდევ მჭირდება ცნობები ამოვიღო ვაკსმუტის „ელინურ სიძველეთაგან" ბერძნული ბანაკის შესახებ, ხოლო ებრაულისა—დეევეტიდან)..... ნათელი ლასალის „ბნელი ჰერაკლიტე" არსებითად დიდად უაზრო ნაწარმოებია.

თითოეული მრავალ სახეთაგანის დროს, რომლებითაც ჰერაკლიტე თავისთვის არკვევს—მტკიცების და უარყოფის ერთიანობას, in steps [გამოდის] ლასალი და გვთავაზობს რაიმე ნაკვეთს ჰეგელის „ლოგიკიდან", რაც ვერაფერ მოგებაშია ამის გამო..... ვინაიდან ფილოლოგთა უმრავლესობა არაა გაცნობილი ჰერაკლიტესთან გაბატონებულ სპეკულატიურ ცნებებთან, ამიტომ, რასაკვირველია, ყოველ ჰეგელიანელს უდავო უპირატესობა აქვს—გაიგოს ის, რაც

ფილოლოგს არ ესმის. (თუმცაღა, საოცარი იქნებოდა, რომ, ბერძნული ენის შესწავლით ადამიანი ბ ე რ ძ ე ნ ი ფილოსოფოსი გამხდარიყო, ისე რომ არ ყოფილიყო გერმანელი)..... თუმცა, მიუხედავად ამ ჭაბუკის ტრაბახისა, რომ აქამდის ჰერაკლიტე იყო მხოლოდ შვიდ ბეჭედს ქვეშ მდებარე წიგნიო, მან ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ა ბ ა ლ ი ა რ ა ფ ე რ ი მიუმატა იმას, რასაც ჰეგელი ამბობს „ფილოსოფიის ისტორიაში“.....

ჰერაკლიტედან აღებული ყველა ნაკეთები რომ ერთად შეეკრიბოთ, ძლივს თუ შეავსებს ნახევარ ნაბეჭდ ფურცელს.....

„ბნელ ჰერაკლიტეს“ ერთი გამოთქმა აქვს, რომელშიც, სურს რა ახსნას ნივთთა გარდაქმნა მათ საკუთარ მოპირისპირეობად, ამბობს: «ასე გარდაიქმნება ოქრო ყველა ნივთად, და ყველა ნიეთი გარდაიქმნება ოქროდ».

მარქსი—ლასალისადმი.

1858 წლ. 28 თებერვალი.

(„Письма“, под ред. Адоратского, изд. 3-е, 1928).

[97] სტოიკოსების ნაწარმოებში მე, საკუთრივ, არ გამომიკვლევია მათი დამოკიდებულება, ნატურ-ფილოსოფიურის მხრივ, ჰერაკლიტესადმი, ვინაიდან მე ვფიქრობდი, რომ მათ ამ დისციპლინაში თავი უჭირავთ სერიოზულ-ბოწაფურად. ეპიკურესთან კი, პირიქით, შეიძლება დაწვრილებით დამტკიცება, რომ თუმცა იგი დემოკრიტეს ნატურ-ფილოსოფიიდან გამოდის, მახვილს პირს ყოველთვის პირიქითა მხარეს აბრუნებს.

[98] ციცერონეს და პლუტარქის შესახებ საკითხავიც არაა. რომ მათ ეს ვერ გაიგეს, ვინაიდან ამაში არ დაეჭვებულან თვით ყველაზე უფრო მახვილგონიერი ადამიანები, როგორიცაა ბეილი და თვით ჰეგელიც კი.

ენგელსი—მარქსისადმი,

დაახლ. 1858 წლ. 26 მარტს.

(Соч., XXII).

„Cavalry“ [„კავალერია“] წინ მიდის; მე ისევ ეპოვე კარგი ფასალა შომზენის „რომის ისტორიაში“ (ჰანიბალის კავალერია).

მარქსი — ენგელსისადმი.

1858 წლ. 2 აპრილი.

(Соч., XXII)

[829] იმ კანონის განვითარებიდან, რომლის თანახმად მიმოქცევაში მყოფი რაოდენობა [ფულისა] ფასებით განისაზღვრება, გამომდინარეობს, რომ აქ იქმნება წანამძღვრები, რომლებიც სრულიადაც არ არსებობენ ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში; ამიტომ უაზრობაა, მაგალითად, ფულის მოდენა აზიიდან რომში და ამის გავლენა იმდროინდელ ფასებზე უბრალოდ გაუთანაბრო თანამედროვე კომერციულ პირობებს...

C) ფული როგორც ფული..... ამ თვისებაში c, რომლის მიმართ a [ფული როგორც ზომა. რედ.] და b [ფული როგორც გაცვლის იარაღი. რედ.] წარმოადგენს ძარტოოდენ მის ფუნქციებს, ფული ვამოდის როგოოც საყოველთაო საქოხელი კონტრაქტების დადებისას..... როგორც განძის hoarding-ის [დაგროვების] საგანი. ეს ფუნქცია ჯერ კიდევ ამჟამადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზიაში, ხოლო ძველ ქვეყანაში და საშუალო საუკუნოებში იგი generally [საყოველთაო] იყო.

მარქსი — ენგელსისადმი.

1858 წლ. 13 აგვისტო.

(Соч., XXII)

[856] წაიკითხე თუ არა შენ „Times"-ში ჰოვერის შესახებ გლადსტონის წიგნის კრიტიკა! ამ კრიტიკაში ზოგი რამ გამრთობია. საერთოდ, გ[ლადსტონის] მსგავსი შრომა დამახასიათებელია ინგლისელების უუნარობისთვის „ფილოლოგიისადმი".

მარქსი—ენგელსისადმი.

1858 წლ. 17 დეკემბერი.

(Соч., XXII).

[872] ამ ნამცეცა, დემოკრატიულ ჩირქზე გამოჩეკილი მადენის რწყილების შრომის მოყვარეობა პირდაპირ საკვირველია. ჯერ კიდევ ძველ დროს გამოთქვამდნენ სხვადასხვა თავშესაქცევ მოსაზრებებს რწყილების ნახტომების შესახებ.

მარქსი—ენგელსისადმი.

1859 წლ. 25 თებერვალი.

(Соч., XXII).

[388] ამრიგად ოსტატური management-ით [მოპყრობით] ეს ადამიანი [ლასალი] ჩვენი იქნება ხელ-ფეხით, რამდენადაც „მგზნებარე" მუხლაკებიც არ ჩაიდინოს მან და რამდენიც არ დაურთოს მან ჰერაკლიტეს უგრძელესი კომენტარიები იმის სასჯელად, რომ ყველა ფილოსოფოსთაგან უკანასკნელი იგი შეკუმშულად გამოსთქვამდა თავის აზრებს...

მარქსი—ენგელსისადმი.

1860 წლ. 11 იანვარი.

(Соч., XXII).

[474] ჩემის აზრით, ამჟამად ყველაზე უფრო დიდი ამბებია მსოფლიოში—ერთის მხრივ, მონების მოძრაობა ამერიკაში, დაწყებული [ჯონ] ბრაუნის გარდაცვალებიდან, მეორეს მხრივ—მონების მოძრაობა რუსეთში.....

„ტრიბუნა"-ში ეს არის ეხლა წავიკითხე, რომ მისურიში მონების ახალი აჯანყება იყო,—რა თქმა უნდა, დამარცხებული. მაგრამ ნიშანი მიცემულია. თუ საქმე by and by [თანდათანობით] სერიოზულად განვითარდება, რაღა დაემართება მანჩესტერს?

ენგელსი—მარქსისადმი.

1860 წლ. 26 იანვარი.

(Соч., XXII).

[475] შენი შეხედულება მონების მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ ამერიკასა და რუსეთში უკვე დასტურდება. ჰარპერს-ფერიის ისტორიას, მისი გამოძახილით მისურიში, თავისი ნაყოფი მოაქვს. სამხრეთით, თავისუფალ ზანგებს ყველგან ერეკებიან შტატებიდან, ხოლო ნიუ-იორკის პირველ საბამბო ანგარიშში (ვ.—პ. რაიტი და კომპ. 1860 წლ. 10 იანვრისა) ეს არის ეხლა წავიკითხე, რომ პლანტატორები ცდილობენ თავიანთი ბამბა hurry on to the ports in order to guard against any probable consequences arising out of the Harpers-Ferry affair [საჩქაროდ გაგზავნონ ნავთსადგურებში, რათა უშიშარი გაიხადონ თავი ჰარპერს-ფერის გამოსელების შესაძლებელ შედეგთაგან].

მარქსი—ენგელსისადმი.

1861 წლ. 27 თებერვალი.
(Соч., XXIII).

[15] სამაგიეროდ საღამოობით, დასასვენებლად, ვერთობოდი აპიანეს „სამოქალაქო ომებით რომში“ ბერძნულ ორიგინალში. მეტად ძვირფასი წიგნია. შთამომავლობით—იგი ეგვიპტელია. შლასერი ამბობს, რომ მას „სული არა აქვს“, ალბათ იმიტომ, რომ იგი ცდილობს ჩაწვდეს ამ სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძვლებს. მისი წარმოდგენით სპარტაკი ყველაზე უფრო საუცხოოა მთელ ანტიკურ ისტორიაში. დიდი გენერალი (არა გარიბალდი), კეთილშობილი ხასიათი, ანტიკური პროლეტარიატის real representative [ჭეშმარიტი წარმომადგენელი]. პომპეიმ კი დაუმსახურებლად მოიხვეჭა დიდება ჯერ ლუკულის წარმატებების (მიტრიდატის წინააღმდეგ) წყალობით, შემდეგ—სერტორიის (ესპანეთში) წარმატებებით და სხვ., ხოლო შემდეგ—„young man“ [თანაშემწის] სულლას და სხვ. როგორც გენერალი—რომის ოდილონ ბაროა. როგორც კი ცდილობს თავისი ნიჭის ჩვენებას კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში—არარაობაა. კეისარი მთელ რიგ მსხვილ სამხედრო შეცდომებს სჩადის, განზრახ ექსტრავაგანტურს, იმისთვის, რათა შეშალოს მისი მოპირისპირე ფილისტერი. ყოველი რომაელი გენერალი, რომელიმე კრასი, ექვსგზის გაანადგურებდა კეისარს ეპირის ომის დროს. პომპეის მიმართ კი შეიძლებოდა ყველაფრის ნების მიცემა თავისთვის. მე მგონია, რომ შექსპირს, როდესაც იგი სწერდა კომედიას „Love's Labour lost“ [„უნაყოფო ღონისძიებანი სიყვარულისა“], ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა იყო პომპეი ნამდვილად.

ენგელსი—მარქსისადმი.

1862 წლ. 28 აპრილი.
(Соч., XXIII).

[66] რაც შეეხება არიადნეს, adhuc sub judice lis est [დავა ჯერ კიდევ გადაუჭრელია]. საქმე შეეხება სახელდობრ იურიდიულ დავას. დიოდორესთან იგი ვარსკვლავის სახითაა წარმოდგენილი. ასეთ ვარსკვლავთა კრებულს მე ვერ ვპოულობ.... შენი ზოგადი თეზისი, რომ ყველა პირი, ბერძნების მიერ ვარსკვლავთა შორის მოთავსებული, არსებობას განაგრძობენო, მაინც დიდ ეჭვს იწვევს.

ენგელსი—მარქსისადმი.

1862 წლ. 5 მაისი.

(Соч., XXIII).

[68] არიადნეს ad vocem მე უცილობლად მართალი ვარ. თანავარსკვლავედთა ძველი გამოხატულებანი ჯერ კიდევ აქამდის არსებობს თანამედროვე რუქებზე. დიოდორეს მტკიცებანი არაა ავტორიტეტული. ის არ იყო ასტრონომი.

მარქსი—ენგელსისადმი.

1862 წლ. 30 ივლისი.

(Соч., XXIII).

[88] ჩვენი ზანგის [ლასალის რ ედ.] ერთერთი დიადი აღმოჩენა,—რომელიც მან თუმცა მხოლოდ მე გამანდო როგორც თავის „უინტიმეს მეგობარს"—იმაში მდგომარეობს, რომ პელაზგები სემიტებიდან წარმოდგებიან. მთავარი საბუთი: მაკაველთა წიგნში ებრაელები ელჩებს აგზავნიან საბერძნეთში და დახმარებას ითხოვენ, ემყარებიან რა ტომობრივ ნათესაობას. პერუჯიაში, ამას გარდა, ნაპოვნია ეტრუსკული წარწერა, რომელიც სასახლის მრჩეველმა შტიუკერმა და ერთმა იტალიელმა ერთდროულად ამოიკითხეს და ორივე მათგანმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ეტრუსკული ასოები ძველ-ებრაულად მიიღეს.

მარქსი—„სოც.-დემოკრატის" რედაქტორისადმი.

1865 წლ. 24 თებერვალი

(„ფილოსოფიის სიღატაკე", 1928 წლ. გამოც.).

[20] ანტიკური „ქონებრივი ურთიერთობანი" გაჰქრა, ადგილი დაუთმო რა ფეოდალურ ურთიერთობას, ხოლო ეს უკანასკნელი—„ბურჟუაზიულ" ურთიერთობაში გადავიდა.

მარქსი—ენგელსისადმი.

1865 წლ. 19 აგვისტო

(Соч., T. XXIII).

[305] რამდენიმე კვირის წინად პროფესორმა ბიიზლიმ „Fortnightly Review-ში წერილი დაბეჭდა კატილინას შესახებ, რომელშიც

ესეუკანასკნელი გამოსახულია როგორც რევოლუციონერი. იქ ბევრი რამაა არა კრიტიკული (როგორც ეს მოსალოდნელი იყო ინგლისელისგან: მაგ., არასწორი გამოსახულება კეისრის დამოკიდებულებისა იმ დროისადმი), მაგრამ ძალიან კარგია ცხადი სიძულვილი ოლიგარხიისა და „ლირსპატივსაცემთადმი", აგრეთვე მისი დარტყმა პროფესიონალური ინგლისელი „dull litterateur"-ისადმი [მოსაწყენი ლიტერატორისადმი].

ენგელსი—ლანგეს ადმი.

1866 წლ. 29 მარტი.

(„Письма" под ред. Адоратского, III изд., 1928 г.).

[147] პირველთ მიეკუთვნება ეგრეთწოდებული რიკარდოს კანონი, რომელსაც ძალა არ ჰქონდა არც ბატონყმური წყობილებისთვის და არც ანტიური ქვეყნის მონური წყობილებისთვის.

ენგელსი—მარქსისადმი.

1866 წლ. 21 დეკემბერი.

(Соч., XXIII).

[390] ვიმედოვნებ, რომ იგი [ბონაპარტე. რ ე დ.], ჩემს მსგავსად, გასართობად ჰორაციუსს კითხულობს: justum ac tenacem propositi virum [პატიოსანი ადამიანი, დამცველი თავისი პრინციპებისა] და სხვ. მოხუცი ჰორაციუსი ადგილ-ადგილ ჰეინეს მაგონებს, რომელიც მისგან ბევრს სწავლობდა, ხოლო პოლიტიკურად არსებითად ისეთივე არამზადა იყო. წარმოიდგინეთ ეს პატიოსანი ადამიანი, რომელიც გამოწვევას ესვრის vultus instantis tyranni-ს [იქ მყოფ ტირანს პირში] და მუცელზე ხოხავს ავგუსტოსის წინაშე. ეს რომ არ იყოს, ძველი ბილწმესიტყვე მაინც მეტად ძვირფასია.

მარქსი—ენგელსისადმი.

1868 წლ. 25 მარტი.

(„Письма" под ред. Адоратского, III изд., 1928 г.).

[200] მაგ., ტაციტის ცნობილ ადგილს: «arva per annos mutant et superest ager», რაც ნიშნავს: ისინი ყანას (arva) ცვლიდნენ ყოველწლიურად კენჭის ყრით, აქედან აგრეთვე sortes ყველა შემდ-

გომდროინდელ «ბარბაროსთა სამართალში» (Leges Barbarorum), ბოლო თემური მიწა რჩება (ager როგორც ager publicus წინააღმდეგ arva-სი),—გრიმი ასე თარგმნის: ისინი ყოველწლიურად ახალ ყანას ამუშავებენ და მიტომ რჩება ზედმეტი, დაუმუშავებელი მიწა!

სწორედ ასევე ადგილს: «Colunt discreti ac diversi» [ხნავენ ერთეულად და ცალცალკე], უნდა დაემტკიცებია, რომ გერმანელები ძველთაგან ბატონობდენ ცალკეულ ეზოებში, როგორც ვესტფალიელი იუნკრები. მაგრამ იმავე ადგილას შემდეგ ნათქვამია: Vicos locant non in nostrum morem connexis et cohaerentibus aedificiis: suum quisque locum spatio circumdat. [სოფლებს აგებენ არა ჩვენი ადათის მიხედვით ერთიმეორესთან მიჯრილი შენობებით: თითოეულის კარ-მიდამო სივრცით არის გარშემორტყმული] და ასეთი პირველყოფილი გერმანული სოფლები ჯერ კიდევ არსებობს აქა-იქ დანიაში... ამას გარდა, თვით გრიმი და სხვებიც პოულობენ კეისართან მითითებას, რომ გერმანელები ყოველთვის გვაროვნულ ჯგუფებად სახლდებოდენ, და არა ცალკეულ ერთეულებად: gentibus cognationibusque qui uno coierant [გვარებად და ოჯახებად, რომელნიც ერთად სახლდებოდენ].

კ. მარქსი—კუგელმანისადმი.

1868 წლ. 5 დეკემბერი.

(„წერილები კუგელმანისადმი", ქართ. გამოც. 1933).

[47] ჭეშმარიტად გასაკვირია ის მანერა, თუ როგორ აბათილებს ეს ქონდრის კაცუნა, მაგ., ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს, ბუნების ამ ცოტა სხვა კალიბრის მკვლევარს, ვიდრე ბიუხნერია.

მარქსი, ფერილი ნიკოლაი—ონისადმი.

1873 წლ. 22 მარტი.

(„Письма" Карла Маркса и Фридриха Энгельса к Николаю—ону. Перев. Г. Лопатина, Спб. 1908

[13] მართლაც, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ცნობილი დაწესებულება [თემური მიწათმფლობელობა. რ ე დ.] შემოიღეს რუსეთში როგორც ფისკალური ზომა—უბრალოდ როგორც მონობის შემთხვევითი თანმხლები, მაშინ როდესაც ყველა სხვა ქვეყანაში იგივე დაწესებულება გაჩნდა თვითმბადი წარმოშობისა და გაფართოების გზით და აღნიშნავს ყველა თავისუფალ ხალხთა განვითარების აუცილებელ ფაზას?

ᲔᲜᲒᲔᲚᲘ—ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

1876 წლ. 28 მაისი.

(„Письма“, под ред. Адоратского, III изд., 1928 г.).

[269] დიურინგის საკითხში მე დიდად დამეხმარა და საქმე გამიადვილა ჩემმა კონსპექტმა ძველი ისტორიისა და ჩემმა საბუნებისმეტყველო—საისტორიო მეცადინეობამ.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘ—„Отечественные записки“-Ს ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

1877 წლ. ბოლო.

(„Письма“, под. ред. Адоратского, III изд. 1928).

[280] „კაპიტალი“-ს სხვადასხვა ადგილას მე გაკვრით მაქვს აღნიშნული ძველი რომის პლებეების ბედი. დასაწყისში ისინი თავისუფალი გლეხები იყვნენ, რომელნიც თავის ხარჯზე ამუშავებდნენ თავის საკუთარ მიწის ნაკვეთებს. რომის ისტორიის განმავლობაში მათი თანდათანი ექსპროპრიაცია მოხდა, რომლის დროსაც იმავე მოძრაობამ, რამაც ისინი მათს წარმოების და თავის რჩენის საშუალებებს ჩამოაცილა, გამოიწვია არა მარტო მსხვილი მიწის საკუთრების შექმნა, არამედ აგრეთვე მსხვილი ფულადი კაპიტალისაც. ამრიგად, ერთ მშვენიერ დილას აქ გაჩნდენ, ერთის მხრივ, თავისუფალი ადამიანები, მოკლებული ყველაფერს გარდა შრომის უნარისა, ხოლო, მეორეს მხრივ,—შრომის საექსპლოატაციოდ—ყველა შეძენილ სიმდიდრეთა მფლობელნი. რა მოხდა? რომაელი პროლეტარები დაქირავებული მუშები კი არ გახდნენ, არამედ უქმობამოყვარული მდაბიონი, «mob», მდგარი უფრო დაბალ ზნეობრივ დონეზე, ვიდრე თვით ჩრდილო ამერიკის სამხრეთი შტატების «თეთრი დატაკნი» [poor whites], და ამასთან ერთად შეიქმნა, და აყვავდა არა კაპიტალისტური წესი წარმოებისა, არამედ მონური [ნ. „კაპიტალი“-ს რუსული გამოცემის გვ. 688, შენ. 211]. ამრიგად, ამბები საოცრად ანალოგიური ერთიმეორესთან, მაგრამ მომხდარი ისტორიულად სხვადასხვა გარემოში, სრულიად სხვადასხვა შედეგებს იწვევენ.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘ—ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲖᲐᲡᲣᲚᲘᲩᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

1 შავიხელნაწერი

(Архив, I)

[274] სინჯეთ განსაზღვრული ზომის ზევით გამოაცალოთ გლეხებს მათი სასოფლო-სამეურნეო შრომის პროდუქტი—და, მიუხედავად

თქვენი ჟანდარმერიისა და თქვენი არმიისა, თქვენ ვერ შესძლებთ მათ მიჯაჭვას ყანებზე. რომის იმპერიის უკანასკნელ ხანებში პროვინციელი დეკურონიები—არა გლეხები, არამედ მიწის მესაკუთრენი—გარბოდენ თავიანთი სახლებიდან, ტოვებდნენ თავიანთ მიწას, იყიდებოდენ მონებადაც კი, ოღონდ კი საკუთრებისაგან განთავისუფლებულიყვნენ, რომელიც მარტოოდენ ოფიციალური საბაბი გახდა უწყალო და შეუბრალებელი გამოძალვისთვის.

[278] ..... პირველყოფილ თემთა სიცოცხლის უნარიანობა გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე სემიტურ, ბერძნულ, რომაულ და სხვა საზოგადოებათა სიცოცხლის უნარიანობა, a fortiori ვიდრე თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებათა სიცოცხლის უნარიანობა.

ENGELSI—BERSTEINISADMI.

1882 წლ. 10 მარტი.

(Архив, I)

[311] თუმცა, იზიდეს კულტი რომის იმპერიის დროს სახელმწიფო რელიგიის ნაწილს შეადგენდა.

ENGELSI—BERSTEINISADMI.

1882 წლ. 2—3 ნოემბერი

(Архив, I).

[327] .... ლასალის მიერ განვითარებული თეორია... თავისი გამოყენებით რომის სამემკვიდრეო სამართლისადმი... თანაც კიდევ არაა სწორი; ჰეგელის მიხედვით იგი უნდა იქნეს გამოყვანილი არა „ნებისგან“, არამედ—რომის gens-ის, პირველყოფილი გვაროვნული ოჯახის ისტორიიდან.

ENGELSI—MARXISADMI.

1882 წლ. 16 დეკემბერი.

(„Письма“ под ред. Адоратского, изд. 1930 г.).

[308] თუ მაურერი ამას უწოდებს შეძლებულ ბატონყმურ მდგომარეობას, იგი მართალია IX—XI საუკუნეებთან შედარებით, როდესაც ძველ-გერმანული მონობა ჯერ კიდევ განაგრძობდა ბატონობას.

ენგელსი—მარქსისადმი.

1882 წლ. 22 დეკემბერი.

(„Письма", под ред. Адоратского, III изд. 1928 г.).

[312] უეჭველია, რომ ბატონყმური ურთიერთობა არ წარმოადგენს სპეციფიურ საშუალო-საუკუნეების ფეოდალურ ფორმას,—ჩვენ მას ყველგან ვპოულობთ, სადაც დამპყრობელები ძველ მცხოვრებლებს აიძულებენ მიწა დაამუშაონ; ასე იყო, მაგალითად, თესალიაში ძლიერ ადრიან ხანაში. ამ შეხედულებამ მე და მრავალ სხვასაც ბუნდოვანი გაუხადა შეხედულება საშუალო საუკუნეების ბატონყმობაზე. მეტად მაცდუნებელი იყო მისი დასაბუთება უბრალო დაპყრობით, ამრიგად ყოველივე არაჩვეულებრივად იოლად გამოდიოდა... სწორედ ასეთივე იყო გლეხების მდგომარეობა თურქეთში ძველ-თურქული ნახევარფეოდალიზმის აყვავების პერიოდში.

ენგელსი—ნიკ.—ონისადმი.

1893 წლ. 17 ოქტომბერი.

(„Письма", под ред. Адоратского, изд. 1922 г).

[313] რაც შეეხება „თემს", იგი შესაძლებელი რჩება მხოლოდ მანამდის, ვიდრე მისი წევრები ერთი მეორისგან სიმდიდრით მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. როგორც კი ეს განსხვავება მატულობს, როგორც კი მისი ზოგიერთი წევრები მოვალეები ხდებიან—სხვების, უფრო მდიდარი წევრების მონები,—თემს უკვე აღარ შეუძლია მეტხანს გაძლება. ათინელმა კულაკებმა და ხალხის მყვლეფელებმა სოლონის გაჩენის წინ ათინის გვარი (gens) ისეთივე შეუბრალებლობითა და და დაუნდობლობით დაანგრიეს, როგორითაც თქვენი ქვეყნის კულაკები და ხალხის მყვლეფელები ანგრევენ თქვენს თემს.

საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

ა.

აგამემნონი 138, 145, 155, 158
აგრიპა 60, 76
ადრიანოპოლი 187
ავგუსტოსი 19, 42, 120, 173, 187
აზია 56, 57, 59, 100, 101, 130, 220, 240
ძველი აზია 59
ალაბამა 40
ალექსანდრე 6, 13, 20, 128
ალექსანდრეს ეპოქა 6
ალექსანდრიდისი 145
ალექსანდრია 39
ალიასკა 141
ალთეა 183
ამერიკა 83, 103, 161, 185, 191, 211, 225, 241 ჩრდილოეთი ამერიკა 20, 35, 141, 234, 246
სამხრეთი ამერიკა 47
ამიანი 149, 151
ანაიტისი 149, 151
ანაკრეონი 149
ანაკსაგორი 233
ანაკსიმანდრი 134, 228, 229
ანაკსიმენი 229, 230
ანახარსისი 55
Anderson 94
ანენკოვი პ. ვ. 233
ანტიპატრი 80
აპოლონი 120, 138, 139
აპიანი 85, 136, 242
აპიუს კლავდიუსი 174
არაბეთი 72, 235
არესი 218
არიადნა 242
არისტოფანი 146
არისტარქე სამოსელი 232
არისტონი 145
არისტოტელე 2, 5, 6, 18, 26, 27, 29, 31, 52, 54, 55, 58, 59, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 74, 79, 96, 115, 117, 159, 206, 217, 221, 224, 225, 228, 229, 230, 231, 232, 245
არისტიდი 168
არტაქსერქს 179
არქიმედი 222
არხილოხი 77
ატლანტიის ოკეანე 39
ატიკა 155, 166, 162, 164
ათინეი 55, 65
ათინა 138, 139
აფრიკა 126, 127, 188
აფროდიტა 148
აქაია 130
აქილესი 51, 145, 158
აღმოსავლეთი 11, 43, 125, 126, 210, 224
ახალი მექსიკა 73
ახალი ქვეყანა 86, 234

ბ.

ბალტიის ზღვა 185, 187
ბანკროფტი 141
ბარრო ოდილონი 242
ბასტია 63, 64, 80
ბაური ბრუნო 26, 119, 121
ბახოფენი 138, 139
ბეილი 239
ბეკკერი 153

ბერინგის სრუტე 141
ბერშტეინი 247
ბეკონი 233
Biese 79
ბიიზლი 243
ბიზანტია 227
ბირმინგამი 92
ბისმარკი 145
ბიუხნერი 245
Böck 118
ბონაპარტე 244 ლუი ბონოპარტე 40
ბორეადელები 183
ბრაზილია 34, 234
ბრაუნი 241
ბრიტანეთი 188
Brougham H. 86
ბუზირისი 79

ვ.

გაიუსი 143
გალლების ქვეყანა 21, 123, 184, 185, 191, 220
გალბი 130
განიმედი 147
გარიბალდი 242
გასენდი 1
გედონი 29, 31
გენუა 39
გეორგია 72
გლადსტონი 157, 240
გოეთე 12
გერმანია 11, 12, 22, 116, 117, 187, 195, 205 დიდი გერმანია 187
graf Christian 80
გრიმი 245
გროტე 152, 153, 154, 155
გრუბერი და ერში 236, 238

დ.

დალტონი 29, 225
დანიელი 129
დანია 245
დანტონი 41
დარვინი 134
დასავლეთი 126, 227
დაუმერი (Daumer) 40, 73
დაფნისი 149
დედალოსი 79
დეკი 232
დემოდოკი 158
დემოკრიტე 4, 28, 29, 225, 231, 232, 233, 239
დემოსთენი 43, 44, 118, 152
დემულენი კამილ 41
დეო 80
დიკეარხუსი 153
დიოგენი ლაერტელი 26, 28, 29, 222, 225, 228
დიოდორი 72, 75, 79, 82, 183, 187, 242,
დიოკლეტიანე 221
დიონისე 156
დიტრიხი იხ. თეოდორიხი
დონ-კიხოტი 64
დუნაი 182, 187
დიურინგი 207, 210, 211, 216, 217, 218, 246
Dureau de la Malle 90, 235

ე.

East-End 83
ეგვიპტე 35, 43, 56, 59, 60, 72, 75, 83, 101, 127, 222
ეგისტოსი 138
ეგინა 210
ევკლიდე 227
ევრიპიდე 58, 146
ევროპა 33, 50, 58, 59, 86, 94, 103, 136, 195, 211, 214, 224
ევმეოსი 158
ეთიოპია 72
ემპირიკუსი 77
ემანუელი 26
ელადა 11, 128
ეპიკურე 1, 3, 4, 6, 27, 29, 226, 231, 239
ესპანეთი 42, 59
ესკილი 18, 138, 139, 145, 156, 157

ვ.

ვაგნერი ადოლფ 116, 117
ვარუსი 172

ვაქსმუტი 146, 238
ვაშინგტონი 69
ვეი 178
ველედა 184
ვენერა (პლანეტა) 230
ვენეცია 39, 42
ვესტა (პლანეტა) 230
ვესტ-ინდოეთი 73,86
ვესტონი 60
ვოტედე 238
ვიგანდი 32
Vihçard 102
ვირგინია 70, 72, 73
ვისლა 182, 187
ვიტელიოსი 127
ვოლტერი 126
Wolf 232
ვულკანი 50

ზ.

ზასულიჩი 246
ზეილერი 234
ზენონი 28

თ.

თალესი 228, 230, 231
თეზეოსი 164
თესალია 248
თიბია 7
თურქეთი 18, 77, 78, 159, 248
თრაკია 183

ი.

იამაიკა 235
იაპონია 59
იამბლიხუსი 225
იეგოვა 120, 218
იერინგი 118
იზიდა 247
ილიადა 15, 16, 51, 140, 144, 158
ინგლისი 14, 15, 18, 23, 41, 42, 82, 86, 104, 105, 110, 136, 185, 196, 223
ინდოეთი 35, 46, 82, 148, 210, 212, 213, 215 შიდა ინდოეთი 141
ისაია 129
იოანე 121, 126, 127, 129
ისლანდია 20
ისოკრატე 79
ისრაელი 126, 129
ირინეი 131
ეროდი 179
ირლანდია 46, 210
იტალია 21, 23, 42, 43, 85, 103, 127, 182, 188, 189, 209, 210, 211, 227, 235
იუდეა 129
იუმი 59
იულიოს კეისარი 6, 13, 120, 140, 141, 142, 182, 186, 187, 233, 242, 243, 244
Julia 182
იუპიტერი 50, 218, 230

კ.

Cairns 70, 73, 112
კამპანა 19, 36
კარლოს დიდი 22, 85, 103, 194, 195
კარლოს V 45
კარპატები 187
კართაგენი 20, 39, 41, 42. 44. 59, 93, 103
კასანდრა 145
კასიუსი 43
კატილინა 243
კატონი 56, 95, 103
კეური 235
კეკროპსი 161
კეკულე 205
კენტუკი 72
კისსელბახი 92
კიტნოსი 130
კლავდიუსი 42, 127, 174
კლეოპატრა 183
კლიმენტ ალექსანდრელი 30
კლისთენი 161, 169
კლიტემნესტრა 138
კოლუმბი 225
ო' კონორი 97
კონსტანტინე 119, 221
კონსტანტინეპოლი 44, 189, 223
კოპერნიკი 232
კორინთი 82, 94, 148, 199, 210
კრასი 242

Credit Mobilier 50
კრუგი 234
კუბა 73
კუგელმანი 245
კუზა 69
კულანე (დე) 155
Cuvier 83

ლ.

ლაბარე 123
ლაისა 1
ლანგე 177, 244
ლასალი 65, 204, 238, 239, 240, 242, 246, 247
ლევკიპე 225, 231
ლეტურნო 141
Linguet 73
ლივერპული 39, 92
ლივიუსი 175, 177, 178
ლიპპე 184
ლიციანიუსი 24, 85
ლომბარდია 83
ლონდონი 39, 83
Louis-Philippe 234
ლუზიანა 40
ლუკიანე 6, 31, 177, 242
ლუკრეციუსი 3, 6, 27, 30, 71
ლუკული 242
ლუი XIV 66
ლუთერი 30, 40, 100

მ.

მაგონი 95
მაკედონია 44, 59, 224
მაკიაველი 243
მაკ-კულლოხი 80
მარცელინია. 151
მალმსბერი 44
მალთუსი 88, 241
მანჩესტერი 39, 92, 241
მარია 4
მარსი 218
მარსი (პლანეტა) 228
მარსელი 5
მაქსი იხ. წმ. მაქსი
მაქსიმილიანე 69
მაურერი 210, 247
მედლერი 232
მელეაგრი 183
მენგერი 131, 132, 133, 134
მექსიკა 69
მექსიკის ყურე 70
მითრიდატე 242
მიკენი 7
მილანი 189
მისისიპი 72
მისური 241
მიხეილი (მთავარ ანგელოსი) 129
მოლოქი 44
მომხენი 68, 69, 92, 96, 103, 153, 174, 176, 177, 179, 239
მორგანი 137, 140, 141, 150, 154, 157, 159, 160, 169, 177
Möser 104
მოსხე 149
მულისი 158
მცირე აზია 59, 67, 94, 130

ნ.

ნაპოლეონი 41, 42, 44
ნერონი 122, 123, 124, 130, 131
ნესტორი 155
ნიბური 71, 153, 155, 178, 201
ნიკოლაი-ონ 245, 248
ნიკომიდია 221
ნილოსი 83
ნორვეგია 108
ნიუ-იორკი 39, 241

ო.

ოდისეი 158
ოდისეა 77, 144, 158
Olmsted 70
ორესტი 138
ორესტია 138
ოტტონი 130

პ.

პაველ 30
პალესტინა 36
პალადა (პლანეტა) 230
პალმერსტონ 44

პანი 11
პარიზი 39, 235
პატმოსი 130
პაული 236, 237
პერიკლე 6, 25, 77
პერსიუსი 123, 187
პერუჯია 243
პიზისტრატე 172
პილატე 25
პითაგორე 229, 230, 231
პლატონი 31, 43, 55, 77, 78, 79, 118, 217
პლინიუსი 56, 90, 118, 187, 211, 232
პლუტარქი 1, 4, 5, 30, 65, 145, 229
პლუტოსი 65
პოლინიკოსი 156
პოლონეთი 63, 112
პომპეი 242
პრეისი 85
Printinghousesquare 51
პრომეთე 1, 2, 18
პროკოფი 149
პრუდონი 14, 15, 16, 35
პტოლომე 227

ჟ.

ჟან პოლი 26

რ.

რაიტი ვ. ა. და კ. 241
რაუ 117
რეგილლი 173
რეინი 151
რიკარდო 54, 109, 110, 244
რომი 2, 6, 11, 14, 15, 16, 18, 21, 24, 25, 32, 38, 42, 43, 44, 54, 56, 57, 58, 59, 64, 67, 85, 90, 91, 93, 97, 98, 99, 103, 108, 111, 112, 116, 120, 121, 122, 123, 124, 130, 132, 135, 136, 138, 140, 141, 149, 151, 172, 173, 178, 181, 182, 183, 184, 185, 188, 189, 200, 201, 202, 203, 209, 214, 223, 224, 226, 234, 235, 239, 240, 246
Roberts etc. 50
რობესპიერი 5, 16, 41
რომული 174, 179
რუსეთი 44, 46, 215, 241, 245
როსტი 118
რიუსტოვი 238

ს.

საბერძნეთი 2, 6, 7, 8, 16, 25, 42, 55, 56, 65, 89, 91, 111, 124, 125, 126, 135, 137, 142, 156, 181, 185 199, 210, 211, 214, 224, 243
საქსონია 221
სალვანუს მარსელელი 191
სამოსი 229
სამოსატელი ლუკიანე 126
სამეილი 116
წმ. მაქსი 25, 26, 28, 29, 30, 31
სან-ფრანცისკო 39
სანჩო 32
საფრანგეთი 23, 97, 116, 196, 204, 205, 223, 235
სენეკა 119, 121, 122, 123
სეი (say) 84, 88
სენ-ჟიუსტ 16, 41
სენიუსი 42
სერვიუს ტულიოსი 181
სერტორიუსი 242
სექსტუს ემპირიკუსი 77
სირია 126
სისმონდი 43, 71, 88, 91, 116
სიცილია 38, 60, 103, 127, 166, 167
სმიტ 207
სმიტი ა. 17, 54, 93, 103, 110
სოკრატე 26
სოლონი 154, 162, 166, 167, 181, 200, 204, 248
სომხეთი 148
სოფოკლე 65
სპარსეთი 213
სპარტა 54, 145, 146
სპარტაკი 122, 242
სტრაბონი 59
სტიუარტი 45
სულლა 116, 242
სურინამი 34, 234

ტ.

ტარკვინიუს ამაყი 180, 182

ტაციტი 42, 123, 127, 137, 140, 141, 148, 183, 184, 186, 244
ტევკროსი 145
ტევტობურის ტყე 173
ტელამონი 145
ტელემაკი 145
ტეხასი 40
ტესტიუსი 183
ტიბერიუსი 122, 179
ტიბრი 73, 122.
ტიმონი 25
ტირი (ქალაქი) 39, 44
ტირი (ღმერთი) 218
ტომსონი 232
ტომპსონი 134
Tooke 119
ტრირი 189
ტროა 158
ტური 116
ტიერი 236
ტურელი გრიგოლ 185

უ.

ულფილასი 179

ფ.

ფაბიუსი 178
ფალსტაფი 34
ფამა 51
ფარადეი 232
ფეიერბახი 19, 135, 137, 138, 233
ფეცენია გისპალა 176
ფილადელფია 129
ფილიპა 44, 127
ფილონი 119, 120, 121
ფინეიოსი 183
ფსანკლინი 74
ფრეემანი 137
ფურიე 196

ქ.

ქიოსი 146
ქლოა 149
ქრისტე 129, 130
ქსენოფონი 57, 59, 78, 218

შ.

შავი ზღვა 82, 149, 188
შეკალიე 56
შილინგი 11
შემანი 146, 157
შექსპირი 12, 50, 242
შვეცია 105
შლეზვიგის ჰაობები 185
შლოსერი 242
შტირნერი 28, 30, 31
შტოლბერგი 80
შტიუკერი 243
შულცე 118

ჩ.

ჩინეთი 59, 127
ჩრდილოეთის ზღვა 188

ც.

ციცილისი 184
Ziemann 118
ციო 218
ცინცინატი 70
ციცერონი 1, 3, 6, 80, 234, 228, 239

ძ.

ძველი ქვეყანა 234
ძევსი 2, 218

წ.

წყნარი ოკეანე 39

ხ.

ხმელთა შუა ზღვა 39, 42, 188, 191

ჯ.

ჯონსი 112, 113

ჰ.

ჰანიბალი 239
ჰეგელი 30, 35, 69, 135, 225, 228, 229, 230, 238, 239, 247
ჰეინე 120, 244
ჰეინცენი 34
ჰეკატეოსი 155
ჰერმესი 2
ჰეროდოტე 118
ჰერან ალექსანდრიელი 232
ჰერაკლიტე 6, 65, 229, 206, 238
ჰერაკლე 183
ჰეროდოტე 142, 146
ჰეფესტი 7, 79
ჰოისლერი 144
ჰომეროს 15, 16, 62, 77, 140, 141, 144, 145, 155, 156, 157, 240
ჰორაციუსი 28, 57, 244

საგანთა საძიებელი

ა.

ავტარკია 77
ანიკური სახელმწიფო 74
ათინის სახელმწიფოს წარმოშობა 160
ათინის სახელმწიფო 170
ათინის სახალხო სამართალი 161
ათინური გვარი 152
ათინური ოჯახი 147
ალექსანდრიული სკოლა 6
ამქარი 75, 113
ამერიკელი ინდიელების გვარი 140
ანტიური ეკონომიკა 56
ანტიპატრისი 80
არეოპაგიტები 139
არგონავტები 183
არიადნე 242, 243
არისტოკრატი 71
არმია 237
არხონი, არხონტები 152, 153, 162
ატარაქსია 29, 31
ატომი 4, 29, 225, 231
ატომი, საერთოდ ბუნების, ემპირიული გამოკვლევის ატომისტიკა, ზოგადი ობიექტური გამოსახულება 4

ბ.

ბახილევსი 157, 159, 161
ბახილევსის თანამდებობის დაკვეითება 162
bailiff 86
ბარბაროსები 189
ბარონი ნორმანელი 71
ბატონობის და დამონების ორი გზა 212
ბერძენი 4, 8
ბერძენი ფილოსოფოსი 4, 7
ბერძნული თვითშეგნება 4
ბერძნული პოეტები 6
ბერძნული კულტურა 7
ბერძნული ცხოვრება 8
ბერძნული სული 8
ბერძნული ტიპი 8
ბერძნული გრძნობიერი შეგნება 18
ბერძნული ხელოვნება 50
ბერძნული მითოლოგია 50
ბერძნული გვარი 140, 151
ბერძენ ტომების წესწყობილება 156
ბენეფიციი 195
ბრიტები 142
ბუნების მეტყველება 3, 222
" " ემპირული 3
ბუნების და სულის ერთიანობა 221
ბოიარინი ვალაქელი 71

გ.

გვარი 142, 150, 172 გვარი გერმანული 182
Genea 150
Gentes 150
გვარი და სახელმწიფო რომში 172
gentis enuptio 175
გეომორები 162
გერმანელები 7, 8
germania Magna 187

დ.

დაქირავებული შრომა 83, 218
დიადოხები 19
დიალექტიკა 35, 208, 225
დიალექტიკა ჰეგელის 35
დიალექტიკური აზრი 222
დედის უფლება 138, 152

დედის უფლების დამხობა
დემიურგები 162
დემოკრატია ანტიური 219
დეკურიონები 247
დორელები 145
დესპოტია 8, 213
„ აზიური 8
დრაჰმა 82

ე.

ებრაელები 63
ევპატრიდები 152, 162
ელინური რელიგია 11
ელინური შეგნება 11
ელინური სცენა 12
ეკონომიკა 58, 66, 67, 68
ეკონომია 48
„ ბურჟუაზიული 48
„ ანტიკური 48
ენდოგამია 175
ეპიკურეიზმი 2, 15, 28, 29, 30
ეპიკ. ფიზიკა 3
ეპიკ. ნატურფილოსოფია 4
ეპიკურის ღმერთები 63
epitropos 97
ეტრუსკელები 74

ვ.

ვასალი 38
ვერცხლი 71
ვაჭართა კლასი 20
ვაჭართა კლასის წარმოშობა 198
ვაჭრული კაპიტალი ანტიურ ქვეყანაში 94
ვილლა 190
villicus 69, 86, 95

ზ.

ზარაფი 9
ზედმეტი შრომა 106
ზედმეტი ღირებულება 68, 72, 104
ზედმეტი პროდუქტი 110, 112

თ.

თანამედროვე პროლეტარი 84
თავადაზნაურობა 162
თემი 248 ინდური თემი 103
თეოლოგია 1
თეოკრატი 71, 149
„ ეტრუსკელი 71
თორმეტი ტაბულის კანონი 173
თურქები 21

ი.

იდეალიზმი 209
ინდოელები 137
ინტერდიქტი 1
იონიელები 145
ინტერმუნდიები 92, 99
Jcomanry 105
ეროკეზები 151, 152, 157, 163, 164
ისტორიის ფილოსოფია 135
ისტორიის მამოძრავებელი ძალა 20
us utendi et abutend; 9, 10

კ.

კავიატები 141
კადასტრი 235
კავალერია 239
კადიაკები 141
კაპიტალი 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117
კაპიტალისტი 71
კაპიტალისტური წარმოების წესი 76, 89, 107
კარაიბები 141
კერძო საკუთრება 9, 10, 18, 22, 23, 24, 32, 86
„ რომაული 63
„ გერმანული 63
კატეგორია 4
„ წმინდა 4
„ აბსტრაქტული 4
კანონი 5
„ ტერორისტული 5
კრმვრები 4
კლისთენის კანონმდებლობა 169
კოლონია ბერძნული 20
კოლონები 190
კოლონი 132
Code Civil 136, 204

ოპერაციია 74
კომენდაცია 195
კომუნა 106
კოენიგი 159
კრიზისი 109, 110
კუკუსები 141
კურია 172
კურიების კრება 179

ლ.

ლატიფუნდია 102, 190
Latifundia Jtalian perdidere 211
ლენდლორდი 71
ლოგიკა ფორმალური 225

მ.

მამის უფლება 138, 152
მანქანა 75
მანუფაქტურა 75, 97
მარილი 118
მარკა 196
მექანიკა 222
მასალიოტები 4
მატერიალისტური მსოფლმხედველობა 233 მატერიალიზმი 209
მეორე პუნიური ომი 174 მატერიალიზმი სტიქიური 228
მიწათმფლობელობა მსხვილი 209
მიწის რენტა 101
მიწის საკუთრება 199
მიწის საკუთრების მონოპოლია 101
მეუახშეობა 99, 100, 114, 115, 165
მოგება 104
მოლეკულა 225
მემამულის მეურნეობა 104
მონეტა 55, 58, 65
„ ვერცხლის 43
მონოგამია 138, 145, 147, 199, 203
მონოგამიური ოჯახი 153
მონოთეიზმი 209, 218
მონობა 12, 17, 19, 21, 23, 24, 34, 35, 40, 60, 69, 74, 80, 95, 97, 111, 113, 134, 142, 197, 214, 223
მონობის სამი ფორმა 203
მონობა თანამედროვე 12. მონობა ძველი 17
მონობა ანტიკური 14, 34, 214, მონობა საოჯახო 89
მონობა ბავშთა 86
მონობა ა. შ. შტატებში 210, 234 სურინამში 234
მონური მეურნეობა 98, 104, 105
მონა 8, 10, 15, 36, 37, 38, 45, 47, 54, 57, 69, 64, 70, 72, 73, 84
მონური შრომა 63, 83, 209
მონათა ბაზარი 89
მონის ფასი 105
მონების რიცხვი 199
მონათმფლობელი ამერიკელი 71
მონების მოძრაობა ამერიკაში 241
მონების მოძრაობა რუსეთში 241
მონობა სამოქალაქო საზოგადოებისა 13
მიწის ფასი 105
მიტრალიეზა 116
მუშა 17, 18, 36, 37, 45, 60, 70, 71, 73. 74, 84, 87
„ თანამედროვე 17
მხედრები 38
მხატვრული ხელოვნება 168

ნ.

ნავკრარიები 166
ნატურალური მეურნეობა 102
ნატურალური ხარკი 47
ნატურალური ბეგარა 47
ნატურალური რენტა 104
ნეოპლატონიკოსები 31
ნიკეის საეკლესიო კრება 137

ო.

ომი 49
„ მონების 39
„ პუნიური მეორე 42
„ პუნიური მესამე 42
„ ჯვაროსანთა 195 პელოპონესის 77
ოსტატი 38
ოქრო 60, 61, 62, 63, 64. 65, 66, 71
ოჯახი 81
„ ინდივიდუალური 203
„ პატრიარქალური 143

პ.

პატრული 76
პატრიციები 10, 38, 60, 98
პართები 141
პერგამენტი 223
პოლიტიკა 13
„ ძველი ქვეყნისა 13
პლანტატორული მეურნეობა 104
პლებეები 10, 21, 38, 58, 60, 98, 180, 246
Polis 127
პოლიტიკური რევოლუცია 117
პოლიცია 171
პოლიტიკური ეკონომია 76, 80, 217
პროლეტაია 17, 24, 37, 38, 182
პროდუქტის საკონლად გადაქცევა 164
პროსტიტუცია 141, 146, 199
პტოლომეს სისტემა 227
პერიკლეს ეპოქა 6, 25

რ.

რევოლუცია 19
rex 179
რეალობა ობიექტური 3
regisseur 97
რელიგია 6, 43, 119, 124, 135
რენტა 36, 48, 66, 100, 102, 103, 104, 113
რეპროდუქცია 63, 84
rex publica 8
რომაული გვარი 140
რომაული გვარის წყობა 172
რომის რესპუბლიკა 41, 64
რომის იმპერია 14, 40, 41, 66, 79
ალმ. რომის იმპერია 21, 44
რომაული სახელმწიფო 188
რომის იმპერატორები 5
რომაელი ხალხი 178
რომაელი პროლეტარი 84
რომაელი კოლონები 193
რომაელი კაპიტალისტები 19
რომის მოსახლეობის კლასები 122
რომაელი ქალი 175, 177
რომის სამართალი, რომაული სამართალი 132, 136, 206, 207
რომის სამემკვიდრეო სამართალი 247
რიცხვი 229
რუსები 44
რუსეთის თემი 206

ს.

საბერძნეთის ისტორია 4, 8
საბატონო ბეგარა 113, 194
საბჭო 156
სავაჭრო კაპიტალი 91, 92, 93
სავაჭრო კაპიტალი 97
საზოგადოება 9
„ სამოქალაქო 9
„ პოლიტიკური 9
„ ბურჟუაზიული 41, 47, 49, 49
„ ფეოდალური 49
„ ანტიური 49, 65
საზოგადოებრივი წყობილება 16
საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაცია 71, 84
საკრედიტო სისტემა 58 საკრედიტო საქმე 100
საკუთრება 22, 167
„ გვაროვნული 22, 23, 33, 48
„ სათემო 53, 62 სათემო საკუთრების ინდიური ფორმა 62
ანტიური 24, 38, 98 სათემო საკუთრების აზიური ფორმა 62
„ ფეოდალური, წოდებრივი 24, 25, 38, 98
საკუთრება ბურჟუაზიული 38
სათამასუქო საქმე 91
სამუშაო ძალა 69, 87
სამართალი 9, 15, 33
„ კერძო 9, 22, 124
სახელმწიფო 9, 11, 32, 124, 136
რომაული 14, 22, 32
საადათო 163
სამემკვიდრეო 33
სისხლის 50
საერთაშორისო 15
აბსტრაქტული 9
„ აბსტრაქტული პიროვნების 9
საპლანტაციო მეურნეობა 132
სარწყავი არხები 213

საფრანგეთის რევოლუცია 204
საკონელი 52, 54, 56, 87, 165
საკონლის წარმოება 197
საკონლის ღირებულების სიდიდე 87
საკონლის ფორმა 62
საშუალო საუკუნე 39
საწარმოო საშუალება 98
საწარმოო ძალა 20, 32, 43
საწარმოო ურთიერთობა 36, 48, 50, 57, 64
სახალხო კრება 156
სახანძრო წელა 223
სახელმწიფო 8, 9, 13, 29, 150, 160, 166, 205
„ პოლიტიკური 8
„ მატერიალური 8
„ პიროვნება 9
„ აბსტრაქტული პიროვნების 9
„ ანტიკური 14, 16, 23
„ თანამედროვე 16
სახელმწიფოს ნიშნები 201
სახელმწიფოს წარმოშობა 200
სექს სერვიუს ტულიუსის კანონმდებლობა 181
სოფისტები 26
სოლონის კანონმდებლობა 166
სოციალიზმი, სოციალიზმი თანამედროვე 131, 214
სენატი 179
სკვითები 7, 141
სკეპტიციზმი 2
სპარსელთა ომი 210
სპარტაკის აჯანყება 123
სტრატეგი 170
სტოიციზმი 2, სტ. ეთიკა 27
სუბსტანცია 8
სქესობრივი სიყვარული 150

ტ.

ტაქსიარხი 170
ტინეჰელები 141
ტომი 128, 150, 155, 156, 161, 172, 178
ტომების კავშირი 151

ფ.

ფაკტი 15
familia 143
ფარი 55, 118
ფეოდალიზმი 13, 23. 210 ფ. ქრისტიანული 35
ფეოდალური სისტემა 13, 22
ფეოდალური წარმოების წესი 74
ფეტიშიზმი 18
ფილარხი 170
ფილოსოფია 1
„ საბერძნეთის 2, 206
„ ანტიური 208
„ სტოიკური 6, 26, 119, 121
„ ყოფიერების 1
„ სიამოვნების მქადაქებელი 33
„ ძველი 6
უახლესი 6
„ ახალი დროს 7
ფიზიკა 225
ფილობახილევსი 152
ფორმა 2
„ სიცოცხლის 2
ფრანგები 13
ფრატრია 150, 155, 161, 178
„ რომაული 178
ფრატორი 155
ფული 47, 54, 55, 56, 59, 65, 66, 67, 68, 86, 165, 193
„ ბერძნული 55
„ რომაული 185, 187
„ როგორც ფული 240
„ სპილენძის 99
„ საკონელი 65
„ ღირებულების საზომი 55
„ მიმოქცევის საშუალება 56
„ ღირებულების ნიშანი 55
გადახდის საშუალება 66
ფულადი მეურნეობა 163
ფულადი კაპიტალი 88, 89
ფულადი რენტა 104

ქ.

ქიმია 225
ქალები 146
ქალაქი 19, 20
ქარგალი 38

ქვაფენილი 223
ქრემატისტიკა 66, 67, 68
ქრისტიანობა 38, 40, 8), 119, 120, 121, 125, 126, 127, 129, 137, 208, 219

ღ

ღირებულება 16, 54, 61, 118
" სახმარი 52, 54, 64, 66, 67, 71, 77, 78, 93
" საცვლელი 16, 52, 54, 55, 57, 71, 77, 93
" „შინაგანი" 16
ღირებულების კანონი 54, 90
ღირებულების ფორმა 61, 62
" მარტივი ფორმა 61
" აბსოლუტური ზედმეტი 81
შეფარდებითი ზედ. ღირებულება 81
ღმერთი 1, 5
ღმერთი პლასტიკური 3

ყ.

ყმა 13, 17, 19, 37, 38, 45, 84

შ.

შემთხვევა 3
შრომა 47
" საზოგადოებრივი 53
შრომის დანაწილება 19, 20, 23, 35, 76, 162, 165
შრომის საზოგადოებრივი დანაწილება 76

ც.

ცდა 3
ცეზარიზმი 116
ცენტრალიზაცია 115
ცენტრალური სახალხო კრება 181
ცვლილი 229
civis romanus 71
რომის მოქალაქე
ცოლთა განსაზოგადოება 142

ძ.

ძალდატანება 220

წ.

წარმოების წესი 22, 46, 47, 63, 64, 81
" " აზიური 52
" " ანტიური 52
" " ფეოდალური 52
" " ბურჟუაზიული 52
წყალი 228
წყლის საათი 223
წყლის წისქვილი 75
წყვილადი ცოლქმრობა 145
" " გერმანელებში 184

ჭ.

ჭარბი წარმოება 111
" მოხმარება 111

ხ.

ხარენელები 141
ხელოვნება 50, 75, 79, 224
ხელოსანი 75
ხელოსნობა 79, 168
ხრემატისტიკა 58

ჯ.

ჯგუფობრივი ცოლქმრობა 142, 152

ჰ.

ჰაერი 229
ჰეტერიზმი 138, 199
ჰიპოთეკა 163, 199
ჰუნები 141

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
გამომცემლობისაგან	III
კ. მარქსი. სადოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურ-ფილოსოფიასა და ეპიკურის ნატურფილოსოფიას შორის“	1
კ. მარქსი. შენიშვნები უახლესი პრუსიული საცენზურო ინსტრუქციის შესახებ	5
კ. მარქსი. კამათი პრესის თავისუფლების შესახებ .	5
კ. მარქსი. მოწინავე „კელნის გაზეთის“ № 179-ში	6
კ. მარქსი. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის	7
კ. მარქსი. ეპიკურეს, სტოიკური და სკეპტიკური ფილოსოფიის ისტორიის მოსამზადებელ სამუშაოთაგან	7
კ. მარქსი. ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა	8
ფ. ენგელსი. ლანდშაფტები . . .	11
ფ. ენგელსი. შელინგი და გამოცხადება	11
ფ. ენგელსი. რეინის დღესასწაულობანი	12
ფ. ენგელსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები .	12
ფ. ენგელსი. ინგლისის მდგომარეობა	12
კ. მარქსი. კრიტიკული შენიშვნები წერილისა: „პრუსიის მეფე და სოციალური რეფორმა“	14
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. წმინდა ოჯახი ანუ „კრიტიკული კრიტიკის“ კრიტიკა	14
ფ. ენგელსი. მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში	17
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მოსამზადებელი სამუშაოები „წმინდა ოჯახისათვის“	17
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ფეიერბახი „იდეალისტური და მატერიალისტური თვალსაზრისი“	19
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. წმინდა მაქსი (შტირნერის მოძღვრების კრიტიკა)	25
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“	32
კ. მარქსი. „რეინის მიმომხილველის“ კომუნიზმი	34
კ. მარქსი. მორალიზაციის მომხდენი კრიტიკა და კრიტიკის მომხდენი მორალი	34
კ. მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე . .	34
კ. მარქსი. დაქირავებული შრომა და კაპიტალი	36
ფ. ენგელსი. კომუნიზმის პრინციპები	37
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი	38
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. 23—24 ივნისი პარიზში	39
ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში .	39

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. საერთაშორისო მიმოხილვები 39
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. გ.-ფრ. დაუმერის წიგნის: „ახალი საუკუნის რელიგია“-ს შესახებ 40
კ. მარქსი. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა 40
ფ. ენგელსი. გასული წლის დეკემბერში ფრანგი პროლეტარების შედარებითი პასივობის ნაძდეილი მიზეზები 41
ფ. ენგელსი. წერილები ინგლისის შესახებ 41
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. აღმოსავლეთის საკითხი . 43
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. პალმერსტონის სამინისტრო 44
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ბრიტანეთის არმია 45
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ესპანეთის რევოლუცია . 45
კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის . 45
კ. მარქსი. შრომის ხელფასი, ფასი და მოგება . 60
კ. მარქსი. კაპიტალი 61
კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები . . 107
კ. მარქსი. წინასიტყვაობა „18 ბრიუმერის“-თვის . . . 116
კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში (1870—1871) . . 116
კ. მარქსი. კრიტიკული შენიშვნები ადოლფ ვაგნერის წიგნზე 117
ფ. ენგელსი. ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ (ბრუნო ბაუერის ნეკროლოგი) 119
ფ. ენგელსი. პირველდაწყებითი ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიდან 126
ფ. ენგელსი. იურიდიული სოციალიზმი 131
ფ. ენგელსი. საბინაო საკითხი 134
ფ. ენგელსი. მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, წინასიტყვაობა ამერიკული გამოცემისათვის . 134
ფ. ენგელსი. ლიუდვიგ ფეიერბახი 135
ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა . . 137
ფ. ენგელსი. წინასიტყვაობა „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ . . . 204
ფ. ენგელსი. სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისკენ 204
ფ. ენგელსი. გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში . 205
ფ. ენგელსი. რუსეთის შესახებ . 206
ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი 206
ფ. ენგელსი. შესავალი მარქსის „კლასთა ბრძოლისათვის საფრანგეთში“ 220
ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა . 221
კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მიმოწერა . . . 233
საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი . 249
საგანთა საძიებელი . . 255

შეცდომების გასწორება

გვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
41	ბრაკხები	გრაკხები
63	ბატონისა	ბატონობისა
74	ენტურსკელი	ეტრუსკელი
81	გამოცემულია	გადმოცემულია
86	კ. მარქსი	კ. მარქსი კაპიტალი
92	აზით	აზრით
108	ეს წარმოების...	[147] ეს წარმოების....
158	zex	rex
215	პოივილეგიურთ	პრიეილეგიურთ
218	ბეოახულ ძევსს, ლათინურ იუპიტერს	ბერძნულ ძევსს, დიუპიტერის მაგივრად, ლათინურ იუპიტერს

რედაქტორი: ვ. ბახტაძე.

ტექრედ.-გამომშვები: ვ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე.
კორექტორი—ვ. შ ა ვ ლ უ ა შ ვ ი ლ ი.
მთავლიტის რწმუნებული № გ-16204.
ტირაჟი 2000.
შეკვეთის № 56.

გადაეცა წარმოებას 1/I 36
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/III 37.
ზომა 6×10.
ქ. ზ. 62×94.
ფორმის რაოდენობა 17½.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"-ს სტამბა.

К. Маркс и Ф. Энгельс

ОБ АНТИЧНОСТИ

С. И. КОВАЛЕВ

Издательство Государственного Университета

Тбилиси 1937